



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამთა მიქაბერიძე

საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები  
WTO-ს შეთანხმების საზღვრებში

დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირინა გოგორიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2016

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი	3
<b>თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები;</b>	<b>13</b>
1.1. საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიები	13
1.2. საგარეო ვაჭრობის ახალი ტექნიკური ინსტრუმენტები	52
<b>თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანიზაციისა და სავაჭრო რეჟიმების როლი განვითარების პროცესში</b>	<b>63</b>
2.1 საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო სისტემაში	63
2.2 განვითარებადი ქვეყნების სატარიფო პოლიტიკის თავისებურებები	70
2.3 ნეოპროტექციონიზმი და ანტიდემპინგური პოლიტიკა	78
<b>3. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რეგიონულ ორგანიზაციებთან</b>	<b>95</b>
3.1 საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნათა რეალიზაციის შედეგები	95
3.2 საქართველოს მონაწილეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სავაჭრო სისტემაში	102
3.3 საქართველოს ურთიერთობა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციასთან (სუამი)	110
3.4 საქართველოს მონაწილეობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC)	114
<b>თავი 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებათა საზღვრებში</b>	<b>125</b>
4.1 საქართველო მსოფლიო სავაჭრო სისტემაში	125
4.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები	143
4.3 პარტნიორ ქვეყნებთან საქართველოს შიგადაზღვრებივი საერთაშორისო ვაჭრობისა და ექსპორტის მსგავსების საკითხების კვლევა გრუბელ-ღლოიდისა (GL) და ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსებზე დაყრდნობით	169
<b>დასკვნები და რეკომენდაციები</b>	<b>188</b>
გამოყენებული ლიტერატურის სია:	198
დანართები	208

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

**თემის აქტუალობა:** მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ქვეყანა აფართოვებს თავისი მონაწილეობის მასშტაბებს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საგარეო ვაჭრობის გზით. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებს ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის ცვლილებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში. ეს მონაცემები ცხადყოფს, ასევე თუ რამდენად ლიბერალური და ღიაა ამ ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და რა როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობა თითოეული მათგანის ეკონომიკური განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია დეტალურად განვიხილოთ საქართველოს მონაწილეობა ინტეგრაციულ პროცესებში, გავანალიზოთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ხელშეკრულებების საზღვრებში აღებულ ვალდებულებათა შესრულების პროცესი და სარგებლის მიღება, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიების განხილვის ფონზე.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გლობალიზაციის პირობებში ინტეგრაციული პროცესების განსაკუთრებული გააქტიურებით ხასიათდება. განვითარებად ქვეყნებს, კი თავიანთი ეკონომიკების გადარჩენის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობის განსაკუთრებული ხელშეწყობა და განვითარება მართებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის წინაშე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული საგარეო ეკონომიკური გზების წარმატებული ძიება და საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში სტრუქტურული ძვრებისა და გრძელვადიანი ტენდენციების გამოვლენა.

2008 წლის სექტემბერში დაწყებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ობიექტურად გააძლიერა ყველა ქვეყნის დაინტერესება ექსპორტის გაფართოებით, გარე სამყაროსთან ვაჭრობის ხელსაყრელი პირობების მიღებით. სწორედ, რომ საგარეო ვაჭრობის სფეროშია მობილიზებული მნიშვნელოვანი ანტიკრიზისული პოტენციალი მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში. ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ზრდის რეზერვების გამოსავლენად საჭიროა მისი ანალიზის მიმართ განსხვავებული მიდგომა. ზემოაღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას

იქნეს გლობალური ფინანსური კრიზისის და ტრადიციული საწვავისა და ნედლეულის (რაც ქვეყნის უმთავრეს საიმპორტო საქონელს წარმოადგენს) ფასების ზრდით გამოწვეული ქვეყნის შემოსავლების მკვეთრი შემცირების პირობებში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს ორიენტაცია აღებული აქვს ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, მისი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში წარმატებული ინტეგრაცია და, ამის შედეგად, სასურველი ეკონომიკური შედეგების მიღწევა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საფუძველზე, ლიბერალური რეჟიმის პარალელურად, არსებობს შესაძლებლობა დავიცვათ ჩვენი ეკონომიკა დემპინგური ზეგავლენისგან. თუმცა, შესაბამისი კანონმდებლობის არქონისა და სხვა ფაქტორების გამო, ვერ ვახერხებდით WTO-ს შესაძლებლობების გამოყენებას. დღეს, უკვე, ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელშეკრულებების რატიფიცირების შედეგად, და ამის საფუძველზე, კანონმდებლობის ცვლილებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ, გვაქვს ბერკეტები მოვახდინოთ დაცვითი ღონისძიებების გატარება და WTO-ს სრულუფლებიანი წევრის შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესს საერთაშორისო ვაჭრობისა და მასში მონაწილე სუბიექტების ძირეული ცვლილებები და განვითარების ახალი ტენდენციების აღმოცენება მოჰყვება. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ვაჭრობის ახალი თეორიებისა და ტექნოლოგიების კვლევა და ანალიზი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე თანამედროვე ეკონომიკური პროცესების ფონზე.

საერთაშორისო ვაჭრობის ახალი ფორმებისა და მიმართულებების კვლევის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის, როგორცაა საქართველო. 2014 წლის სექტემბერში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის რეგულაციები უკვე ძალაში შედის. შესაბამისად, სავაჭრო ნაკადების ახალი სტრუქტურისა და მიმართულებების შესაძლებლობების კვლევა უნდა გახდეს ორიენტირი ქვეყნის შემგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ნაშრომის აქტუალობას ზრდის ქვეყნის საექსპორტო საქონლის სტრუქტურისა და დანიშნულების ბაზრების დივერსიფიკაციის ანალიზისა და კვლევის საკითხები. ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ჩართვის ხარისხისა და როლის შესაფასებლად გამოვთვალეთ და გავაანალიზეთ მისი სტრუქტურული მსგავსება პარტნიორ ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურასთან, ასევე საქართველოს შიგადაზღვრებითი საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები პარტნიორ ქვეყნებთან.

ნაშრომში ხაზგასმულია საქართველოს შიგადაზღვრებითი ვაჭრობის სტრუქტურისა და მიმართულებების კვლევისა და ანალიზის მნიშვნელობა ღრმა ინტეგრაციიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობიდან გამომდინარე. ასევე, ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურის კვლევა პარტნიორ და კონკურენტ ქვეყნებთან სამომავლო პერსპექტივების დასახვის კუთხით.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგად, საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების ცვლილების ზეგავლენის გაანალიზება ქვეყნის განვითარების პროცესებზე.

მოცემული მიზნის რეალიზებასთან დაკავშირებით დასახული გვაქვს შევასრულოთ შემდეგი ამოცანები:

1. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ახალი და უახლესი თეორიების მიმოხილვა და შეფასებითი ანალიზი, რათა მოვახდინოთ იმ თეორიული საფუძვლების გამოკვეთა, რომელიც საგარეო სავაჭრო ნაკადების ცვლილების გაანალიზების შესაძლებლობას მოგვცემს;

2. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) საზღვრებში მოქმედი სავაჭრო რეჟიმებისა და შესაძლებლობათა გამოვლენა და შედარებითი ანალიზი;

3. რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობის რეალური შედეგების გაანალიზება და შეფასება;

4. WTO-ს საზღვრებში რატიფიცირებული ხელშეკრულებების განხორციელების შედეგად, საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის ინსტრუმენტთა გამოკვლევა; გავაანალიზეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ), დემოკრატიისა და

ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციასა (სუამი) და შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობასთან (BSEC) და გარდამავალ პერიოდში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნათა რეალიზების სავარაუდო შედეგები, ჩამავაყალიბეთ მოსაზრებები ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებულ შესაძლებლობათა გამოყენების მდგომარეობასთან დაკავშირებით;

5. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებათა საფუძველზე სავაჭრო პროცედურების გამარტივების პოლიტიკის დახასიათება და მისი შედეგების ანალიზი საქართველოში;

6. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოვლენა შიგადარგობრივი ვაჭრობის ანალიზის საფუძველზე; ჩვენ მიერ გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები 2000-2015 წლებში, საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების წილი საქართველოს მშპ-ში და მათზე ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ზემოქმედების შედეგები;

7. საქართველოს სავაჭრო სტრუქტურის სრულყოფის (დივერსიფიკაცია) ძირითად მიმართულებათა გამოკვლევა ინდექსური მეთოდის გამოყენებით. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის გამოკვლევისათვის გამოყენებულია გრუბელ-ლლოიდისა (GL) და ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსები, რომელთა გამოყენების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები პარტნიორ ქვეყნებთან შიგადარგობრივ ვაჭრობასა და ექსპორტის სტრუქტურის მსგავსებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მოცემულია, გარკვეული მიმართულებებით, სავაჭრო ნაკადების გაფართოვების რეალური შესაძლებლობები.

**კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გრძელვადიანი ცვლილებები და შედეგები WTO-ში გაწევრიანების საფუძველზე. კვლევის ობიექტია საქართველოს საგარეო ვაჭრობა.**

**კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი ეკონომისტების ნაშრომების გაანალიზების საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიების სავაჭრო ნაკადების**

ფორმირებისა და შიგადარგობრივი ვაჭრობის გამოკვლევა. ჩვენ მიერ განხილულია საგარეო ვაჭრობისა და გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია: აბრაღავა ა., ანანიაშვილი ი., ბერუჩაშვილი თ., გოგორიშვილი ი., გველესიანი რ., თოქმაზიშვილი მ., კოლუაშვილი პ., ლეკაშვილი ე., მექვაბიშვილი ე., მესხია ი., პაპახაშვილი ნ., პაპავა ვ., სეფაშვილი ე., სილაგაძე ა., სიხარულიძე დ., ფუტკარაძე რ., ყორღანაშვილი ლ., შაბურიშვილი შ., შენგელია თ., ჩიკვაძე თ., ჯამაგიძე ლ., ჯიბუტი მ., ჯოლია გ. და სხვები, რომლებიც იკვლევენ საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ეყრდნობა საგარეო ვაჭრობის, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების სტატისტიკის შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წლიურ ანგარიშებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებსა და რეკომენდაციებს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პერიოდულ მონაცემებს, პერიოდულ გამოცემათა მასალებს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მრავალ სხვა ორგანიზაციაში მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზს.

სამეცნიერო კვლევა ეფუძნება ანალიზისა და სინთეზის, აბსტრაქციის, ინდუქცია-დედუქციისა და დიალექტიკის ზოგად მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. მასში გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფების, სტატისტიკური ინფორმაციის გრაფიკული გამოსახვის, ინდექსური ანალიზისა და დინამიკური მწკრივების მეთოდები.

**კვლევის ძირითადი მეცნიერული სიახლეები:** კვლევის შედეგად წარმოდგენილი გვაქვს შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

1. კვლევის შედეგად მოვახდინეთ ნეოტექნოლოგიური და განსაკუთრებით შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიებზე ფოკუსირება, რადგან სწორედ ამ თეორიების გააზრების საფუძველზე შემოთავაზებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ლიბერალიზაციის პოლიტიკის გადრმავეების ტენდენცია, მაგრამ ამავე დროს პარალელურად მიმდინარეობს ნეოპროტექციონისტური ტენდენციების მხარდაჭერა WTO-ს წევრი სახელმწიფოების მხრიდან. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ვაჭრობის

ლიბერალიზაციის გადრმავებასთან დაკავშირებით 1980-იანი წლებიდან თანდათანობით ფართოვდება საკომპენსაციო ვაჭრობა და შემხვედრი სავაჭრო კონტრაქტები, განსაკუთრებით დიდ ღია ეკონომიკებს შორის. თუმცა, მცირე ღია ეკონომიკებში (მათ შორის საქართველოში) ამ კონტრაქტების საფუძველზე მიმდინარე სავაჭრო ნაკადების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობს, რაც ამ ნაკადების სტატისტიკის აღრიცხვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს. ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, საქართველოში ამ ტიპის კონტრაქტების აღრიცხვიანობასა და მისი ხელშეწყობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. (გვ. 38-52; 55-61; პუბლიკაცია ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“; მოხსენება და პუბლიკაცია – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, (ბუქარესტი, რუმინეთი));

2. WTO-ს საზღვრებში არსებული სავაჭრო რეჟიმების გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილია საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებული ვაჭრობის ხელშეწყობი რეგულაციები და მათი დადებითი ეფექტები, რომელთა საფუძველზეც მივიღეთ წინაპირობები DCFTA-ს შეთანხმების დასადებად (გვ. 91-93; მოხსენება და პუბლიკაცია - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები (ბუქარესტი, რუმინეთი));

3. რეგიონულ ორგანიზაციებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაანალიზების საფუძველზე დადგენილია, რომ დსთ-სა (სავაჭრო სისტემა) და სუამში საქართველოს მონაწილეობა დადებითი შედეგებით ხასიათდება და მიუხედავად რუსეთთან არსებული პრობლემებისა გვაქვს უსაფრთხო სავაჭრო ნაკადების გაფართოების შესაძლებლობა. სუამ-თან დაკავშირებით სავაჭრო ნაკადების გაფართოების რეალური შესაძლებლობების გამოყენებამ მოგვცა მოლდოვეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან ვაჭრობის სასურველი ტენდენციების (სტრუქტურის) ჩამოყალიბება, რომელიც გარე ეკონომიკური უსაფრთხოების მიღების აუცილებელი პირობაა (გვ.106-109; 111-113; 173-178; 181-185);

4. გაანალიზებულია ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ზემოქმედების შედეგები საქართველოს მშპ-ში საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების წილზე, რის საფუძველზეც დადგენილია, რომ ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები განუხრელად იზრდებოდა რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოსა და 2008 წლის



რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების ჩაუთვლელად. ამავე დროს, 2012 წლამდე არ მიმდინარეობდა სავაჭრო სტრუქტურების დივერსიფიცირება და სასაქონლო სავაჭრო ნაკადების ზრდასთან უპირატესი ტემპებით იზრდებოდა მომსახურებით საგარეო ვაჭრობა (მომსახურების ექსპორტი აჭარბებს მომსახურების იმპორტს), რითაც აიხსნება თანაფარდობის უცვლელობა – ექსპორტის წილის შედარებითი მდგრადობა მშპ-თან მიმართებით. მიმდინარეობს იმპორტის წილის მზარდი ცვლილება, რადგან ზოგადად სავაჭრო ნაკადების ბრუნვა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით იზრდება. აგრეთვე ხორციელდება მომსახურებით ვაჭრობის განუხრელი ზრდა (ექსპორტი ყოველწლიურად ფარავს იმპორტს). ამ მონაცემების საფუძველზე ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულია დასკვნები: უპირველეს ყოვლისა, უნდა ხორციელდებოდეს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურათა მაქსიმალური დივერსიფიცირება: კერძოდ, იმპორტთან დაკავშირებით უნდა ხდებოდეს ენერჯო რესურსების წყაროებთან დაკავშირებით დივერსიფიცირება; ექსპორტთან მიმართებით იგივე უნდა მიმდინარეობდეს (ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიცირება), ხოლო რაც შეეხება საექსპორტო სპეციალიზაციის პროდუქტებს (თხილი, ღვინო, მინერალური წყლები), უნდა ხორციელდებოდეს სასაქონლო ბაზრის მაქსიმალური დივერსიფიცირება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით (დისერტაციის გვ.151-161; პუბლიკაცია ჟურნალში საქართველოს ეკონომიკა);

5. შიგადაზრგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის გრუბელ-ლლოიდის (GL) ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალი და ზრდის ტენდენციის ხასიათის მქონე შიგადაზრგობრივი ვაჭრობის ინდექსი გამოვლინდა ბელარუსთან, საუდის არაბეთთან, ლიტვასთან, მოლდოვასთან, პოლონეთთან, რომლებიც არ წარმოადგენენ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, მაგრამ, რომლებთანაც არსებობს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეგმაზომიერი (არასპონტანური) ზრდის რეალური შესაძლებლობები. გამოკვლევამ დაზრგობრივი სტრუქტურის მიხედვით გვიჩვენა საგარეო ვაჭრობის კონკრეტული სექტორების გაფართოვების შესაძლებლობები. კერძოდ, რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებში წევრობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ შედეგების მიღებას (დისერტაციის გვ. 172-177; პუბლიკაცია ჟურნალში „საქართველოს ეკონომიკა“);

6. ექსპორტის მსგავსების - ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი მნიშვნელობა გვაქვს ესპანეთთან, ლიტვასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, ბელგიასთან, რაც იძლევა საშუალებას გაგვაკეთოთ დასკვნა: ევროკავშირის ქვეყნებთან FK ინდექსის საშუალო მაჩვენებელი მაღალი არ არის, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს მიუთითებს საქართველოს საექსპორტო ნაკადების უფრო ეფექტიანი მიწოდებისა და სავაჭრო ლიბერალიზაციის გაღრმავებაზე, რაც საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ საგარეო ვაჭრობის მაქსიმალურად მომგებიანი, დივერსიფიცირებული სტრუქტურა. უფრო კონკრეტულად, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე ჩვენ გვექმნება ექსპორტის მეტნაკლებად მსგავსი სტრუქტურის მქონე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან კოოპერირების შესაძლებლობა, კერძოდ, მცირე და საშუალო მოცულობის ტნკ-თან (უფრო დიდ ტნკ-თან კავშირის დამყარების ნაკლები შესაძლებლობის გამო) (დისერტაციის გვ.178-185; პუბლიკაცია ურნალში „საქართველოს ეკონომიკა“).

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** მოცემული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების განსაზღვრით და სისტემური მიდგომით, პრაქტიკაში განვახორციელოთ საგარეო ეკონომიკური ნაკადების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები.

დისერტაციაში გაანალიზებული საგარეო ვაჭრობის ტენდენციები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგები და გამოკვლეული ინდექსები საგარეო ეკონომიკის სფეროს პრაქტიკის მუშაკებსა და მეწარმეებს საშუალებას მისცემს:

- სავაჭრო ნაკადების გაფართოვების მიზნის შესაბამისად გაანალიზონ საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის განვითარების დონე, სტრუქტურა და ძირითადი ტენდენციები;
- გამოავლინონ საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში მონაწილე ეფექტიანი და არაეფექტიანი სასაქონლო ჯგუფები, რის მიხედვითაც მოხდება ვაჭრობის ზრდა ან შემცირება;

- რაციონალურად განსაზღვრონ სასაქონლო ნაკადების ყველაზე მიზანშეწონილი გეოგრაფიული მიმართულებები და გასაღების ბაზრები;

ნაშრომში მოცემულია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკური კავშირების სისტემაში მზარდი ინტეგრაციისკენ მიმართული კონკრეტული წინადადებები, რაც სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარება-გაუმჯობესებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში რაციონალური ცვლილებების განსახორციელებლად.

ინდექსების გაანგარიშების საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამეცნიერო კვლევით საქმიანობასა და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო კურსებში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგებისა და მისი ეფექტიანობის ზრდის ანალიზის შემოთავაზებული მეცნიერული პრინციპები და მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციების კითხვის დროს შემდეგი კურსების ფარგლებში: „საერთაშორისო ეკონომიკა“, „მსოფლიო ეკონომიკა“, „ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკა“. ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას ზრდის ვიზუალური ეფექტიც, რაც უკავშირდება ჩატარებული კვლევის შედეგების თვალსაჩინოდ წარმოდგენის ფორმას მრავალი ცხრილისა და დიაგრამის სახით.

**კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული ნაწილები აპრობირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრასა და საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე. სადისერტაციო ნაშრომმა საბოლოო აპრობაცია გაიარა ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე, სადაც მოწონებულ და რეკომენდებულ იქნა საჯარო დაცვისათვის.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტები წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნდა სხვადასხვა პუბლიკაციებში, რეცენზირებად ჟურნალებში და საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო შრომებში, მათ შორის ტომსონ როიტერის ინდექსირებულ კრებულში (ISI - Thomson Reuters Proceedings). აღსანიშნავია,

სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტების საერთაშორისო მასშტაბით წარდგენა მნიშვნელოვან კონფერენციებზე, როგორცაა:

1. Strategica International Academic Conference (2015). ბუქარესტი, რუმინეთი. Proceedings: Brătianu, C., Zbucnea, A., Pînzaru, F., Vătămănescu, E.-M. and Leon, R.D. (eds.) 2014. *Strategica. Local versus Global*. Bucharest: Tritonic (ISBN 978-606-749-054-1, ISSN 2392-702X) ISI Citation - Thomson Reuters Proceedings.

2. EU SPRI Early Career Conference “Crossing boundaries in scientific knowledge creation and transmission: trends, challenges and policy implications. (2015) ქ. რომი (იტალია);

3. Workshop for Academics from Central and Eastern Europe, Central Asia and the Caucasus (2009), რომელიც ჩატარდა შვეიცარიაში (ვენევა), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შტაბ-ბინაში;

საერთაშორისო რეცენზირების გარდა, ნაშრომის ძირითადი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა ქართულ რეფერირებად ჟურნალებში:

4. თ.მიქაბერიძე, (2016), საერთაშორისო ვაჭრობის ტექნოლოგიების როლი მცირე ღია ეკონომიკებისთვის, *ეკონომიკა და ბიზნესი* #3; ISSN 1987-5789

5. თ. მიქაბერიძე, (2016), საქართველოს შიგადადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები. *საქართველოს ეკონომიკა*, აპრ.(27). e-ISSN 1512-2980.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, 12 ქვეთავის და დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. შესრულებულია 196 გვერდზე. და თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები გაანგარიშებითი ცხრილების სახით.

## თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები

### 1.1. საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურ ლიტერატურაში აქტუალური გახდა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის მნიშვნელობა და როლი. მათი ჩაბმა საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებში განუხრელად იზრდება, რასაც ცხადია მოჰყვება, როგორც სარგებელი, ასევე პრობლემებიც. თითოეული ქვეყნის მიერ საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება მათი განვითარების მიმართულებების არჩევანს. არჩევანი, კი არც თუ ისე დიდი აქვთ. მათ უნდა ჩამოაყალიბონ ან შედარებით ღია, ან შედარებით დახურული ეკონომიკა. მსოფლიო განვითარება ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებით მიმდინარეობს, რაც თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას გულისხმობს. ასეთი პროცესებიდან გამომდინარე, განვითარებად ქვეყნებს საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა და განვითარება მართებთ. სრულიად განსხვავებული საკითხია თითოეულმა ქვეყანამ ვისთან, რა პროდუქტებით, ან რა ტექნიკური ინსტრუმენტების საშუალებით უნდა ივაჭროს. დღეს, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების მკვლევარ-ეკონომისტთა ინტერესი ძირითადად კვლავ საგარეო ვაჭრობის თავისუფლების საკითხის გარშემო კონცენტრირდება. მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის თეორიის მომხრეები გ. ჰაბერლერი (1935) და ჯ. ვაინერი (1955) ამტკიცებდნენ, რომ ვაჭრობის შემაფერხებელი ქვეყნები საკუთარ თავს განვითარების დაბალი ტემპებისათვის სწირავდნენ.

მეორე მხრივ, ეკონომისტები რ. ნურქსი (1955), ჰ.ზინგერი (1998), რ. პრებიში (1959) და სხვები ამტკიცებდნენ, რომ განვითარებადი ქვეყნების ზრდის დაჩქარების შესაძლებლობები მათი ეკონომიკის სწორედ მანკიერი სისტემის გამო გამოუყენებელი რჩება. საგარეო ვაჭრობის შედეგად ეს ქვეყნები უფრო მეტს გასცემენ, ვიდრე იღებენ. პირველ შემთხვევაში საუბარი იყო განვითარებადი ქვეყნების მორგებაზე მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესებთან, მეორეში კი - განვითარებადი ქვეყნების მიერ ვაჭრობის შედეგად მიღებული სარგებლის გამოყენებაზე.

განვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების „ახალ“ კურსზე გადასვლის საფუძველი გახდა იმ ფაქტის აღიარება, რომ ჯერ კიდევ 1949 წელს აშშ-ის პრეზიდენტ გ. ტრუმენის მიერ გამოცხადებულმა აფრიკა-აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების „განვითარებისთვის დახმარების“ სტრატეგიულმა კონცეფციამ სასურველი შედეგები ვერ გამოიღო.

„განვითარებისთვის დახმარების“ კონცეფცია ვერდნობოდა „დიდი ბიძგის“ ცნობილ ეკონომიკურ თეორიას, რომლის შესაბამისადაც დასაბუთებული იყო მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის ფართომასშტაბური (სახელმწიფო და კერძო) ფინანსური დახმარების აუცილებლობა. ამით განვითარებად ქვეყნებს უნდა გადაელახათ ის სტაგნაცია, რომელიც ჩამორჩენილობის „მანკიერ წრეში“ ყოფნით იყო წარმოქმნილი. მათ ეკონომიკური ზრდისთვის ისეთი დინამიკა უნდა მიენიჭებინათ, რომელიც შემდგომში ძირითადად საკუთარი რესურსების ხარჯზე განვითარებას გახდიდა შესაძლებელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდ ბიძგს“ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობა უნდა შეეძინა.

„დიდი ბიძგის“ თეორიის ფუძემდებელი იყო პ. როზენშტეინ-როდანი (1943). შემდგომში ამ თეორიის განვითარებას მიეძღვნა რ. ნურქსის (1955), გ. ზინგერის (1950), უ. როსტოუს (1956), ა. ჰირშმანის (1958), და სხვათა ნაშრომები. თეორია გულისხმობდა, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა იმყოფება წონასწორობის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ფიზიკური საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფს მოსახლეობას. დაბალი დონის შემოსავლები ართულებს სასურველი დაგროვების ნორმის მიღწევასა და შრომის მწარმოებლურობის ზრდას, შრომის დაბალი მწარმოებლურობა კი შემოსავლების დონის გადიდებას აფერხებს. მეცნიერები ასკენიდნენ, რომ ამ „მანკიერი წრის“ გასარღვევად ინვესტიციების სახით გარედან ბიძგია საჭირო<sup>1</sup>.

ამგვარად, 1960-იანი წლების განმავლობაში „განვითარებისათვის დახმარების“ პოლიტიკის გატარებაში აქცენტს აკეთებდნენ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის შემოდინების წახალისებაზე. ეს ძირითადად, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდებოდა. სამწუხაროდ, ძალიან სწრაფად (ათწლეულის მიწურულს), ამ

<sup>1</sup> Nurkse, R. (1955), Problems of Capital Formation in Underdeveloped Countries. Oxford. pp. 5.11

პოლიტიკამ, რომელსაც ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი უწევდა კოორდინაციას (მასში შედიოდა 17 განვითარებული ქვეყანა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, - ე.წ. „მდიდართა კლუბი“) თავისი უძღურება აჩვენა<sup>2</sup>.

„განვითარებისთვის ხელშეწყობამ“, უპირველეს ყოვლისა, ვერ შეძლო უზრუნველყო დასავლეთის მიერ დეკლარირებული „თვითმამოძრავებელი“ ეკონომიკური ზრდა განვითარებადი ქვეყნებისთვის. რადგან დასავლეთი არ აყენებდა ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მოთხოვნათა საკითხს, ამდენად ეს დახმარებაც დასმული ამოცანის ადეკვატური არ იყო.

მრავალი დასავლელი ეკონომისტი, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობას აანალიზებდა, სამართლიანად მიუთითებდა, რომ ეს კონცეფცია პრობლემებს უფრო ქმნიდა, ვიდრე მათ გადაწყვეტას ემსახურებოდა. მაგალითად, მთელი რიგი ცნობილი ექსპერტების სოლიდურ გამოკვლევაში „სავაჭრო პოლიტიკა მდიდარი და ღარიბი ქვეყნებისთვის“ აღიარებული იყო „განვითარებისთვის დახმარების“ კონცეფციის მეთოდებისა და საშუალებების არაეფექტიანობა<sup>3</sup>.

უფრო მეტიც, 1960-იანი წლების ბოლოს თავისი უშედეგობა აჩვენა ამ კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულმა მაკროეკონომიკურმა მოდელებმაც. საუბარია, კერძოდ, ჰ. ჩინერის (1966), ე. სტრაუტისა (1966) და სხვათა მოდელებზე<sup>4</sup>, რომელთა შესაბამისადაც განვითარებადი ქვეყნების პროგრესი ტექნიკურ-ეკონომიკურ ჭრილში მოიაზრებოდა როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა სოციალური პრობლემების მოუგვარებლად.

1973-1974წწ. ენერგეტიკულ-სანედლეულო და 1974-1975წწ. ეკონომიკურმა კრიზისებმა რაღაც დროით გაართულეს განვითარებადი ქვეყნების განვითარებულ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კოორდინაცია. განვითარებული ქვეყნების სტრატეგიის ახალი კურსი ნათლად გამოვლინდა 1975წ. გაეროს გენერალური ასამბლეის VIII სპეციალური სესიის დროს, გაცხადდა ახალი პოლიტიკის კურსი „თანასწორი პარტნიორობა“, ხოლო მისი განხორციელების მთავარ საშუალებად შრომის საერთაშორისო დანაწილება იქცა. განვითარებადი ქვეყნები

<sup>2</sup> OECD. Development Cooperation. (1973), Review. Paris. November P. 13

<sup>3</sup> Trade Strategy for Rich and Por Nations” (1971), Ed. By Harry G. Johnson. London.

<sup>4</sup> Chenery, H.B., Strout, A. M. (1966), Foreign Assistance and Economic Development. *The American Economic Review* Vol. 56, No. 4, Part 1 ,Sep., pp. 679-733.

მიზანმიმართულად და სისტემატურად ერთგებიან მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში, რომელიც როგორც დარგთაშორის, ისე შიგადარგობრივ სპეციალიზაციას ეფუძნება. ამით მიიღწევა წარმოების ინტერნაციონალიზაცია და ტექნოლოგიური პროცესების მიზანშეწონილი განაწილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. „ვაწარმოთ განვითარებად ქვეყნებში, გავეიდოთ განვითარებულ ქვეყნებში“ – ასეთი იყო ამ ეტაპზე დასავლეთის ლოზუნგი. შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერნიზებას, რომლის მიზანიც იყო მსოფლიო მეურნეობაში ჩამორჩენილი ქვეყნების ჩართვა მათი საექსპორტო სექტორის დივერსიფიცირების გზით (სადაც აქცენტი საგარეო კავშირების ორიენტირებულ განვითარებაზე – outward looking development - კეთდებოდა), მრავალი დასავლელი მეცნიერი უჭერდა მხარს მათ შორის: დ.პაუ (1970), ტ.სციტოვსკი (1970), ბ.ბალასა (1970), ი.ლიტლი (1970), მ.სკოტი (1970), ი.ბჰაგვათი (1993) (ინდოეთი), ასევე, არაერთი გერმანელი, იაპონელი და ლათინო-ამერიკელი ეკონომისტი. შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერნიზების სასარგებლოდ ძირითადად შემდეგ ძირითად არგუმენტებს ასახელებდნენ.

შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერნიზების ზოგადი დებულებები წარმოდგენილია განვითარების დაგეგმვის ამერიკული ცენტრის გამოკვლევაში (დ.პაუ)<sup>5</sup>, აგრეთვე, ჰოლანდიელი ეკონომისტის ი.ტინბერგენის ნაშრომში „შრომის საერთაშორისო დანაწილების შესახებ“<sup>6</sup>, ფრანგი ეკონომისტის გ.ლაშარიერის „შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაში“<sup>7</sup> და ბ.ბალასას „ნახევრადსამრეწველო ქვეყნებში ზრდის სტრატეგიაში“<sup>8</sup>.

ამ ნაშრომებში მთავარი ადგილი უჭირავს თვით „განვითარების“ პრობლემის დაყენებას, რომელიც საგარეო კავშირებზე იქნებოდა ორიენტირებული, და მის უპირატესობას „ჩაკეტილ“ ეკონომიკასთან (ავტარკიასთან) შედარებით. დ. პაუს ნაშრომში ჩამოყალიბებული იყო 60-იანი წლების მოსაზრებებისგან ახალი კონცეფციის ერთ-ერთი მეტად არსებითი განსხვავება. კერძოდ, კოლონიური ტიპიდან განვითარებულ ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ საუბრისას იგი აღნიშნავდა: „ზრდის გარდამავალი ტიპების სამი შესაძლო ვარიანტიდან ორი - ექსპორტის

<sup>5</sup> Douglas, P.S. (1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. VII. pp51.

<sup>6</sup> Tinbergen, J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm.

<sup>7</sup> Lachriere, G. (1969). La Nouvelle Division Internationale du Travail. Geneva..

<sup>8</sup> Balassa, B. 1(1970), Growth Strategies in Semi-Industrial Countries. "The Quarterly Journal of Economics". February.



წახალისება და იმპორტის ჩანაცვლება – მეტად ახლოსაა კოლონიური ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმთან... ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია სასაქონლო ნაკადების ცნობილი სამკუთხედი. სამრეწველო სექტორი ორიენტირებულია ადგილობრივ ბაზარზე, პირველადი პროდუქტების ექსპორტი კი კვლავაც რჩება მრეწველობის ზრდის მთავარ საბაზრო სტიმულატორად<sup>9</sup>. პაუ გვათავაზობს განვითარების მესამე ვარიანტს - ექსპორტის სტრუქტურის შეცვლის კურსს, ანუ მისი სიტყვებით - „ექსპორტის ჩანაცვლებას“ (export substitution) ანუ სრულიად ახალი საექსპორტო სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ეს გულისხმობს, რომ „ექსპორტის ჩანაცვლება არის წარსულთან კავშირის გაცილებით უფრო მკვეთრად გაწვევა (ე.ი. კოლონიურ ეკონომიკასთან), რადგან ახლად წარმოქმნილი სამრეწველო სექტორის პროდუქციის ექსპორტი გამოდევნის აგრარული პროდუქციის ექსპორტს (ტრადიციული საექსპორტო კულტურებია: ყავა, კაუჩუკი, ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ქოქოსის ზეთი და სხვა) თავისი ისტორიული როლიდან. ამგვარად, ამ ტიპის ზრდას მოჰყვება არა მარტო შიდა ბაზარზე სამრეწველო საქონლის დივერსიფიცირება, არამედ ახალ ბაზრებზე მათი შეღწევაც“<sup>10</sup>.

შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი სტრუქტურის შექმნის სქემატური მცდელობა ი.ტინბერგენს (1970) ეკუთვნის. მისი აზრით, მსოფლიო მეურნეობის განვითარებას ძირითადად აფერხებს ქვეყნებში დიდძალი ისეთი საქონლის არსებობა, რომელიც საერთაშორისო გაცელაში არ მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, ტინბერგენს მიაჩნდა, რომ დადგა ეკონომიკის დარგების კოლექტიურად „გადანაწილების“, არსებულ და პოტენციურ ფაქტორებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის დრო. ეს განხორციელდება ერთი მხრივ, წარმოების შეცვლით ან სულაც ლიკვიდაციით, მეორე მხრივ კი-პირიქით, გაფართოების ან ახალი დარგების შექმნის გზით.

ამგვარად, ცენტრალური აფრიკის ყველაზე უფრო ღარიბ ქვეყნებში, ასევე, ჩინეთსა და პაკისტანში, მისი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საფეიქრო მრეწველობის განთავსება, ინდოეთში – ფოლადის და უბრალო ლითონნაკეთობათა

<sup>9</sup> Douglas, P.S.(1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. p. 9

<sup>10</sup> Douglas, P. S. (1970). Development Strategies in Open Dualistic Economics. National Planning Association. Washington. P. 10.

წარმოება და ექსპორტი, ეგვიპტეში, მექსიკაში, ბრაზილიასა და კარიბის ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში – მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის.

განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული საქონლის დიდი ნაწილის დამზადებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქვეყნები ყურადღებას გაამახვილებდნენ უფრო რთული (მეცნიერებატევადი) საქონლის დამზადებაზე. ამით განვითარებად ქვეყნებში წარმოებული პროდუქციისთვის ფართო ბაზრები გაიხსნებოდა. როგორ უნდა მოხდეს ამგვარი „გადაკეთების“ პრაქტიკულად განხორციელება? ტინბერგენი პასუხობს: „შრომის საუკეთესო საერთაშორისო დანაწილების ძიებაში განსაკუთრებული როლი საერთაშორისო კომპანიებმა უნდა ითამაშონ. ეს მოხდება მაშინ, თუკი მათ ფილიალები ექნებათ განვითარებად ქვეყნებში”<sup>11</sup>. თუმცა, ამავე დროს, იგი აღიარებს, რომ ამას შეუძლია სერიოზულად შელახოს ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი. ასევე, იგი ვერ ხედავს ალტერნატიულ გზებს (გარდა გაეროს მსგავსი ზეეროვნული ორგანიზაციების შექმნისა), რომლებიც მომავალში საერთაშორისო კომპანიებს კონტროლს გაუწევენ<sup>12</sup>.

ბ. ბალასამ (1970) თავის ნაშრომში აქცენტი გააკეთა „საგარეო კავშირებზე ორიენტირებული” კურსის გატარების საჭიროებაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუმცა ეს სტრატეგია მათ მრეწველობის მრავალი დარგის შექმნის შესაძლებლობას უქმნის, მაგრამ „...ეს დარგები, როგორც წესი, იყენებენ მოძველებულ ტექნოლოგიას, ამზადებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას და ვერ აღწევენ დარგთაშორისი სპეციალიზაციის იმ დონეს, რომელიც თანამედროვე პირობებში აუცილებელია”<sup>13</sup>. ბალასა გამოსავალს ხედავდა დანიისა და ნორვეგიის მსგავსი მცირე ქვეყნების სასწრაფოდ ჩართვაში შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში და აშკარად ყურადღების მიღმა ტოვებდა ევროპისა და აფრიკის ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურასა და მატერიალურ შესაძლებლობებში არსებულ განსხვავებას.

შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების აუცილებლობას გი დე ლაშარიერიც(1969) უსვამდა ხაზს. ეს სიახლე შეეხებოდა განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ბაზრების გახსნას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის

<sup>11</sup> Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P. 7.

<sup>12</sup> Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P.8.

<sup>13</sup> Balassa, B. (1970). Growth Strategies in Semi-Industrial Countries. “the Quarterly Journal of Economics.” February. P. 45

ახალი სამრეწველო პროდუქციისათვის. „საგარეო ბაზრებზე ორიენტირებული განვითარების” იდეას მხარი შეუდმა მეცნიერ-ეკონომისტმა გ.მიურდალმაც (1970) დაუჭირა. წიგნში „მსოფლიო სიღარიბის გამოწვევა. სიღარიბესთან ბრძოლის მსოფლიო პროგრამის მონახაზი” (1970), მან აღწერა კოლონიური სახის მქონე შრომის დანაწილების შენარჩუნების დროს „სოციალური აფეთქების” საფრთხე: „დაბალ განვითარებულ ქვეყნებში ურევოლუციოდ რეფორმების გატარების შესაძლებლობა დიდწილადაა დამოკიდებული ამ ქვეყნებში განვითარებული ქვეყნების პოლიტიკაზე”<sup>14</sup>. მიურდალი დაუინებით მოითხოვდა, რომ განვითარებულ ქვეყნებს „უნდა ეპოვათ განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის ფაქტობრივად წახალისების საშუალებები”<sup>15</sup>.

დასავლელი ეკონომისტების იმ ნაშრომებს შორის, რომლებიც შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ახალგაზრდა ქვეყნების როლსა და ადგილს ეხება, თვალსაჩინო ადგილი 1965 წელს ეთგო-ს განვითარების ცენტრის ეგიდით ჩატარებულ გამოკვლევას ეკავა. მისი შედეგები შეჯამებულია ი.ლიტლის, ტ.სციტოვსკისა და მ.სკოტის წიგნში „მრეწველობა და ვაჭრობა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში (1970)”<sup>16</sup>. წიგნში აღწერილია არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, პაკისტანის, ინდოეთისა და ფილიპინების ეკონომიკური განვითარების პრობლემები. თვითონ ამ ქვეყნების შერჩევა, რომლებმაც სამრეწველო განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწიეს და გზაგასაყარზე იმყოფებოდნენ, არ იყო შემთხვევითი, რადგან, ავტორთა აზრით, ბევრი მათგანი უკვე შეეჯახა ანალოგიურ პრობლემებს ან სამომავლოდ ამის წინაშე დადგებოდნენ. ავტორებმა თავიდანვე მწვავედ გააკრიტიკეს საშინაო ბაზარზე ორიენტირებული განვითარების ხანგრძლივმოქმედი სტრატეგია და ასე დაახასიათეს მისი შედეგები:

„იმპორტჩანაცვლების პერიოდში, მართალია, მრეწველობას შეუძლია იმაზე გაცილებით უფრო სწრაფად ზრდა, ვიდრე სამრეწველო საქონელზე მოთხოვნას და ამით ზრდის „წამყვან სექტორად” გადაქცევა, მაგრამ ეს პროცესი დროის მხოლოდ შეზღუდულ მონაკვეთში უნდა გაგრძელდეს - ასე, 15 წელიწადს. ამის შემდეგ ქვეყანა ამოწურავს იმპორტჩანაცვლების შესაძლებლობებს. ეს მოვლენა უკვე

<sup>14</sup> Myrdal, G. (1970). The Challenge of World Poverty. N. Y., P.45

<sup>15</sup> Myrdal, G. (1970). The Challenge of World Poverty. N. Y., P.295

<sup>16</sup> Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p.9

აღნიშნა ლათინურ ამერიკაში. შემდგომში მხოლოდ ექსპორტი მისცემს მრეწველობას მის პროდუქციაზე შიდა მოთხოვნასთან შედარებით უფრო სწრაფად ზრდის შესაძლებლობას. მაგრამ ამ დროისთვის ქვეყანას ექნება ისეთი სამრეწველო სტრუქტურა, რომელიც საექსპორტო საქონლის ბაზრებისთვის იქნება შეუსაბამო. უფრო მეტიც, სამომხმარებლო საქონლის საკუთარი ბაზარი შედარებით შეზღუდული აღმოჩნდება მაღალი ფასებისა და იმ არათანაბარი პირობების გამო (იგულისხმება ეკონომიკის დუალისტური ხასიათი), რომლებსაც მხოლოდ იმპორტის ჩანაცვლებაზე ყურადღების მეტისმეტად გამახვილება განაპირობებს”<sup>17</sup>.

ავტორებმა აღნიშნეს, რომ ნედლეულის ექსპორტის ინტენსიფიკაცია ხელს არ უწყობს სწრაფ განვითარებას და გამოსავლად სამრეწველო ექსპორტის დივერსიფიკაციის კურსი შემოგვთავაზეს. ჰექშერ-ოლინის თეორიიდან გამომდინარე, ავტორები საექსპორტო დარგებს შორის ძირითადად შრომატევად დარგებს ასახელებენ, რომლებიც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებას მოითხოვდნენ. ავტორები აღიარებენ, რომ წარსულის გამოცდილება აიძულებს ახალგაზრდა დამოუკიდებლობა მოპოვებულ სახელმწიფოებს, ძალიან ფრთხილად მოეკიდონ „ღია ეკონომიკაში” ჩართვას: „1930-იანი წლების კრიზისი და მეორე მსოფლიო ომი კარგად გვიხსნის, თუ რატომ დაადგინენ განვითარებადი ქვეყნები ომის შემდეგ ინდუსტრიალიზაციის გზას, რომელიც საგარეო ვაჭრობაზე ნაკლებად დამოკიდებულებისკენაა მიმართული”<sup>18</sup>.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის კონცეფციის მომხრეთა შეხედულებები ასევე მკაფიოდაა წარმოდგენილი დასავლელი ეკონომისტის, ჰ.ჯონსონის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომში „სავაჭრო სტრატეგია მდიდარი და ღარიბი ერებისათვის”(1969). ავტორი აღიარებს, რომ სპეციალიზაციის გაღრმავებისა და ქვეყნების ორ ჯგუფს შორის ვაჭრობის სწრაფად ზრდის კვალობაზე განვითარებადი ქვეყნების (როგორც ნედლეულის წყაროს, ისე გასაღების ბაზრების) როლის დაქვეითება და მათი ხანგრძლივად უცვლელი ჩამორჩენა ცუდად შემოუბრუნდა თვითონ განვითარებულ ქვეყნებს. ისინი ახლა იძულებული არიან მჭიდროდ და თანასწორობის საფუძველზე ითანამშრომლონ

<sup>17</sup> Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p. 11

<sup>18</sup> Little J., Scitovsky T., Scott M. (1970). Industry and Trade in Some Developing Countries. A. Comparative Study. London. p. 391

განვითარების დონეებს შორის არსებული ნაპრაღის ამოვსებაში. ეს უნდა განხორციელდეს თუნდაც იმისთვის, რომ მათ საკუთარი საქონლისთვის გასაღების ბაზრების გაფართოებას მიაღწიონ. ვაჭრობასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის გაძლიერებას წიგნის ავტორებმა ობიექტური მოვლენა უწოდეს: „სწორედ დიდი და მზარდი საექსპორტო ბაზრების არსებულ და უზრუნველყოფილ ხელმისაწვდომობაზე განვითარების პროცესის მკვეთრად მზარდი დამოკიდებულების პერსპექტივა აქცევს 1970-იან წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციას მთელი მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი პროგრესის გადამწყვეტ ფაქტორად“, – ამტკიცებდნენ ავტორები<sup>19</sup>.

შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალ სისტემაში განვითარებადი ქვეყნების ჩართვის ზოგადი სქემა გულისხმობდა:

უპირველეს ყოვლისა, მათთვის ისეთი მარტივი ნაკეთობების წარმოების გადაცემას, რომლებიც კვალიფიციურ შრომას არ მოითხოვს, აგრეთვე, იმ დარგების დათმობას, რომლებშიც ეს ქვეყნები კონკურენტუნარიანი არიან ბუნებრივ უპირატესობათა გამო. გფრ-ის ბუნდესტაგის განვითარების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ლ.კიპმა 1969 წელს განაცხადა, რომ განვითარების ამგვარი სტრატეგია მიმართული უნდა იყოს „განვითარებული ქვეყნების მიერ მსოფლიოს ეკონომიკური შენობის ქვედა სართულების გათავისუფლებისაკენ, ე. ი. ამ ქვეყნებმა იმ საქონლის წარმოებაზე უნდა თქვან უარი, რომლის წარმოება და ექსპორტი განვითარებად ქვეყნებს უკეთესად და უფრო იაფად შეუძლია“<sup>20</sup>. იგი უკვე 1971 წელს წერდა: „XX საუკუნის კონცეფცია, რომლის თანახმადაც აგრარული და სანედლეულო სექტორები დიდი სამრეწველო ზონის გარშემო უნდა დაჯგუფდეს, აღარ შეესაბამება დღევანდელი დღის რეალობასა და მოთხოვნებს“<sup>21</sup>.

მეორე, შედარებით უფრო იაფი და ჭარბი სამუშაო ძალის გამოყენებას იმ ნაკეთობათა დასამზადებლად, რომლებსაც „ბუნებრივი“ უპირატესობები არა აქვს. იაპონიის საქმიანი წრეების ორგანო „ორიენტალ ეკონომისტი“ მიუთითებდა, რომ განვითარებად ქვეყნებში იაპონიის კაპიტალის გადადინების ერთ-ერთი მიზეზია „საკუთარი სამუშაო ძალის მზარდი დეფიციტი“. ახალი მუშების საშუალო წლიურმა

<sup>19</sup> Trade Strategy for Rich and Poor Nations”. (1971). Ed. By Johnson H.G.. London..p.22

<sup>20</sup> “Die Zeit”. (1969). No. 15

<sup>21</sup> “Intereconomics“. (1971). July P. 202

შემომატებამ, ჟურნალის მონაცემების მიხედვით, 1965-1968 წლებში მთელი სამუშაო ძალის 1,9% შეადგინა და 1968-1975 წლებში 1,1%-მდე შემცირდა. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ „ასეთ პირობებში იაპონია იძულებულია მრეწველობის უფრო შრომატევადი დარგები იმ ქვეყნებს დაუთმოს, რომლებსაც საკმარისი სამუშაო ძალა ჰყავთ... წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეინარჩუნებს მომავალში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს”<sup>22</sup>.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ არსებობს კონსენსუსი განვითარებადი ქვეყნების შემდგომი განვითარებისა და მათი ეკონომიკური ზრდის უნიკალური მიდგომისა და მიმართულებების შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისის მხრივაც, რადგან სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება და გაფართოება დგას მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის დღის წესრიგში. აღნიშნული საკითხის დამუშავების მიმართულებით უნდა მოხდეს საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების განხილვა რაც შეამცირებს ფინანსურ, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური ფაქტორის არაეკონომიკური გამოყენების შედეგად წარმოქმნილ დანაკარგებს.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების დარგში მიმდინარე კვლევები ორი მიმართულებით ვითარდება. ერთი მხრივ, არსებობს ისეთი თეორიების ჯგუფი, რომლებიც ავითარებენ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ე.წ. „ტრადიციულ” მიმართულებას (რომელიც ეფუძნება დ. რიკარდოს შედარებით უპირატესობათა პრინციპს და ჰექშერ-ოლინის წარმოების ფაქტორების თეორიას) და მათ სულ უფრო მეტ ქვეყნებსა და წარმოების ფაქტორებზე ავრცელებენ. ეს თეორიები ეფუძნება მოსაზრებას, რომ ტრადიციული თეორიების ძირითადი პოსტულატები სამართლიანი რჩება წარმოების ფაქტორების ზრდის, მათში ახალი ცნებებისა თუ ელემენტების (ტექნოლოგიური და სატრანსპორტო შემადგენლების და ა.შ.) შეტანის მიუხედავად. გარდა ამისა, არსებობს თეორიები, რომლებიც ტრადიციული თეორიების სამართლიანობას არ უარყოფენ და ისე სწავლობენ საერთაშორისო ვაჭრობის იმ ცალკეულ მხარეებს, რომლებიც მათთვის გაუგებარი რჩება რაიმე მიზეზის (განზრახ გაკეთებული აბსტრაქციების ან თვით თეორიების ნაკლოვანებების) გამო. თეორიების

---

<sup>22</sup> “The Oriental Economist”. ( 1971). July P. 10

ამ ჯგუფს ეკუთვნის წარმოების ფაქტორთა ფასების ზრდის თეორია (სტოლპერ-სამუელსონის თეორემა), დარგებში წარმოებაზე ფაქტორების ფასების ზრდის გავლენის თეორია (რიბინსკის თეორემა), წარმოების სპეციფიკური ფაქტორების თეორია, ჰექშერ-ოლინ-სამუელსონის წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების თეორია და ა.შ.

ამასთან, გამოჩნდა ისეთი თეორიების ახალი ჯგუფი, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის სხვა, ტრადიციული თეორიებისგან პრინციპულად განსხვავებულ ახსნას გვთავაზობენ. მათ ეკუთვნის, კერძოდ: წარმოების მასშტაბის ზრდის ეფექტის თეორია, შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის (ინტრა-ინდუსტრიული ვაჭრობის) მოდელი, საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკური მოდელები და ა.შ. მათ გაჩენას მთელი რიგი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, არსებობს კლასიკური თეორიების გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. მაგალითად, ემპირიულად მათი დადასტურებისთვის საჭირო ბაზარზე დაშვებისთვის მრავალრიცხოვანი შეზღუდვებისა და დაშვებების დაცვა, ანუ პრაქტიკაში მათი გამოყენება საკმაოდ ძნელია.

მეორე, XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ეკონომიკაში მოხდა ისეთი თვისებრივი ცვლილებები, რომელთა ახსნა შეუძლებელი გახდა ტრადიციული თეორიების პოზიციებიდან. ამგვარ ცვლილებებს უნდა მივაკუთვნოთ, პირველ რიგში, შიდასაფირმო ვაჭრობაზე მოსული (ტრანსნაციონალური კორპორაციების ფარგლებში) მსოფლიო საქონელბრუნვის ხვედრითი წილის გადიდება, ე.წ. შიგადარგობრივი ვაჭრობის - სხვადასხვა ქვეყნის ერთსა და იმავე დარგებს შორის მსგავსი (ერთგვაროვანი) სამრეწველო საქონლის შემხვედრი მიწოდების ზრდა, ვაჭრობის ზრდა რესურსებით დაახლოებით ერთნაირად უზრუნველყოფილ ქვეყნებს შორის და ა. შ. მაგალითად, ევროკავშირის 15 ქვეყნის სამრეწველო პროდუქტის ექსპორტის მოცულობამ 1996 წ. 2 ტრლნ დოლარი შეადგინა და თითქმის იმპორტის მოცულობის ტოლი იყო. ვაჭრობის დაახლოებით 65% ევროკავშირის შიგნით ვაჭრობაზე მოდიოდა<sup>23</sup>. ამავე დროს, იაპონიიდან მათმა იმპორტმა გადააჭარბა აფრიკის ყველა ქვეყნიდან განხორციელებულ იმპორტს და თითქმის 2-ჯერ მეტი იყო შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იმპორტზე. რას ნიშნავს ეს? ევროკავშირის ქვეყნები

<sup>23</sup> Helpman E. (1998). The Structure of Foreign Trade. NBER Working Paper No.6752.-Cambridge. Ma, p. 20.

თავიანთ მსგავს განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებთან უფრო ვაჭრობდნენ, ვიდრე აფრიკის ან ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან მათგან. უფრო მეტიც, განვითარებული ქვეყნების ერთმანეთს შორის ვაჭრობის მოცულობა საზოგადოდ მნიშვნელოვნად აჭარბებს განვითარებად ქვეყნებთან მათი ვაჭრობის მოცულობას.

ზემოაღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობის ისეთი თეორიების გამოჩენა, რომლებშიც განხილვის ობიექტები იყო არა ქვეყნები, არამედ ფირმები ან საერთაშორისო კომპანიები. ვაჭრობის თეორია სვამს კითხვას: რატომ ვაჭრობენ ერები? - ეს არასწორად დასმული კითხვაა. ბიზნესმენები ვაჭრობენ და სულ უფრო მეტი რაოდენობით ეზიდებიან საქონელს ქვეყნებს შორის, ამასთან, საქონელი არ სცილდება ერთი ფირმის ფარგლებს. კითხვა ასე უნდა დავსვათ: „რატომ ხდება საქონლისა და მომსახურების გადაცემა ერებისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ გადაწყვეტილების მიმღები ერთეული კომერციული საწარმოა და არა - ერი“<sup>24</sup>.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორია. მსოფლიო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახალი თეორიის ნეოკლასიკური სკოლა თანაარსებობს ნეოტექნოლოგიურთან, რომელმაც განვითარება ჰპოვა XX საუკუნის შუა პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე.

ნეოტექნოლოგიური სკოლა აკავშირებს მონოპოლისტური პოზიციის მქონე ფირმის და ქვეყანა-ნოვატორის ძირითად უპირატესობებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს მათთვის ახალი ოპტიმალური სტრატეგია: აწარმოონ არა ის, რაც შედარებით იაფია, არამედ ის, რაც აუცილებელია ყველასთვის ან ბევრისთვის, მაგრამ სხვას არავის შეუძლია მისი წარმოება (ექსკლუზიური საქონლის წარმოება).

შეიცვალა დამოკიდებულება თვითონ სახელმწიფოს მიმართაც. ნეოტექნოლოგიური მიმართულების ეკონომისტები თვლიან, რომ სახელმწიფოს შეუძლია და მხარი უნდა დაუჭიროს მაღალტექნოლოგიური საექსპორტო საქონლის წარმოებას და ხელი არ შეუშალოს მოძველებული წარმოების გაუქმებას.

---

<sup>24</sup> Robock S., Simmonds K. (1973). International Business. How big is it? No. 4. P. 91.



ახალი შეხედულებები მსოფლიო მეურნეობაში განვითარებადი ქვეყნების ადგილის შესახებ წარმოიშვა ტრანსნაციონალური კომპანიების მოღვაწეობის, ტექნოლოგიური ფაქტორის და განვითარებული ქვეყნების სხვა პრობლემების ანალიზის შედეგად. საუბარია რ. ვერნონის (1967), ს. ჰირშის (1973) და გ. ჯონსის (1969) მიერ შემუშავებულ კონცეფციაზე პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შესახებ.

თანამედროვე თეორიები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიულ ახსნას გვთავაზობენ, პირობითად ორ ჯგუფად შეგვიძლია დავეყოთ (იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორაა მათში განხილული შრომის საერთაშორისო დანაწილების საზღვრებში ქვეყნის სპეციალიზაციის საკითხი). პირველ ჯგუფში გაერთიანებული თეორიები ქვეყნებში ისეთი ფაქტორების არსებობას ეყრდნობა, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე საქონლის წარმატებით რეალიზაციას წარმოების დაბალი ხარჯების გამო უზრუნველყოფენ. მათ ეკუთვნის მასშტაბის ეფექტის თეორია, შიგადაგობრივი ვაჭრობის თეორია, საერთაშორისო ვაჭრობაში არასრულყოფილი კონკურენციის თეორია, გადამკვეთი მოთხოვნის თეორია, საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორია და ა. შ.

მეორე ჯგუფს ის თეორიები ეკუთვნის, რომლებიც ქვეყნების უპირატესობებს, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიურ ფაქტორებს უკავშირებენ (იმის გამო, რომ ქვეყნები ან ცალკეული ფირმები ნოვატორებად გვევლინებიან გარკვეული პროდუქტების წარმოებისას). მათ შორის გამოყოფენ: მ. პოზნერის ტექნოლოგიური სახესხვაობის თეორიას, რ. ვერნონის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიას, მ. პორტერის საერთაშორისო კონკურენციის თეორიას და ა. შ.

რ. ვერნონის მოსაზრების მიზანს წარმოადგენდა საქონლის საერთაშორისო ნაკადების ახსნის უარყოფა წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრების მექანიზმით. ჰექშერ-ოლინის თეორიისაგან განსხვავებით, მან თავის კონცეფციაში ტექნოლოგიის ფაქტორი და კაპიტალის მობილურობა შეიტანა, თუმცა, მისი შეხედულება საქონლის ბრუნვაზე ძალზე უახლოვდება ტრადიციულს.

ნეოტექნოლოგიური მიდგომისას კაპიტალი და ტექნოლოგია გამოდის როგორც სპეციალიზაციაზე ზემოქმედების ორი სხვადასხვა ფაქტორი, მაშინ როცა ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორიაში ისინი ერთმანეთისგან განუყოფელია.

მიუხედავად ამისა, ს. ჰირში (1973) შესაძლებლად მიიჩნევს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის წარმოდგენას ჰექშერ-ოლინის ორფაქტორიანი

მოდელის ტერმინებში: ამა თუ იმ ქვეყნის შედარებითი უპირატესობის განმსაზღვრელი ხდება ხარჯების წილი სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოზე ან უმაღლესი კვალიფიკაციის ხელფასებზე<sup>25</sup>.

ნეოტექნოლოგიურ მიმართულებას მიეკუთვნება შემდეგი თეორიები: მ. პოზნერის ტექნოლოგიური გარდგევის თეორია (1961 წ.); მ. კემპის მასშტაბის ეფექტის თეორია (1964 წ.); პ. კრუგმანის არასრულყოფილი კონკურენციის თეორია (1979 წ.); ბ. ბალასას დარგთაშორისი ვაჭრობის თეორია (1967 წ.); რ. ვერნონის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია (1969 წ.); მ. პორტერის ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია (1986 წ.).

პოზნერმა (1961) ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულს წარმოადგენს განსხვავებები ტექნიკური სიახლეების ტემპებსა და ხასიათებში. მან დაამტკიცა, რომ საგარეო ვაჭრობის ზრდა განპირობებულია ტექნიკური ცვლილებებით იმ მეცნიერებათა პროგრესის საფუძველზე, რომლებიც ზოგიერთ დარგებზე ახდენენ გავლენას, ზოგიერთებზე კი - არა. იგი ასევე აღნიშნავს, რომ განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობა, უმეტესად, ვითარდება ერთ ქვეყანაში გარკვეული ტექნიკური ცოდნის არსებობის, ხოლო მეორე ქვეყანაში მისი არარსებობის გამო, თუნდაც არ არსებობდეს მათ შორის განსხვავება წარმოების ფაქტორების დაყოფაში ჰეკშერ-ოლინის კონცეფციის თანახმად<sup>26</sup>. ტექნიკური სიახლეების შედეგად წარმოიქმნება ტექნოლოგიური გარდგევა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ფლობენ ან არ ფლობენ მათ.

ასეთი ვარიანტი ნეოკლასიკურ მოდელში არანაირად არ ჯდება. გარდა ამისა, განსაკუთრებით რთული ხდება წარმოების ფაქტორების თანაფარდობის ანალიზი, როცა ერთი პროდუქტი შეიძლება დამზადდეს სხვადასხვა ტექნოლოგიის საფუძველზე (მაგალითად შრომისა და კაპიტალის დიდი ხარჯებით).

ეს მოსაზრებები აიტაცეს და განავითარეს ნეოტექნოლოგიური მიმართულების სხვა ეკონომისტებმა. რ. ვერნონი (1967), უ. გრუბელი (1977), ხაზს უსვამდნენ მეცნიერული კვლევებისა და შრომების მნიშვნელობას და როლს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში. ისინი ამერიკის სტატისტიკის საფუძველზე ამტკიცებდნენ

<sup>25</sup> Hirsh S. (1973). Rich Man's and Every Man's Goods. Aspects of Industrialization. Tubingen. p.53

<sup>26</sup> Oxford Economic Papers. October. (1961). Vol.13 №3, p.323-324

კორელაციის მაღალ ხარისხს მეცნიერებაზე ხარჯებსა და საქონლის ექსპორტს შორის<sup>27</sup> და მივიღნენ დასკვნამდე, რომ აშშ-ის სპეციალიზაცია სამრეწველო პროდუქციის გარკვეული სახეობის გატანაზე დაკავშირებულია მონოპოლიის იმ უპირატესობებზე, რომელსაც მათ მიადწიეს ახალი პროდუქტებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების შედგენად. თუმცა, ტექნიკური სიახლეები ან ახალი პროდუქტების წარმოება არ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ანდა ამა თუ იმ მონოპოლიის მუდმივ პრივილეგიას. ამიტომ მნიშვნელოვანია ხელიდან არ გავუშვათ ის მომენტი, როცა კონკრეტულ ტექნიკურ სიახლეს მოაქვს ყველაზე მეტი მოგება.

ამ მიზნით რ. ვერნონმა წამოაყენა კონცეფცია „ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის” შესახებ. როგორც იგი თვლიდა, ასეთი პროდუქტი გადის ციკლს, რომელიც შედგება შემოდების (დანერგვა); ექსპონენციალური ზრდის (გაფართოების); შენელების (სიმწიფის) და დაცემის (დაბერების) სტადიებისგან..

ეს თეორია პირველად სისტემურად გამოქვეყნდა, ჯერ კიდევ, 1966 წელს მის სტატიაში „საერთაშორისო ინვესტიციები და საერთაშორისო ვაჭრობა”. ამ კონცეფციის შექმნის უშუალო სტიმულად იქცა აშშ-ის ექსპორტის სტრუქტურის ანალიზის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ცვლილებები ხდება იმ დარგების შერჩევაში, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძველს მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში ამ დარგებს მიეკუთვნებოდა: საფეიქრო და სატყეო მრეწველობა, მეტალურგია. XX საუკუნის 30-ანი წლების ბოლოს დარგების შერჩევა და წესი შეიცვალა: პირველ ადგილზე გავიდა მანქანათმშენებლობა, შემდეგ კვების მრეწველობა. XX საუკუნის 60-ანი წლების დასაწყისში აშშ-ის მთავარ საექსპორტო დარგების რიცხვში შედიოდა: სატრანსპორტო საშუალებათა, ინსტრუმენტების წარმოება; ქიმიური მრეწველობის საქონლის წარმოება; ელექტრომომწიფობილობათა და სხვა მანქანების წარმოება.

გაჩნდა კითხვები: როგორია საექსპორტო სტრუქტურის დინამიკის კანონზომიერებანი? რა განაპირობებს ერთი დარგის წინა პლანზე გამოსვლას და მეორის „სცენიდან” გასვლას?

საგარეო ვაჭრობის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სტრუქტურის ანალიზმა გამოავლინა პირდაპირი დამოკიდებულება ექსპორტთან დარგის მნიშვნელობისა და

---

<sup>27</sup> Vernon, R. (1967) The technology factor in International economics. The Journal of Political Economy. February. Vol.67. №1

მასში წარმოებულ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონეს შორის. მეცნიერებატევადი დარგები წინ გადის და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს.

მაშასადამე, ჰექშერ-ოლინის თეორიაში დამკვიდრებული და დაფიქსირებული წარმოდგენა შრომის ფაქტორის, როგორც ჰომოგენური მასის შესახებ, ასევე მიუღებელი ხდება.

აქედან გამომდინარე, „ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის“ კონცეფციის ავტორებმა მოახდინეს შრომის დიფერენცირება სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით: მეცნიერებისა და ინჟინრების მაღალკვალიფიციური შრომა; მართვასთან დაკავშირებული შრომა (მენეჯმენტი); არაკვალიფიციური შრომა და ა. შ.

ამგვარად, მოდელი ორფაქტორიანიდან გარდაიქმნება მრავალფაქტორიანად, სადაც კაპიტალთან ერთად, ტექნოლოგიად „მუშაობს“ შრომის მთელი რიგი ნაირსახეობანი. შემდეგი ნაბიჯი ამ კონცეფციის შემუშავებაში გახდა კომერციული წარმოების სამი ფაზის გამოყოფა თითოეული ფაქტორის მნიშვნელობის შეცვლის შესაბამისად.

პირველ ფაზაში (ახალი პროდუქტის დანერგვა წარმოებაში) წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის დონეზე. ამიტომ აქ ძირითად ფაქტორად გამოდის მაღალკვალიფიციური შრომა, მეორე ადგილი უკავია მართვასთან დაკავშირებულ შრომას, რომლის ამოცანაში შედის საქონლის მსხვილმასშტაბიან გამოშვებაზე გადასვლის ოპტიმალური ვარიანტის ძიება, კაპიტალს კი მოცემულ სტადიაზე ბოლო ადგილი უკავია მცირესერიული წარმოების მნიშვნელობის გამო.

მეორე ფაზაში ხდება მასიური წარმოების ორგანიზება, რომელიც დამოკიდებულია წარმოების ინდუსტრიული ბაზის სიმძლავრესა და განვითარების სტრატეგიაზე. მთავარ როლს აქ თამაშობს კაპიტალი და მართვასთან დაკავშირებული შრომა. მაღალკვალიფიციური შრომა, რომელსაც აქ ენიჭება მხოლოდ პასუხისმგებლობა წარმოების გარკვეული და აუცილებელი დინამიურობის შენარჩუნებაზე, მეორე ადგილს იყოფს მუშაკთა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის შრომასთან.

მესამე ფაზისათვის (წარმოების სიმწიფე) დამახასიათებელია პროდუქციის მასიური გამოშვება დამუშავებული ტექნოლოგიის საფუძველზე. წინა პლანზე

გამოდის არაკვალიფიციური შრომა, რომელიც ადგილს იკავებს კაპიტალის გვერდით. მეცნიერების, ინჟინრებისა და მენეჯერთა შრომის მნიშვნელობა მკვეთრად კლებულობს.

კომერციული წარმოების განვითარების ფაზების ანალიზმა „ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის“ კონცეფციის თეორეტიკოსები მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

- განვითარებულმა ქვეყნებმა, სადაც თავმოყრილია უმაღლესი კლასის სამეცნიერო კადრები და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, უნდა მოახდინონ სპეციალიზაცია იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც იმყოფება კომერციალიზაციის პირველ ფაზაში;

- განვითარებულმა და ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, რომლებიც ჯერჯერობით არ წარმოადგენენ სამეცნიერო-ტექნიკურ ლიდერებს, მაგრამ ფლობენ ჭარბ კაპიტალს, ყურადღება უნდა გაამახვილონ კომერციული წარმოების პროდუქციის გამოშვების მეორე ფაზაზე;

- საქონლის წარმოება, რომელიც იმყოფება მესამე ფაზაში, ეკუთვნის განვითარებად ქვეყნებს მათი არაკვალიფიციური სამუშაო ძალის ამოუწურავი რეზერვებით.

ბევრი ეკონომისტი „პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის“ თეორიას დიდი კმაყოფილებით შეხვდა. მისმა შემქმნელებმა საკმაოდ დამაჯერებლად ახსნეს რიგი ფაქტები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა შედარებითი უპირატესობების ნეოკლასიკური კონცეფცია: როგორც აშშ-ის შრომატევადი პროდუქციის წარმოება (ლეონტიევის „პარადოქსი“), ისე საგარეო ვაჭრობის მასშტაბების ზრდა განვითარებულ ქვეყნებს შორის ბრუნვის ხარჯზე (რომელთა შორის უფრო ნაკლები განსხვავებაა, ვიდრე განსხვავება ეკონომიკური სტრუქტურებისა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის), მოდიან დიდ წინააღმდეგობაში ჰექშერ-ოლინის სქემასთან, მაგრამ შეესაბამება „სასიცოცხლო ციკლის“ თეორეტიკოსთა მსჯელობის ხაზს.

გარდა ამისა, ახალმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა, რომ შეცვლილიყო ნეოკლასიკური მიდგომა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში შრომის დანაწილების პრობლემა დაყვანილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობამდე.

თუ ნეოკლასიკოსები (პ. სამუელსონის თეორიაზე დაყრდნობით ფასების გათანაბრების შესახებ წარმოების ფაქტორებზე, რომელიც წარმოადგენს ჰექშერ-ოლინის თეორიის მათემატიკურ ინტერპრეტაციას) ფიქრობდნენ, რომ ვაჭრობა ცვლის ფაქტორების (შრომა და კაპიტალი) გადაადგილებას, „სასიცოცხლო ციკლის“ მიმდევრები უფრო რეალისტურ შეხედულებას იზიარებდნენ: ისინი, არა მარტო დასაშვებად მიიჩნევდნენ, არამედ, ამტკიცებდნენ კიდევ კაპიტალის ექსპორტის აუცილებლობას, ტექნოლოგიის საზღვარგარეთ გადაცემას, მონოპოლიების საქმიანობას „პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის“ მიმდინარეობის პერიოდში.

ამგვარად, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იმ სავაჭრო თეორიებისაგან, რომლებიც ეფუძნება შედარებითი უპირატესობების პრინციპს, მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნებს შორის გადაადგილდება არა საქონელი, არამედ წარმოება და არა ეროვნულ, არამედ ტრანსნაციონალური კომპანიის ფარგლებში (ანუ ქვეყნებს შორის გადაადგილდება არა პროდუქტი, არამედ პროდუქტის შექმნის პროცესი).

მაგრამ შრომის საერთაშორისო განაწილებისადმი ახალ და ძველ მიდგომებს შორის, მიუხედავად სხვაობებისა, არსებობს გარკვეული მემკვიდრეობითობაც:

- ერთიც და მეორეც ორიენტირებას ახდენს შეფარდებითი დანახარჯების ანალიზზე და მას ღირებულების არაშრომითი ფაქტორის პოზიციებიდან განმარტავენ;

- ტექნოლოგიის ფაქტორის შემოღება ხდება ფაქტორთა პროპორციულობიდან, ფაქტორთა დიფერენციაციის წყალობით:

ა) საწყის სტადიაზე ტექნოლოგიურად მოწინავე წარმოება მოითხოვს ინვესტიციებს არა მარტო და არა იმდენად „ფიზიკურში“, არამედ „ადამიანურ“ კაპიტალში და სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოებს, მაშინ როცა

ბ) საქონლის წარმოებისათვის აპრობირებული ტექნოლოგიების ბაზაზე და კარგად ათვისებული ბაზრით აუცილებელია არაკვალიფიციური შრომისა და „ფიზიკური“ კაპიტალის ხარჯები.

ჰექშერ-ოლინის თეორიაში შემდგომი ჩაღრმავებით პროდუქტის ციკლის კონცეფცია გახდა წინ გადადგმული ნაბიჯი თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო კავშირების შემდგომი გააზრების გზაზე. მან ასახა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე და მასში აღმოცენდა შეხედულება ახალი

ობიექტის – მსოფლიო მეურნეობის - როგორც ერთიანი სისტემის შესწავლაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

ნეოტექნოლოგიური იდეების გავლენის ზრდაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ 1973 წელს მსოფლიო მეურნეობის კილის ინსტიტუტში საერთაშორისო სიმპოზიუმზე წამყვან როლს თამაშობდნენ სწორედ ამ სკოლის წარმომადგენლები: რ. ვერნონი, მ. პოზნერი, უ. გრუბერი, დ. ჰაუბაუერი და სხვ. მათ წარმოადგინეს პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი ვერსია, ვინაიდან ნეოკლასიკური კონცეფცია აღმოჩნდა უუნარო აეხსნა დარგთაშორისი სპეციალიზაციის განვითარება ეკონომიკური განვითარების ერთნაირად მაღალი დონის მქონე ქვეყნებს შორის.

„პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის” თეორიის შემოწმებამ და შეზღუდულობამ აჩვენა, რომ იგი ძალაშია მრავალი დარგისათვის, გარდა:

- ძალზე ხანმოკლე სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონლისთვის, რომელიც შეუძლებელს ხდის ხარჯების შემცირებას ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების გზით. მაგალითად, ელექტრონული ხელსაწყოების მორალური ცვეთა მოხდა ისე სწრაფად, რომ წარმოების გავრცელება საერთაშორისო მასშტაბით ძალზე უმნიშვნელო იყო;

- ფუფუნების საგნებისა, რომელთა ღირებულების ცვლილება ნაკლებად მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის;

- საქონლისა, რომლის ტრანსპორტირების ხარჯები იმდენად მაღალია, რომ მათი ექსპორტი უბრალოდ არამიზანშეწონილია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპისაგან დამოუკიდებლად;

- პროდუქციისა, რომელთან მიმართებაშიც ფირმა იყენებს დიფერენციაციის სტრატეგიას (მაგალითად, სარეკლამო მომსახურებაზე) იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მომხმარებელთა მოთხოვნა ფასების კონკურენციის გამოყენების გარეშე.

ზემოთ ხსენებულ საერთაშორისო კონფერენციაზე 1973 წელს მონაწილეთა უმრავლესობამ მოიწონა ს. ჰირშის ნეოტექნოლოგიური სკოლის წარმომადგენლის ჰიპოთეზა შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემაში მომხდარ ცვლილებების ხასიათთან დაკავშირებით.

ამ ჰიპოთეზის თანახმად, ქვეყნები სპეციალიზაციას ახდენენ მასალატევადი საქონლის (ე.წ. რიკარდოს საქონელი), კაპიტალტევადი, შრომატევადი და

მეცნიერებატევადი საქონლის წარმოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპების კრიტერიუმები ძალზე პირობითია, ასეთი მიდგომა მაინც ასახავს საგარეო ვაჭრობის ისტორიულ ევოლუციას და ცვლილებებს შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში მთლიანად და ძირითად რეგიონებში.

ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მასალატევადი საქონლის გამოშვებაზე აქცენტის გაკეთება ნიშნავს შედარებითი უპირატესობების გათვალისწინებას, დაკავშირებულს წარმოების ბუნებრივ და სხვა ანალოგიურ პირობებთან. ამ პირობათა სხვაობების შედეგად შრომის მწარმოებლურობა სხვადასხვა ქვეყნებში ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ამის გამო წარსულში ინგლისს ჰქონდა უპირატესობა მატყლის, პორტუგალიას კი – ღვინის ექსპორტში. ასეთი ტიპის საქონლის მაგალითები მრავალრიცხოვანია: ეს არის კანადური ხორბალი, ავსტრალიური მატყლი, ქუვეითის ნავთობი, ჩილეს სპილენძი და ა. შ.

ე. წ. ჰექშერ-ოლინის საქონელი – სამრეწველო ნაწარმია, რომელშიც უშუალოდ იხარჯება შრომა და კაპიტალი სხვადასხვა თანაფარდობით. ისინი ან შრომატევადია, ან კაპიტალტევადი. ნეოტექნოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა სწრაფვა გამოიყენონ ნეოკლასიკოსების ე. ჰექშერის და ბ. ოლინის იდეები, მოწმობს მათ მემკვიდრეობითობაზე, ამასთან, მათ მიერ პირველად იქნა აღნიშნული ერთი საერთო ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია საქონლის ნებისმიერი სახეობისათვის: მათი წარმოების ტექნოლოგია რჩება სტაბილური და ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ საწარმოების მიერ, რომლებიც პირველად შედიან რომელიმე დარგში.

ნეოტექნოლოგიური სკოლის წარმომადგენლები შემდეგ საზგასმით აღნიშნავენ, რომ ახალი საქონლის წარმოების სფეროში შედარებითი უპირატესობების დეტერმინანტებს წარმოადგენს ნოვატორობა და მეცნიერთა და ინჟინრების კვალიფიკაცია. საუბარია იმ პროდუქციაზე, რომლის დამზადება ემყარება უახლეს აღმოჩენებს, კვლევებს და ტექნოლოგიებს, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპისათვის.

ამგვარად, ნეოტექნოლოგიური კონცეფციის თანახმად, საქონლის სპეციალიზაციის სქემა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში ასეთია: განვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში, სპეციალიზდებიან მეცნიერებატევადი საქონლის, ასევე კაპიტალტევადი „მწიფე“ საქონლის და ნაკლებად – შრომატევადი



და მატერიალური საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე; ინარჩუნებენ რა ტექნოლოგიურ დამოკიდებულებას ამ ქვეყნებისგან, განვითარებადი ქვეყნები, პირიქით, სპეციალიზდებიან მასალატევადი და შრომატევადი საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე, ხოლო კაპიტალტევადი და განსაკუთრებით, მეცნიერებატევადი საქონლის ხვედრითი წილი მათ ექსპორტში გაცილებით დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

სკირშის ჰიპოთეზის სტატისტიკურმა შემოწმებამ, რომელიც ჩაატარა GATT/WTO-მ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ნედლეულისა და სამრეწველო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დაადასტურა მისი რაციონალურობა.

ი. ტინბერგენი (1970) საერთაშორისო მონოპოლიებს განთავისუფლებული ქვეყნებისთვის ტექნოლოგიების გადაცემის ძირითად არხად მიიჩნევდა. გარდა ამისა, იგი მიიჩნევდა, რომ განვითარებული ქვეყნების სპეციალიზაცია მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებაში, ხელს შეუწყობდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის საერთაშორისო დანაწილების გაუმჯობესების პროცესს.

„სასიცოცხლო ციკლის“ თეორიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების რთული დინამიკის ახსნაში. ამრიგად, შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში საქონლის სპეციალიზაციის სქემა „სასიცოცხლო ციკლის“ ნეოტექნოლოგიური თეორიის თანახმად, შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) განვითარებული ქვეყნები სპეციალიზდებიან, პირველ რიგში, მეცნიერებატევადი საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე, ასევე კაპიტალტევადი „მწიფე“ საქონლის და ნაკლებად – შრომატევადი და მასალატევადი საქონლის სპეციალიზაციასა და ექსპორტზე;

ბ) განვითარებადი ქვეყნები, ინარჩუნებენ რა ტექნოლოგიურ დამოკიდებულებას განვითარებულ ქვეყნებზე, პირიქით, სპეციალიზდებიან მასალატევადი და შრომატევადი საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე, ხოლო კაპიტალტევადი, განსაკუთრებით კი მეცნიერებატევადი საქონლის ხვედრითი წილი მათ ექსპორტში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ავსტრალიელი მეცნიერის მ. კემპის და ამერიკელი მკვლევარის პ. კრუგმანის (1979) მასშტაბის ეფექტის თეორია (საერთაშორისო

ვაჭრობის თეორია არასრულყოფილი კონკურენციის საფუძველზე), რომელიც ხსნის, თუ რატომ არსებობს ვაჭრობა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც წარმოების ერთნაირ ფაქტორებს ფლობენ. წარმოების მასშტაბების ზრდასთან ერთად, რომელიც ჩვეულებრივ, მიმდინარეობს მონოპოლისტური კონკურენციის ფარგლებში, პროდუქციის თითოეული ერთეულის წარმოების ხარჯები კლებულობს. აქედან გამომდინარე, ასეთი ქვეყნებისთვის ხელსაყრელი ხდება ტექნოლოგიურად ერთგვაროვანი, მაგრამ დიფერენცირებული პროდუქციის სპეციალიზაცია და ბრუნვა (ე.წ. შიგადარგობრივი ვაჭრობა - ინტრაინდუსტრიული)<sup>28</sup>. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ავტომობილებით ვაჭრობა მათ მწარმოებელ ქვეყნებს შორის.

ვაჭრობის ახალი თეორიის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა გახდა ევროპაში ომის შემდგომ პერიოდში მიმდინარე აქტიური ინტეგრაციული პროცესები. XX საუკუნის 60-იან წლებში (განსაკუთრებით - დასავლეთ ევროპის ქვეყნებში) შეინიშნებოდა ისეთი მოვლენა (განვითარებულ ქვეყნებს შორის შიგადარგობრივი ვაჭრობის აქტიური ზრდა), რომლის ახსნაც ძნელი იყო ვაჭრობის კლასიკური თეორიის პოზიციებიდან. ჩატარებული ემპირიული კვლევების თანახმად, ევროპის ქვეყნების ექსპორტის ძირითადი მუხლები (ავტომობილები, ელექტროტექნიკური მოწყობილობა და ა. შ.) იმავდროულად მათივე იმპორტის ძირითადი მუხლებიც იყო, ე. ი. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია, მაგალითად, ავტომობილების ექსპორტსაც ახდენდა და იმპორტსაც. შემხვედრი პროდუქტებით ვაჭრობას შიგადარგობრივი ვაჭრობა დაერქვა და დაიწყო საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიის შემუშავება, რომელსაც შემოკლებულად მასშტაბის ეფექტის თეორია უწოდეს.

საერთაშორისო ვაჭრობის არსებობის ახსნა შედარებით უპირატესობათა თეორიისაგან პრინციპულად განსხვავებული, სხვა ხერხით ერთ-ერთმა პირველებმა XX საუკუნის 60 – 70 იან წლებში კ. დიქსიტმა (1977), ჯ. სტიგლიცმა (1977) და კ. ლანკასტერმა (1980) სცადეს. ეს ახსნა მასშტაბის ეფექტს ეყრდნობოდა. მაკროეკონომიკური თეორიიდან ცნობილი, ამ ეფექტის არსი ისაა, რომ წარმოების მასშტაბის მატებასთან ერთად საქონლის ერთეულის თვითღირებულება კლებულობს, ამას კი შემდეგი მიზეზები განაპირობებს:

---

<sup>28</sup> Krugman, P. Increasing Returns, Monopolistic Competition, and International Trade. Journal of International Economics. 1979 No9.

*სპეციალიზაციის ზრდა* - ყოველ მუშაკს შეუძლია თავის საწარმოო ფუნქციაზე გაამახვილოს ყურადღება და ამ დროს უფრო სრულყოფილი მანქანები და მოწყობილობა გამოიყენოს;

*წარმოების განუყოფლობა* - გამოშვების მასშტაბის ზრდასთან ერთად იმ მომსახურე ქვედანაყოფების რაოდენობა და სიდიდე, რომლებიც პირდაპირ არაა ჩართული წარმოებაში - მართვის აპარატის, ბუღალტერიის და სხვათა სახით - იმაზე შედარებით ნელა იზრდება, ვიდრე თვით წარმოების მასშტაბი;

*ტექნოლოგიური ეკონომია* - საქონლის ახალი ხარისხის შექმნის ხარჯები, ჩვეულებრივ მათი ზრდის შედეგად მიღებულ ღირებულებაზე უფრო ნაკლებია<sup>29</sup>.

მასშტაბის ეფექტის რეალიზაცია, როგორც წესი, სრულყოფილი კონკურენციის შეზღუდვას იწვევს, რადგან წარმოების კონცენტრაციასა და ფირმების გამსხვილებას უკავშირდება. საბოლოოდ ეს პროცესი ოლიგოპოლისტურ და მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრებს წარმოშობს. ამ ბაზრებზე ერთგვაროვანი პროდუქტებითა და დიფერენცირებული პროდუქტებით ვაჭრობაა განვითარებული. ნებისმიერ მოდელში, რომელშიც მასშტაბის ეფექტის შედეგად დანახარჯების ეკონომიას განვიხილავთ, ჩნდება საბაზრო სტრუქტურის ტიპთან დაკავშირებული პრობლემა. წმინდა მონოპოლიის შემთხვევა პრაქტიკაში შედარებით იშვიათად გვხვდება და მას აღარ განვიხილავთ. რაც შეეხება საბაზრო სტრუქტურების ორ დანარჩენ ტიპს - ოლიგოპოლიასა და მონოპოლისტურ კონკურენციას, საერთაშორისო ვაჭრობის უმრავლეს მოდელებში არასრულყოფილ კონკურენციას უწოდებენ არა ოლიგოპოლიას, არამედ მონოპოლისტურ კონკურენციას (რადგან მოდელების ასაგებად ოლიგოპოლიის გამოყენება უფრო რთულია).

საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიის გარშემო არსებული ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არაა შექმნილი საერთაშორისო ვაჭრობაში არასრულყოფილი კონკურენციის ერთიანი თეორია. თუმცა, არსებობს მრავალი ისეთი მოდელი, რომლებიც ამ პრობლემის ცალკეულ შემთხვევებს განიხილავენ და მთელ რიგ დაშვებებსა და შეზღუდვებს შეიცავენ (თითოეული თავისას).

---

<sup>29</sup> Dixit, A., Stiglitz, J. (1977). Monopolistic Competition and Optimum Product Diversity. American Economic Review.. Vol 67. No6

როგორც უკვე ვთქვით, საერთაშორისო ვაჭრობაში მასშტაბის ეფექტის თეორიის არსებობა იმას უკავშირდება, რომ კომპანიები არა ერთგვაროვან, არამედ დიფერენცირებულ პროდუქტებს ამზადებენ. იმაზე, თუ როგორ ნაწილდება დიფერენცირებულ პროდუქტებზე მყიდველთა არჩევანი (რომელს ამჯობინებენ ისინი), ორი თვალსაზრისი არსებობს. პირველის თანახმად (იგი ეკონომისტებმა კ. სპენსმა. ა. დიქსიტმა და ჯ. სტიგლიცმა შეიმუშავეს)<sup>30</sup>, ყოველ მომხმარებელს სურს შეიძინოს რაიმე დიფერენცირებული პროდუქტის მისთვის ხელმისაწვდომი ყველა სახეობა, რადგან ისინი მთლიანად ურთიერთშემცვლელი არაა და, მაშასადამე, თითოეულ მათგანს მყიდველისთვის თავისი ღირებულება აქვს. მეორე თვალსაზრისი (რომელსაც, მაგალითად, კ. ლანკასტერი იცავდა) იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მომხმარებელი რომელიმე ერთი სახის პროდუქტს ყიდულობს, რომელიც ყველაზე უფრო მისაღებია მისთვის (ის ურჩევნია)<sup>31</sup>.

მართალია, მეორე მიდგომა უფრო „მიახლოებულია ცხოვრებასთან“, მაგრამ მისი ფორმალიზება და მოდელებში გამოყენება უფრო რთულია. ამიტომ მოდელირებაში პირველ - ინდივიდუალურ - მიდგომას იყენებენ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, რაკი მომხმარებელთა არჩევანი განსხვავებულია, აგრეგირებულ დონეზე პროდუქტის სხვადასხვა სახეებზე მოთხოვნა იარსებებს. არსებობს არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ვაჭრობის მრავალი მოდელი. ყველაზე უფრო ცნობილია კემპისა (დარგის დონეზე მასშტაბის ეფექტის) და კრუგმანის (ფირმის დონეზე მასშტაბის ეფექტის) მოდელები<sup>32</sup>. ამ ნაშრომის მოცულობა, სამწუხაროდ, არ იძლევა მათი დაწვრილებით განხილვის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ვაჭრობაში მასშტაბის ეფექტის თეორიაზე როცა ვსაუბრობთ, ლოგიკურია დავსვათ კითხვა: როგორ დასტურდება ემპირიული კვლევებით თეორიული გამოკვლევები და აგებული მოდელები? ამ მოვლენის შესწავლას ეძღვნება, მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტების ანტვეილერისა და ტრეფლერის

<sup>30</sup> Dixit A., Stiglitz J. (1977). Monopolistic Competition and Optimum Product Diversity. *American Economic Review*. June. Vol. 76. No.6.

<sup>31</sup> Lancaster, K. (1980). Intra-Industry Trade under Perfect Monopolistic Competition. *Journal of International Economics*. Vol. 10. No2

<sup>32</sup> Krugman, P., (1987). Intra-industry Specialization and the Gains from Trade. *Journal of Political Economy*. No. 5, pp. 959-973

ნაშრომი<sup>33</sup>. მათ ორი წლის განმავლობაში შექმნეს მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ვაჭრობის მიმართულებების (სავაჭრო ნაკადების), წარმოების მოცულობებისა და წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის შესახებ 71 ქვეყნის 37 დარგს 1972 – 1992 წლების პერიოდში. მათ საკუთარი მეთოდით რაოდენობრივად შეაფასეს დარგობრივ დონეზე წარმოების მასშტაბზე მიღწეული ეკონომია და დაასკვნეს, რომ საქონლის მწარმოებელი დარგების დაახლოებით 1/3-ს წარმოების მუდმივი ხარჯები აქვს (ე.ი. არ არსებობს მასშტაბის ეფექტი) და კიდევ დაახლოებით 1/3-ში მასშტაბის ეფექტი არსებობს.

ამ პრობლემის სხვა გამოკვლევა, რომელიც მ. ბრიულჰარტმა და ფ. ტრიონფეტიმ<sup>34</sup> ჩაატარეს ეთგო-ს 22 ქვეყნის 29 დარგში, 1970-1985 წლების პერიოდი მოიცავს. მიღებული შედეგები მოწმობს, რომ მასშტაბის ეფექტის მოდელი არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში მხოლოდ 17 დარგის (რომლებზეც სამრეწველო წარმოების დაახლოებით 2/3 მოდიოდა) ფუნქციონირებაზე ვრცელდება, ხოლო 11 დარგზე - მუდმივი დანახარჯებისა და სრულყოფილი კონკურენციის მოდელი.

მასშტაბის ეფექტის თეორიასთან ახლოს დგას უნგრული წარმოშობის ინგლისელი ეკონომისტის, ბ. ბალასას შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიის კონცეფცია, რომელმაც ყურადღება მიაქცია არა მხოლოდ მასშტაბის ეფექტს, არამედ განსხვავებას სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა გემოვნებაში, მათი მოსაზღვრე რეგიონების გეოგრაფიულ სიახლოვეს, სასოფლო-სამეურნეო სეზონების დაუმთხვევლობას. შიგადარგობრივი (ინტრა-ინდუსტრიული) ვაჭრობის თეორიის შექმნა მჭიდროდ უკავშირდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების კვლევას. 1950-იან წლებში ეკონომისტები შემდეგ თვალსაზრისს გამოთქვამდნენ (საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციულ თეორიაზე დაყრდნობით): საერთო ბაზრის ქვეყნების ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისათვის ბარიერის მოხსნამ შეიძლება გამოიწვიოს მისი წევრი სახელმწიფოების „მეტისმეტი“ სპეციალიზაცია, ე.ი. ეკონომიკურად უფრო ძლიერი ქვეყნები იმ დარგების პროდუქციაზე დასპეციალიზდებიან, სადაც ყველაზე მეტი

<sup>33</sup> Antweiler W., Trefler D. (1997). Increasing Returns and All That: A View from Trade. NBER Working Paper No. 7941

<sup>34</sup> Brülhart M., (2002), Trionfetti F., Home-Biased Demand and International Specialization: A Test of Trade Theories. Centre for Research on Globalisation and Labour Markets. School of Economics. University of Nottingham. Research Paper

დამატებული ღირებულება იქმნება, მაშინ, როდესაც უფრო სუსტ ქვეყნებს ნაკლებად მომგებიანი დარგები „დარჩებათ“. თუმცა, მოლოდინის მიუხედავად, 1960-იან წლებში ეს ასე არ მოხდა: საერთო ბაზრის წვერი ქვეყნების ვაჭრობის დიდმა ნაწილმა შიგადარგობრივი ხასიათი შეიძინა და დროთა განმავლობაში ეს ტენდენცია გაძლიერდა.

შიგადარგობრივი ვაჭრობის ასხნა და მისი მოდელის აგება ბ. ბალასამ სცადა<sup>35</sup>. შიგადარგობრივი ვაჭრობის მისეულ მოდელს (რომელიც მან 1970-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში შეიმუშავა) საფუძვლად დაედო არასრულყოფილი კონკურენციისა და მომხმარებელთა არჩევანის თეორია.

შიგადარგობრივი ვაჭრობის მიზეზი ხშირად სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და სეზონური განსხვავებებია. მაგალითად, თუ ორი ქვეყანა მოსახლდრეა, მაშინ საზღვრისპირა ქალაქებში მცხოვრები მომხმარებლებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება სხვა ქვეყნის იმ მწარმოებლისგან საქონლის შექენა, რომელიც გეოგრაფიულად უფრო ახლოსაა მასთან, ვიდრე თავისივე, მაგრამ გეოგრაფიულად უფრო შორს მყოფი მწარმოებლისგან (სატრანსპორტო ხარჯების სიდიდის გათვალისწინებით). სეზონური განსხვავებები უკავშირდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში კლიმატისა და წლის დროების განსხვავებულობას. დიფერენცირებული საქონლით შიგადარგობრივი ვაჭრობა რამდენიმე მიზეზით აიხსნება:

✓ მომხმარებელთა გემოვნებებს შორის განსხვავებით, რომლებსაც სურთ საქონლის დიდი არჩევანი ჰქონდეთ ერთი სასაქონლო ჯგუფის ფარგლებში;

✓ გადამკვეთი მოთხოვნით (ს. ლინდერის<sup>36</sup> მიერ ჩამოყალიბებული და მოჭარბებული მოთხოვნის თეორიად წოდებული ამ თეორიის თანახმად, ქვეყნები იმ სამრეწველო საქონლის ექსპორტს ეწევიან, რომლებისთვისაც ტევადი შიდა ბაზარი არსებობს; იმის გამო კი, რომ შემოსავლის დაახლოებით ერთნაირი დონის ქვეყნებში მომხმარებლებს მსგავსი გემოვნება აქვთ, ყოველ ქვეყანას უადვილდება იმ საქონლის ექსპორტირება, რომელთა წარმოებასა და შიდა ბაზარზე ვაჭრობაში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი);

<sup>35</sup> Balassa B. (1967). Trade Creation and Trade Diversion in the European Common Market. *Economic Journal*. March. (1986). Intra-Industry Specialization: a Cross-Country Analysis. *European Economic review*. 30. No. 1. P.27-42

<sup>36</sup> Linder S. (1961). An Essay on Trade and Transformation. N.Y., 243 p.

✓ მასშტაბის ეფექტით (იხ. გვ. 37).

შიგადარგობრივი ვაჭრობის სიდიდეს განსაზღვრავენ ინდექსით, რომელიც შემოიღეს ჰ. გრუბელმა და პ. ლოიდმა<sup>37</sup>:

$$GL_j = \frac{X_{j+M_j} - |X_j - M_j|}{X_{j+M_j}} = 1 - \frac{|X_j - M_j|}{X_{j+M_j}}$$

სადაც

$X_j$  - აღნიშნავს ქვეყნის ექსპორტს მთლიანად ან ერთი სასაქონლო ჯგუფის (j) ფარგლებში;

$M_j$  - აღნიშნავს ქვეყნის იმპორტს მთლიანად ან ერთი სასაქონლო ჯგუფის (j) ფარგლებში;

$GL_j$  - არის შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ინდექსი.

ინდექსი იმგვარადაა აგებული, რომ მისი მნიშვნელობა 0–1 შუალედში თავსდება. ამასთან, მისი მეტი სიდიდე შიგადარგობრივი ვაჭრობის მეტ ხვედრით წილზე მეტყველებს (ე.ი. თუ  $GL_j = 0$ , მაშინ მთელი ვაჭრობა დარგთაშორისია, ხოლო თუ  $GL_j = 1$ , მაშინ - შიგადარგობრივი). გრუბელმა და ლოიდმა აჩვენეს, რომ ამ ინდექსის სიდიდე საკმაოდ მაღალი იყო მრავალი ქვეყნისთვის.

შემდგომში შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსის ფორმულა შეივსო, განიცადა ცვლილება და მან ასეთი სახე მიიღო<sup>38</sup>:

$$IIT = \left\{ 1 - \left[ \frac{\sum |X_{ijk} - m_{ijk}|}{\sum (X_{ijk} + m_{ijk})} \right] \right\} * 100$$

სადაც

<sup>37</sup> Grubel, Herbert G.; Lloyd, Peter J. (1975). Intra-industry trade: the theory and measurement of international trade in differentiated products. New York: Wiley

<sup>38</sup> Aturupane Ch., (1997). Djankov S. and Hoekman B. Determinants of Intra-industry Trade Between East and West Europe. CEPR Discussion Paper. No. 1721. August

x - k ქვეყნის j დარგში წარმოებული i კატეგორის საქონლის ექსპორტის მოცულობა;

m - k ქვეყნის j დარგში წარმოებული i კატეგორის საქონლის იმპორტის მოცულობა;

i - j დარგში წარმოებული საქონლის კატეგორია.

ИТ - შიგადადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ინდექსი.

ამ ინდექსის მნიშვნელობები 0 - 100 ინტერვალში იცვლება. პირველი შემთხვევის ანალოგიურად, თუკი ინდექსი ნულის ტოლია, მაშინ ვაჭრობა მთლიანად დარგთაშორისია და, პირიქით.

შიგადადარგობრივი ვაჭრობის ემპირიულ კვლევებს ეწოდნენ პ. კრუგმანი და ე. ჰელფმანი, დ. ჰამელსონი და ჯ. ლევისონი, ს. ვენენტი და ვ. კელერი და სხვები.

ამერიკელმა ეკონომისტმა ე. ჰელფმანმა (1987)<sup>39</sup> გამოთქვა ვარაუდი, რომ შიგადადარგობრივი ვაჭრობის ხვედრითი წილი მეტია ქვეყნების იმ წყვილს შორის, რომლებიც დაახლოებით ერთნაირია სიდიდით (ტერიტორიით) და წარმოების ფაქტორებითაც ერთნაირადაა უზრუნველყოფილი (რის საზომადაც მან გამოიყენა მოსახლეობის ერთ სულზე მეპ-ის სხვაობის აბსოლუტური მაჩვენებელი). ეთგო-ს წევრი 14 განვითარებული სამრეწველო ქვეყნის 1970 -1991 წლების მაჩვენებლების ანალიზის შედეგებმა ეს ჰიპოთეზა დაადასტურა. რაც უფრო ნაკლები იყო მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებს შორის განსხვავება (ე. ი. რაც უფრო ემსგავსებოდნენ ქვეყნები ამ კუთხით ერთმანეთს) და, თვით, ქვეყნების სიდიდეებს შორის განსხვავება (ე.ი. რაც უფრო მეტი იყო მცირე ქვეყნის ტერიტორია და რაც უფრო ნაკლები იყო დიდი ქვეყნის ტერიტორია), მით უფრო მეტი იყო მათ შორის შიგადადარგობრივი ვაჭრობის ხვედრითი წილი.

ანალოგიური შედეგები მიიღეს დ. ჰამელსმა და ჯ. ლევისონმა<sup>40</sup>. მათ მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი შეცვალეს ერთ მუშაკზე გაანგარიშებული შემოსავლით, ხოლო წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში მსგავსების კრიტერიუმად გამოიყენეს კაპიტალ-შრომისა და კაპიტალ-მიწის თანაფარდობებში

<sup>39</sup> Helpman E. (1987). Imperfect Competition and International Trade: Evidence from fourteen Industrial Countries. *Journal of the Japanese and International Economics*.

<sup>40</sup> Hummels D., Levinsohn J. (1995). Monopolistic Competition and International Trade: Reconsidering the Evidence. *Quality Journal of Economics*.



სხვაობის აბსოლუტური მნიშვნელობა. საბოლოოდ, მათ დაადასტურეს დებულება, რომ წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში მეტი განსხვავების მქონე ქვეყნებში შიგადარგობრივი ვაჭრობის ხვედრითი წილი ნაკლებია.

შიგადარგობრივ და დარგთაშორის ვაჭრობას შორის პრინციპულმა განსხვავებამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკაზე მათი განსხვავებული გავლენა. დარგთაშორის ვაჭრობას მოსდევს რესურსების (ე. ი. წარმოების ფაქტორების) გადანაწილება დარგებს შორის მათი უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით. ამას იმ დარგების ნგრევა შეუძლია, რომელთა პროდუქტებსაც არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ უფრო იაფ უცხოურ საქონელს. შიგადარგობრივი ვაჭრობა წარმოების მასშტაბზე მიღებული ეკონომიისგან მოგების გამომუშავების შესაძლებლობას უქმნის ფირმებს; რესურსები (წარმოების ფაქტორები) გადანაწილდება ერთი დარგის შიგნით, და არა დარგებს შორის.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი: სტოლპერ - სამუელსონის თეორემის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობის შედეგი შეიძლება იყოს შემოსავლების გადანაწილება დეფიციტურიდან ჭარბი ფაქტორებისკენ. თუ საერთაშორისო ვაჭრობის დიდი ნაწილი შიგადარგობრივია, მაშინ შემოსავლების შიდა გადანაწილების გავლენა, შესაბამისად, მცირე უნდა იყოს. თუკი ვაჭრობის საფუძველი წარმოების ფაქტორების სიჭარბე და დეფიციტურობა არაა, მაშინ ასეთი ვაჭრობა არ იწვევს იშვიათ ფაქტორებზე მოთხოვნის დაქვეითებას და ჭარბზე - მატებას. ასე, რომ ვაჭრობის გაფართოებას არსებითი ცვლილებები არ მოჰყვება შემოსავლების გადანაწილებაში.

ამგვარად, შიგადარგობრივი ვაჭრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ის, რომ იგი არ იწვევს რესურსების გადანაწილებას, როგორც ეს ხდება დარგთაშორისი ვაჭრობის დროს. შიგადარგობრივი ვაჭრობიდან შემოსავლები უკავშირდება წარმოების მასშტაბებზე მიღწეულ ეკონომიას და არა შედარებით უპირატესობებს. ასეთი ვაჭრობა შესაძლებლობას უქმნის ქვეყნებს ყურადღება გაამახვილონ ერთი დარგის ფარგლებში შეხლუდული რაოდენობის პროდუქტების წარმოებაზე. ეს ხელს უწყობს მსოფლიო წარმოების ზრდას წარმოების მუდმივ დანახარჯებზე გაწეული ეკონომიის გამო.

მაშასადამე, შიგადარგობრივ ვაჭრობას არ ახლავს ისეთი მწვავე სოციალური შედეგები, როგორც დარგთაშორისს: დარგთაშორისი ვაჭრობის დროს სამუშაო ძალა

მობილური უნდა იყოს. თუკი მუშაკები არიან ვიწრო კვალიფიცირებული ან მათ არ შეუძლიათ ქვეყნის იმ სხვა რეგიონებში სწრაფად გადასახლება, სადაც სამუშაო საექსპორტო სექტორშია, მაშინ ამას სერიოზული სოციალური პრობლემები შეიძლება მოჰყვეს. შიგადარგობრივი ვაჭრობა არ იწვევს დიდხალ დასაქმებულთა გადანაცვლებას იმ დარგებიდან, სადაც ექსპორტის მოცულობათა დაქვეითებაა, იმ დარგებში, რომელთა ექსპორტიც ვითარდება.

ზემოთ ვთქვით, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორია ვაჭრობის ტრადიციული თეორიის უარყოფის გზით გაჩნდა (რაკი ტრადიციულ თეორიებს აღარ შეეძლოთ XX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენის ახსნა). მაგრამ დროთა ვითარებაში სცადეს ამ ორი თეორიის ინტეგრირება ერთ მოდელში.

სანიმუშოდ მოვიყვანოთ ეკონომისტების ლ.ფონტანიესა და მ.ფროიდენბერგის<sup>41</sup> მიერ შექმნილი ვაჭრობის მოდელი. მათი აზრით, საერთაშორისო ვაჭრობის 3 მოდელი არსებობს: დარგთაშორისი, შიგადარგობრივი ჰორიზონტალურად დიფერენცირებული პროდუქტებით და შიგადარგობრივი ვერტიკალურად დიფერენცირებული პროდუქტებით (იხ. ცხრილი 1.1).

პროდუქტების ჰორიზონტალური დიფერენციაცია იმას გულისხმობს, რომ ბაზარზე არსებობს სხვადასხვა სახის დაახლოებით მსგავსი პროდუქტი (მსგავსი ხარისხითა და ფასით), რომელსაც მომხმარებლებს სთავაზობენ. მაგრამ პროდუქტების დიფერენცირება შეიძლება არა მარტო ჰორიზონტალურად (მეორეული ნიშნების საფუძველზე), არამედ ვერტიკალურადაც (ხარისხითა და ფასით). ეს განსხვავებები შეიძლება უკავშირდებოდეს მეცნიერული კვლევების, ცდების ჩატარებისა და კონსტრუირების ხარჯების სიდიდეს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, რეკლამას და ა. შ.

---

<sup>41</sup> Fontagne L., Freudenberg M. (1997). Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. Working Paper No. 97-02

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების კლასიფიკაცია

	ტრადიციული თეორიები	საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიები	
		შიგადაარგობრივი	ვაჭრობა
ვაჭრობის სახეობა	დარგთაშორისი ვაჭრობა	ვერტიკალურად დიფერენცირებული პროდუქტები	ჰორიზონტალურად დიფერენცირებული პროდუქტებით
სპეციალიზაციის საფუძველი	შეფარდებითი უპირატესობები	პროდუქტების ხარისხში არსებული განსხვავებები	მსგავსი მახასიათებლების მქონე პროდუქტების მრავალფეროვნება
რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებული ხარჯები	მნიშვნელოვანი (განსხვავებულ დარგებში წარმოების ფაქტორებზე ფასების ცვლილება, ფაქტორების გადანაწილება დარგებს შორის)	პოტენციურად მნიშვნელოვანი (ქვეყნებს შორის შემოსავლის დონეში შესაძლო განსხვავებებთან დაკავშირებით)	უმნიშვნელო

**წყარო:** Fontagnie L. and Freudenberg M. Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. Working Paper No. 97-02. -1997.


ჰორიზონტალურად დიფერენცირებული პროდუქტებით შიგადაარგობრივი ვაჭრობა მასშტაბის ეფექტის გამო მოგების მიღების შესაძლებლობას ქმნის და არ იწვევს ერთმანეთს შორის მოვაჭრე ქვეყნებში რესურსების არსებითად გადანაწილებას. საპირისპირო „პოლუსზე“ დარგთაშორისი ვაჭრობა, რომელიც „ეკონომიკურად განსხვავებულ“<sup>42</sup> ქვეყნებს შორის მიმდინარეობს (ეკონომიკურ განსხვავებას ვუწოდებთ ეკონომიკური განვითარების დონეში, წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში, ტექნოლოგიის დონეში და ა. შ. არსებულ განსხვავებებს). ასეთი ვაჭრობა დარგებს შორის რესურსების გადანაწილებას იწვევს. ამ ორ სახეობას შორის შუალედურია შიგადაარგობრივი ვაჭრობა ვერტიკალურად დიფერენცირებული პროდუქტებით.

მსოფლიო საქონელბრუნვის ხვედრითი წილის გადიდება ძირითადად შიდასაფირმო ვაჭრობაზე მოდის (ტრანსნაციონალური კორპორაციების ფარგლებში), ე.წ. შიგადაარგობრივი ვაჭრობა - სხვადასხვა ქვეყნის ერთსა და იმავე დარგებს შორის

<sup>42</sup> ორიგინალის ტერმინოლოგიას თუ დავიცავთ, მაშინ უფრო სწორი იქნებოდა საუბარი ქვეყნების ეკონომიკურ დაშორიშორებაზე ("economic distance"). მაგრამ, ჩვენი აზრით, "ეკონომიკური განსხვავებების" ცნება უფრო ზუსტად ასახავს ცნების არსს. ამიტომ შემდგომში ჩვენ სწორედ მას გამოვიყენებთ.

მსგავსი (ერთგვაროვანი) სამრეწველო საქონლის შემხვედრი მიწოდების ზრდაა, ვაჭრობის ზრდა რესურსებით დაახლოებით ერთნაირად უზრუნველყოფილ ქვეყნებს შორის და ა. შ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მან 1970 წელს შეადგინა 53,2%, 1980 წელს - 74,7%, ხოლო 1990 წელს - 84,6%. გერმანიაში შესაბამისი მაჩვენებლები იყო 55,8, 56,6 და 72,2%<sup>43</sup>. მოგვიანებით კი ევროკავშირის მონაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის წილი გრუბელ-ლოიდის ინდექსის მიხედვით საკმაოდ მაღალია (დიაგრამა 1.1):

დიაგრამა 1.1



**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური გამოცემა - მსოფლიო ვაჭრობის ანგარიში 2013-ზე დაყრდნობით.


მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ 1996-2011 წწ. ევროკავშირში შეინიშნება შიგადარგობრივი ვაჭრობის ზრდის ტენდენცია, რომელიც კონიუნქტურის ცვლილებასთან მჭიდრო კორელაციას ასახავს, ანუ სახეზე გვაქვს შიგადარგობრივი ვაჭრობის განუხრელი ზრდის ტენდენცია, რომელიც გლობალური კრიზისის დროს უფრო ძლიერდება.

კვლევები ადასურებს, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის ხვედრითი წილი მაღალი იქნება, თუკი: სავაჭრო პარტნიორები მაღალგანვითარებული ქვეყნებია და განვითარების დაახლოებით ერთი და იგივე დონე აქვთ; სავაჭრო პარტნიორებს საკმაოდ დიდი ტერიტორიები აქვთ და არსებითად არ განსხვავდებიან სიდიდით.

<sup>43</sup> Helpman E. (1998). The Structure of Foreign Trade. NBER Working Paper No.6752.-Cambridge. MA.,p. 20-21

ზემოთ მოყვანილ მსჯელობას ადასტურებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის თანამედროვე კვლევა, რომელიც ეხება 1996-2011 წლებში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში GL ინდექსის (შიგადარგობრივი ვაჭრობის სიდიდის განმსაზღვრელი) საშუალო მაჩვენებელსა და შესაბამისად, ქვეყნების მონაწილეობას შიგადარგობრივ ვაჭრობაში<sup>44</sup>. კვლევამ აჩვენა, რომ განვითარებული (აშშ, ევროკავშირი, კანადა და შვეიცარია) და სწრაფად განვითარებადი მრეწველობის მქონე ქვეყნებში (ჰონგ-კონგი, ჩინეთი, სინგაპური, მალაიზია და ტაილანდი) შიგადარგობრივ ვაჭრობაში ჩართვის ტენდენცია უფრო მეტადაა გამოხატული, მაშინ, როცა რესურსებით მდიდარი განვითარებადი (ალჟირი, ნიგერია, ვენესუელა) და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ნიგერი, მადაგასკარი) შედარებით ნაკლები წილი მოდის შიგადარგობრივ ვაჭრობაზე. მცირედი ცვლილება შეინიშნება GL ინდექსში 1996-დან 2011 წლამდე (დიაგრამა 1.2).

დიაგრამა 1.2



**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური გამოცემა - მსოფლიო ვაჭრობის ანგარიში 2013-ზე დაყრდნობით.


მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს განვითარებულ ჰომოგენურ ეკონომიკებში (აშშ, იაპონია) შიგადარგობრივი ვაჭრობის სწრაფ ზრდას, რომელიც შედარებით ნაკლებად აღინიშნება კანადასა და შვეიცარიაში, რომელთა ეკონომიკა მკაფიოდ

<sup>44</sup> WTO, World Trade Report 2013. P70

გამოსატული ჰომოგენური ხასიათის არ არის. ამავე დროს, აღინიშნება განვითარებულ (აშშ, შვეიცარია, იაპონია) და განვითარებად ქვეყნებს შორის შიგადადარგობრივი ვაჭრობის მაღალი მაჩვენებელი, რაც ვფიქრობთ შეიძლება აიხსნას პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორიის მიხედვით<sup>45</sup>.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორცაა აშშ და ევროკავშირი ჩართულნი არიან შიგადადარგობრივ ვაჭრობაში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან, ხოლო, განვითარებად ქვეყნებს, როგორცაა, მალაიზია და ტაილანდი, შიგადადარგობრივი ვაჭრობა აქვთ სხვა განვითარებად ქვეყნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი და კორეის რესპუბლიკა ითვლებიან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებად, ისინი სტრუქტურულად უფრო ახლოს არიან განვითარებულ ეკონომიკასთან, ვინაიდან მრეწველობაში წარმატებას მიაღწიეს, განსხვავებით სხვა ღარიბი და რესურსებით მდიდარი ქვეყნებისგან. შესაბამისად, ბოლო წლებში აღნიშნული ორი ქვეყნის შიგადადარგობრივი ვაჭრობის წილი განვითარებად ქვეყნებთან იზრდება (დიაგრამა 1.3).

დიაგრამა 1.3



**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური გამოცემა - მსოფლიო ვაჭრობის ანგარიში 2013-ზე დაყრდნობით.

<sup>45</sup> Mikaberidze T. (2015), New forms and trends of International Trade amid the Global Crisis. *Strategica International Academic Conference. Local Vs Global/Challenges of Integration into the World Economy*. Bucharest. Romania <http://strategica-conference.ro/previous-editions/2015-edition/>

აღსანიშნავია, რომ მოცემული სწრაფად განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნების (ჰონკონგი, ჩინეთი, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი) შიგადაგობრივი ვაჭრობის ზრდა განვითარებულ ქვეყნებთან, ძირითადად, უკავშირდება წვრილი ტექნიკის პროდუქტების წარმოებას. ზოგ შემთხვევაში, შიგადაგობრივი ვაჭრობის შემცირება აღნიშნულ ქვეყნებისა, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებად ქვეყნებთან, უკავშირდება სწორედ სწრაფად მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნებს შორის შიგადაგობრივი ვაჭრობის ზრდას. იაპონიის GL სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მცირეა, ვიდრე განვითარებად ქვეყნებთან. ეს იმით აიხსნება, რომ იაპონიას გააჩნია მწირი ბუნებრივი რესურსები და ძირითადად ახდენს ნედლეულის იმპორტს. მისი მაღალი GL განვითარებად ქვეყნებთან გამომდინარეობს აზიის განვითარებადი ეკონომიკებთან მისი გეოგრაფიული სიახლოვით, რაც აიხსნება გრავიტაციის თეორიით (ეკონომიკური განვითარების ცენტრის თეორიის), ასევე იმ ფაქტით, რომ უმრავლესობა ამ თითქოს განვითარებადი ქვეყნებისა ფაქტიურად განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებია. მოცემული ანალიზი ეყრდნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2013წ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მასალას შიგადაგობრივი ვაჭრობის ინდექსის შესახებ<sup>46</sup>, თუმცა აღსანიშნავია, რომ WTO-ს არ აქვს განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირება, რაც ართულებს კვლევის პროცესს.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიგადაგობრივი ვაჭრობის ტენდენცია 1996-2011 წლებში უმეტეს ქვეყნებში მზარდია მიუხედავად ორი - 1998 წ და 2008 წ მსოფლიო კრიზისებისა.

საერთოდ, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებზე და, კერძოდ, შიგადაგობრივი ვაჭრობის თეორიაზე რომ ვსაუბრობთ, სასურველია მოვიყვანოთ ერთი დასკვნა, რომელიც ლ. ფონტანიემ (1997) გამოიტანა თავისი კვლევების შედეგად: „შიგადაგობრივი ვაჭრობის თეორიების განვითარება თავისთავად არც ახალი მიდგომის სამართლიანობას ადასტურებს და არც ტრადიციულ მიდგომებს უარყოფს. ეს დამაბნეველი დასკვნა გამოტანილია ძალიან დეტალური ინფორმაციის გამოყენებით ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ქვეყნების რაოდენობის და დროის

<sup>46</sup> World Trade Organization (2013), World Trade Report. WTO, Factors shaping the future of world trade.

პერიოდის ხანგრძლივობის გადიდებით, აგრეთვე, უფრო რთული მაჩვენებლების გამოყენებით”<sup>47</sup>.

ვაჭრობის „ახალი თეორია” აღმოცენდა, როგორც ტრადიციული თეორიების (შედარებით უპირატესობათა და წარმოების ფაქტორთა თეორია) ალტერნატივა და იმ მოვლენების ახსნა შეძლო, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება საერთაშორისო ეკონომიკაში. თუმცა, თავის საფუძვლებში იმ წინაპირობების არსებობით, რომლებიც ბევრ რამეში ეწინააღმდეგება ტრადიციული თეორიების დებულებებს, იგი მაინც არა თუ არ უარყოფს, არამედ ავსებს კიდევ ამ უკანასკნელს. ვაჭრობის ტრადიციულ თეორიებსა და „ახალ თეორიას” გამოყენების განსხვავებული სფეროები აქვს - ტრადიციული თეორიები სამართლიანია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის, შემოსავლისა და ტექნოლოგიური განვითარების დონით, მაშინ, როდესაც ეკონომიკურად „მსგავსი” ქვეყნებისათვის (მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) ახალი თეორიებია სამართლიანი.

ნეოკლასიკური თეორიის და ტრანსნაციონალური კომპანიების საგარეო სავაჭრო საქმიანობის ელემენტების შეთავსების მცდელობა ჰქონდა ამერიკელ ეკონომისტ მ. პორტერს, რათა პასუხი გაეცა კითხვაზე: „რატომ იძენენ კონკურენტულ უპირატესობებს კონკრეტული ქვეყნები ცალკეულ დარგებში?” 80-ანი წლების ბოლოს მეცნიერმა ჩაატარა კვლევა ათ უმსხვილეს მრეწველობაგანვითარებულ ქვეყანაში, რომლებზეც მსოფლიო ექსპორტის ნახევარზე მეტი მოდიოდა. კვლევის შედეგებმა შესაძლებლობა მისცა შეექმნა თეორია „ერის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა”, რომელმაც აჩვენა იმ ოთხი მთავარი პარამეტრის ურთიერთკავშირი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე.

მ. პორტერის აზრით, თანამედროვე საგარეო ვაჭრობის განვითარებას ოთხი მთავარი პარამეტრი განსაზღვრავს: ფაქტორთა პირობები; მოთხოვნის პირობები; ახლოს მდგომი და დამხმარე ან მომსახურე დარგები; ფირმის სტრატეგია და კონკურენცია.

---

<sup>47</sup> Fontagne L. and Freudenberg M. Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. CEPII Working Paper No. 97-02.-1997.



ავსებს რა ნეოკლასიკური სკოლის მოძღვრებას, მ. პორტერი აღიარებს პირველი პარამეტრის – ფაქტორთა პირობების მნიშვნელობას, რომელთა რაოდენობა მატულობს ახლების შემოტანის გზით. ნეოკლასიკური სკოლის შემქმნელთაგან განსხვავებით, იგი თვლიდა, რომ ეს ფაქტორები ქვეყნებს გადაეცემა არა მემკვიდრეობით, არამედ იქმნება წარმოების გაფართოების პროცესში. მაგალითად, ისეთი ფაქტორის უკმარისობა, როგორცაა მიწა, გახდა კომპაქტური ტექნოლოგიური კომპლექსების შექმნის ძირითადი მოტივი იაპონიაში, რომელსაც შემდგომში დიდი მოთხოვნილება ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე. სივრცის უკმარისობამ აიძულა იაპონელები შეექმნათ საქონლის მიწოდების მკაცრად გარანტირებული ვადები. ანალოგიურია სიტუაცია სხვა ქვეყნებშიც. შვეიცარიული ფირმები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეეჯახნენ სამუშაო ძალის უკმარისობას, წავიდნენ შრომის მწარმოებლურობის გაზრდის გზით.

მეორე პარამეტრი – მოთხოვნის პირობები – წარმოადგენს შიდა ბაზრის მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრავს ფირმის განვითარებას, ურთიერთკავშირს მსოფლიო ბაზრის პოტენციურ განვითარებასთან. გადაუწყვეტელი აღმოჩნდა ეროვნული, კულტურული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური თავისებურებების საკითხი, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნული ფირმების გასვლას მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ამით აიხსნება ვთქვამთ, რომელიმე იაპონური და არა ამერიკული ან შვეიცარიული დარგის კონკურენტული უპირატესობები.

ავითარებდა რა ს. ლინდერის თეორიას, საგარეო ვაჭრობის გაფართოების შესახებ უპირატესად განვითარებულ ქვეყნებს შორის, მ. პორტერი ამტკიცებდა, რომ კომპანიის საქმიანობაზე ზეგავლენის მოსახდენად უმთავრესია შიდა ბაზრის მოთხოვნები. მაგალითად, იაპონელები, რომლებიც პატარა ოთახებში ცხოვრობენ, ორიენტაციას იღებდნენ იაფი ენერგოდამზოგველი კონდიციონერების მოხმარებაზე, რომელთა გამოშვება დაიწყო იაპონურმა მრეწველობამ. შემდგომში ასეთი კონდიციონერები ფართოდ გამოიყენებოდა მთელ მსოფლიოში, რაც უზრუნველყოფდა მათ ექსპორტს იაპონური კომპანიების მიერ. საკვების სწრაფი მომზადების ამერიკულმა სისტემამ მთელ მსოფლიოში მოიპოვა პოპულარობა და უზრუნველყო შესაბამისი ტიპის ამერიკული ტექნოლოგიის ექსპორტი.

მესამე პარამეტრი – ახლო და მომსახურე (ან დამხმარე) დარგები – ახასიათებს ეფექტიანი საწარმოო გარემოს არსებობას, რომლებიც უშუალო გავლენას

ახდენენ ფირმის საქმიანობაზე. იტალიური ფირმები, რომლებიც საიუველირო ნაწარმს აწარმოებენ, წარმატებას აღწევენ იმიტომ, რომ იტალია გამოდის მსოფლიო ლიდერად ძვირფასი ქვებისა და ლითონების დასამუშავებელი მანქანების წარმოებაში. ახლო კონტაქტები ტყავის ნაწარმის მწარმოებელთა შორის და ტყავის გამოყვანის მაღალი დონე იტალიაში აძლევს მნიშვნელოვან უპირატესობას იტალიური ფეხსაცმლის საწარმოებს, რომლებიც ლიდერობენ მსოფლიო ბაზარზე.

და ბოლოს, მეოთხე პარამეტრი – ფირმის სტრატეგია და კონკურენცია – დაკავშირებულია ფირმის სტრატეგიასა და საორგანიზაციო სტრუქტურასთან.

ამავე დროს, არ შეიძლება გამოვყოთ რომელიმე ერთიანი და უნივერსალური მართვის სისტემა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა ყველასათვის. იტალიური ფირმებისათვის, რომლებიც ლიდერობენ ავეჯის, სინათლის ტექნიკურ მოწყობილობების, შესაფუთი მანქანების წარმოებაში, დამახასიათებელია დინამიზმი, მართვის მკაცრი ფორმების არარსებობა, სწრაფი ცვლილებების უნარი. გერმანული ფირმებისათვის, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ოპტიკის, ზუსტი მანქანების წარმოებაში, ტიპურია ცენტრალიზებული მართვის მკაცრი სისტემა.

ძალზე მნიშვნელოვანია კონკურენტების არსებობა საშინაო ბაზარზე. მ. პორტერი კატეგორიულად უარყოფს წარმოების პოტენციური სარგებლიანობის კონცეფციას ერთ ეროვნულ ფირმაში, რომელიც დაცულია სახელმწიფოს ხელშეწყობით. ასეთი სახელმწიფო ფირმების უმრავლესობა გამოირჩევა დაბალი ეფექტიანობით, ბუნებრივი რესურსების უყაირათო გამოყენებით, შრომის დაბალი ნაყოფიერებით. მწვავე კონკურენცია შიდა ბაზარზე სტიმულს აძლევს ფირმის გასვლას საზღვრებს გარეთ, ხელს უწყობს მის მიერ საგარეო ბაზრის ძიებას. შიდა კონკურენცია არ აძლევს საშუალებას ეროვნულ ფირმებს, დაადანაშაულოს თავის წარუმატებლობაში უცხოელები და მოიპოვოს სახელმწიფოს მხარდაჭერა. ამავე დროს, იგივე კონკურენცია შიდა ბაზარზე უფლებას აძლევს აქტიურად ეძებოს გასაღების გარე ბაზარი საქონლის საკმაო კონკურენტუნარიანობის პირობით.

მ. პორტერი აშშ-ის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სახელმწიფო პოლიტიკისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობდა. იგი ამტკიცებდა, რომ ვაჭრობის სტანდარტული თეორია მისაღებია მხოლოდ განუვითარებელი ფიზიკური რესურსებისა და არაკვალიფიციური შრომის ტიპის საბაზისო ფაქტორების მქონე

ეკონომიკისთვის. წინააღმდეგობა ფაქტორებისთვის კი, რომლებიც უფრო სპეციალიზებული არიან და ჩართული ჰყავთ იშვიათი პროფესიის კვალიფიციური სპეციალისტები, ასევე, კვლევითი ცენტრები (სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტები, მსხვილი უნივერსიტეტები და წამყვანი სამრეწველო სტრუქტურები), ეს თეორია გამოუსადეგარია. პორტერი ასკვნის, რომ „განვითარებადი ქვეყნების ძირითადი ამოცანაა - თავი აარიდოს ფაქტორულ უზრუნველყოფაში აშკარა უპირატესობებთან დაკავშირებულ სწორხაზოვან გადაწყვეტილებებს. ასეთ ვითარებაში ბუნებრივი რესურსები, იაფი შრომა, ადგილმდებარეობა და სხვა საბაზისო უპირატესობები ექსპორტის მყიფე, ხშირად სწრაფად წარმატებულ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ეს შესაძლებლობა სწრაფად იზღუდება, ან სულაც ქრება სავალუტო კურსისა და ფაქტორული ხარჯების არაკეთილსასურველი ცვლილებების საფუძველზე.

ნეოტექნოლოგიური მიმართულება შრომის საერთაშორისო განაწილების უნივერსალური თეორიის შემქმნელის როლში გამოდის. იგი ხსნის განვითარებული ქვეყნების მონაწილეობის გაღრმავებას საერთაშორისო ვაჭრობაში და განვითარებადი ქვეყნების ჩართვას შრომატევადი და რიგი კაპიტალტევადი ნაწარმის საერთაშორისო გაცვლის სისტემაში. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კავშირების გააზრების მხრივ ნეოტექნოლოგიური მიმართულება, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. პირველად ნეოტექნოლოგიურ მიმართულებაში აისახა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე და მსოფლიო მეურნეობის, როგორც ერთიანი სისტემის შესწავლაზე გადასვლის აუცილებლობა.

საერთაშორისო ვაჭრობის ახალმა თეორიამ აქტიურად განვითარება XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. კლასიკურ თეორიებთან შედარებით მისი „სიახლე“ შემდეგში მდგომარეობს: კლასიკური თეორიების ამოსავალი წერტილი იყო სრულყოფილი კონკურენციის, მუდმივი ხარჯებისა და ერთგვაროვანი (არადიფერენცირებული) პროდუქტების წარმოების არსებობა, ახალმა თეორიამ კი აღიარა არასრულყოფილი კონკურენციის არსებობა, წარმოების მასშტაბის ზრდის საფუძველზე მიღწეული ეკონომიის ეფექტის მოქმედება და მომხმარებელთა არჩევანს (უპირატესობის მინიჭება) შორის განსხვავების არსებობა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესს საერთაშორისო ვაჭრობისა და მასში მონაწილე სუბიექტების ძირეული ცვლილებები და განვითარების ახალი

ტენდენციების აღმოცენება მოჰყვება. ვაჭრობის თეორიის ტექნოლოგიური მიმართულება ხასიათდება, არა მარტო, ახალი თეორიების შემუშავებითა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოჩენით არამედ მნიშვნელოვნად იცვლება საერთაშორისო ბაზრების სტრუქტურებიც, რომლებსაც რასაკვირველია ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი ტექნიკური ინსტრუმენტები და ფორმები შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისითაც, რადგან, სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება და გაფართოვება დგას მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის დღის წესრიგში. ახალი თეორიების, განსაკუთრებით შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიის განხილვა და მასთან დაკავშირებული ახალი ეკონომიკური გარიგებების ფორმების სწორად მორგება თანამედროვე გამოწვევებისადმი ხელს შეუწყობს ფინანსური, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური ფაქტორის არაეკონომიკური გამოყენების შედეგად წარმოქმნილი დანაკარგების შემცირებას.

ამიტომაც მნიშვნელოვან ყურადღებას და შესწავლას საჭიროებს საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ფორმები და ტენდენციები, ტექნიკური ინსტრუმენტები და საშუალებები ტრანსნაციონალიზაციისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ფონზე.

## 12. საგარეო ვაჭრობის ახალი ტექნიკური ინსტრუმენტები

ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩარჩოებში ურთიერთდაკავშირებული ვაჭრობის და ტრანსფერული ფასების პოლიტიკის განვითარებამ საბოლოო ჯამში არსებითი გავლენა იქონია საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების ორგანიზაციულ ფორმებზე, საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურასა და, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კონკურენციის ფორმებზეც.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებას მოჰყვება საკომპენსაციო გარიგებების ყველა შესაძლო ფორმის განვითარება. საერთაშორისო საქმიანობაში საკომპენსაციო გარიგებები, ასევე იწოდება, საქონელბრუნვით ოპერაციებად, ან შემხვედრ ვაჭრობად. არსებობს შემხვედრი

ვაჭრობის კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიზაციის ფორმების უამრავი რაოდენობა. არ ვიქნებით შორს ჭეშმარიტებისგან, თუ ვიტყვით, რომ მოცემული პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენი წიგნი და სახელმძღვანელოა, მათი კლასიფიკაციის იმდენივე ნაირსახეობა არსებობს. მათ აერთიანებთ ერთი თვისება, ისინი წარმოადგენენ გაცვლის ფორმებს, რომლებიც საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული.

საკომპენსაციო ეწოდება კომერციულ გარიგებას, რომელიც მოიცავს ექსპორტიორის კონკრეტულ ვალდებულებას, განახორციელოს შესყიდვები (დამოუკიდებლად ან შუამავლის მეშვეობით) იმპორტიორ ქვეყანაში. ზოგად ჭრილში შეიძლება გამოვყოთ საკომპენსაციო ვაჭრობის (საქონლბრუნვის) რამდენიმე სახეობა;

ა) საკომპენსაციო-კომერციული - სავაჭრო ოპერაციები, რომლის ჩარჩოებში შემხვედრი შესყიდვები ეხება ძირითადად საქონელსა და მომსახურებებს. შესაბამისად აქ არ გაითვალისწინება ტექნიკისა და ტექნოლოგის გადაცემა ექსპორტის კომპენსაციისათვის. ეს ოპერაციები ხორციელდება საკმაოდ სწრაფად და გარიგების ვადები 2-3 წელს იშვიათად აღემატება.

შეიძლება გამოვყოთ კომერციული კომპენსაციის შემდეგი ნაირსახეობა:

- ბარტერი - ნატურალური, ფულის გარეშე გაცვლა ერთი საქონლისა მეორეზე. დღეისათვის გაცვლის ეს ფორმა უფრო მეტად გამონაკლისია მსოფლიო ვაჭრობაში, ვიდრე მისი მოქმედი ნაირსახეობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ის ჯერ კიდევ გვხვდება. ბარტერულ ვაჭრობაში, ასევე, უნდა ჩავთვოთ საქონლის ვალდებულებითი (ფინანსური თვალსაზრისით უნარჩენო) გაყიდვები და შესყიდვები. მაგალითად: ექსპორტიორის საქონლის ანაზღაურება სანედლეულო რესურსების ეკვივალენტური მიწოდებით.

ბარტერის მნიშვნელოვან მახასიათებლად გვევლინება მისი ერთჯერადი ხასიათი, ანუ მიწოდების (ან კონტრ-მიწოდების) ერთჯერადი კონტრაქტის გაფორმება. ასევე ტრანსფერული საგადასახდლო საშუალებების არ არსებობა (გადახდა 100%-ით) ხორციელდება სასაქონლო კომპენსაციებით, რომელთა რაოდენობა, ვადები და ფასები კონტრაქტშია გათვალისწინებული. მართალია, ამ ტიპის გაცვლამ შეიძლება „ამოქმედოს“ ე.წ. დაბლოკილი საბანკო ანგარიშები, რომელებიც ერთობლივად გამოიყენება როგორც ექსპორტიორის, ასევე იმპორტიორის მიერ.

- საკომპენსაციო გარიგებებს (კომერციული), რომლებსაც ნატურალურ ბარტერთან საერთო მახასიათებლები აქვთ (მაგალითად, გარიგების გაფორმება ერთი კონტრაქტით), ასევე გააჩნია განმასხვავებელი თავისებურებები. ასე მაგალითად, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ურთიერთ მიწოდების არანულოვან სალდოს და საკომპენსაციო გარიგებების საფინანსო დარეგულირებას. მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრდა საკომპენსაციო გარიგებების 2 ტიპი: ა) ექსპორტის ანგარიშსწორება ნატურალური შემხედრი შესყიდვებით (ბარტერის მოდიფიკაცია) და ბ) ცალკეული ანგარიშსწორება ექსპორტისათვის და შემხედრი გადატვირთვები.

- შემხედრი შესყიდვები - კომერციული კომპენსაციის მეტნაკლებად გავრცელებული ფორმაა. საუბარია ოპერაციებზე, რომლის შედეგადაც ექსპორტიორი ვალდებულია დროის გარკვეულ პერიოდში შეისყიდოს (ან ხელი შეუწყოს შესყიდვას) იმპორტიორის მიერ წარმოებული პროდუქცია ისეთი რაოდენობით, რომელიც შეადგენს გარკვეულ საპროცენტო შეფარდებას გაყიდვის (კონტრაქტის) ღირებულებასთან. ამ ვალდებულების რეალიზაციისათვის ექსპორტიორი დებს (ძირითადი საექსპორტო კონტრაქტის მიღმა) საკომპენსაციო შესყიდვების ერთს ან რამდენიმე კონტრაქტს. გადახდები, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი კონტრაქტიდან და შემხედრი შესყიდვის კონტრაქტიდან, ხორციელდება ცალცალკე. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც ექსპორტიორი უარს ამბობს საკუთარ ვალდებულებაზე შემხედრ შესყიდვასთან დაკავშირებით. ამიტომ აქ გამოიყენება საკმაოდ მაღალი ჯარიმები (5%-დან 15%-მდე), ხოლო ზოგჯერ კი შეუსრულებელი ვალდებულების თანხის 50%-მდე. შემხედრი შესყიდვის ერთ-ერთ სიმბოლურ მაგალითს წარმოადგენდა, ჯერ კიდევ, საბჭოთა კავშირში „პეპსი-კოლას“ პროდუქციის გაყიდვა ამერიკულ ბაზარზე რუსული არაყის რეალიზაციის საპირისპიროდ.

ბ) სამრეწველო პროდუქტებზე საკომპენსაციო გარიგებებს (ან საკომპენსაციო გარიგებები ძირითად საწარმოო თანამშრომლობის საფუძველზე) - შემხედრი შესყიდვების მსგავსია, მაგრამ, ძირითადად, ის ეხება მანქანებისა და სამრეწველო დანადგარების ექსპორტს ამავე აღჭურვილობით დამზადებული სასაქონლო ეკვივალენტის შესყიდვის სანაცვლოდ. წინამორბედი ვაჭრობის საკომპენსაციო ფორმებისაგან განსხვავებით მსგავსი ოპერაციები შეიძლება მიმდინარეობდეს

საკმაოდ ხანგრძლივი დროით (15-20 წლით), ხოლო შემხვედრი შესყიდვის თანხა შეიძლება აჭარბებდეს თავდაპირველად მიწოდებული აღჭურვილობის თანხას.

განასხვავებენ სამრეწველო პროდუქტებზე საკომპენსაციო გარიგებების ორ ძირითად ფორმას: შემხვედრი სამრეწველო შესყიდვები, რომლებიც წარმოადგენენ Buy-Back –ის ტიპის ოპერაციებს და ოფსეტური ვაჭრობა (offset trade). შემხვედრი სამრეწველო შესყიდვისას დანადგარების მიმწოდებელი (ექსპორტიორი) იღებს ვალდებულებას შეიძინოს პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ზუსტად აღნიშნული სამრეწველო დანადგარებზე, ან უბრალოდ იმავე საწარმოში წარმოებული პროდუქცია.

ოფსეტური კონტრაქტის არსი მდგომარეობს ვალდებულებაში, რომელიც სასარგებლოა იმპორტიორისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ ექსპორტიორი იღებს მონაწილეობას აღნიშნული აღჭურვილობის აწეობაში, მასალების მიწოდებაში, სუბკონტრაქტის მიღებაში, ან ერთობლივ საწარმოო პროცესში. ჩვეულებრივ, ასეთ გარიგებას პირდაპირი ოფსეტური ვაჭრობა ეწოდება, ირიბი ოფსეტური ვაჭრობისგან განსხვავებით, როდესაც ექსპორტიორი იღებს თავისთავზე მხოლოდ იმის ვალდებულებას, რომ იმპორტიორის პროდუქციისთვის გასაღების ბაზარი მოძებნოს. ოფსეტური ვაჭრობა განვითარდა საქმიანობის განსაზღვრულ სფეროებში, სადაც პროდუქციის ღირებულება ძალიან მაღალია. მაგალითად: სამოქალაქო და სამხედრო ავიამშენებლობაში, ხომალდების მშენებლობაში, კოსმონავტიკასა და ა.შ. კონკრეტული მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ: ავსტრალიისთვის A-320 ეარბასების გაყიდვა, როდესაც ამ ეარბასის ფიუჯელიაჟის წარმოებას ახორციელებდა ავსტრალიური ფირმა MAVILLAND-ი; საფრანგეთის მიერ საბერძნეთისათვის 20 მირაჟ - 2000-ის მიწოდება იმ პირობით, რომ საბერძნეთს მიეწოდებოდა სუბკონტრაქტი ამ თვითმფრინავებისთვის სხვადასხვა ელემენტების დამზადების მიზნით (დეტალები, რეაქტორები M33, რადარები და ა. შ.)<sup>48</sup>

ზოგჯერ სამრეწველო პროდუქტებზე საკომპენსაციო გარიგებებში ჩართულია იმპორტიორი სახელმწიფოს მოთხოვნები, რომ იმპორტიორების მიერ გამოყენებულ იქნას ადგილობრივი დეტალებისა და კვანძების განსაზღვრული (მინიმალური) წილი

---

<sup>48</sup> Hellwin L. Trade policy and distortions in intra – Asian trade //Appl. economics. - L., 1995» - vol. 27, №11, p. 1031-1036

ან ადგილობრივი წარმოების სხვა პროდუქცია. სამრეწველო საკომპენსაციო გარიგებებში შესაძლებელია მონაწილეობდეს შუამავალი. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორი შემხვედრი შესყიდვის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ რისკს გადააკისრებს სპეციალურ ფირმა შუამავალს (ან საკომპენსაციო საწარმოს), რომელიც რისკისთვის იღებს გარკვეულ ჯილდოს (დისკონტს). როგორც ვხედავთ გლობალურ ბაზარზე საერთაშორისო ვაჭრობის ტექნიკური ინსტრუმენტების სახეცვლილებები ტრანსნაციონალური კორპორაციების მიმართ სახელმწიფოების მხარდაჭერითაა განპირობებული. გლობალური ბაზრის გაფართოებას განუხრელად მოჰყვება სახელმწიფოთა ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერება და განვითარება.

რაც შეეხება საკომპენსაციო ვაჭრობის მოცულობას, ძნელია მოვიყვანოთ რეალური ციფრები, რომლებიც მსოფლიო ვაჭრობაში მისი წილის ზრდას მოწმობს. მოცემული საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, ეს წილი 5%-დან 40%-მდე ვარირებს<sup>49</sup>. უფრო ცალსახაა სპეციალისტების აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საკომპენსაციო გარიგებების მოცულობა სწრაფად იზრდება. თავდაპირველად მსგავსი გარიგებები ახასიათებდა მხოლოდ „აღმოსავლეთ-დასავლეთს“ შორის ვაჭრობას. შემდგომში საკომპენსაციო პრინციპი გავრცელდა „ჩრდილოეთ-სამხრეთ“ და „სამხრეთ-ჩრდილოეთ“ შორის ვაჭრობაზე. ვაჭრობის საკომპენსაციო რეჟიმზე გადავიდა ათეულობით ქვეყანა პირველი სანავთობო კრიზისის (1972-1973წწ) შემდეგ და მრავალი მათგანი დღესაც სისტემატურად იყენებს შემხვედრი შესყიდვის სახელმწიფო ვალდებულების პრაქტიკას. შემხვედრი შესყიდვები კომერციული კომპენსაციის მეტნაკლებად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ასევე აგრძელებს არსებობას ბარტერული ვაჭრობაც. იგი შედარებით გავრცელებულია განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებმაც დააგროვეს დიდი საგარეო ვალები და შესაბამისად შეზღუდული საფინანსო შესაძლებლობები აქვთ. წარმოების გამოსყიდვა (Buy-Back) გავრცელებულია ჩინეთში, რადგან ამ ქვეყნის ფაქტორული შესაძლებლობები და შიდა ბაზრის მოცულობა გრანდიოზულია. ამ დროს, შემხვედრი

<sup>49</sup> 1990წ. GATT-ის სისტემაში განხორციელებული კვლევებით, მსოფლიო ვაჭრობაში საკომპენსაციო გარიგების წილი მერყეობდა 10-20%-მდე. აღნიშნული შეფასება აწარმოა კომერციული კომპენსაციის ასოციაციამ ACECO . (იხ. Written comment on certain tariffs and trade bills – Wash.:Gov. print of., 1991/102 d.Congr., ICT cec., wall.1,p152 )




სამრეწველო შესყიდვები და ოფსეტური ვაჭრობა უფრო დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც განსაზღვრული ინდუსტრიული და ტექნოლოგიური წანამძღვრები გააჩნიათ (ნოუ-ჰაუ), რაც ამ სახის ოპერაციების განხორციელებისთვის აუცილებელია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საკომპენსაციო (მათ შორის ბარტერული) კონტრაქტების საფუძველზე მიმდინარე სავაჭრო ნაკადების შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია. მცირე ღია ეკონომიკებში კი (მათ შორის საქართველოში), ასეთი ინფორმაცია თითქმის არ არსებობს, რაც ამ ნაკადების სტატისტიკის აღრიცხვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს. ასეთი ტიპის კონტრაქტების აღრიცხვიანობა და ამ პროცესების ხელშეწყობა აუცილებელია ქვეყნებში სავაჭრო ნაკადების ტენდენციების კვლევისა და სწორი ორიენტირების დადგენის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მოქმედი საგარეო-სავაჭრო გარიგებების მექანიზმები უფრო რთული და დახვეწილი ხდება. აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებმაც დაიწყეს მრავალმხრივი საკომპენსაციო სისტემის გამოყენება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხრეთი საფინანსო კომპენსაციის პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ქვეყანა ექსპორტიორისთვის გადახდა ხორციელდება მისთვის მისაღები (სავალუტო კრედიტების ან პროდუქციის) ტრანსფერის ფორმით, რომელსაც იმპორტიორი მესამე ქვეყნის მიმართ ახორციელებს. სხვა სიახლე ე.წ. საკომპენსაციო ობლიგაციების გამოშვებაში მდგომარეობს. ეს მექანიზმი პირველად ინდონეზიასა და ავსტრალიაში იქნა გამოყენებული.

საერთაშორისო ვაჭრობის ფორმები, რომელიც უმეტესად განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის ტრანსნაციონალიზაციის პირობებში შეიძლება სქემტურად წარმოვიგინოთ სქემა 1.1-ით.

საერთაშორისო ვაჭრობის ფორმები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

T.Mikaberidze (2015), The role of advances international trade technologies for small open economies. *EU-SPRI - European Forum for Studies of Policies for Research and Innovation*. Rome, Italy

იხილეთ: [http://www.euspri-forum.eu/archives/ecc/ecc\\_october\\_2015/nieuw-categorien-1/](http://www.euspri-forum.eu/archives/ecc/ecc_october_2015/nieuw-categorien-1/)

საკომპენსაციო ოპერაციების სწრაფი გავრცელება, სირთულე და მზარდი დივერსიფიკაცია მოწმობს, რომ მსოფლიო ვაჭრობაში „ფულით გარიგებიდან“ აქცენტი გადადის „ფულის მონაწილეობის გარეშე გარიგებებზე“. სწორედ ამ პროცესმა უზრუნველყო საკომპენსაციო ოპერაციების სწრაფი გაფართოება. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ოპერაციები ე.წ. იძულებით ვაჭრობას ეხება. საერთაშორისო ორგანიზაციები საკომპენსაციო გარიგებებს განიხილავენ, როგორც ორმხრივი ურთიერთობის პალიატიურ (დასახული ამოცანის დროებითი, ნაწილობრივი გადაწყვეტის) მეთოდს. საკომპენსაციო გარიგებების სწრაფი ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეკონომიკური კრიზისებითა და

საერთაშორისო ეკონომიკური გარემოს გარკვეული დეგრადაციით, რომლის მახასიათებლად გვევლინება:

*საერთაშორისო ვაჭრობის ზღის ტემპის შენელება და არასტაბილურობა; ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ბაზრის მზარდი არამდგრადობა.* ნედლეულის ექსპორტიორ ქვეყანას ვაჭრობის საკომპენსაციო რეჟიმი საშუალებას აძლევს შეარბილოს მიწოდების ვარდნის ეფექტი და შეინარჩუნოს სანედლეულო საქონლის ექსპორტის მოცულობა. ამგვარად, 1970-იანი წლების ბოლოს OPEC-ის ქვეყნების ნავთობის ექსპორტის 14% საკომპენსაციო გარიგებების ობიექტი იყო.<sup>50</sup>

*სავალუტო კურსების არამდგრადობა.* საკომპენსაციო ვაჭრობა საშუალებას აძლევს საგარეო ვაჭრობაზე მეტნაკლებად დამოკიდებულ ქვეყნებს შეზღუდონ სავალუტო კურსების რხევასთან დაკავშირებული რისკები;

*პროტექციონიზმის ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში.* პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ურთიერთ დაბალანსებისკენ, რაც საშუალებას იძლევა შერბილდეს პროტექციონისტური ღონისძიებები;

*მდლადი დავალიანება მრავალი განვითარებადი, აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში.* საკომპენსაციო შეთანხმებები ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს ხელი შეუწყოს საკუთარ იმპორტს, სავალუტო რესურსების დეფიციტისა და საგარეო კრედიტების ხელმისაწვდომობის სიძნელეების მიუხედავად;

*სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნებისთვის საკომპენსაციო გარიგებები რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნების საშუალებას წარმოადგენს.* ასეთ ვითარებაში განვითარებადი ქვეყნები ახერხებენ გადალახონ ორმაგი წინააღმდეგობა, რომელიც მდგომარეობს მათ გადახდის უუნარობასა და ვალუტების არასტაბილურობაში;

*საკომპენსაციო გაანგარიშების სისტემა უზრუნველყოფს სანედლეულო საქონლით მომარაგების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.* იგი წარმოადგენს ურთიერთსასარგებლო ინსტრუმენტს, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის;

---

<sup>50</sup> Hellwin L. (1995). Trade policy and distortions in intra – Asian trade. *Economics. Appl L.*, vol. 27, N11, p. 1031-1036

ფორმებისთვის, რომლებიც შეგნებულად ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკას მსოფლიო ბაზარზე, საკომპენსაციო გარიგებების პირობები კონკურენტულ ბრძოლაში სერიოზულ უპირატესობას იძლევა. მნიშვნელოვან წილად სწორედ, საკომპენსაციო გარიგებების მეშვეობით ხდება დასავლური ტექნოლოგიისა და ტექნიკის შეღწევა აღმოსავლეთ ბაზრებზე. საკომპენსაციო გარიგებების საფუძველზე ხორციელდება ჩრდილოეთსა და სამხრეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარება და საწარმოო თანამშრომლობის შესაძლებლობების ძიება.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ დიდი საგარეო დავალიანება, საკომპენსაციო გარიგებები აინტერესებთ იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ისინი შეძლებენ დავალიანების მართვას ისე, რომ ვალების რესტრუქტურისაციის მეცხრე პირობებს თავს აარიდებენ (რომელიც მათ მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, პარიზის კლუბის ან სხვა ორგანიზაციის მიერ).

დღეს, სულ უფრო პრობლემური ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარსულში (1980წ) გატარებული დეფლაციური რეგულირების ზომების ეფექტიანობის საკითხი. გლობალური კრიზისის პირობებში ანტიინფლაციური (მეცხრე მონეტარული) პოლიტიკის გატარება მსოფლიო ბაზრის ეკონომიკური აგენტების სავაჭრო, სავალუტო და საბანკო სფეროებში ურთიერთდამოკიდებულების მიზეზით შეუძლებელია. გზავნილი „არ არის ვალუტა, არ არის კონტრაქტი“ დღეს მოძველებულია. განვითარებადი ქვეყნების როგორც ბიზნესმა ასევე ხელისუფლებებმა აუცილებელია შეცვალონ იგი სლოგანით – „რომ გაყიდო აუცილებელია დათანხმდე ყიდვაზე“.

საკომპენსაციო გარიგებების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა პირველადი ნედლეულის ბაზრის სტაბილიზებას ახდენს. ამ ბაზრის ყველა მონაწილის ინტერესთა ჰარმონიზება მიმდინარეობს არა მარტო ფასებთან დაკავშირებით, არამედ რეალიზებული პროდუქციის მოცულობისა და გარიგების რენტაბელობის თვალსაზრისითაც. ამასთანავე, ამ ბაზრებზე არასტაბილურობა მეტწილად მიწოდების მოცულობას ახასიათებს (ვიდრე ფასების დინამიკას).

საკომპენსაციო გარიგებებში სამრეწველო პროდუქტის როლში შეიძლება ერთობლივი განვითარების პროექტები და ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში

თანამშრომლობა გამოდიოდეს. ამ შემთხვევაში, მომგებიანობის სწრაფი ამაღლების ინტერესებმა ადგილი უნდა დაუთმოს გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობის უპირატესობასა და საერთაშორისო სოლიდარობას. საკომპენსაციო გარიგებები სამრეწველო პროდუქტებზე წარმოიქმნა, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის გართულებაზე (ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის) საპასუხო ქმედება. დღეს ის გვევლინება, როგორც გამოსავალი მუდმივად წარმოქმნადი კრიზისული სიტუაციებიდან. საკომპენსაციო გარიგებებმა მნიშვნელოვანად შეცვალეს საერთაშორისო ვაჭრობის სქემა. ამ კონტრაქტების გავრცელებამ მოახდინა გადატრიალება საგარეო ვაჭრობაში სალდოს მქონე ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების გეოგრაფიაში (დეფიციტური სალდოები შეიცვალა პროფიციტური სალდოთი და პირუკუ) და გადაანაწილეს მსოფლიო ბაზრის გეოგრაფია. უფრო ფუნდამენტურ ჭრილში, საერთაშორისო ვაჭრობამ და საერთაშორისო კონკურენციამ საკომპენსაციო გარიგებების ზემოქმედებით განიცადა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის სიღრმეებში შეაღწია. მსოფლიო ეკონომიკამ (რომელიც ჩამოყალიბდა XX ს. შუა პერიოდამდე), სტრუქტურული მოდიფიკაცია განიცადა. იგი გამოიხატება მონაწილე ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტებისა და ავტონომიების განსაზღვრულ შეზღუდვასა და რეგულირების ეროვნული პოლიტიკის ეფექტიანობის დაქვეითებაში. საერთაშორისო ასპექტით ამას არ გამოუწვევია დეზინტეგრაცია, პირიქით, განაპირობა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული სახელმწიფოების როლის ცვლილების გზით. მრავალი ქვეყნის ეკონომიკა გახდა ტრანსნაციონალური. ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც იქცნენ სამრეწველო და სავაჭრო კოორდინაციის ცენტრებად დღეისათვის გარდაისახებიან საერთაშორისო ვაჭრობის წამყვან ფაქტორად: „ისინი ამყარებენ ისეთ სავაჭრო ურთიერთობებს კორპორაციის შიგნით (შვილობილ კომპანიებს შორის) და ერთმანეთს შორის, რომლებიც ეროვნულ საზღვრებს მნიშვნელოვნად სცილდება”.<sup>51</sup> სწორედ შემხვედრი და ბარტერული ტრანზაქციების ტექნოლოგიებმა კიდევ უფრო გააძლიერა შეგადაგრობრივი ვაჭრობა და ურთიერთდამოკიდებულება როგორც ფირმებს, ასევე დარგებს შორის.

<sup>51</sup> Brown, R.H. (1995). The national export strategy.-Third annual report to the United States Congress //Business America. - wash., vol. 116, 1110, p. 1-145.

ტრანსნაციონალური ეკონომიკა ეჭვს გარეშეა, რომ კონფლიქტებისა და ძლიერთა დიქტატის ოლიგოპოლიურ სისტემას წარმოადგენს. იგი კოალიციური ურთიერთობების სამყაროს ქმნის. აღნიშნული ვითარება საერთაშორისო ვაჭრობას სტრატეგიული ალიანსებისა და პოლიტიკის შეჯახების პლაცდარმად აქცევს. ამ პროცესებში მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის (მათ შორისაა საქართველო) ეკონომიკური სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთ გზას სწრაფი ეკონომიკური განვითარება და საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი მცირე ნიშის მოძიება და დამკვიდრება წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, ამ პროცესში საქართველო ცდილობს გააკეთოს სწორი არჩევანი საგარეო ვაჭრობის ეფექტიანი სტრუქტურისა და რაციონალური, საბოლოო მიზანზე ორიენტირებული სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით, რომელშიც პროდუქტებით შემსვედრი და ბარტერული გარიგებები მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს.

## თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანიზაციისა და სავაჭრო რეჟიმების როლი განვითარების პროცესში

### 2.1 საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო სისტემაში

ჩვენი მიზანია განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და მიმართულებები, ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები და ზრდის პერსპექტივები უახლესი სავაჭრო თეორიებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესრიგთან თავსებადობის პირობებში, რამდენად სრულდება ხელშეკრულებები და რა პრობლემები არსებობს მათი ეფექტიანად გამოყენების პროცესში, და უწყობს თუ არა ხელს რეალურად ვაჭრობის ზრდას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ზოგადად სავაჭრო სისტემა გეთავაზობს სარგებლის უფრო ფართო სპექტრს. WTO-ში არ ამტკიცებენ, რომ აქ ყველაფერი სრულყოფილია, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო შემდგომი მოლაპარაკებები, სისტემის მუდმივი განვითარება და რეფორმები. ეს იმასაც არ ამტკიცებს, რომ ვმო-ში ყველა ერთმანეთს ეთანხმება. ეს არის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ არსებობდეს სისტემა: ეს არის ფორუმი ქვეყნებისთვის, სადაც არსებობს შესაძლებლობა გულდასმით განიხილონ საკუთარი განსხვავებები ვაჭრობის საკითხებზე.

სისტემის არსებობა ზოგადად ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას. ეს უდერს, როგორც გადაჭარბებული შეფასება, თუმცა აღსანიშნავია, რომ სისტემის მუშაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაში, და თუ გვესმის რატომ, ჩვენ გვაქვს უფრო მკაფიო სურათი იმისა, თუ რას აკეთებს სისტემა რეალურად.

მშვიდობა ნაწილობრივ არის სავაჭრო სისტემის ორი ფუნდამენტური პრინციპის შედეგი: ხელი შეუწყოს სავაჭრო ნაკადების დინამიურობას და უზრუნველყოს ქვეყნების სავაჭრო დავების დარეგულირება კონსტრუქციული და კანონიერი შესაძლებლობებით. ეს არის ასევე საერთაშორისო ნდობისა და თანამშრომლობის შედეგი, რომელსაც სისტემა ქმნის და ამყარებს.

ისტორიულად ცნობილია ბევრი მაგალითი სავაჭრო დაპირისპირებისა, რომელიც ომში გადაიზარდა. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული იყო 1930-იანი წლების სავაჭრო ომი, როდესაც ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სავაჭრო ბარიერების აწევაში, რათა დაეცვათ ადგილობრივი პროდუქცია და ეპასუხათ ერთმანეთის ბარიერებზე (საპასუხო ზომები). ამან გააღრმავა დიდი დეპრესია და, საბოლოოდ, მეორე მსოფლიო ომის პროვოცირება მოახდინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი ფაქტორის განვითარებამ ხელი შეუწყო ომის წინა სავაჭრო ტენდენციების თავიდან აცილებას. ევროპაში შეიქმნა საწვავის, რკინისა და ფოლადის საერთაშორისო თანამშრომლობა. გლობალურად, კი ჩამოყალიბდა გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ.

ორივე ინსტიტუციას ჰქონდა დიდი წარმატება, ისინი მნიშვნელოვნად გაფართოვდნენ – ერთი გახდა *ევროკავშირი*, მეორე – *ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია*.

WTO-ს მესვეურებს მიაჩნიათ რომ, არსებობს სულ მცირე 10 მიზეზი, რის გამოც ჩვენთვის უმჯობესია სისტემაში ყოფნა, ვიდრე მის გარეშე:

- სისტემა ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას;
- დაგების კონსტრუქციულად გადაწყვეტას;
- კანონები ყველასთვის აიოლებს ცხოვრებას;
- უფრო თავისუფალი ვაჭრობა ამცირებს ცხოვრების ხარჯებს;
- უზრუნველყოფს პროდუქციისა და ხარისხის მეტ არჩევანს (ზრდის კონკურენციას);
- ვაჭრობა ზრდის შემოსავლებს;
- ვაჭრობა ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას;
- ძირითადი პრინციპები ცხოვრებას ხდის უფრო ეფექტიანს;
- მთავრობები აღარ ლობივდებიან;
- სისტემა უზრუნველყოფს კარგ მმართველობას<sup>52</sup>.

რამდენადაც ვაჭრობის გაფართოვება ზრდის პროდუქციის ასორტიმენტს, ვაჭრობაში ჩართული ქვეყნებისა და პროდუქციის რაოდენობას, ამცირებს ტრანზაქციულ დანახარჯებს, იზრდება დაგების წარმოქმნის შანსი. WTO-ს სისტემა

<sup>52</sup> 10 benefits from the WTO trading system (2008). World Trade Organization. WTO OMC ISBN 978-92-870-3436-6 p.3



ხელს უწყობს დაგეგმვის მშვიდობიანად და კონსტრუქციულად გადაწყვეტას. მოდავე ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ შეთანხმების შესაბამისად მოიქცნენ. ვერ ვიტყვით, რომ WTO-ს ხელშეწყობით ქვეყნები თანასწორნი არიან, თუმცა აღსანიშნავია, რომ იგი აღმოფხვრის ზოგ შეთანხმებებს, რადგან მცირე ქვეყნებს ეძლევათ მეტი ხმა, მათ შეუძლიათ მეტად „ივაჭრონ“ მოლაპარაკების დროს, ამასთან, ძირითად მოთამაშეებს უადვილდებათ სავაჭრო შეთანხმებებზე მოლაპარაკების პროცესები მრავალრიცხოვან პარტნიორებთან. რაც შეეხება ცხოვრების ხარისხსა და ფასს: სავაჭრო პოლიტიკა გავლენას ახდენს ყველა იმ ფასზე რასაც ვიხდით საკვებში თუ ტანსაცმელში, ყოველდღიური მოხმარებისა თუ ფუფუნების საგნებში. პროტექციონიზმი აძვირებს ცხოვრებას, ზრდის ფასებს. WTO-ს გლობალური სისტემა მოლაპარაკებების შედეგად ამცირებს სავაჭრო ბარიერებს და ავრცელებს არადისკრიმინაციულობის პრინციპს. შედეგად ვიღებთ შემცირებულ წარმოების ხარჯებს (რადგან წარმოებაში გამოყენებული იმპორტირებული პროდუქცია უფრო იაფია), საქონლისა და მომსახურების უფრო დაბალ ფასს, და ბოლოს ცხოვრების უფრო დაბალ ღირებულებას.

სავაჭრო პოლიტიკა ასახავს ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ორ სფეროს: საქონლით და მომსახურებით ვაჭრობას, განსაზღვრავს საერთაშორისო სავაჭრო მიმოქცევაში არსებული საქონლისა და მომსახურების საგარეო ბაზრებზე დაშვების პირობებს, ასევე არეგულირებს ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური პროდუქციის შეღწევას და განსაზღვრავს ქვეყნის მონაწილეობის სუბიექტურ პირობებს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ზოგადად სავაჭრო პოლიტიკა განსაზღვრავს ეროვნული და მსოფლიო ბაზრების ურთიერთქმედების პირობებს.

კონკრეტული ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა კი გამოხატულებას ჰპოვებს ქვეყნის სავაჭრო რეჟიმის სახით. სავაჭრო რეჟიმი იმ დონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება კონკრეტული დროის მონაკვეთში კონკრეტულ ქვეყანაში ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური საქონლისა და შეღწევის რეგულირებისთვის და, ასევე, განსაზღვრავს საგარეო ბაზრებზე ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების დაშვების პირობებს.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობას მრავალფეროვანი სავაჭრო რეჟიმები გაჩნიათ თავიანთ პარტნიორ ქვეყნებთან. ამ რეჟიმების ხასიათს განსაზღვრავს ძირითადად: ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები; მათი მონაწილეობა რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში; ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის დახმარების პროგრამები და სხვა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში განასხვავებენ შემდეგ სავაჭრო რეჟიმებს:

➤ **საბაზო** - ჩვეულებრივი სავაჭრო რეჟიმი, რომლითაც ქვეყანა ვაჭრობს იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც არ აქვს: ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებით მოქმედი განსხვავებული რეჟიმი და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობიდან გამომდინარე სავაჭრო ურთიერთობები.

➤ **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი** (MFN) - WTO-ს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის არადისკრიმინაციულობის ელემენტს წარმოადგენს. ამ რეჟიმით მოსარგებლე ქვეყანას ანიჭებენ ბაზარზე დაშვების ისეთ პირობებს, რომელიც არანაკლებია ნებისმიერი მესამე ქვეყნისთვის მინიჭებულზე (გარკვეული გამონაკლისებით). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრივილეგია, რომლითაც სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მქონე ქვეყნის (მიუხედავად იმისა, არის, თუ არა ის GATT-ს ხელშემკვრელი) პოდუქცია, უნდა მიენიჭოს WTO-ში გაწევრიანებისას ყველა წევრის პროდუქციას. ამ მიდგომას ითვალისწინებს მომსახურებაზე და მომსახურების მიმწოდებლებზე მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (GATS). იგი ასევე ეხება ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობასა და განმტკიცებაზე ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ შეთანხმებას (TRIPs). GATT-ის I თავის 1 მუხლის თანახმად, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი საქონელთან მიმართებაში ნიშნავს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომელსაც რომელიმე ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს ნებისმიერ პროდუქციას, რომელიც წარმოებულ იქნა ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან განკუთვნილია ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის, დაუყოვნებლივ და უპირობოდ

მიენიჭება მსგავს პროდუქციას, რომელიც წარმოებულ იქნა ან განკუთვნილია ყველა დანარჩენი ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიებისთვის.

ამ რეჟიმით ვაჭრობა შესაძლებელია ასევე დამყარდეს ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე. დღეისათვის საქართველო 160-ზე მეტი ქვეყნის მხრიდან სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით, რომელსაც თავის მხრივ თითონაც ანიჭებს.

სავაჭრო პარტნიორებს შორის არადისკრიმინაციულობა მეტად მნიშვნელოვანია სავაჭრო ლიბერალიზაციიდან მოგებათა სწრაფად და სამართლიანად მიღების ინტერესების თვალსაზრისით. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ქმნის მულტიპლიკატორულ ეფექტს. რაც ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეთანხმებულ კონცესიებს (სატარიფო დათმობებს) გარდაქმნის მოგებად ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. პრინციპი თანაბარ შესაძლებლობას უქმნის ყველა უცხოელ სავაჭრო პარტნიორს ისარგებლოს ბაზრის ლიბერალიზაციიდან.

➤ **პრეფერენციული რეჟიმები** - ითვალისწინებს შეღავათიანი რეჟიმებით ვაჭრობას. მისი შემდეგი სახეები არსებობს:

- **სიმეტრიული პრეფერენციული რეჟიმები** - ითვალისწინებს ქვეყნებს შორის შეღავათიანი სავაჭრო პირობების/ტარიფების ურთიერთდაწესებას. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია **უბაჟო/თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო კავშირის რეჟიმები**. ორივე ეს რეჟიმი გულისხმობს ქვეყნებს შორის უბაჟო ვაჭრობას, განსხვავება კი ის გახლავთ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისას მონაწილე ქვეყნები იყენებენ საკუთარ სატარიფო პოლიტიკას მესამე ქვეყნების მიმართ, ხოლო საბაჟო კავშირის დროს წევრ ქვეყნებს მესამე ქვეყნების მიმართ ერთიანი სატარიფო პოლიტიკა გააჩნიათ.

- **ასიმეტრიული პრეფერენციული რეჟიმები** - გულისხმობს ცალმხრივი საბაჟო-სატარიფო შეღავათების მინიჭებას და ეკონომიკური დახმარების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. იგი ყალიბდება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ქვეყნებს შორის, ასეთ რეჟიმებს განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურად შედარებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ანიჭებენ. ასიმეტრიული პრეფერენციების ბენეფიციარი ქვეყნებისთვის დაწესებული ტარიფი უფრო დაბალია

ვიდრე რეჟიმით გათვალისწინებული, ხშირ შემთხვევაში პროდუქციის საბაჟო გადასახადისგან მთლიანად გათავისუფლებას ითვალისწინებს.

განვითარებული ქვეყნები სხვადასხვა დონის ასიმეტრიულ, პრეფერენციულ რეჟიმებს ავრცელებენ ქვეყნების ჯგუფებზე სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, კერძოდ: განვითარების დონით, გეოგრაფიული მდებარეობით, საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების დაცვის ხარისხითა და სხვა. ყველაზე გავრცელებული ფორმაა პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP), რომლის მიზანია განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის ხელშეწყობა. განვითარებული ქვეყნებისგან GSP-ს ბენეფიციარის სტატუსის მისაღებად ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ეკონომიკა უნდა იყოს განვითარების სტადიაზე; უნდა ჰქონდეს თავისი სავაჭრო-სატარიფო სისტემა; უნდა განაცხადოს საბაჟო გადასახადებში სპეციალური შეღავათების მიღების სურვილი; პრეფერენციების მიმნიჭებელი ქვეყნის მთავრობამ, მსურველი ქვეყანა უნდა მიაკუთვნოს იმ ქვეყნების რიცხვს, რომელზეც შეიძლება შესაბამისი წესით ასეთი შეღავათები გავრცელდეს.

➤ **მეაცრი/პროტექციონისტული რეჟიმი** - ადგილობრივი კომპანიებისთვის, უცხოურ კომპანიებთან კონკურენციაში ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს უცხოური კომპანიების დაშვებას ადგილობრივ ბაზარზე. მისი ფორმებია:

- **ანტიდემპინგური გადასახადები** - გამოიყენება დემპინგური იმპორტის მიმართ და წესდება საბაჟო გადასახადთან ერთად, დამატებითი გადასახადის სახით;

- **საკომპენსაციო გადასახადი** - გამოიყენება ისეთი სუბსიდირებული ექსპორტის მიმართ, რომელიც ზიანს აყენებს ადგილობრივ მწარმოებლებს, ან ქმნის ზარალის მიყენების რეალურ საფრთხეს. ამ შემთხვევაში წესდება დამატებითი საკომპენსაციო გადასახადი, რომელიც იმპორტირებული პროდუქციის ფასში სუბსიდიის წილის ტოლია;

- **დისკრიმინაციული კვოტები და ემბარგო** - გულისხმობს პოლიტიკური ან ეკონომიკური მოსაზრებების გამო სახელმწიფო ორგანოების მიერ ვალუტის, საქონლის, სხვადასხვა ფასეულობების რომელიმე ქვეყანაში შეტანის, ან რომელიმე ქვეყნიდან გამოტანის რაოდენობრივ შეზღუდვას (კვოტა) ან აკრძალვას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში საერთაშორისო ვაჭრობის სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი გულისხმობს საექსპორტო და საიმპორტო კვოტების აკრძალვას და მის ნაცვლად უპირატესობას ტარიფების გამოყენებას ანიჭებს. მართალია, ორივე მათგანი ზიანს აყენებს ვაჭრობას, თუმცა ტარიფები შედარებით უფრო ნაკლებად საზიანოა, ვიდრე კვოტა და შეიძლება დადგინდეს უფრო გამჭვირვალე მეთოდებით, თანაც რეგულირების მეთოდებიდან ყველაზე ეფექტურად ემორჩილება პროგრესულ შემცირებას დადგენილი დროის პერიოდში.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზი, რის გამოც ტარიფებს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კვოტასთან შედარებით... ფასების გავლენა და ქვოტით გამოწვეული კონკურენციული დამახინჯება - გაცილებით ნაკლებ გამჭვირვალეა, ვიდრე ტარიფების შემთხვევაში. კვოტა, ისევე როგორც ტარიფი, წარმოშობს გადასახადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს საშუალება ექნებათ მაღალი ფასები დაადონ თავიანთ საქონელს და ამდენად, მიიღებენ უფრო მეტ სარგებელს. თუმცა ტარიფების შემთხვევაში მთავრობა იღებს სატარიფო გადასახადებს. ეს ხშირად არ ხდება კვოტის შემთხვევაში.

GATT-ის ჩამოყალიბების შემდეგ შემცირდა რა ტარიფები და გლობალური ვაჭრობა გაფართოვდა, WTO-ს წევრმა ქვეყნებმა ყურადღება გადაიტანეს არასატარიფო ბარიერებზე. თუ GATT-ის საქმიანობის შედეგად საბაჟო გადასახადები მცირდებოდა, არასატარიფო ბარიერების გამოყენების პრაქტიკა მატულობდა. ვაჭრობაში არსებულ შეზღუდვათა მკვეთრად გადიდებას არასატარიფო შეზღუდვების ფართოდ გამოყენებას „ახალ პროტექციონიზმს“ (ე.წ. ნეოპროტექციონიზმს) უწოდებენ.

არასატარიფო ბარიერები ქმნიან შემდეგი სახის წინააღმდეგობებსა და რისკებს:

- წარმოების სუბსიდიების გარკვეული ტიპები, რომლებიც აბრკოლებენ ვაჭრობას;
- რთული საბაჟო პროცედურები;
- ბიზნესის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული კორუფცია;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები. მაგ: მარკირებისა და შეფუთვის რთული მოთხოვნები;

➤ ნებისმიერი ტიპის სავაჭრო წესების არასათანადო გამოყენება. მაგ. წესების არასწორი გამოყენება იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო საქონელზე (ადამიანთა და ცხოველთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან დაკავშირებული წესები მოცემულია GATT/WTO-ში სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების სახით). დეტალურად ეს საკითხები განხილულია მე-4 თავში.

GATT/WTO-ს 50 წლიანი საქმიანობის ისტორიაში, 8 ძირითადი რაუნდის ჩატარების შემდგომ დღეს სატარიფო და არასატარიფო ბარიერები ყველაზე დაბალია და ჩვენ ყველა ამით სარგებელს ვიღებთ: ყველა საქონელი და მომსახურება რაც გაგვაჩნია იმპორტის შედეგია. არასეზონური ხილი და ბოსტნეული, ტანსაცმელი, სხვა ეგზოტიკური პროდუქცია, ყვავილები მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, ყველა სახეობის საყოფაცხოვრებო საქონელი, წიგნები, მუსიკა, ფილმები და ა. შ. ფართო არჩევანი არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მომხმარებელი ყიდულობს იმპორტირებულ პროდუქციას, იმპორტი ზრდის ტექნოლოგიების ხარისხს, რომლითაც იწარმოება ადგილობრივი პროდუქტი. ზოგჯერ იმპორტირებული საქონლის ან მომსახურების წარმატებამ შიდა ბაზარზე შეიძლება წაახალისოს ადგილობრივი მწარმოებლები ჩაებან კონკურენციაში. შედეგად მომხმარებლები სარგებლობენ ფართო ასორტიმენტით და მაღალი ხარისხით. რამდენადაც ვაჭრობა შესაძლებლობას გვაძლევს: „ჩვენ“ მეტი იმპორტი განვახორციელოთ, „სხვებს“ კი ჩვენი ექსპორტის მეტი რაოდენობა შეიძინონ. ეს ზრდის „ჩვენს“ შემოსავლებს და გვთავაზობს მეტ არჩევანს. თუმცა, საჭიროა უფრო დეტალურად განვიხილოთ სატარიფო და არასატარიფო პოლიტიკა მსოფლიო სავაჭრო სისტემაში.

## 2.2 განვითარებადი ქვეყნების სატარიფო პოლიტიკა

საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ახდენს, ეკონომიკური ზრდა კი დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს, თუმცა, ისიც შეესაბამება სიმართლეს, რომ ზოგიერთი სამუშაო ადგილი იკარგება ვაჭრობის გაფართოვებით. აქ ორ პრობლემასთან გვაქვს საქმე: პირველ რიგში, საქმე ეხება სხვა ფაქტორებს, მაგალითად ტექნოლოგიურ პროგრესს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა დასაქმებასა და წარმოებაზე, სარგებელს უზრდის რა ზოგ სამუშაო ადგილს, ზოგს კი

აზარალებს. მეორე მხრივ, რამდენადაც ვაჭრობა აშკარად ზრდის ეროვნულ შემოსავალს (და კეთილდღეობას), ეს ყოველთვის არ გულისხმობს ახალ სამუშაო ადგილებს მათთვის, ვინც დაკარგა სამუშაო იმპორტთან კონკურენციის შედეგად. ამასთან ზოგ ქვეყანაში მუშების მიერ ახალი სამუშაოს პოვნას საკმაოდ დიდი პერიოდი სჭირდება. ფაქტები იმასაც მოწმობს, თუ რამდენად უწყობს ხელს უმუშევრობის ზრდას პროტექციონისტული პოლიტიკა (ზემოთგანხილული). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლევადიან პერიოდში ვაჭრობის შეზღუდვით პრობლემის დაძლევის მცდელობა გადაიქცა უფრო დიდ პრობლემად გრძელვადიან პერიოდში<sup>53</sup>.

განვითარებად ქვეყნებში იმპორტის სატარიფო ლიბერალიზაცია დაიწყო უფრო გვიან, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებადი სახელმწიფოები, მათ შორის, მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნები (ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია), გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე ინარჩუნებდნენ მაღალ საიმპორტო ბარიერებს. მსოფლიო მეურნეობის სისტემაში განსაკუთრებული სტატუსის ქონა სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, შესაძლებლობას აძლევდა მათ ესარგებლათ საბაჟო გადასახადებით მრეწველობის ახალი დარგების უცხოური კონკურენციისგან დასაცავად, მოეპოვებინათ პრეფერენციული წვდომა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

ეროვნული წარმოებების ჩამოყალიბებისა და ამ წარმოებების მიერ შიდა ბაზრის ათვისების პერიოდში, აზიისა და ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ახალი სამრეწველო ქვეყანა თავიანთ შიდა ბაზარს იცავდა მაღალი ტარიფით, რაც ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მსოფლიო ბაზრის უფრო მაღალ მოთხოვნებთან ადაპტაციის შესაძლებლობას იძლეოდა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის საშუალო არითმეტიკული ტარიფი ინდოეთში (1990წ.) შეადგენდა დაახლოებით 84,1%-ს, ჩინეთში (1992წ.) – 44,9%-ს, ბრაზილიაში (1991წ.) – 26,3%-ს<sup>54</sup>.

90-იანი წლების დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნეოდა საბაჟო ტარიფების შემცირების ტენდენცია, რაზეც ძირითად გავლენას ახდენდა: ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზებისკენ მიმართული სახელისუფლებო გადაწყვეტილებები,

<sup>53</sup> [https://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/10ben\\_e/10b00\\_e.htm#10benefit\\_menu](https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/10ben_e/10b00_e.htm#10benefit_menu)

<sup>54</sup> The World Bank. World Development Indicators, 2000, pp.330-332

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე იმპორტის ლიბერალიზება და სხვადასხვა სახელმწიფოსთან პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების მიღწევა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, განვითარებადმა ქვეყნებმა საკუთარი ინიციატივით ცალმხრივად შეამცირეს იმპორტზე ტარიფების დაახლოებით 2/3, დაახლოებით 1/4 - ურუგვაის რაუნდის ფარგლებში წარმოებული მრავალმხრივი მოლაპარაკებების შედეგებიდან გამომდინარე, ხოლო დანარჩენი 9-10% - რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკური გაერთიანებების ფარგლებში<sup>55</sup>.

სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებში ობიექტურად არსებულმა განსხვავებებმა, განვითარებადი ქვეყნების საიმპორტო საბაჟო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესის უთანაბრობა განაპირობა. ზოგიერთ ქვეყანაში (ბუტანი, ზიმბაბვე, მადაგასკარი, შრი-ლანკა, უგანდა), მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის საშუალო დონე ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა.

ბევრი განვითარებადი ქვეყნის საბაჟო ტარიფი არასტაბილურია, ვინაიდან ქვეყნებმა შეინარჩუნეს იმპორტული საბაჟო გადასახადების მნიშვნელოვანი გაზრდის შესაძლებლობა: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლისას მათ საბაჟო გადასახადების განაკვეთების მაღალ დონეზე „მიბმა“ განახორციელეს, მაგრამ, რეალურად, ისინი უფრო დაბალ ტარიფებს იყენებდნენ (ცხრილი 2.1)

მეურნეობის განვითარების დონის დიდი დიფერენციაციის გამო, ქვეყანათა ჯგუფისათვის დამახასიათებელია იმპორტული ტარიფის საშუალო არითმეტიკული სიდიდის ფართო დიაპაზონი. შედარებით დაბალი შემოსავლების დონის მქონე განვითარებადი ქვეყნები შედარებით უფრო ხშირად იყენებენ ინტენსიურ საბაჟო-სატარიფო დაცვას. აფრიკის რამდენიმე სახელმწიფოს (სუდანი, ტუნისი, მაროკო) ფაქტიური საშუალო ტარიფი 20% და უფრო მაღალია. ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში (საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი და ა.შ.), აგრეთვე სამრეწველო პოტენციალისა და საქსპორტო შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოებში (ფილიპინები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) იმპორტის საბაჟო გადასახადებით დაბეგვრა თითქმის

<sup>55</sup> Global Economic Prospects 2005. The World Bank. Wash., 2005, p.27



ისეთივეა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ფაქტიური საშუალო ტარიფი 5-10%-ის ფარგლებში.

ცხრილი 2.1

საშუალო ტარიფის დონე განვითარებად ქვეყნებში 2014 წელს

ქვეყნები	ყველა საქონელი		სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია		არასასოფლო - სამეურნეო პროდუქცია	
	ბმული ტარიფი	მოქმედი ტარიფი	ბმული ტარიფი	მოქმედი ტარიფი	ბმული ტარიფი	მოქმედი ტარიფი
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	14,4	4,70	25,6	5,4	12,7	4,6
არგენტინა	31,8	13,6	32,3	10,4	31,70	14,2
ბრაზილია	31,4	13,5	35,4	10,2	30,8	14,1
ეგვიპტე	36,8	16,8	98,3	60,6	27,5	9,5
თურქეთი	28,6	10,7	61,0	42,2	17,0	5,4
ინდოეთი	48,5	13,5	113,5	33,4	34,5	10,2
კორეა	16,5	13,3	56,1	52,7	10,2	6,8
მექსიკა	36,1	7,5	44,5	17,6	34,8	5,9
მოლდოვეთი	7,0	4,6	14,1	10,4	5,9	3,7
რუსეთი	7,6	8,4	11,2	1,6	7,1	7,9
სამხრეთ აფრიკა	19,0	7,6	40,4	8,4	15,7	7,4
საუდის არაბეთი	11,1	5,1	15,7	5,9	10,5	5,0
საქართველო	7,4	1,5	13,0	6,4	6,5	0,7
სინგაპური	9,7	0,2	23,5	1,1	6,5	0,0
სომხეთი	8,5	3,7	14,7	6,8	7,6	3,2
ტაილანდი	27,8	11,6	38,7	31,3	25,5	8,3
ტაჯიკეთი	8,1	7,7	11,4	10,7	7,6	7,2
უკრაინა	5,8	4,5	10,9	9,2	5,0	3,7
ყირგიზეთი	7,5	4,6	12,6	7,6	6,7	4,1
ჩინეთი	10,0	9,6	15,7	15,2	9,2	8,6

წყარო: WTO. World tariff profiles 2015, WTO, 2014

მსოფლიოს მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნების უმეტესობის საშუალო არითმეტიკული ტარიფები მერყეობს 10-15 პროცენტის დიაპაზონის ფარგლებში (ბრაზილია - 13,6%, ჩინეთი- 9,6%, ინდოეთი - 13,5 %, ტაილანდი - 11,6%). საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის შედარებით მაღალი მაჩვენებელი იძლევა ეროვნული მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე პროტექციონისტული ამოცანების

გადაჭრის, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეესაძლებლობას.

ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, პროტექციონისტული „ქოლგის“ ქვეშ იმყოფება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. გამონაკლისს წარმოადგენენ არგენტინა და ბრაზილია, სადაც არა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე საშუალო არითმეტიკული ტარიფი დაფიქსირებულია უფრო მაღალ დონეზე, აგრეთვე ჩილე, სადაც ყველა საქონელზე დაწესებულია ერთგვაროვანი სატარიფო დონე - 6%. საბაჟო ბარიერები განსაკუთრებით მაღალია აგრარული სექტორის პროდუქციის იმპორტზე ეგვიპტეში, სადაც საშუალო არითმეტიკული ტარიფის მაჩვენებელი აღწევს 60,6%, თურქეთში - 42,2%, სამხრეთ აფრიკაში - 40,4%, ინდოეთში - 33,4%, და მაროკოში - 27,4%<sup>56</sup>.

იმ სასაქონლო ჯგუფებში, რომლებზეც დაწესებული საბაჟო გადასახადების განაკვეთები ბევრად აღემატება მოცემული ქვეყნისთვის დამახასიათებელი საშუალო მაჩვენებელს, ხშირად ფიგურირებს ტანსაცმელი, ტყავი და ფეხსაცმელი, სატრანსპორტო საშუალებები, რძის პროდუქტები, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი. ზემოაღნიშნული ჯგუფის საქონელთან ერთად, მარცვლეულის იმპორტზე მაღალი საბაჟო ბარიერებია დაწესებული ჩინეთში (22,6%), ჩაისა და ყავაზე - ინდოეთში (56,3%), თევზსა და თევზპროდუქტებზე - მაროკოში (46,6%-დან შემცირდა 14%-მდე 2008-დან 2014წ.), ტუნისში (30,2%) და ა.შ. აზიური და არაბული ქვეყნების ნაწილში ძალიან მაღალი საიმპორტო საბაჟო გადასახადები დაწესებულია სპირტიან სასმელებსა და თამბაქოზე (ეგვიპტეში - 803%, მალაიზიაში - 103%, ინდოეთში - 69,1%)<sup>57</sup>.

რადგან ბევრი განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფოს ტარიფებს ფისკალური დანიშნულება გააჩნია, ხოლო მათი ეკონომიკა ნაკლებად დივერსიფიცირებულია და ნაკლები მასშტაბით საჭიროებს წერტილოვან, სხვადასხვა ინტენსივობის მქონე სატარიფო დაცვას, ვიდრე განვითარების უფრო მაღალი დონის მქონე ქვეყნებში, მათთან საბაჟო ტარიფის დივერენციაციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია. საბაჟო (იმპორტის და ექსპორტის) გადასახადების წილი უმეტესი განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში (8-20%) გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებული სახელმწიფოების საბიუჯეტო

<sup>56</sup> WTO. World tariff profiles 2015, WTO, 2014

<sup>57</sup> WTO. World tariff profiles 2015, WTO, 2014, 2009

შემოსულობებში. ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეებზე გადასვლასთან ერთად შეინიშნება საბაჟო გადასახადების ფისკალური როლის შემცირების ტენდენცია (საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის დონის ზრდისა და სხვა შემოსავლების ზრდის შედეგად).

საგარეო ვაჭრობის პრობლემატიკის შესწავლისა და სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში გადამწვეტ როლს მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები წარმოადგენს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებიც არიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკის მქონე სომხეთი და აზერბაიჯანი და მზარდი ბაზრების მქონე - რუსეთი, უკრაინა, თურქეთი.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი მეზობელი სავაჭრო პარტნიორებიდან სომხეთი, თურქეთი, უკრაინა და ახლა უკვე რუსეთიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია, ხოლო აზერბაიჯანი დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით სარგებლობს. შესაბამისად, მათი საბაჟო-სატარიფო რეგულირება მნიშვნელოვნადაა ადაპტირებული მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ დანერგილ ნორმებთან. საბაზრო რეფორმების წლებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების უმეტესობაში განხორციელდა საიმპორტო რეჟიმის მასშტაბური ლიბერალიზაცია, რაც გამოვლინდა საბაჟო ტარიფების შემცირებით, გადასახადებით დაუბეგრავი სატარიფო პოზიციების რაოდენობის გაზრდით, სატარიფო პიკების რაოდენობის შემცირებით და საბაჟო გადასახადების არაადვალორული განაკვეთების რაოდენობის შემცირებით (ცხრილი 2.2).

ყველაზე დაბალი საშუალო არითმეტიკული იმპორტული ტარიფი საქართველოს შემდეგ (1,5%) აქვს სომხეთს - 3,7% და უკრაინას - 4,7 %. ყველაზე მაღალი თურქეთს - 10,7 % და აზერბაიჯანს - 9,0 %, ასევე რუსეთს - 8,4%. ექვსივე ქვეყანაში ტარიფები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე უფრო მაღალია, ვიდრე არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავება თურქეთში ორი გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფის საშუალო არითმეტიკულ ტარიფებს შორის (36,80 %).

არასაბაჟო გადასახადების პოზიციების დიდი რაოდენობა დამახასიათებელია სომხეთის (სატარიფო პოზიციების საერთო რაოდენობის 71,4%), აგრეთვე ყირგიზეთისა (47,2%) და მოლდავეთისთვის (46,7%), ხოლო საბაჟო გადასახადებით

დაუბეგრავი სატარიფო პოზიციების რაოდენობა მინიმალურია აზერბაიჯანში (1,3%), ტაჯიკეთში (1,0%) და უზბეკეთში (1,3%). იმ საბაჟო გადასახადების განაკვეთების წილი, რომლებიც აღემატებიან 15 პროცენტს (საერთაშორისო სატარიფო პიკებს), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საიმპორტო ტარიფებში, გარდა უზბეკეთისა (33,9%), მერყეობს 0,2%-დან (ყირგიზეთში) 6,4 %-მდე (უკრაინაში).<sup>58</sup>

ცხრილი 2.2

**საბაჟო-სატარიფო რეგულირება მეზობელ სახელმწიფოებში**

	საქართველო	უკრაინა	რუსეთი	სომხეთი	თურქეთი	აზერბაიჯანი
სატარიფო რაოდენობა წესდება MFN სახეების რომლებზეც	10254	10481	11637	9658	16524	9956
MFN-ით საშუალო განაკვეთი მინიჭებული ტარიფის	1,5	4,7	8,4	3,7	10,7	9,0
სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მინიჭებული ტარიფის განაკვეთი MFN-ით საშუალო	6,4	9,2	11,6	6,8	42,2	13,3
არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მინიჭებული ტარიფის განაკვეთი MFN-ით საშუალო	0,7	3,7	7,9	3,2	5,4	8,3

წყარო: WTO. World tariff profiles 2015, WTO, 2014

შედარებით დაბალი საბაჟო გადასახადები დაწესებულია მანქანების, მექანიკური მოწყობილობების, ელექტრომოწყობილობისა და ელექტრონიკის შემოტანაზე - საშუალოდ არაუმეტეს 3% სომხეთში, საქართველოში, 5% - უკრაინასა და თურქეთში. საქართველოს გარდა ქვეყნებს დაწესებული აქვს საბაჟო გადასახადები, რომლებიც საშუალო დონეს აღემატებიან, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის იმპორტზე, აგრეთვე ტექსტილის ნაწარმზე (ცხრილი 2.3).

<sup>58</sup> WTO. World tariff profiles, WTO, 2014, 2013, 2012, 2009, 2008

## MFN-ით მინიჭებული საშუალო ტარიფის განაკვეთი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

სასაქონლო ჯგუფები	საქართველო	უკრაინა	რუსეთი	თურქეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი
მეცხოველეობის პროდუქცია	8,4	10,6	19,6	103,7	6,9	14
რძის პროდუქტები	5,4	10,0	16,8	129,6	10,0	15,0
ხილი, ბოსტნეული, მცენარეები	9,0	9,8	9,6	33,5	9,3	13,3
ნაი, ყავა	4,6	5,7	7,4	31,6	9,6	14,6
მარცვლოვნები	6,8	12,4	11,2	37,9	5,3	12,5
ზეთები, ცხიმები და თესლი	1,0	8,3	7,5	14,0	5,6	8,6
შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი	10,6	19,4	11,1	87,6	8,2	12,8
სასმელები და თამბაქო	19,1	7,9	29,0	36,9	7,7	23,5
ბამბა	0,0	1,4	0,0	0,0	0,0	13,0
სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტი	0,3	5,4	5,3	11,4	3,6	12,0
თევზი და თევზის პროდუქტი	0,0	2,8	9,9	34,2	10,0	11,8
სასარგებლო წიაღისეული და ლითონები	2,2	3,2	8,8	3,0	2,9	8,4
ნავთობი	0,0	0,8	4,3	2,5	0,0	10,4
ქიმიკატი	0,7	3,2	5,7	4,7	0,4	4,5
ხე, ქალაღდი და სხვ.	1,7	0,3	11,4	0,9	1,8	10,9
ტექსტილი	0,0	3,8	9,9	6,5	1,6	12,3
ტანსაცმელი	0,0	11,3	11,5	9,8	10,0	15,0
ტყევის ნაწარმი, ფეხსაცმელი და სხვ	0,0	5,6	7,5	4,0	7,7	12,1
არაელექტრო მოწყობილობა	0,2	2,1	3,2	1,8	1,7	3,3
ელექტრო მოწყობილობა	0,1	3,7	6,4	2,6	5,4	8,7
სატრანსპორტო მოწყობილობა	0,0	5,6	9,2	4,3	3,6	4,2
სხვა სამრეწველო საქონელი	0,1	5,5	9,4	2,6	4,2	9,7

წყარო: WTO. World tariff profiles 2015, WTO, 2014

ბოლო პერიოდში, 70-80-იან წლებში დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო ხშირად იყენებენ არასატარიფო საშუალებებს ეროვნული წარმოებისა და შიდა ბაზრის დასაცავად, რაც უკავშირდება სავაჭრო რეჟიმების ლიბერალიზებას, აგრეთვე განვითარებული სახელმწიფოების მიერ ამგვარი ზომების გამოყენების სადემონსტრაციო ეფექტს.

### 2.3 ნეოპროტექციონიზმი და ანტიდემპინგური პოლიტიკა

ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის შეთანხმებები ითვლება ეფექტიანად, თუ მათ სავაჭრო ბრუნვის რეალურ ზრდამდე მიყვავართ. მთავრობის თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიღებულმა ზომებმა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, კერძოდ, ვაჭრობის ურთიერთ ლიბერალიზებამ, განსაზღვრული სფეროების ჰარმონიზებამ, ერთიანმა კონკრეტულმა პოლიტიკამ, საბაჟო მოსაკრებლებისა და რადენობრივი შეზღუდვების მოხსნამ, ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღებამ თანამშრომლობის შიგნით სავაჭრო ნაკადების ზრდის და გაფართოვების კუთხით შთამბეჭდავ შედეგებამდე უნდა მიგვიყვანოს.

კონკურენციის მარეგულირებელი წესების შემოღება საერთაშორისო მასშტაბით, ხელს უწყობს რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას, და შედეგად, წარმოების გლობალურ ეფექტიანობას, რაც აისახება მსოფლიო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადების მიმართულებებზე და გეოგრაფიულ და სასაქონლო სტრუქტურაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკავშირის ინტეგრაციის გაღრმავებამ, რომლის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია, როგორც ვაჭრობის, ისე კონკურენციის რეგულირებისკენ, შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებს მნიშვნელოვნად გააფართოვონ ურთიერთვაჭრობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

GATT/WTO-ს მიერ განხორციელებულმა ვაჭრობის ლიბერალიზებამ მოახდინა ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირება და რიგი არასატარიფო ბარიერების გაუქმება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. რაც ხელს უწყობდა საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას. ამასთან, WTO-ს მიერ გათვალისწინებული ანტიდემპინგური რეგულაციები, ხშირად გამოდის პროტექციონისტული ზომების

როლში. საერთაშორისო მონოპოლიებისა და კარტელების საქმიანობის შეზღუდვის ნეგატიური ეფექტების შემცირებისთვის WTO-ს ფარგლებში ახალ ეტაპზე განიხილება საერთაშორისო კონკურენციის პოლიტიკაში რეგულაციების მიღების საკითხი.

ნებისმიერ ქვეყანას ურჩევნია თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გაიტანოს თავისი საქონელი ექსპორტზე, თუმცა, ამავე დროს სულ არ ჩქარობს საშინაო ბაზრების გახსნას თავისუფალი კონკურენციისთვის. GATT-ის პირობების თანახმად, არ შეიძლება ერთხელ დაწეული სატარიფო განაკვეთების შეცვლა საპირისპირო მიმართულებით. ამიტომ, პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებაში, სულ უფრო მეტ აქცენტს არასატარიფო ბარიერების გამოყენებაზე აკეთებენ. მაგალითად, 80-იანი წლებიდან მოყოლებული მატულობს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის გამოყოფილი სუბსიდიების სიდიდე, იმ საქონლის იმპორტის აკრძალვათა რაოდენობა, რომელიც მკაცრ სტანდარტებს არ შეესაბამება, სულ უფრო ხშირად გვხვდება ადმინისტრაციული გაჭიანურებები საბაჟო წმენდის დროს, იდება ექსპორტის „ნებაყოფლობითი“ შეზღუდვის შეთანხმებები და სხვა. და ეს მაშინ, როცა ბევრი მათგანის გამოყენებას კრძალავს GATT/WTO- წესები.

თუ GATT-ის საქმიანობის შედეგად საბაჟო გადასახადები მცირდებოდა, სამაგიეროდ არასატარიფო ბარიერების გამოყენება მატულობდა. ეს ტენდენცია, როგორც უკვე ვახსენეთ, ვაჭრობაში ნეოპროტექციონიზმის სახელითაა ცნობილი ანუ „ახალი პროტექციონიზმი. „ძველი“ პროტექციონიზმისგან „ახლის“ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ არასატარიფო შეზღუდვების გამოყენებაა<sup>59</sup>.

გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით არასატარიფო ზომები შემდეგი სახისაა:

- სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები;
- ტექნიკური ბარიერები;
- გადაზიდვის წინა ინსპექტირება და სხვა ფორმალობები;
- ფასის კონტროლის ზომა;
- ლიცენზიები, კვოტები, აკრძალვები და რაოდენობრივი შეზღუდვის სხვა ზომები;
- გადასახადები, პრემია და სხვა არასატარიფო ზომები;

<sup>59</sup> Grilli E., Sassoon E. (1990). The new protectionist wave/Macmillan, p.11

- ანტიმონოპოლიური ზომები;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომები;
- სადისტრიბუციო აკრძალვები;
- გაყიდვის შემდგომი მომსახურების აკრძალვები;
- სუბსიდიები (გარდა საექსპორტო სუბსიდიებისა);
- შეზღუდვები სახელმწიფო შესყიდვებზე;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- წარმოშობის წესები;
- საექსპორტო ზომები<sup>60</sup>.

დღეისთვის არასატარიფო ზომების მოქმედების არეალში ხვდება განვითარებული მრეწველობის ქვეყნების (გმქ) მთელი იმპორტის დაახლოებით 2.7%, აშშ -ში კი - 42%. პროტექციონიზმის ახალი შემოტევა, რომელიც ძირითადად გმქებს ახასიათებს და განსაკუთრებითაა საგრძნობი აშშ-ში, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე წარმოქმნილი მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით აიხსნება. კერძოდ:

➤ ეკონომიკური დაქვეითება გმქების მეურნეობაში. მაგალითად, ი. ფამინსკი (2008) აღნიშნავს, რომ 70-იან წლებში მრავალი გმქ-ის ეკონომიკის დაქვეითებამ იმ პროტექციონისტული წრეების მხრიდან ზეწოლა გააძლიერა, რომლებიც სტრუქტურული კრიზისებით მოცულ მრეწველობის დარგებს წარმოადგენდნენ (საფეიქრო, მეტალურგიული და სხვა). მრეწველობის ამ დარგების წარმომადგენელთა მოქმედებების გააქტიურებამ, თავის მხრივ, შეზღუდვათა გაფართოება აიძულა მთავრობებს იმპორტის შეზღუდვის მიზნით.

ი.დიუმუჟენმა (2010), თავის მხრივ, მიუთითა, რომ შუა 70-იანი წლების ეკონომიკურმა და, მასთან ერთად, ენერგეტიკულმა, სანედლეულო და სავალუტო კრიზისებმა ის გამოიწვიეს, რომ მრავალი ქვეყნის მთავრობები თავიანთი პრობლემების გადაჭრას იმპორტის შემცირებისა და ექსპორტის გაფართოების გზით ცდილობდნენ;

➤ კონკურენციული ბრძოლის მკვეთრად გაძლიერება მსოფლიო ბაზრებზე. მაგალითად, მ. პებრო (1994) აღნიშნავს, რომ აშშ-ისა და ევროპის მთავრობებმა იმ

<sup>60</sup> United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD) (2010).



დარგების დასახმარებლად, რომლებიც მიიქმედებენ მდგომარეობაში ჩავარდნენ იაპონიის მაღალი სავაჭრო ეფექტიანობისა და გმქ-ის მხრიდან კონკურენციის ზრდის გამო, 70-იან წლებში აქტიურად აამოქმედეს უცხოური კონკურენციისგან დამცავი ფარული თუ ოფიციალური მექანიზმები. ამის მთავარი მიზანი იყო ექსპორტის გაფართოება და იმპორტის შემცირება (ევროკავშირში - სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და უმუშევრობის „გასაწოვად“, აშშ-ში - სავაჭრო ბალანსში დაგროვილი უზარმაზარი დისპროპორციების შესამცირებლად) <sup>61</sup>.

გაზრდილი უცხოური კონკურენციის გამო პროტექციონიზმის მიმზიდველობაზე კიდევ ორმა ფაქტორმა იქონია გავლენა:

- საზოგადოებისა და პროფკავშირების ზეწოლა უმუშევრობის მატებასთან დაკავშირებით;
- დისპროპორციები სავაჭრო ბალანსში.

ეგრილი და ე.სასონი (1990) პროტექციონიზმის ახალი ტალღის მიზეზებს შემდეგ ორ ფაქტორშიც ხედავენ:

- შრომითი რესურსების პროფესიული და გეოგრაფიული მობილობის კლება;
- ვალუტათა კურსების ცვლილებებმა და სერიოზულმა რყევებმა ქვეყანაში ნაღდი ფულისა და კაპიტალის შენარჩუნების სურვილი წარმოშვეს, რამაც ასევე განაპირობა პროტექციონიზმისკენ მიბრუნება<sup>62</sup>.

ამგვარად, ნეოპროტექციონიზმის მიზეზები ციკლურ ფაქტორებს (ეკონომიკურ კრიზისს, სავალუტო კურსების რყევასა და მაღალ უმუშევრობას) უკავშირდება. გარდა ამისა, ისინი კავშირშია მთავრობათა მცდელობებთან - გააუმჯობესონ ეროვნული მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და დაიცვან ცალკეული ჯგუფების ინტერესები. ეს ასე თუ ისე უკავშირდება იმას, რომ ის მწარმოებლები, რომლებიც იმპორტის შეზღუდვით მოგებული რჩებიან, უფრო ორგანიზებულად იცავენ თავიანთ ინტერესებს მთავრობაში (იმავე პროფკავშირების მეშვეობით), ვიდრე მომხმარებლები, რომლებიც, როგორც წესი, წაგებული რჩებიან სავაჭრო ბარიერებისგან.

<sup>61</sup> Пейро, М. (1994), *Международные экономические, валютные и финансовые отношения. Общая редакция Бабинцевой Н.С. М.: Прогресс, Универс, с.111*

<sup>62</sup> Grilli E., Sasson E. (1990), *Contemporary protectionism: What have we learned?* The Royal Institute of International Affairs, London. p.89

პროტექციონიზმის პოლიტიკის გააქტიურება აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში შუა 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამ ქვეყნებში შეიმჩნეოდა ცალკეული დარგების შერჩევით პროტექციონიზმზე გადასვლა ტრადიციული პროტექციონიზმიდან, რომელიც ხელს უშლიდა მთელი უცხოური საქონლის დაშვებას საშინაო ბაზარზე. საგარეო სავაჭრო პროტექციონიზმი ყველაზე ნათლად გამოვლინდა სოფლის მეურნეობის სფეროში, განსაკუთრებით კი - ევროკავშირში.

სამრეწველო ბაზრებთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრების ლიბერალიზებამ ნაკლებ წარმატებას მიაღწია. ევროკავშირს მეტად დაცული შიდა ბაზარი აქვს - სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო მოსაკრებლები საშუალოდ 60%-ს შეადგენს. GATT-ის ჩარჩოებში სოფლის მეურნეობის საკითხები საერთოდ არ წარმოადგენდა მოლაპარაკებების საგანს. პირველად საკითხი დაისვა ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებებზე და მიაღწიეს მრავალმხრივ შეთანხმებას საექსპორტო სუბსიდიების შემცირებაზე და აგროპროდუქტების ბაზრებზე შესვლის გაუმჯობესებაზე. WTO-ს წევრმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება დაეწყოთ მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის შემდგომი ლიბერალიზების შესახებ. 2001წ. დოჰას რაუნდის დეკლარაციის მიხედვით გრძელვადიან მიზანს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე სამართლიანი და საბაზრო ურთიერთობაზე დამყარებული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, ასევე შიგა მხარდაჭერის შემცირება. მოლაპარაკებები 2008 წელს ჩიხში შევიდა. ამ ჩიხმა განსაკუთრებით დააზარალა განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის ბრაზილია, ინდოეთი და აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ესწრაფვიან, რომ მათთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს განვითარებული ქვეყნების ბაზრები. საშუალოდ, განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ტარიფები იმპორტზე 30%-ია, განვითარებად ქვეყნებში კი 54%. ზოგან კი იმპორტზე ტარიფები ადგილობრივი წარმოების დასაცავად 100%-ია. მაგალითისათვის, საკუთარი ნედლეულის ბაზრის დასაცავად პროტექციონისტულ პოლიტიკას აქტიურად იყენებენ იაპონია და სამხრეთ კორეა.

მსოფლიოში მოქმედი მიმდინარე სატარიფო პოლიტიკა შემუშავებულია ურუგვაის რაუნდის დროს. WTO-ს წევრმა ქვეყნებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მოხსნილიყო კვოტები სოფლის მეურნეობის ნედლეულზე და მომხდარიყო ამ

კოტეხის ტარიფებში ასახვა. ექსპერტების შეფასებით, მაშინ ვარაუდობდნენ, რომ ამ განაკვეთებს ექნებოდათ დროებითი ხასიათი. თუმცა, სოფლის მეურნეობის დარგის ლობირება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ არც განვითარებად და არც განვითარებულ ქვეყნებს მასზე უარის თქმა არ შეუძლიათ. ბევრი მოლაპარაკება ამ მიმართულებით უშედეგოდ დასრულდა, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ, განსაკუთრებით მათ, რომელთა სოფლის მეურნეობასაც ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს, უარი თქვა საკუთარი ბაზრების უფრო მეტად გახსნაზე. ისინი შიშობენ, რომ ტარიფების მოხსნით დააზარალებენ ფერმერებს და არა მარტო მათ, არამედ მილიონობით ქალაქის მცხოვრებსაც. მათი შიში საფუძვლიანია: ინდოეთში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთლიან დასაქმებულთა 53% (280 მილიონი ადამიანი), რომლებიც მშპ-ს ფაქტობრივად მეხუთედს აწარმოებენ. ჩინეთში დასაქმებულების 36% მოდის აგრარულ სექტორზე (288 მილიონი ადამიანი), ისინი მშპ-ს 11%-ს აწარმოებენ. ორივე ქვეყანაში დიდი და სულ უფრო მზარდი მოსახლეობის გამო, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი მწვავედ დგას. ქალაქებში იზრდება საშუალო კლასი, რაც სამომხმარებლო პროდუქტების კალათასაც ცვლის, შემოსავლის ზრდასთან ერთად, ქალაქის მცხოვრებლები უფრო აქტიურად მოიხმარენ ხორცს, თევზს და ნახევარფაბრიკატებს.

სოფლის მეურნეობის სექტორი მნიშვნელოვანია, თუმცა არა იმდენად, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც: ევროკავშირში ამ სექტორზე მოდის მშპ-ს 2% და დასაქმებული სამუშაო ძალის 4,4%, აშშ-ში კი, შესაბამისად, 0,6% და 0,9%. თუმცა, განვითარებული ქვეყნები სასოფლო-სამეურნეო სექტორის ლობიზმით მაინც ცდილობენ ტრადიციული დარგის განვითარების ხელშეწყობას. ამ ქვეყნებში სპეციალური პარტიებიც არსებობს, რომლებიც ლობირებას უწევენ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პროტექციონიზმს იმპორტირებულთან შედარებით. ევროკავშირში აგრარული სექტორის სუბსიდიებზე საერთო ევროპული ბიუჯეტის 44% იხარჯება ყოველ წელს, რაც დაახლოებით 68 მლრდ აშშ დოლარია. აშშ-ში კი ეს თანხა დაახლოებით 16 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

რადგანაც გლობალური შეთანხმება სავაჭრო ტარიფებზე ვერ შედგა, 2000-იანი წლებიდან მოყოლებული პოპულარული გახდა ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებები ტარიფებზე. აშშ-ში ეს განსაკუთრებით პოპულარული ბუშის

პრეზიდენტობის დროს გახდა, როდესაც 1994 წელს დაიწყო ურუგვაის რაუნდი. მსოფლიოში მხოლოდ 80-მდე ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება არსებობდა, 2012 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი უკვე 460-ს აჭარბებდა. ასევე პოპულარული გახდა რეგიონული გაერთიანებები და მოლაპარაკებები.

ამიტომაც გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანია, რომ WTO-ს ფარგლებში გამართული მოლაპარაკებები უფრო შედეგიანი გახდეს, და მიიღწიოს კონსესუსი მსოფლიო ქვეყნებს შორის.

დღეისათვის მოქმედი არასატარიფო ზომების სტატისტიკა ფრიად საყურადღებოა. WTO-ს ყოველწლიურ ანგარიშში, არასატარიფო ზომები წევრ ქვეყნებს შორის სამ კატეგორიად არის დაჯგუფებული: 1.ზომები, რომლებიც აშკარად ხელს უწყობს ვაჭრობას, 2.ვაჭრობის დამცავი ზომები და 3.ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები. 2013-2014 წლებში ვაჭრობის ხელშემცობი ზომების საერთო რაოდენობა იყო 177, რომელიც 70 ერთეული გაიზარდა წინა წლის მონაცემებთან შედარებით (107 ერთეულს შეადგენდა- 2012-2013წწ.); ვაჭრობის დამცავი ზომების საერთო რაოდენობა 2013-2014წწ-ში იყო 337, რომელიც შემცირდა 18 ერთეულით წინა წლის მაჩვენებელთან (355) შედარებით; ხოლო ვაჭრობასთან დაკავშირებულმა სხვა ღონისძიებებმა შეადგინა 168 ერთეული, და შემცირებული იყო 22 ერთეულით 2012-2013წწ-თან შედარებით (190) (ცხრილები 2.4; 2.5; 2.6; 2.7).

ცხრილი 2.4

ვაჭრობის ხელშემწყობი ზომების რაოდენობა

ზომები	2011-2012	2012-2013	2013-2014
<b>იმპორტზე</b>	136	101	168
- ტარიფი	120	8	145
- გადასახადები	13	15	18
-რაოდენობრივი შეზღუდვები	2	3	1
<b>ექსპორტზე</b>	18	6	9
-საბაჟო მოსაკრებლები	7	3	4
-რაოდენობრივი შეზღუდვები	11	3	5
სხვა	8	0	0
ჯამი	162	107	177

წყარო: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამდივნო

ვაჭრობის ხელშემწყობი ზომები მსოფლიო სასაქონლო იმპორტის 6.4%-ს ფარავს, რაც შეადგენს თითქმის 1,8183.4 მლრდ აშშ დოლარს. აღნიშნული ზომების

80%-ზე მეტი ტარიფების შემცირების შედეგია და წარმოადგენს დროებით ღონისძიებებს. ვაჭრობის ხელშემწყობი ზომებით მითითებულ პერიოდში ძირითადად სარგებლობდა მანქანათმშენებლობა, ავტომატური მოწყობილობები, ორგანული ქიმიური პროდუქტები, ფოლადი და მისი ნაწარმი, პლასტმასი, ცხოველური ან მცენარეული ცხიმები.

ვაჭრობის დამცავ ზომებში უმეტესი წილი მოდის ანტი-დემპინგურ ზომებზე - 267 ერთეული, 36 - საკომპენსაციო და 34 - დამცავი ზომა.

ცხრილი 2.5

ვაჭრობის დამცავი ზომების რაოდენობა

ზომების ტიპი	2012-2013			2013-2014		
	ინიცირება	აკრძალვა	ჯამი	ინიცირება	აკრძალვა	ჯამი
ვაჭრობის დამცავი						
ანტი-დემპინგი	156	112	268	134	133	267
საკომპენსაციო	24	9	33	21	15	36
დამცავი	37	17	54	16	18	34
ჯამი	217	138	355	171	166	337

წყარო: ვაჭრობის მსოფლიო როგანიზაციის სამდივნო

რაც შეეხება ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა ზომებს 2013-2014წწ, ის შეადგენდა 168 ერთეულს, აქედან 119 იყო იმპორტზე დაწესებული, დანარჩენი 9 ექსპორტზე. WTO-ს წევრების მიერ დადგენილი იმპორტის შემზღუდავი ზომები ფართო სპექტრის საქონელს მოიცავდა, ძირითადად კი: რკინის და ფოლადის ნაწარმი, ორგანული ქიმია, ელექტრონული მანქანები და მექანიკური მოწყობილობები, ავტომობილები და მისი ნაწილები, ტექსტილი, ტანსაცმელი და აქსესუარები, ასევე ნაცარი და ნარჩენები (ცხრილი 2.6).

რაც შეეხება ვაჭრობის ხელშემწყობი, ანუ ვაჭრობის ლიბერალიზების და ვაჭრობის შემზღუდავი ზომების ევოლუციას წლების მანძილზე, ის საგრძნობლად იზრდება და უსწრებს ვაჭრობის შემზღუდავ ზომებს. ხელშემწყობი ზომების საშუალო წლიური ზრდის ტემპი ბოლო წლებში შეადგენდა 19,3% (2012-2013წწ) და 31,8%-ს (2013-2014წწ) (ცხრილი 2.7).

სხვა სავაჭრო და ვაჭრობასთან დაკავშირებული ზომების რაოდენობა

ზომების ტიპი	2011-2012	2012-2013	2013-2014
<b>იმპორტზე</b>	<b>118</b>	<b>153</b>	<b>119</b>
- ტარიფი	54	106	74
-საბაჟო პროცედურები	38	25	26
- გადასახადები	6	6	7
-რაოდენობრივი შეზღუდვები	20	15	11
- სხვა	0	1	1
<b>ექსპორტზე</b>	<b>32</b>	<b>27</b>	<b>36</b>
-საბაჟო მოსაკრებელი	8	4	12
-რაოდენობრივი შეზღუდვები	24	11	12
- სხვა	0	12	12
სხვა	14	10	13
<b>ჯამი</b>	<b>164</b>	<b>190</b>	<b>168</b>

წყარო: ვაჭრობის მსოფლიო როგანიზაციის სამდივნო

ვაჭრობის შემზღუდავი და ვაჭრობის ხელშემწყობი ზომების რაოდენობა

წლების მიხედვით

ზომების ტიპი	2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014
შემზღუდავი	324	222	339	308	407	339
ვაჭრობის დამცავი	184	122	129	158	217	171
იმპორტი	105	62	126	109	153	119
ექსპორტი	20	25	64	29	27	36
სხვა	15	13	20	12	10	13
საშუალო თვიური	27,0	20,2	28,3	25,7	31,3	30,8
საშუალო თვიური (ვაჭრობის დამცავის გარეშე)	11,7	9,1	17,5	12,5	14,6	15,3
ვაჭრობის ხელშემწყობი	169	250	346	312	251	350
ვაჭრობის დამცავი	84	945	140	136	138	166
იმპორტი	75	131	170	145	103	172
ექსპორტი	7	17	25	21	9	11
სხვა	3	8	11	10	1	1
საშუალო თვიური	14,1	22,7	28,8	26	19,3	31,8
საშუალო თვიური (ვაჭრობის დამცავის გარეშე)	7,1	14,2	17,2	14,7	8,7	16,7

წყარო: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამდივნო

არასატარიფო ბარიერებს უპირველეს ყოვლისა, ანტიდემპინგურ და საკომპენსაციო ზომებს, სუბსიდირებას, ეკოლოგიურ, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ რეგულირებას, ტექნიკურ სტანდარტებს, ნებაყოფლობითი საექსპორტო შეზღუდვების მექანიზმს იყენებენ უმეტესად განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლის მიზეზიც მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის გამძაფრება და, აქედან გამომდინარე, ეროვნული მწარმოებლების დაცვისთვის ქვეყნის სწრაფვაა. ქვეყნებს შორის გაჩენილი სავაჭრო წინააღმდეგობები კონფლიქტებს აჩენს, რომლებიც გაჭიანურებულ სავაჭრო ომებში გადაიზრდება ხოლმე. ხშირად, სწორედ, ცალმხრივი წესით შემოღებული არასატარიფო რეგულირების ზომები იწვევენ ურთიერთშემზღუდველ ქმედებათა მთელ ჯაჭვს. ყველაზე გახმაურებულია აშშ-სა და ევროკავშირს შორის რამდენიმე წლიანი სავაჭრო ომები. ერთ-ერთი მაგალითია ამერიკის კომპანიების საზღვარგარეთული ფილიალების შეღავათიანი დაბეგვრის საკითხები, რაც ევროკავშირმა სუბსიდირების ირიბ ფორმად შეაფასა. მან WTO-დან მიიღო საპასუხო სანქციების შემოღების და საჭიროების შემთხვევაში მათი გაფართოვების უფლება 2000 დასახელების იმ საქონელზე, რომელთა ექსპორტი ამერიკიდან წელიწადში 4 მლრ აშშ დოლარს შეადგენს<sup>63</sup>.

სატარიფო რეგულირების ცალმხრივი ზომებით გამოწვეული ერთ-ერთი გახმაურებული კონფლიქტია ევროკავშირსა და აშშ-ს შორის დაპირისპირება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების საკითხში. 1999წ. ევროკავშირის ქვეყნებმა აკრძალეს ამგვარი საკვების იმპორტი. აშშ-მა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიორმა კიდევ 12 ქვეყანამ (არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ეგვიპტე, ჩილე, კოლუმბია, სალვადორი, ჰონდურასი, მექსიკა, ახალი ზელანდია, პერუ, ურუგვაი) WTO-ში უჩივლეს ევროკავშირს ამ 5-წლიან მორატორიუმზე. ევროკავშირის მსგავსად სამხრეთ აფრიკის ქვეყნები (ზამბია, მალავი), მწვავე სასურსათო კრიზისის მიუხედავად, უარს ამბობენ განვითარებული ქვეყნებიდან, კერძოდ, აშშ-დან დახმარების მიღებაზე გენეტიკურად შეცვლილი ხორბლის სახით<sup>64</sup>. რომელთა მიხედვითაც, იმ საქონლის შეფუთვაზე, რომელიც 1%-ზე მეტ გენეტიკურად მოდიფიცირებულ კომპონენტებს შეიცავს, შესაბამისი გაფრთხილება უნდა

<sup>63</sup> Financial Times, (2002). 25 Feb, 08 May 2003.

<sup>64</sup> Генетика приведет к новой войне (2003). *Финансовые известия*, 12.05.

მოთავსდეს. 2004 წლის ივნისში ევროკავშირში მიიღეს წინასწარი გაფრთხილება მოდიფიცირებული ინგრედიენტების იმ მინიმალური წილის 0.5%-მდე შემცირების შესახებ, რომელიც მარკირებას მოითხოვს. გარდა ამისა, იგეგმება სავალდებულო მარკირების შემოღება „ბიოინგრედიენტებისგან“ წარმოებული პროდუქტებისათვის, თუნდაც მათი შემადგენლობის განსაზღვრა ტექნიკურად შეუძლებელი იყოს. ეს ეხება, კერძოდ, მრავალი სახის ზეთს, შაქარს, ხორცისა და რძის პროდუქტებს.

განვითარებული ქვეყნების მიერ არასატარიფო ბარიერების გამოყენება ფართოვდება მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში სამრეწველო წარმოების განვითარების კვალდაკვალ. ასეთ ბარიერებს ყველაზე უფრო ინტენსიურად იყენებენ ტრიკოტაჟისა და საფეიქრო ნაწარმის, ფეხსაცმლის, მერქნისა და ცელულოზა-ქაღალდის ნაკეთობების, სინთეტიკური ძაფებისა და ქსოვილების, ნავთობ პროდუქტების, ფოლადის, მიმღები აპარატების, ავტომატური ელექტრო-გამომთვლელი მანქანების, საოფისე და ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ავტომობილების, მცურავი საშუალებების და სხვა სამრეწველო საქონლის მიმართ<sup>65</sup>.

განვითარებულ ქვეყნებში შენარჩუნებულია არასატარიფო შეზღუდვების მაღალი დონე განვითარებადი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტისათვის (ექსპორტის 42,8%), ხოლო ცალკეული საქონლისთვის არასატარიფო ბარიერების გამოყენების სიხშირე კიდევ უფრო მეტია: თევზი და კიბოსნაირნი (50-დან 63%-მდე), მარცვლეული (65,5-დან 82,3%-მდე)<sup>66</sup>.

განვითარებული ქვეყნების ექსპორტი, თავის მხრივ, გაცილებით დაბალ არასატარიფო ბარიერებს აწვდება განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა კი, სოფლის მეურნეობისა და თევზის მრეწველობის საქონელზე, სამკურნალო პრეპარატებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე (ავტომობილები და მსუბუქი ავტომობილები), ნავთობსა და მის პროდუქტებზე. განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობაში არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენება დამოკიდებულია მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და ცალკეული სახის ნაწარმის მიხედვით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათი ინტეგრაციის ხარისხზე.

<sup>65</sup> Baccetta M., Bora B. (2001). Post-Uruguay market access barriers for industrial products. // Policy issues in international trade and commodities, Study series No.12 UNCTAD, UN - NY and Geneva. p 44-47

<sup>66</sup> იქვე p 44-47



მაგალითად, სამრეწველო ნაწარმის მიმწოდებელი განვითარებადი ქვეყნების ექსპორტს ყველაზე მეტად ზღუდავენ სასოფლო-სამეურნეო და თევზის მრეწველობის პროდუქტების ნაწილში – ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (57,5%), აგრეთვე, ლათინური ამერიკის ქვეყნები; სამრეწველო პროდუქციის ნაწილში - იგივე რეგიონები (შესაბამისად, 11% და 11,7%), საქონლის ცალკეული სახეების მიხედვით რეგიონებს შორის განსხვავებები კი კიდევ უფრო მეტია. ნავთობის ძირითადი მიმწოდებელი ქვეყნების ექსპორტი არასატარიფო შეზღუდვებს აწყდება: სასოფლო-სამეურნეო და თევზის პროდუქტების ნაწილში - 31-დან 75%-მდე და ნავთობპროდუქტებში - 31,2-დან 45,5%-მდე - ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის, ლათინური ამერიკის, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისგან; ორგანული ქიმიის პროდუქტებში - 17,4-დან 25,1%-მდე - აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებისგან; მერქნისა და მისი ნაწარმის ნაწილში - 20% - ლათინურ ამერიკაში; საფეიქრო ნაწარმში - ყველა განვითარებადი ქვეყნის ბაზრებზე, თუმცა, გაცილებით ნაკლებად, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

სხვა განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთს შორის საქონლის ექსპორტისას მაქსიმალურ არასატარიფო დაცვას აწყდებიან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე - ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ბაზრებზე (44,6-75,1%); ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე - ევროპისა და ცენტრალურ აზიაში (30,6 და 45,5%), სამხრეთ აზიაში (37,1%); მერქანსა და მის ნაწარმზე - ლათინურ ამერიკაში (19%); ალმასსა და სხვა ძვირფას ქვებზე - ევროპისა და ცენტრალურ აზიაში (21-31,1%); ელექტრონულ და მანქანურ მოწყობილობაზე - ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში (20%). ავტომობილების, მათი დეტალებისა და სათადარიგო ნაწილების ბაზრები ძლიერადაა დაცული პრაქტიკულად ყველა რეგიონში, ყველაზე მეტად კი - სამხრეთ აზიის (51,9%), აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის (46%), ევროპისა და ცენტრალური აზიის (39,8%) ქვეყნებში<sup>67</sup>.

საგულისხმოა, რომ არასატარიფო შეზღუდვათა ყველაზე მაღალი დონის გადალახვა უწევთ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ექსპორტიორებს იმ საქონლის ნაწილში, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოა მათთვის (თევზი,

<sup>67</sup> World Tariff profiles, (2014), WTO 2015


კიბოსნაირნი, ხილი, თხილი და კაკალი, ყავა, მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელი, საფეიქრო ნაწარმი და მერქანი). ეს ეხება პრაქტიკულად ყველა რეგიონს, განსაკუთრებით კი - აშშ-ს, ევროკავშირს, იაპონიას, კანადას, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს. ამასთან, არასატარიფო რეგულირების ზომებს თვითონ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები იშვიათად მიმართავენ. თავიანთ ბაზრებს ისინი აქტიურად იცავენ სოფლის მეურნეობისა და თევზის იმ ნაწარმის იმპორტისგან, რომელიც თვითონვე გააქვთ ექსპორტზე. სამრეწველო საქონლის ნაწილში, სამკურნალწამლო საშუალებებისა და პრეპარატების გარდა (47.7%), არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენების სიხშირე ხშირ შემთხვევებში 1%-ს არ აღემატება, ზოგჯერ კი 2%-დან 5-7%-მდე მერყეობს<sup>68</sup>.

1990-იან წლებში გააქტიურდა იმ მრავალი ქვეყნის ანტიდემპინგური საქმიანობა, რომლებმაც თავიანთი საიმპორტო რეჟიმები შეარბილეს. ეს იმიტომ, რომ ანტიდემპინგური პროცედურები იაფი იმპორტით შევიწროებული ეროვნული მრეწველობის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საშუალებაა. თანამედროვე ეტაპზე, სწორედ ანტიდემპინგური ზომებია ბაჟის მომატების გზით იმპორტის შეზღუდვის ძირითადი ლეგალური ინსტრუმენტი WTO-ს წევრი ქვეყნებისთვის. ამგვარი პოლიტიკის მიზანია იმპორტიორ სახელმწიფოებში მყოფი მწარმოებლების მიმართ არაკეთილსინდისიერი ფასისმიერი კონკურენციის აღმოფხვრა. ბოლო წლებში მუდმივად იზრდება ანტიდემპინგურ გამოძიებათა რაოდენობა (დიაგრამა 2.1).

ანტიდემპინგური გამოძიებების დონე მსოფლიოში კვლავ მაღალია. 2014 წ. ანტიდემპინგური გამოძიება დაიწყო 41 ქვეყნის წინააღმდეგ, მათ შორის, ყველაზე მეტი - ჩინეთის (63 საქმე) წინააღმდეგ. დიაგრამა 2.2-ზე მოცემულია ქვეყნები, რომელთაგან თითოეულის წინააღმდეგ 30-ზე მეტი გამოძიება მოდის 2000-2014 წწ-ში.)

---

<sup>68</sup> ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი [http://wto.org/english/tratop\\_e/adp\\_e/adp\\_e.htm](http://wto.org/english/tratop_e/adp_e/adp_e.htm)




წყარო: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი [http://wto.org/english/tratop\\_e/adp\\_e/adp\\_e.htm](http://wto.org/english/tratop_e/adp_e/adp_e.htm)

აღსანიშნავია, რომ დიაგრამა 2.2-ზე მოცემული ქვეყნებიდან 5 საქართველოს ძირითადი პარტნიორია იმპორტის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ უწარმოებია არც ერთი გამოძიება დემპინგის მიმართულებით ამ წლებში. მეტიც 2000 წელს უცხოელი ექსპერტების დახმარებით, WTO-ს სრული შესაბამისობის მოთხოვნების გათვალისწინებით საქართველოსთვის მომზადდა კანონის პროექტი „ანტი-დემპინგური, საკომპენსაციო და დაცვითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“, რომელმაც, თავის მხრივ, შესაბამისი ექსპერტიზა გაიარა WTO-ს სამდივნოში, თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო არ მიუღიათ. დღეს კი ახალი ანტიდემპინგური კანონპროექტი, რომელზეც მუშაობა ქვეყანამ გასული წლის ბოლოს დაასრულა, გადაიგზავნა ევროკავშირში შესაბამის უწყებაში და მიიღო დადებითი გამოხმაურება: შეესაბამება და არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრინციპებს. კანონის მიღება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ადგილობრივი მეწარმეების არასამართლიანი კონკურენციისაგან დაცვის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ დემპინგის გატარებაში შეიმჩნევა უმეტესად არა განვითარებული (წარსულისგან განსხვავებით), არამედ განვითარებადი ქვეყნებიც (რომლებიც მუდმივად აკრიტიკებენ განვითარებული ქვეყნების ანტიდემპინგურ

პოლიტიკას, როგორც პროტექციონიზმის ფორმას, რითაც ისინი დისკრიმინაციას უწევენ ექსპორტიორ განვითარებად ქვეყნებს.

დიაგრამა 2.2



**წყარო:** დამუშავებულია ავტორის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით [http://wto.org/english/tratop\\_e/adp\\_e/adp\\_e.htm](http://wto.org/english/tratop_e/adp_e/adp_e.htm)

ანტიდემპინგური პრაქტიკის გავრცელება მჭიდროდ უკავშირდება სწორედ განვითარებადი ქვეყნების გაძლიერებულ სურვილს - შეზღუდონ კონკურენცია იმპორტული პროდუქციის მხრიდან, რისთვისაც აუქმებენ ძირითად სავაჭრო ბარიერებს.

გარდა ამისა, მსოფლიო ვაჭრობის განვითარება სულ ახალ და ახალ პრობლემებს აჩენს WTO-ს წინაშე. საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერებული

რეგიონალიზაცია, კონკურენტული პოლიტიკის საკითხების მოუგვარებლობა, სავაჭრო დაპირისპირებათა მოგვარების უუნარობა, ვაჭრობისა და გარემოს დაცვის ურთიერთკავშირი – ეს ყოველივე ეჭვქვეშ აყენებს WTO-ს ფარგლებში შეთანხმებების და გადაწყვეტილებათა მიღების მოქმედი მექანიზმის ეფექტიანობას.

არასატარიფო პროტექციონიზმის განვითარების კიდევ ერთ ტენდენციად გვევლინება მისი გადატანა სავაჭრო-ეკონომიკურ დაჯგუფებათა დონეზე. მრავალრიცხოვან რეგიონულ ინტეგრაციათა ფარგლებში, აგრეთვე, ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებათა შიგნით. არასატარიფო ბარიერებს ეფექტიანად იყენებენ მესამე ქვეყნების მიმართაც და წევრი ქვეყნების ურთიერთვაჭრობაშიც და ეს ხდება საბაჟო დაბეგვრის მნიშვნელოვანი ლიბერალიზების პირობებში.

WTO-ს კვლევათა თანახმად, საბაჟო კავშირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონების შესახებ შეთანხმებათა მონაწილე ქვეყნები ცდილობენ ინტეგრაციის ფარგლებში მოქმედი არასატარიფო რეგულირების ზომების უნიფიცირებას და თანდათანობით მოხსნას. როგორც წესი, ამგვარი შეთანხმებები მოიცავენ მთელ სამრეწველო ნაწარმს და ცალკეული სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების მოხსნა შესაძლებელია შეთანხმების ამოქმედებისთანავე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ან ცალკეული სახის საქონელზე. მწარმოებლების მიმართ სუბსიდიებისა და სახელმწიფო დახმარების გამოყენების წესები „თავისუფალი კონკურენციის შეუფერხებლობის“ ზოგად ტერმინებშია ხოლმე აღწერილი და მათი გამოყენება მხოლოდ რამდენიმე რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებაშია დეტალიზებული. საგანგებო დამცავი ზომების შემოღების შესაძლებლობა ეროვნული მწარმოებლებისთვის საფრთხის გაჩენის სპეციალურ პირობებს უკავშირდება და მათ, საკმაოდ, ფართოდ იყენებენ მრავალი ინტეგრაციის ფარგლებში. რეგიონულ შეთანხმებათა უმრავლესობა კრძალავს დაჯგუფების შიგნით ვაჭრობაში ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების გამოყენებას, ან დაინტერესებულ მხარეთა წინასწარ კონსულტაციებს და დაგების მოგვარებისათვის საჭირო პერიოდს მოითხოვს. რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებათა მხოლოდ 2/3 ზღუდავს ტექნიკური სტანდარტების გამოყენებას და 1/3 - სანიტარიული

და ფიტოსანიტარიული ზომებით სარგებლობას<sup>69</sup>. გაერთიანებაში შემაგალი ქვეყნები ცდილობენ წინ აღუდგნენ მესამე ქვეყნების კონკურენტუნარიან იმპორტს. ამ შემთხვევაში საგრძნობლად მაღლდება არასატარიფო რეგულირების ზემოქმედების ძალა, და ეს ხდება პირველ რიგში, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნების პოზიციების განმტკიცებისა და მათი ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების გამო.

WTO-ში გაწევრიანების საფუძველზე, ლიბერალური რეჟიმის პარალელურად, არსებობს შესაძლებლობა დავიცვათ ჩვენი ეკონომიკა დემპინგური ზეგავლენისგან. თუმცა, შესაბამისი კანონმდებლობის არ ქონისა და სხვა ფაქტორების გამო ვერ ვახერხებდით WTO-ს შესაძლებლობების გამოყენებას. დღეს, DCFTA-ს მოთხოვნების საფუძველზე კანონმდებლობის ცვლილებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ გვაქვს ბერკეტები მოვახდინოთ ანტიდემპინგური ღონისძიებების განხორციელება.

---

<sup>69</sup> Inventory of non-tariff provisions in Regional trade agreements. // WTO, 5-May-1998, WT/REG/W/26

### 3. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რეგიონულ ორგანიზაციებთან

#### 3.1 საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნათა რეალიზაციის შედეგები

მოსახლეობის კეთილდღეობის დონე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვაზე და მის მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების ხარისხზე. ამიტომ, საგარეო ვაჭრობის პრობლემატიკის შესწავლა და სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საქმეში. ერთ-ერთი პრიორიტეტული კი თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებაა. ზოგადად ქვეყნები ჩართული არიან ამ პროცესებში როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე. ორმხრივი და მრავალმხრივი რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების ზრდა უფრო მეტად ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ განვითარების სტადიაზე მყოფ ქვეყნებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს მოიცავს. ამ განსხვავებების გამოვლენის მიზნით რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები ზოგადად შეიცავს სპეციალური და განსხვავებული ტიპის დებულებებს, რომლებიც გამიზნულია ნაკლებად განვითარებული პარტნიორებისთვის სარგებლის მოტანაზე. ამასთანავე ასეთი შეთანხმებები, პოლიტიკური და სატრატეგიული თვალსაზრისით, პარტნიორის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების დებულებები ხშირად სცილდება WTO-ს დებულებების ფარგლებს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული ხელშეკრულებები ავსებენ მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას, მათ არ შეუძლიათ მათი ჩანაცვლება. უკანასკნელ წლებში რეგიონალიზმის მასშტაბები მკვეთრად იზრდება. აზიის ქვეყნები, რომლებიც ადრე თავს იკავებდნენ რეგიონული ურთიერთობებისგან, დღეს უკვე ჩართულნი არიან პროცესში. ჩინეთის პრეფერენციული არჩევანი აზიის ქვეყნებთან მოტივირებულია საკუთარი საგარეო პოლიტიკის საზღვრების გაფართოვების პერსპექტივებით.

არსებობს მოსაზრება, რომ რეგიონული შეთანხმებების ხელშემწყობი მოტივაციები გასხვავდება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიხედვით, მაშინ, როდესაც განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები ღრმა ინტეგრაციისკენ ისწრაფვიან, განვითარებადი ქვეყნები ეძებენ მხოლოდ ბაზარზე შეღწევის გზებს. ეს

ძალზე მკვეთრი განსხვავებაა. განვითარებადი ქვეყნები დაინტერესებული არიან უფრო ღრმა ინტეგრაციით ინსტიტუციონალური გაძლიერების გზით, მაშინ როდესაც, განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები დაინტერესებული არიან ბაზრებზე შეღწევით<sup>70</sup>.

რაც შეეხება რეგიონალიზმის მასშტაბს, ამჟამად მოქმედი 184 რეგიონული სავაჭრო შეთანხმებიდან არა ნაკლებ 141 ორმხრივია. ეს ორმხრივი ხელშეკრულებები დადებულია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ისინი ეკონომიკური განვითარებითაც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ანუ ისრებიან ასიმეტრიული ინტეგრაციის პროცესებისკენ. ასიმეტრიული ინტეგრაციის თვალსაზრისით რეგიონული შეთანხმებები ბევრ ასპექტში სცილდება WTO-ს დებულებებს, იქნება ეს უფლებამოსილების განსაზღვრა, თანამშრომლობის გაძლიერება, თუ ტექნიკური და ფინანსური დახმარება, გამომდინარე იქედან, რომ წევრების გამოკვეთილი კატეგორიზაცია WTO-ს წესრიგს ეწინააღმდეგება, სადაც „განვითარებადი ქვეყნის“ განმარტებაც კი არ არსებობს და სადაც, წევრთა „დიფერენცირების“ საკითხი ასე სენსიტიურია.

ევროკავშირისთვისაც რეგიონული შეთანხმებების განხორციელების ძირითად მოტივაციას ბაზრებზე გაუმჯობესებული შეღწევა წარმოადგენს. ევროკავშირის ახალი სავაჭრო პოლიტიკის სტრატეგია გაცხადდა 2006 წლის ოქტომბერში, რომელიც მიმართული იყო რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების განხორციელებისკენ.

რეგიონული თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრის (დსთ) ჩარჩოში არსებულ თავისუფალ სავაჭრო ზონაში, შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობასა (BSEC) და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (სუამი) თავისუფალ სავაჭრო ზონაში, რადგან საქართველოს ექსპორტისათვის მეტად მოხერხებული სწორედ თურქეთისა და დსთ-ს ბაზრებია, რომლებიც ნაკლებ პრეტენზიულია ქართული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობისადმი.

საქართველო მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრის სრულფასოვან და ღირსეულ წევრად გახდომისთვის ეტაპობრივად ცდილობდა ინტეგრირებას რეგიონულ

<sup>70</sup> Heydon K., Asymmetric integration: The role of regionalism. Developing countries and the WTO: Policy approaches, Samson and Chambers (eds) United Nations University Press, 2008, ISBN 978-92-808-1153-7 p.230-231



ინტეგრაციულ გაერთიანებებთან ერთად, ამასთან დიდი ძალისხმევა მიმართული იყო (და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება) კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტების, აგრეთვე მყარად ჩამოყალიბებული ეკონომიკური პარამეტრების მიღწევაზე. საქმე ეხება თავისუფალი ვაჭრობის განვითარებით ქვეყნისთვის სარგებლის მიღების შესაძლებლობას. თუ წლების წინ არ არსებობდა ეროვნული პროდუქციის სახეობა, რომელსაც შეეძლო ევროკავშირის ბაზარზე რაიმე შეზღუდვების არარსებობის პირობებშიც კი კონკურენცია გაეწია ანალოგიური ევროპული ნაწარმისთვის, დღეს, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ძვრებია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველო არ ფლობს არც ერთ ისეთ წარმოებას, რომელიც შეეძლებს კონკურენტულ ბრძოლაში ჩაებას ევროკავშირის მსხვილ, კარგად ორგანიზებულ ტრანსეროვნულ კომპანიებთან. დახვეწილ, მომთხოვნ ევროპელ მომხმარებელს კი ვერ აიძულებ იყიდოს დაბალხარისხიანი, მაგრამ თუნდაც ძალზე იაფი პროდუქცია. ბაზარზე არსებობს არა იმდენად ფასისმიერი, არამედ არაფასისმიერი კონკურენცია. ანუ უპირატესობა არა საქონლის ფასს, არამედ ხარისხს ენიჭება. ამასთან ბრენდის დამკვიდრებისათვის საკმარისი არ არის მისი პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამისათვის საჭიროა მსხვილი სარეკლამო მხარდაჭერა, რომელიც უდიდეს სახსრებს (რომლის უკმარისობაც ეროვნული საწარმოების ყველაზე დიდი პრობლემაა) და ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. თანამედროვე წარმოების უდიდესი დანახარჯები სწორედ რეკლამის ხარჯებზე მოდის.

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში რეფორმებს ახალი იმპულსი მისცა ევროკავშირ-საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე (DCFTA) შეთანხმების მიღწევამ (ხელშეკრულების გაფორმებამ). აღსანიშნავია, რომ DCFTA, ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებაში განისაზღვრა მიზანი, რომ შეიქმნას თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეთანხმება და მოხდეს მასთან დაკავშირებული ვალდებულებების მიღება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჰარმონიზებას და სხვადასხვა სფეროებში არსებული პრაქტიკის

ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს. ევროკავშირი საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს, რომ მან ახალი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები მიიღოს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, რაც ამ პროდუქციის ევროკავშირის საერთო ბაზარზე შესვლას უზრუნველყოფს. ამგვარი შეთანხმების დადება ნიშნავს იმას, რომ პარტნიორი ქვეყანა გაიზიარებს და დანერგავს ევროკავშირის კანონმდებლობის ფაქტობრივად 80%-ზე მეტს. 2009 წლის მარტში ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა ქართულ მხარეს გადასცა მოლაპარაკებებისათვის საქართველოს მზადყოფნის შეფასების დოკუმენტი და შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტი.

2011 წლის 5 დეკემბრიდან ევროკავშირმა საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელი პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, 10 მიმართულებიდან (სატარიფო და არასატარიფო ბარიერები, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო ადმინისტრირება, ინვესტიციები და მომსახურება, წარმოშობის სერტიფიკატი, ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მდგრადი განვითარება, გარემო და სოციალური საკითხები), ევროკავშირმა საქართველოსთვის 4 შედარებით პრობლემატური სფერო გამოყო. რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ აიღო შესაბამისი ზომების მიღების ვალდებულება ოთხივე მიმართულებით:

- ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის – საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი ყოვლისმომცველი სტრატეგია ამ კუთხით. სტრატეგიის გარდა, თავად ქართული მხარის ინიციატივით, ასევე შეიმუშავდა სამოქმედო გეგმა;

- სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში – საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგია და ხანგრძლივი პერიოდისა და ვალდებულების რამდენჯერმე გადავადების შემდგომ, ამოქმედა

სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის შეჩერებული მუხლები, და 2010 წლის 1 ივლისიდან დაიწყო საექსპორტო პროდუქციის კონტროლი;

- კონკურენციის პოლიტიკა – ევროკომისიის რეკომენდაციის თანახმად, უნდა მომხდარიყო კონკურენციის დაცვის შესახებ ახალი კანონის შემუშავება. რამდენადაც ანტიმონოპოლიური რეგულაციების საკითხი და კონკურენციის დაცვის პოლიტიკა პრიორიტეტულად არ განიხილებოდა წინა მთავრობის დერეგულირების პოლიტიკის პირობებში, ევროკავშირთან მოლაპარაკებებში ეს სფერო დიდხანს რჩებოდა პრობლემატურად. ამჟამად, კანონმდებლობა შექმნილია და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მის მოქმედებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი მექანიზმების გაუმჯობესებაზე;

- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – ასევე ევროკომისიის რეკომენდაციების თანახმად, ჩატარდა კვლევა (UNDP-მიერ) და საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი სამრეწველო პროდუქტების დიზაინის შესახებ, რომელიც შეესაბამება ევროკომისიის რეგულაციებს. ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამსახური. თუმცა, ამ სფეროში სრული ჰარმონიზაციისთვის, რომელიც მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული დღეისათვის, როგორც ჩანს საქართველოს მხარეს მოუწევს ევროკავშირის სტანდარტებთან თანდათან დაახლოება.<sup>71</sup>

2013 წლის ივლისში, ექვსრაუნდიანი მოლაპარაკების შედეგად საქართველო შეუერთდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას (DCFTA). 2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულება გულისხმობს აუცილებელ ეტაპობრივ წინსვლას ისეთ სფეროებში, როგორცაა: ვაჭრობა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და განათლება საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების მიზნით. საერთო ჯამში, პროცესი ორიენტირებულია დემოკრატიისა და

<sup>71</sup>გოგორიშვილი, ი. (2016), საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში.

კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებზე, ეფექტიან მმართველობაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე.

DCFTA-მ საქართველოს მისცა ევროკავშირის ბაზრებზე საქონლის უბაჟო ექსპორტის საშუალება. ზოგადი პრეფერენციული სისტემის ფარგლებში (GSP+), საქართველო უკვე სარგებლობდა დაბალი და ნულოვანი ტარიფით ევროკავშირთან ექსპორტის 2/3 მიმართებაში. თუმცა, რჩება გარკვეული რეგულაციები ქართულ პროდუქციაზე; ერთი სოფლის მეურნეობის პროდუქტი - ნიორი იქნება უბაჟო, მაგრამ დაექვემდებარება კვოტირებას.

DCFTA მოიცავს საქონლით ვაჭრობას, ტარიფის გაუქმებას, უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრების შემდგომ გახსნას და ინვესტორების მოზიდვისთვის პირობების გაუმჯობესებას. ის აგრეთვე მოიცავს საბაჟო პროცედურების ხელშეწყობას, გაყალბების საწინააღმდეგო ღონისძიებებს და ვაჭრობის დაცვის ინსტრუმენტებს. დაგების გადაწყვეტა მრავალმხრივი მსჯელობის საფუძველზე გულისხმობს საკითხების ოპერატიულად მოგვარებას. ხელშეკრულება აგრეთვე იძლევა ვაჭრობის პოლიტიკასთან დაკავშირებული შემდგომი რეფორმების გატარების საშუალებას, როგორცაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჰიგიენური სტანდარტების, საწარმოო პროდუქტების შესახებ რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების, საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის, სახელმწიფო შესყიდვების წესების და მომსახურების სფეროს ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით. საქართველო ვალდებული იქნება საკუთარი პროდუქციის ხარისხი შეუსაბამოს ევროკავშირის გარკვეულ მოთხოვნებს არა მხოლოდ პროდუქციის ექსპორტზე გატანის, არამედ, მისი ქვეყნის შიგნით მოხმარების შემთხვევაშიც. ყოველივე ეს ნიშნავს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების გაუმჯობესების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის, კონკურენციის, სამრეწველო პროდუქციაზე ტექნიკური რეგულაციების დახვეწის და საბაჟო და სავაჭრო პროცედურების ხელშეწყობის ხანგრძლივი პროცესის დასაწყისს, ეს პროცესი საჭიროებს მოკლე და საშუალოვადიან დანახარჯებს. მთავრობამ უკვე შეიმუშავა ღრმა და ყოველსმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისთვის. ამისთვის პრიორიტეტების

მიხედვით ჩამოაყალიბა მისთვის საჭირო სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება, კერძოდ: კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება შემდეგი მიმართულებებით: საქართველოს საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაციის ზრდა; სტანდარტიზაციისა და სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების გადალახვა; საბაჟოს შესაძლებლობების გაზრდა და ვაჭრობის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება; პროდუქციის წარმოშობის დაცვის წესების „ნოუ-ჰაუს“ გაუმჯობესება; ელექტრონული ვაჭრობის კანონმდებლობის შემუშავება და მომსახურებით ვაჭრობის შექმნა; აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამოწვევების გადალახვა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა და კონკურენცია.

ერთობლივი მუშაობის მიზანი აღნიშნულ პრიორიტეტულ სფეროებში საქართველოს ევროკავშირთან სტრუქტურული და დინამიკური დაახლოება იყო. ქართულმა მხარემ შეიმუშავა სამთავრობო სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად მცირე დროში გავიზიაროთ ევროკავშირის რეკომენდაციები.

რაც შეეხება საქართველოსათვის DCFTA-თან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მომგებიანობას, მოსაზრებები ორად იყოფა: ერთი მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა კვლევებმა, რომლებიც ჩაატარეს მეცნიერებმა: ი.გაგნიძემ (2012), რ.გველესიანმა (2012), ი.გოგორიშვილმა (2012), ნ.პაპაჩაშვილმა (2011) ე.სეფაშვილმა (2015), და სხვებმა, აჩვენა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში DCFTA-თან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება გამოიწვევს დანახარჯებს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის, ისე კერძო სექტორისათვის, რაც საწყის პერიოდში საგარეო სავაჭრო ნაკადების შეზღუდვაში გამოვლინდება (ეს ეფექტები უკვე გაჩნდა). მეორე მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში იგივე გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ხელშეკრულება დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს. ექსპერტების შეფასებით, DCFTA-ის გაფორმებით 6.5%-ით გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 014.8 ათასი აშშ დოლარიდან (2007 წ.) 11.36 მლრდ-ს მიაღწევს (2020 წ.). გარდა ამისა, 2012 წელს კომპანია Ecorys-ის (ჰოლანდია) და Case-ის (პოლონეთი) მიერ DCFTA-ის შედეგების შესახებ ჩატარებული ერთობლივი

კვლევის მიხედვით, მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით გაზრდა.

DCFTA ქვეყნის იმიჯზე დადებითად იმოქმედებს: გაიზრდება სტანდარტები და მომსახურების ხარისხი. ასევე, გაიზრდება ქართული პროდუქციის გატანა გარე ბაზრებზე. ამავე დროს, საქართველოს მოუწევს 10 წლის განმავლობაში ევროკავშირის 350-მდე კანონის მიღება და მათი მოქმედების უზრუნველსაყოფად პირობების ჩამოყალიბება.

მიუხედავად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ვითარდება, ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება დიდ იმედებს წარმოშობს. საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უკვე დემოკრატიულ გარემოში ყალიბდება, რაც ინსტრუმენტების გამოყენების რაციონალურობას განაპირობებს. მიუხედავად მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებებისა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ჯერ კიდევ შორსაა იმ სასურველი სტანდარტისაგან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უზრუნველყოფს.

ევროკავშირთან დადებულმა ხელშეკრულებამ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში ახალი რეგულაციები დაამკვიდრა. მათი მოქმედების შედეგად უკვე დაიწყო საგარეო სავაჭრო ნაკადების სტრუქტურისა და მიმართულებების ცვლილება. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ახალმა მოთხოვნებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ზრდის ტენდენცია წარმოშვა.

ლიბერალური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის საფუძვლები შექმნა. მიმდინარეობს საინვესტიციო ნაკადების განუხრელი ზრდა, მაგრამ მათი სტრუქტურისა და მიმართულებების მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ხორციელდება.

### **3.2 საქართველოს მონაწილეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სავაჭრო სისტემაში**


ნებისმიერი მცირე ღია ეკონომიკებისთვის მნიშვნელოვანია ბაზრების დივერსიფიკაცია და ამდენად, ინტეგრაციული კავშირების განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენთვის ერთ-ერთი ასეთი მიმართულება პოსტსაბჭოური სივრცეა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირის

მოშლის კატასტროფულმა შედეგებმა, მსოფლიო ბაზარზე გასვლის მცდელობის სრულმა კრახმა აშკარა გახადა ქვეყნისთვის პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან სამეურნეო კავშირების აღდგენა-განვითარების აუცილებლობა. ხოლო სპეციალიზაციისა და დივერსიფიკაციის განვითარების შესაძლებლობა წარმოადგენს ეკონომიკური კავშირებიდან, თავისუფალი ვაჭრობიდან სარგებლის მიღების მთავარ მამოძრავებელ ძალას.

საქართველო დსთ-ის წევრი 1993 წლის დეკემბერში გახდა. ის ორგანიზაციაში ყველაზე ბოლოს გაწევრიანდა. დსთ-ში ყოფნის პერიოდში დსთ-ს წევრებთან საქართველომ ხელი მოაწერა 113 მრავალმხრივ, არასამხედრო ხასიათის ხელშეკრულებას. დსთ-ს წევრ რვა ქვეყანასთან საქართველოს ხელმოწერილი აქვს „ორმხრივი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, რომელთაგან ძალაშია მხოლოდ ექვსი შეთანხმება და, რომლებიც ასევე ითვალისწინებს საქონლითა და მომსახურებით ურთიერთვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო გადასახადისგან. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და უკრაინა. ხოლო მოლდოვასა და უზბეკეთის მიერ ძალაში არ შესულა ეს შეთანხმებები. დსთ-ს ფარგლებში მიღებული დოკუმენტი თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების შესახებ მიზნად ისახავს ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმებების მიერ უკვე დადგენილ თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ მოცემული ხელშეკრულებების დადება შეესაბამებოდა საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს მესამე სახელმწიფოსთან და საქართველოში წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრის გაფართოებით უფრო მისაღებს ხდიდა მაღალი ტექნოლოგიების დანერგვისა და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

2014წ დსთ-ს ქვეყნებზე მოდის საქართველოს მთლიანი ექსპორტის 51%, 2015წ - 38%, იმპორტის 24% და 25% შესაბამისად. საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის 3 დსთ-ს წევრი ქვეყანაა. პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი 591 მლნ აშშ დოლარის სავაჭრო ბრუნვით, მეორეზე რუსეთი - 530 მლნ აშშ დოლარი სავაჭრო ბრუნვით, მესამეზე სომხეთი - 269 მლნ აშშ დოლარი სავაჭრო ბრუნვით. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებები წლების მიხედვით დსთ-ს ქვეყნებში მოცემულია დიაგრამა №3.1-ში.



**წყარო:** დამუშავებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების თემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. განვიხილავთ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს, რომლებშიც აისახება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის არსებული მდგომარეობა და ტენდენციები.

1994 წლიდან საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო მრავალი ხელშეკრულება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ, ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სავაჭრო ბრუნვა. დღეისათვის რუსეთთან გაფორმებულია 100-მდე სხვადასხვა მთავრობათაშორისი შეთანხმება, რომელთაგან თითქმის ნახევარი ეკონომიკური ხასიათისაა. მათ შორის, აღსანიშნავია ისეთი ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებები, როგორცაა ხელშეკრულება „სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“ (1994), „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ (1994), კონვენცია „ორმაგი დაბეგვის თავიდან აცილების შესახებ“ (1999) და ა.შ. ასევე გაფორმდა შეთანხმებები: სატრანსპორტო გადაზიდვების, სავაჭრო ნაოსნობის სფეროში თანამშრომლობის, საბანკო-საფინანსო ურთიერთობების შესახებ და მრავალი სხვა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც



აუცილებელია მხარეთა სამეურნეო სუბიექტებს შორის ცივილიზებული თანამშრომლობისათვის.

ინტეგრაციის გადრმავების მიზნით, შემდგომ წლებში, მზადდებოდა შეთანხმების პროექტები – საწარმოო კოოპერაციების შესახებ”, სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ”, საქართველოს ხელისუფლებასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 2002-2008 წწ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ” და სხვა შეთანხმებების პროექტები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყო ადნიშნულ სფეროში მხარეთა შორის არსებული პრობლემების სამართლებრივ მოგვარებას.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1994 წლიდან მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გამორიცხავდა მხარეთა იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთვაჭრობაში დისკრიმინაციულ მიდგომებს, ხელს უწყობდა დადგენილი კვოტებისა და სხვა არასატარიფო შეზღუდვების გარეშე საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალ გადაადგილებას, სავაჭრო ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას და რაც, მთავარია სამეურნეო სუბიექტებისათვის თანაბარი უფლებებისა და პირობების შექმნას სამომხმარებლო ბაზარზე დასამკვიდრებლად.

ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი, პარტნიორული ურთიერთობების გადრმავებას. თანდათანობით აღდგა დანგრეული ეკონომიკური კავშირები და 2005 წლამდე სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლების მიხედვით რუსეთის ფედერაციამ მტკიცედ დაიმკვიდრა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორის სახელი. კერძოდ:

1994-2003 წლებში რუსეთთან სავაჭრო საქონელბრუნვა 5.6-ჯერ 40-დან 225 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. მათ შორის საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 5-ჯერ და უფრო მეტად – 14-დან 75.5 მლნ დოლარამდე. იმპორტირებული საქონლის მოცულობა კი, რომლის სტრუქტურაში ძირითადად ენერგომატარებლები, ხორბალი და ჩვენთვის აუცილებელი სხვა სტრატეგიული დანიშნულების საქონელია, 26-დან 150 მლნ აშშ დოლარამდე გადიდა. 1999-2001 წლებში თხილის ექსპორტი 0.5 მლნ-დან 2.4 მლნ აშშ დოლარამდე ანუ თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, მინერალური წყლების ექსპორტი – 1.5-დან 18.3 მლნ-მდე ანუ თითქმის 9.5-ჯერ, სპირტიანი სასმელებისა – 0.9-დან 8.5 მლნ-მდე, ანუ 6.5-ჯერ, მანგანუმის მადნების – 0.3-დან 1.4 მლნ-მდე ანუ 4.5-

ჯერ, ფეროშენადნობებისა 3.1-დან 5.7 მლნ-მდე ანუ თითქმის 5-ჯერ, ელექტროძრავებისა და გენერატორებისა – თითქმის 10-ჯერ და ა. შ<sup>72</sup>.

ამავე პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ბაზარზე ჩვენი სხვა ტრადიციული პროდუქციის, მათ შორის ჩაის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების, სამკურნალო საშუალებების ექსპორტი. რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქციის სასაქონლო სტრუქტურაში ძირითადი ადგილი ეკავა ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიას. მაგალითად, ენერგეტიკის გამართული მუშაობა ძირითადად რუსეთის ენერგორესურსებზე იყო დამოკიდებული, რადგან სხვა, ალტერნატიული წყარო არ არსებობდა. მისი შეწყვეტით მიღებულმა ეკონომიკურმა ზარალმა, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ შედეგებზე, გამოუსწორებელ ზიანი მიაყენა ჩვენს ეკონომიკას.

2006 წელს განხორციელებულმა ემბარგომ აბსოლუტურად მოშალა საექსპორტო კავშირები და უამრავი კომპანიის გაკოტრება გამოიწვია, განსაკუთრებით ღვინის მწარმოებლების. 2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის მიზეზით, კი საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ. 2009 წლის 19 აგვისტოდან საქართველო ოფიციალურად წვევტს ურთიერთობას დსთ-სთან, ამასთან საქართველო რჩება დსთ-ს მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების წევრი. მათგან მნიშვნელოვანია: თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძირითად არსს წარმოადგენს წევრ ქვეყნებს შორის საქონლის თავისუფალი მოძრაობა (საქონლის გადაადგილება ნულოვანი დაბეგვრით). აღნიშნული შეთანხმების სრულფასოვან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, საჭიროა მხარეებმა იხელმძღვანელონ დსთ-ს საქონლის წარმოშობის სახელმწიფოს განსაზღვრის წესებით, რაც გულისხმობს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმების განსაზღვრას, რომლის შესაბამისადაც გაიცემა საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი. ეს სერთიფიკატი უზრუნველყოფს საქონლის მოქცევას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში. ხსენებული საკითხის დარეგულირება მიმდინარეობს დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივ ფორმატში. საქართველო რჩება ასევე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მარეგლამენტირებელ, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის

---

<sup>72</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის წარმოების შესახებ მრავალმხრივი შეთანხმების წევრი. ამ შეთანხმების შესაბამისად, წევრი ქვეყნები აღიარებენ ერთმანეთის მიერ საექსპორტო პროდუქციაზე მინიჭებულ ხარისხისა და შესაბამისობის სტანდარტებს. ტრანსპორტის სფეროში, მნიშვნელობა ენიჭება ტვირთის გადაადგილებას სარკინიგზო ტრანსპორტით, რისთვისაც საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დარჩეს: დსთ-ს ქვეყნების რკინიგზათა თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი; საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო შეტყობინების შეთანხმების წევრი; შპს „საქართველოს რკინიგზა“ რჩება რკინიგზათა საერთაშორისო საბჭოს წევრი; საშიში და ფეთქებად საშიში ტვირთის სახელმწიფოთაშორისი გადაზიდვების შესახებ შეთანხმების წევრი. საქართველო კვლავ დარჩა: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების წევრი; ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შეტყობინებისა და აღკვეთის ზომების შესახებ შეთანხმების წევრი.

2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან 5%-ით შემცირდა, 3593 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 31% დაიკავა. კერძოდ: ექსპორტი 10%-ით შემცირდა, 1 465 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 51% შეადგინა; იმპორტი შემცირდა 2%-ით, განისაზღვრა 2127 მლნ. აშშ დოლარით და დაიკავა მთლიანი იმპორტის 25%. 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 155.5 მლნ. აშშ დოლარით და 10%-ით ნაკლები ექსპორტი განხორციელდა.

2014 წელს 535.4 მლნ. აშშ დოლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა (1%-ით და 3.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ზრდა დაფიქსირდა შემდეგი სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე: ღვინო - ექსპორტმა შეადგინა 158.7 მლნ. აშშ დოლარი (47%-ით და 46.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (71%), უკრაინა (13%), ყაზახეთი (10%) და ბელარუსი (4%); მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა 123.3 მლნ. აშშ დოლარი (28%-ით და 27.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (53%), უკრაინა (23%), ყაზახეთი (10%) და ბელარუსი (8%); უაღკოპოლო გაზიანი სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 27.4 მლნ. აშშ დოლარი (70%-ით და 11.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი (37%), ყაზახეთი (29%) და რუსეთი (14%); სანელებლები - ექსპორტმა

შეადგინა 5.2 მლნ. აშშ დოლარი (72%-ით და 2.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (50%) და უკრაინა (25%); კურკოვანი ხილი - ექსპორტმა შეადგინა 3.0 მლნ. აშშ დოლარი (108%-ით და 1.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (76%) და ყაზახეთი (10%).

კლება დაფიქსირდა შემდეგ პროდუქტზე: ხორბალი - ექსპორტმა შეადგინა 12.4 მლნ. აშშ დოლარი (74%-ით და 35.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა სომხეთში; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტმა შეადგინა 30.1 მლნ. აშშ დოლარი (37%-ით და 17.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანში; თხილი და კაკალი - ექსპორტმა შეადგინა 26.6 მლნ. აშშ დოლარი (35%-ით და 14.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ყაზახეთი (54%), უკრაინა (17%), რუსეთი (15%) და აზერბაიჯანი (7%); კვების პროდუქტები - ექსპორტმა შეადგინა 1.9 მლნ. აშშ დოლარი (67%-ით და 3.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი (49%), სომხეთი (27%) და უზბეკეთი (17%); სიმინდი - ექსპორტმა შეადგინა 7.8 მლნ. აშშ დოლარი (38%-ით და 4.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). პროდუქციის 91%-ის ექსპორტი განხორციელდა სომხეთში; სპირტიანი სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 65.3 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და 1.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა (36%), რუსეთი (27%), აზერბაიჯანი (12%), ბელარუსი (7%) და ყაზახეთი (6%).

2014 წელს 930.0 მლნ. აშშ დოლარის სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა (14%-ით და 151.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

კლება დაფიქსირდა შემდეგი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე: ცემენტი - ექსპორტმა შეადგინა 14.5 მლნ. აშშ დოლარი (55%-ით და 17.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანში; მიწები, მილაკები და ღრუ პროფილები - ექსპორტმა შეადგინა 15.1 მლნ. აშშ დოლარი (39%-ით და 9.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ყაზახეთი (44%), აზერბაიჯანი (26%) და რუსეთი (17%); ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტმა შეადგინა 4.0 მლნ. აშშ დოლარი (62%-ით და 6.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი (72%) და სომხეთი (27%); რკინიგზის ლოკომოტივები - ექსპორტმა შეადგინა 22.0 მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 6.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტის სრული

მოცულობა განხორციელდა უკრაინაში; სატვირთო ვაგონები - ექსპორტმა შეადგინა 2.7 მლნ. აშშ დოლარი (58%-ით და 3.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანში; სატელეფონო აპარატები - ექსპორტმა შეადგინა 2.7 მლნ. აშშ დოლარი (61%-ით და 4.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (36%), მოლდოვა (17%) და ბელარუსი (16%); ელექტროენერჯია - ექსპორტმა შეადგინა 12.8 მლნ. აშშ დოლარი (9%-ით და 1.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (59%) და რუსეთი (39%); მერქანბურბუშელის ფილები - ექსპორტმა შეადგინა 6.4 მლნ. აშშ დოლარი (18%-ით და 1.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (95%) და თურქმენეთი (3%). მსუბუქი ავტომობილები გავიდა 433.7 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით (24%-ით და 138.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადად გავიდა შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანსა (62%) და სომხეთში (30%).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე: სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა შეადგინა 87 მლნ. აშშ დოლარი (77%-ით და 37.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი (49%), აზერბაიჯანი (32%) და სომხეთი (6%); წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - ექსპორტმა შეადგინა 60 მლნ. აშშ დოლარი (37%-ით და 14.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი (95%) და სომხეთი (4%); ეთილენის პოლიმერები - ექსპორტმა შეადგინა 3.7 მლნ. აშშ დოლარი (51%-ით და 1.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი (89%) და უკრაინა (5%).

2014 წელს 2013 წელთან შედარებით 52.1 მლნ. აშშ დოლარით და 2%-ით ნაკლები იმპორტი განხორციელდა: 624.3 მლნ. აშშ დოლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი (5%-ით და 35.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები); 1 503 მლნ. აშშ დოლარის სამრეწველო პროდუქციის იმპორტი განხორციელდა (1%-ით და 16.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი)<sup>73</sup>.

საქართველოს დღესდღეობით გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მრავალი საქონლის წარმოებაში, რომელზედაც ის

<sup>73</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სპეციალიზდებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ამდენად, პოსტსაბჭოთა სივრცეში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გამყარებით ქვეყანას საშუალება მიეცემა ისარგებლოს წარმოების სპეციალიზაციის განვითარების დადებითი შედეგებით. პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციის გაღრმავებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობები არსებობს: ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ერთიანი სატრანსპორტო, ენერგეტიკული, კომუნიკაციების სისტემები; ერთიანი სტანდარტები, ტექნიკური მოთხოვნები და სანიტარიული ნორმები; ტექნოლოგიური და ტერიტორიული სიახლოვე; ერთმანეთის ბაზრის ცოდნა; ერთმანეთის პროდუქციის მიმართ გარკვეული ნდობის არსებობა; აქტიური მიგრაციული ნაკადებისა და ხალხთა შორის კავშირების არსებობა და სხვა.

თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებელია საექსპორტო საქონლისა და ბაზრების დივერსიფიცირება მრავალი მიზეზით, მათ შორის რისკებით რომელიც ჩვენი მეზობელი ქვეყნების მხრიდან მოთხოვნის შეზღუდვის შოკით არის გამოწვეული, მაგალითად, რუსეთის ემბარგო ქართულ ღვინოზე, მინერალურ წყლებზე და სხვა პროდუქციაზე. მართალია ემბარგო დღეს ნაწილობრივ მოხსნილია, თუმცა არ არსებობს იმის გარანტიები, რომ არ განმეორდება. გარდა ამისა, იგივე პრობლემა შეიძლება წარმოიშვას მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სხვა ისეთ ქვეყნებთან, სადაც სპეციალიზირებული ექსპორტის მსხვილი პარტიები გაგვაქვს.

### **3.3 საქართველოს ურთიერთობები დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციასთან (სუამი)**

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამი შეიქმნა 1997 წლის ოქტომბერში ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ — საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა (1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მასში აგრეთვე შედიოდა უზბეკეთი და ეწოდებოდა სუუამი).

თანამშრომლობა საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის სუამის ფარგლებში დაიწყო საკონსულტაციო ფორუმით, რომელიც 1997 წლის 10 ოქტომბერს შედგა სტრასბურგში. 2001 წლის 6-7 ივნისს გამართულ იალტის

სამიტზე მოხდა სუამის ქარტიის ხელმოწერა, რაც ორგანიზაციის ფორმალურად შექმნის თარიღად ითვლება.

მომდევნო წლებში ორგანიზაცია სტაგნაციას განიცდიდა: 2004 წლის იაღტის შეხვედრას ხუთი წევრიდან მხოლოდ ორი ესწრებოდა. თუმცა, ფერადმა რეკოლუციებმა საქართველოსა და უკრაინაში, და მოლდოვაში პროდასავლური და ანტირუსული მმართველი პარტიის გაძლიერებამ სუამის წევრებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია უფრო აქტუალური გახდა, რასაც ბევრი ანალიტიკოსის აზრით სუამის მნიშვნელობის გაზრდისთვის უნდა შეუწყოს ხელი.

ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო არის სუამის ქვეყნების საგარეო სამინისტროთა საბჭო. ყოველწლიური შეხვედრა იმართება იაღტაში სუამის წევრ ქვეყნებს შორის. ეს ითვლება ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოდ.

სუამში სულ რვა სამუშაო ჯგუფია, თემატური საკითხების მიხედვით: ენერგო-საინჟინრო, სატრანსპორტო, სავაჭრო-ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებები და ტელეკომუნიკაციები, კულტურა, მეცნიერება და განათლება, ტურიზმი, ანტი-ტერორიზმი, ორგანიზებული კრიმინალისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა.

თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებია - ეკონომიკა, უსაფრთხოება და დემოკრატია. ძირითადი მიზანია სუამის წევრ სახელმწიფოებში თანამშრომლობის გაღრმავება ეკონომიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სფეროებში, აგრეთვე უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვარების, სტაბილურობის და დემოკრატიის განმტკიცების და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით ძალისხმევების კოორდინაცია. ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება ამ მიმართულებებით უნდა ემსახურებოდეს ამ ქვეყნების ინტეგრაციას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

2013 წლის 1 იანვრიდან საქართველო გახდა სუამის თავმჯდომარე ქვეყანა. თავმჯდომარეობა საქართველომ აზერბაიჯანისგან გადაიბარა, რომელიც ორგანიზაციას 2012 წლის 1 იანვრიდან ხელმძღვანელობდა.

გაეროს გადაწყვეტილებით, სუამის დადგენილებები უკვე განიხილება როგორც ოფიციალური საბუთები. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია სუამის საქმიანობაში, და მოსალოდნელია, რომ ამაღლდეს ორგანიზაციის სტატუსი. სუამი, როგორც ორგანიზაცია შეიქმნა უფრო ეკონომიკური მიზნებით, რომელიც კავკასიის გავლით დააკავშირებდა ევროპისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს. იყო იდეები


მანდატის გაფართოების შესახებ, თუმცა ძირითადი მისია ამ ორგანიზაციის არის ეკონომიკური კავშირების განვითარება.

სუამს აქვს ეკონომიკური, საკომუნიკაციო მაგისტრალის დატვირთვა, უნდა ამუშავებულიყო მიმოსვლა, გაზრდილიყო ტვირთბრუნვა. რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირებს და მოგებას ამ კავშირიდან: საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ეს ძირითადად ენერჯეტიკის სფეროა, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ეს ურთიერთობები. არის უამრავი ჩვეულებრივი მოხმარების საქონელი, რომელიც გადის საქართველოდან, მაგალითად მინერალური წყლები და ა.შ. ასევე ვღებულობთ სხვადასხვა საქონელს აზერბაიჯანიდან. რაც შეეხება უკრაინას, საქართველო უკრაინული საქონლის დიდი სეგმენტის მომხმარებელია, მათ შორის საკვები პროდუქტების. თუმცა გარდა ამისა, არის მაკროეკონომიკური კავშირებიც. რაც შეეხება მოლდოვას, აქ ტვირთგაცვლა ისეთი დიდი არ არის, მაგრამ ამას საბოლოო ანგარიშით, აქვს სატრანსპორტო კომუნიკაციის დატვირთვა. ფაქტია, რომ სუამი ვერ გახდა ისეთი ქმედითი ორგანიზაცია, რაც ნავარაუდები იყო მის მიზნებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2014 წ. სუამზე მოდის საქართველოს ექსპორტის 24%, 2015წ. 13%. იმპორტის 13%. სუამის წვერი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვამ 2014 წ შეადგინა 3 360 500 ათასი აშშ დოლარი (დიაგრამა 3.2, 3.3).

საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს სუამ-ის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობა, რაც გულისხმობს სუამ-ის ქვეყნებისთვის სატრანსპორტო დერეფნის შექმნას და სუამის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების განხორციელებას. სუამ-ის წვერი ქვეყნები აგრეთვე მსჯელობენ ვაჭრობისა და ტრანსპორტის (FTT) ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების ოქმის პროექტზე, პროექტი, მათ შორის, მიზნად ისახავს სასაზღვრო კონტროლის დროის შემცირებას და საბაჟო ეფექტიანობის ამაღლებას.




დიაგრამა 3.2



წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.3

**სუამის თავისუფალი ვაჭრობის ზონა**  
სუამის წევრი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა 2006-2014 წწ (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: სუამის ოფიციალური ვებ-გვერდის სტატისტიკური მასალა  
<http://guam-organization.or>

სუამს აქვს მჭიდრო კავშირები იაპონიასთან, აშშ-თან, აფართოვებს თანამშრომლობას სამხრეთ კორეასთან, რომელიც უნდა გახდეს სუამის ახალი პარტნიორი. ამ ორგანიზაციის პრიორიტეტები და მიმართულებები იგივე რჩება, თუმცა ორგანიზაცია უფრო ქმედითი რომ გახდეს უმჯობესია გაფართოვდეს თანამშრომლობა არა მარტო საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, არამედ დარგობრივი სამინისტროებისა და საპარლამენტო ჯგუფების დონეზეც.

ამრიგად, სავაჭრო ურთიერთობათა ნებისმიერი სცენარისთვის მისაღებია მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობის მაქსიმალური დივერსიფიკაცია, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მიმართულებით, ამიტომაც მნიშვნელოვანია ყველა შესაძლო მიმართულებით საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოვება, მათ შორის სუამის წევრობის ფარგლებში.

#### **2.4 საქართველოს მონაწილეობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC)**

1992 წლის 25 ივნისს შავი ზღვის აუზის 11 ქვეყნის: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა (სერბეთი შეუერთდა 2004 წლიდან) სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურებმა, ევროპაში მიმდინარე მოვლენათა სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით, ბოსფორის განცხადების მიღებითა და სტამბოლის დეკლარაციის ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარეს შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას (BSEC), რასაც საფუძველად დაედო ჰელსინკის დასკვნით აქტში, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ მიღებულ დოკუმენტებში და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები.

BSEC-ის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წვერი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა

ძირითადი თანამშრომლობის სფეროებია: ენერგეტიკა; ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარება; მცირე და საშუალო საწარმოები; ტურიზმი; ორგანიზებული

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ტრანსპორტი; კომუნიკაცია; სტატისტიკა და ინფორმაცია; მეცნიერება და ტექნოლოგიები; გარემოს დაცვა; განათლება; ჯანდაცვა და ფარმაცევტიკა; სოფლის მეურნეობა; საგანგებო სიტუაციები; საბანკო და საფინანსო სფერო; კულტურა და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

1994 წლის 30 ივნისს საგარეო საქმეთა მინისტრების მე-4 შეხვედრაზე, ხელი მოეწერა BSEC-ის ძირითადი მამოძრავებელი სტრუქტურის - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) დამფუძნებელ შეთანხმებას. ბანკის სტრუქტურას საფუძვლად მსოფლიო ბანკისა (WB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ორგანიზაციული პრინციპები დაედო. ზოგადად ეს პრინციპები შემდეგს ითვალისწინებს: ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მოთხოვნილებების გათვალისწინება; ბანკის სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობები; ბანკის რეგიონული ხასიათი.

ბანკის ჩამოყალიბებას თავიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა, რადგან მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გარდამავალი პროცესების ხელშეწყობა, რეგიონული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება, მონაწილე სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოება და, საბოლოო ჯამში, შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

1998წ შეიქმნა შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრი - ICBSS, რომლის მიზანს წარმოადგენს პრაქტიკული კვლევების განხორციელება BSEC-ის ფარგლებში აკადემიურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო სფეროებში, შავი ზღვის რეგიონში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებისათვის პრაქტიკული გზების ძიება და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ხელშეწყობის გზით მრავალმხრივი თანამშრომლობის განსაზღვრა. კვლევებისა და შესწავლების საფუძველზე ICBSS ცდილობს გამოიკვლიოს თანამშრომლობის მომგებიანი სფეროები, მიიღოს მწვავე პრობლემებისადმი გადაწყვეტილებები, წარმოადგინოს რჩევები და ხელი შეუწყოს მეცნიერულ დონეზე აზრთა გაზიარებას, მკვლევარებს, დიპლომატებს, მეწარმეებს, მმართველ რგოლებს, პოლიტიკოსებსა და მასმედიის წარმომადგენლებს შორის.

მნიშვნელოვანი იყო 1992წ შავი ზღვის რეგიონის ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციის მიზნით BSEC-ის ბიზნეს საბჭოს შექმნა,

რომელიც არასამთავრობო და არაკომერციულ სტრუქტურას წარმოადგენს. მთავარი მიმართულებებია რეგიონში ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა კერძო სექტორისა და ინვესტიციების მოზიდვის წასახალისებლად.

ვითარდება ურთიერთობები ევროკავშირთან. BSEC-ის მხრიდან მიღებულ იქნა BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის პლატფორმა (1999 წელი, ქ. თბილისი) და BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ სამუშაო დოკუმენტი (2007 წელი, ქ. სტამბოლი), რასაც ევროკავშირის მხრიდან საპასუხოდ მოჰყვა "Black Sea Synergy Initiative" (2007 წელი, ბრიუსელი) დოკუმენტის მიღება. ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ ეს ორგანიზაცია უფრო მზარდ დაინტერესებას გამოხატავს BSEC-ის მიმართ, რადგანაც დღეისათვის ევროკავშირის საზღვრები უკვე უშუალოდ შავი ზღვის რეგიონზე გადის.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ BSEC-მა წარმატებით განავითარა ურთიერთობები შემდეგ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (დამკვირვებლის სტატუსი გაეროს გენერალურ ასამბლეაში); გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UN/ECE) (შეთანხმება გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და მცირე და საშუალო საწარმოების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) - BSEC-UNDP-ის ერთობლივი პროექტი - შავი ზღვის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის პროგრამა; UNIDO (შეთანხმება ინვესტიციების ხელშეწყობის, ენერჯეტიკის, მცირე და საშუალო საწარმოების, ადამიანური რესურსების განვითარების, სამრეწველო სტატისტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ); UN/FAO (პროექტი BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის საქონლით შიდა და რეგიონთაშორისი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ინსტიტუციონალური განვითარების შესახებ; საპროექტო კონცეფცია შავი ზღვის რეგიონში სოფლებში მცხოვრები დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ; საპროექტო იდეა მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და საკვები ხორბლის ქსელის შექმნის შესახებ); მსოფლიო ბანკი (თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი დოკუმენტი); ვაჭრობის მსოფლიო

ორგანიზაცია (WTO) (ერთობლივი რეგიონული სემინარების ორგანიზება); ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოება (ურთიერთგაგების მემორანდუმი).

გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ძალზედ იზრდება საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, როგორც მათი წევრი ქვეყნების ინტერესების დამცველის როლი. ამ მხრივ BSEC-მა ძალზედ კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს, რათა განახორციელოს წევრი ქვეყნების ძირითადი მიზნებისა და ინტერესების დაცვა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ კონტექსტში.

კონსტრუქციულ გარემოში შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესი ხელს შეუწყობს წევრი ქვეყნების განვითარებასა და მთლიანად ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

შავი ზღვის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა. იგი ერთდროულად ესაზღვრება, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ასევე ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ამასთანავე, BSEC-ს, რომელიც მოიცავს 20 მილიონ კვადრატულ კილომეტრსა და 330 მილიონზე მეტ მოსახლეობას, უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი და მნიშვნელობა გააჩნია. ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი BSEC-ის სივრცე წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონს. შავი ზღვის სივრცე ასევე წარმოადგენს პროდუქციის გასაღების დიდ ბაზარს ევროპისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებისათვის. ამავდროულად BSEC-ს გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობა რეგიონში არსებული მდიდარი ენერჯო რესურსების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მარშრუტების გათვალისწინებით, რაც საკმაოდ მიმზიდველია ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით.

ამასთანავე BSEC-ის რეგიონი მიმზიდველია ტურიზმის, ტელეკომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო საწარმოების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში თანამშრომლობის თვალსაზრისით.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის განვითარებას.

შავი ზღვის სივრცე საკმაოდ საინტერესო და რთული რეგიონია. რეგიონისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები და

კულტურა, ქვეყნების განვითარების განსხვავებული დონე და ეროვნული ინტერესები. რეგიონის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, ქვეყანათა ეროვნული ინტერესების შესაბამისობაზე და პრობლემების დადებითად გადაჭრისათვის შესაფერისი მიდგომისა და დროის შერჩევაზე.


BSEC-ი შეიქმნა როგორც ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რეგიონის წარმატებული განვითარების ხელშეწყობას და საერთაშორისო და ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობათა დაახლოებას. აღნიშნული მიზნების გათვალისწინებით საქართველო მხარს უჭერდა BSEC-ში მიმდინარე პროცესებს მისი დაარსებისთანავე.

BSEC-ს, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებას, გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომლის განვითარებაც ძალზედ მნიშვნელოვანია მისი წევრი ქვეყნების შემდგომი წარმატებისათვის. თანამშრომლობა კონკრეტულ სფეროებში მძლავრი სტიმულია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის.

რამდენადაც ქვეყნის ძირითადი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები ხორციელდება მეზობელ ქვეყნებთან, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. რეგიონის ქვეყნებთან არსებული სავაჭრო მაჩვენებლები ნათლად მიუთითებს საქართველოსათვის BSEC-ის მნიშვნელობაზე.

2014 წელს BSEC-ს წევრ ქვეყნებზე მოდის საქართველოს მთლიანი ექსპორტის 59% - 1 676 678 აშშ დოლარის ოდენობით, 2015წ - 49% - 1 087 880 აშშ დოლარი, იმპორტის 51 % - 4351789 აშშ დოლარი და 46% - 3 584 029 აშშ დოლარი შესაბამისად. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებები წლების მიხედვით BSEC -ს ქვეყნებში მოცემულია დიაგრამა №3.4-ზე

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა BSEC წევრ ქვეყნებთან  
მლნ აშშ დოლარი



**წყარო:** დამუშავებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს ეროვნული ინტერესები მდგომარეობს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ამასთანავე, საქართველოს სტრატეგიები დამოკიდებულია ისეთ არსებით და ურთიერთდამოკიდებულ კომპონენტებზე, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არსებული დემოკრატიული მონაგარის განმტკიცება და მათი შეუქცევადობის უზრუნველყოფა, ევრო-ატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. BSEC-ში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოხსენებული მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

საქართველოს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს ქვეყნის, ისევე როგორც მთლიანი რეგიონის დემოკრატიული განვითარების განმტკიცება. აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად საქართველოს ძალისხმევა მიმართულია რეგიონში ხელშემწყობი გარემოს შექმნისაკენ და ამ მხრივ საქართველო მიესალმება BSEC-ის

წვერი-ქვეყნების ევროკავშირში და ნატოში მიმდინარე ინტეგრაციას. საქართველოს სწამს, რომ BSEC-ის წვერი-ქვეყნების მომავალი მდგომარეობს უფრო უსაფრთხო და სტაბილურ შავი ზღვის რეგიონის შექმნაში. რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა და არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება არსებითად განამტკიცებს რეგიონული უსაფრთხოების სისტემას.

1992 წლის 25 ივნისიდან საქართველო BSEC-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა და, შესაბამისად, ამ ორგანიზაციის ფარგლებში ყველა ძირითადი პროცესის მონაწილეა. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ არსებითი წვლილი შეიტანა BSEC-ის ფორმირებასა და მის ტრანსფორმაციაში საერთაშორისო რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციად.

BSEC-ის არსებობის მანძილზე საქართველოში გაიმართა ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს, უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტის, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებისა და BSEC-თან დაკავშირებული ორგანოების შეხვედრების ჩათვლით.

საქართველო მხარს უჭერდა BSEC-ის ფარგლებში სხვადასხვა დარგებში თანამშრომლობის განვითარებას და ყოველთვის კონსტრუქციული მიდგომა გააჩნდა მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ. ეროვნულ დონეზე იმპორტზე არასატარიფო ბარიერებისა და სატარიფო განაკვეთების შემცირების მეშვეობით საქართველომ მოახდინა BSEC-ის წვერი-ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია. საქართველომ ასევე გააუმჯობესა ქვეყნის ტერიტორიაზე ტვირთების გადაზიდვების პირობები. ქვეყანაში გაუქმებულია სატვირთო ავტომობილებისათვის სატრანზიტო გადასახადები და მნიშვნელოვნად გამარტივებულია სავიზო პროცედურები. BSEC-ის ზოგიერთ წვერი-ქვეყანასთან ხელმოწერილია თავისუფალი ვაჭრობისა და, ასევე, ქვეყნების ტერიტორიებზე სამთვიანი უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებები. აღნიშნული ღონისძიებები უდაოდ ხელს უწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, თუმცა შედეგი შესამჩნევი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სხვა წვერი ქვეყნებიც გადადგამენ მათ ბაზრებზე დაშვების ლიბერალიზებისკენ მიმართულ შესაბამის ნაბიჯებს.



საქართველოს მიერ წამოწყებულ იქნა ბევრი მნიშვნელოვანი პროცესი, რამაც გააძლიერა თანამშრომლობა წევრ ქვეყნებს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია BSEC-ში საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში გატარებული საქმიანობა.

საქართველომ წვლილი შეიტანა თანამშრომლობის განვითარებაში ისეთ დარგებში, როგორცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნოლოგიები, ტურიზმი, ბანკები და ფინანსები, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, ინსტიტუციონალური განახლება და მყარი მმართველობა და სხვა. დიდია საქართველოს როლი თანამშრომლობის განვითარებაში ისეთ დარგში, როგორცაა საგანგებო სიტუაციების დროს ურთიერთთანამშრომლობა. საქართველო ასევე ხელს უწყობდა საპარლამენტო თანამშრომლობისა და კერძო სექტორებს შორის ურთიერთობების განვითარებას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, რეგიონული თანამშრომლობა ერთი კონკრეტული გაერთიანების ფარგლებში წარმოადგენს ყველა მონაწილე ქვეყნის განვითარების ეფექტიან საშუალებას. სხვა რეგიონების მაგალითების გათვალისწინებით, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ და განამტკიცონ ეკონომიკური კავშირები.

BSEC-ის სამომავლო დღის წესრიგი და სტრატეგიული მიზნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა წევრი ქვეყნის ინტერესების პატივისცემის პრინციპს.

აუცილებელია ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვან დარგში თანამშრომლობის ხელშეწყობა და ახალი პროექტების შემუშავება და განხორციელება, ამ მხრივ ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას კვლავაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

უნდა გაგრძელდეს და წახალისდეს ურთიერთობების განვითარება სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებსა თუ ინსტიტუციებთან. ამ თანამშრომლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა კვლავაც ევროკავშირთან ურთიერთობებს უნდა მიენიჭოს.

გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას, „ეკონომიკური განზომილება“ უდიდეს მნიშვნელობას იძენს. BSEC-მა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საკუთარი პოლიტიკა, რათა უკეთ დაიცვას მისი წევრი-ქვეყნების

ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. BSEC-ის შიგნით ვაჭრობის ლიბერალიზება წვერი ქვეყნების პროდუქციის ერთმანეთის ბაზრებზე თავისუფალი დაშვება და ვაჭრობის შემაფერხებელი ბარიერების შემცირება და მოხსნა BSEC-ის ძირითად მიზნებს უნდა წარმოადგენდეს. BSEC-მა ასევე ხელი უნდა შეუწეოს წვერი ქვეყნების ექსპორტის გაფართოებას, მომსახურებისა და სამუშაო ძალის უცხო ქვეყნებში გადაადგილების წახალისებას და მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას BSEC-ის რეგიონში.

გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში BSEC-ის სრულფასოვანი მონაწილეობის მიზნით საჭიროა ორგანიზაციის შიგნით ხელსაყრელი პირობების შექმნა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, BSEC-ს ესაჭიროება რეგიონის შიგნით ურთიერთობების განმტკიცება, სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობა, განსაზღვრულ სფეროებში კონკრეტული პროექტების წამოწყება და განხორციელება, ურთიერთქმედების ახალი სფეროების განსაზღვრა-განვითარება.

BSEC-ის წვერი-ქვეყნების განვითარებისათვის ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. ენერგეტიკისა და ტრანსპორტის დარგებში თანამშრომლობის განვითარებისათვის კი, თავის მხრივ, საჭიროა ენერგო მწარმოებელი, სატრანზიტო და მომხმარებელი ქვეყნების ინტერესების დაცვა და დაბალანსება.

წვერი-ქვეყნების მიდგომა და ქმედებები BSEC-ის საკითხებთან მიმართებაში სრულად უნდა შეესაბამებოდეს „BSEC-ის წესდებასა“ და „BSEC-ის ეკონომიკურ დღის წესრიგში მომავლისათვის“ ასახულ ორგანიზაციის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც შემდგომში მდგომარეობს: წვერი-ქვეყნებს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური დამოკიდებულება და ურთიერთპატივისცემა, ნდობის, დიალოგისა და თანამშრომლობის განმტკიცება; ერთობლივი ძალისხმევით მოსახლეობის კეთილდღეობის მუდმივი გაუმჯობესება; კონსტრუქციული და ნაყოფიერი თანამშრომლობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში.

როგორც პრაქტიკა და რეალობა გვიჩვენებს, BSEC-ის პროექტების რეალური ეკონომიკური ეფექტების დახასიათება ვერ ხერხდება. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ

შემთხვევაში აღნიშნული პროექტები ისევ და ისევ დამატებით ეკონომიკურ, მათ შორის ადამიანური რესურსების ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მდგრადი განვითარების ერთადერთ გარანტს ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობა წარმოადგენს. რეგიონული თანამშრომლობის წახალისება, ყოველ მნიშვნელოვან საკითხზე ერთობლივი მუშაობა და ძირითად პრობლემებზე ძალისხმევის მიმართვა, საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული ხელშეკრულებები ავსებენ მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას, მათ არ შეუძლიათ მათი ჩანაცვლება (ჰეიდონი, 2003)<sup>74</sup>. იგივე შეიძლება ითქვას ასიმეტრიული რეგიონული დებულებების მიმართ. რეგიონულმა შეთანხმებებმა წინასწარ გარკვეულ სფეროებში, შესაძლოა, უფრო სწრაფად იმუშაონ, ვიდრე მრავალმხრივმა შეთანხმებებმა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამ უკანასკნელის ჩანაცვლება არადისკრიმინაციულ MFN (უპირატესი ხელშეწყობის) ლიბერალიზაციასთან და მრავალმხრივ ფართო წესების შემუშავებასთან მიმართებით. როგორც რეგიონული, ისე მრავალმხრივი ინიციატივების შემთხვევაში, საჭიროა წინასწარ ყურადღებით შემოწმება, თუ რამდენად არ ეწინააღმდეგება ბენეფიციარის ჭეშმარიტ ინტერესებს ნაკლები ლიბერალიზაციის ვალდებულებების ფორმით მისთვის შეთავაზებული „სარგებელი“.

პრეფერენციული რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულებები სთავაზობს უფრო სწრაფ შეღწევას ბაზარზე, ვიდრე ეს შესაძლებელია მრავალმხრივი მოლაპარაკებების პროცესის შედეგად. ეს შესაძლოა, მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს ბიზნესისთვის, ვინაიდან პროდუქტის ციკლი უფრო ხანმოკლეა, ვიდრე მრავალმხრივი მოლაპარაკებების ციკლი, ეს ფაქტორი ხაზგასმით არის აღნიშნული დოჰას განვითარების დღის წესრიგში, როგორც პროგრესის დამაბრკოლებელი ფაქტორი.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ასიმეტრიულობის თვალსაზრისით რეგიონულ ურთიერთობებში შესვლით შეძლებენ მეტი მოგების ნახვას, ეს მოგება უნდა შედარდეს იმ დანახარჯებს, რაც გასწია წევრმა ქვეყანამ პრეფერენციულ შეთანხმებებში გაწევრიანებისთვის. ცნობილია, რომ ამ დანახარჯების უმეტეს

---

<sup>74</sup> Heydon K. , Regionalism: A Complement, Not Substitute" . *Regionalism and the Multilateral Trading System*, Paris: OECD. pp.11-2

ნაწილი მოდის მზარდი სირთულეების დაძლევაზე, რაც წინ ხვდება ბიზნესს წვერ-ქვეყნებთან ურთიერთობისას, სადაც არანაკლები ადგილი პროდუქციის წარმოშობისა და სტანდარტიზაციის წესებს უჭირავს. მზარდი რაოდენობით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმება გვაძლევს პროდუქტის წარმოშობასთან დაკავშირებულ უამრავ წესს, ვინაიდან მრავალმხრივი ურთიერთობები, როგორც წესი, მოიცავს ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს თითოეულ წვერ-ქვეყანასთან, საჭიროებს უმრავი დეტალის და მექანიზმის გაანალიზებას. ეს არის ის დილემა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ასიმეტრიულ ინტეგრაციაზე გადასვლისთვის.

## თავი 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები WTO-ს ხელშეკრულებათა საზღვრებში

### 4.1 საქართველო მსოფლიო სავაჭრო სისტემაში

სავაჭრო პოლიტიკა ითვალისწინებს სავაჭრო კანონებისა და პრაქტიკაზე დაფუძნებული შეთანხმებების განხორციელებას, განხილვასა და განახლებას. იგი განსაზღვრავს საქონლის მომსახურების, კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ადამიანთა გადაადგილებას საერთაშორისო ბაზრებზე. სავაჭრო პოლიტიკა აგრეთვე აყალიბებს ვაჭრობის ხელშეწყობისა და სავაჭრო ურთიერთობების მართვის სტრუქტურებს. სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკა მოიცავს ანალიზის, კონსულტაციის, მოლაპარაკებების, მოქმედებისა და დიპლომატიის კომბინაციას. მისი ფორმირებისას გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი - როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და პოლიტიკური. კერძოდ, უნდა გაკეთდეს არჩევანი საქონელსა და ჯგუფებს შორის ადგილობრივი ან სხვადასხვა ქვეყნების მომსახურების მომწოდებლებს შორის. სოციალურ ფაქტორს შეიძლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს, ეროვნული ღირებულებების უპირატესობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საკითხში. ამდენად, სავაჭრო პოლიტიკა არის მეტად პოლიტიკური საკითხი, რომელიც როგორც წესი, ეფუძნება ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, სამართლებრივი, ისტორიული და სხვა აკადემიური დისციპლინების ექსპერტიზას.

საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში მონაწილეობისას ქვეყნები აღიარებენ ისეთ ამოცანებს, როგორიცაა ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ამასთან, ქვეყნები ასევე მონაწილეობენ სავაჭრო შეთანხმებებში სხვადასხვა სპეციფიკური სუბიექტური მიზნებისთვის, რომლებიც ეხმიანებიან ქვეყნის განსაკუთრებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროფილს. საზოგადოდ, ნებისმიერი ქვეყანა ესწრაფვის ეროვნული მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ან მისი მომხმარებლებისთვის უფრო იაფი და უკეთესი პროდუქციის მოპოვების შესაძლებლობის შექმნას უცხოური

კონკურენციისადმი არსებული ბარიერების შემცირებით. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული პროდუქციისთვის ხელსაყრელი პირობების მიღება უცხოურ ბაზრებზე. ცალსახაა, რომ განსხვავებული მიზნები გააჩნიათ დიდ და პატარა ქვეყნებს, მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, თუმცა ყველა იმედოვნებს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ინსტრუმენტები დაეხმარება მათ მიზნის მიღწევაში. დროდადრო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ასრულებს საერთაშორისო არბიტრის როლს, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს მოლაპარაკებების საშუალებით განსხვავებული მიზნების საერთაშორისო წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სავაჭრო პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყნის კომერციულ ინტერესებს. საზოგადოდ, სავაჭრო მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეა ქვეყნის მთავრობა, მაგრამ მის რეალურ აგენტებს წარმოადგენენ კერძო ფირმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთი კომპანია შეიძლება ეცადოს სარგებლის მიღებას ორი (საპირისპირო) გზით: თავისი პროდუქციის დამკვიდრებას მოითხოვს მსოფლიო ბაზარზე, ამასთან საკუთარ მთავრობას არწმუნებს გაზარდოს სატარიფო ბარიერები ადგილობრივ ბაზრებზე იმპორტის კონკურენციისგან დაცვის მიზნით. სავაჭრო პოლიტიკის რიტორიკის დიდი ნაწილი ტრიალებს სავაჭრო წესებისა და შეთანხმებების მოთხოვნების პროფესიონალური ინტერპრეტაციის გარშემო.

ქვეყანამ თავიდანვე უნდა გააკეთოს გარკვეული არჩევანი: მოახდინოს ბაზრის ლიბერალიზაცია გლობალურ სავაჭრო სისტემაში ინტეგრირების სანაცვლოდ, ან გაატაროს ადგილობრივი წარმოების პროტექციონისტული პოლიტიკა, ჩაკეტოს საშინაო ბაზარი და უარი თქვას WTO-ს წევრი ქვეყნების ბაზრების საპასუხო გახსნაზე. როგორც წესი, WTO-ში შემსვლელ ქვეყანაში ორივე მიმართულების მომხრეები არსებობს, რადგან საზოგადოების სხვადასხვა ფენებს განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები გააჩნიათ. აღნიშნულის შედეგად WTO-ში გაწევრიანების პროცესი ზოგჯერ ითხოვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც გარკვეულ გლობალურ შეფასებებს ეყრდნობა, ამასთანავე ითვალისწინებს როგორც სხვა ქვეყნების მაგალითებს და გამოცდილებას, ასევე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარების ტენდენციებს.

ეკონომიკის გახსნილობა უბიძგებს ადგილობრივ მწარმოებლებს აამაღლონ მწარმოებლურობა, გაზარდონ დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-

საკონსტრუქტორო სამუშაოებზე იმ მიზნით, რომ აამაღლონ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ვაჭრობა ხელს უწყობს ქვეყანაში იდეების, ნოუ-ჰაუს და ტექნოლოგიების შემოსვლას. გახსნილობის მაღალი დონე საშუალებას აძლევს ადგილობრივ მწარმოებლებს აითვისონ ტექნოლოგიები, რომლებიც უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა სხვა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური გახსნილობის ყველა ზემოთგანხილული ასპექტი განამტკიცებს იმ დასკვნას, რომ ეკონომიკური გახსნილობა ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულყოფილად ჩართვას და კონკრეტულად, ქვეყანაში არსებული რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

ასევე, საყურადღებოა საზოგადოების ინტერესი ეროვნული სუვერენიტეტის და საგარეო ვაჭრობის, და ზოგადად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად ქვეყნების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე: გლობალური კონკურენცია, რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ, ამცირებს მთავრობის მიერ ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას და ზოგადად ზღუდავს ქვეყნის სუვერენიტეტს.

თანამედროვე მჭიდროდ ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის და კონკრეტულად, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უმთავრეს საფუძველს საგარეო ეკონომიკური პროცესების ინტენსიფიკაცია და ქვეყნების მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება წარმოადენს, რაც, თავის მხრივ, უფრო მშვიდობიანი მსოფლოს საწინდარია.

ბაზრის ლიბერალიზება თუ პროტექციონისტული პოლიტიკა? მსგავსი არჩევანის წინაშე საქართველოც იდგა, რომელსაც სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა გაეთვალისწინებინა ეროვნული ეკონომიკის თავისებურებები. გაწევრიანების პროცესში, აგრეთვე მის შემდგომ განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მიმართულია ადგილზე ვაჭრობის შესრულებისკენ, ვაჭრობის მარეგულირებელი სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად ჰარმონიზებისკენ, რაც ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორიცაა.

WTO-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმების ოქმის ხელმოწერით საქართველო მიუერთდა ამ ორგანიზაციის შეთანხმებათა მთლიან პაკეტს და იკისრა ვალდებულებები, რომელიც დაფიქსირებულია ოქმის დანართ დოკუმენტებში. ესენია:

- საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილები;
- მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები;
- მიერთების მუშა ჯგუფის ანგარიში.

**ბმული ტარიფების ცხრილები** წარმოადგენენ საქონლის იმპორტზე ტარიფის იმ მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საქართველოს WTO-ს წევრებისაგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.

ცხრილები ძირითადად შედგენილია ე.წ. „ჰარმონიზირებული სისტემის“ 6-ნიშნა კოდების დონეზე, ხოლო იმ სასაქონლო ჯგუფებში, სადაც უფრო დეტალურ დონეზე ადგილი აქვს განსხვავებულ ტარიფებს - 9-ნიშნა დონეზე.

იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე გაწვევრიანების მომენტისთვის მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა. შ.), საქართველო გაწვევრიანების დღიდან ვალდებული იყო მოქმედი ტარიფი მიეყვანა „ბმულის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში (დაეწესებინა მის დონეზე, ან უფრო დაბალი ტარიფი). სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფის დონე მოქმედზე მაღალია, საქართველოს უფლება ჰქონდა აეწია საიმპორტო ტარიფი ბმულის დონემდე, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

ტარიფის მაღალი დონეები ძირითადად შეთანხმდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა. შ.). აგრეთვე, მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა. შ.). ზოგიერთ პროდუქციაზე ბმულმა ტარიფებმა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (5-6 წელი) თანდათანობითი კლება განიცადეს.

საქართველო მიუერთდა აგრეთვე ე.წ. „სექტორალური ინიციატივების“ უმრავლესობას, რომლებიც ითვალისწინებენ წევრი-ქვეყნების მიერ ტარიფების ჰარმონიზაციას ხშირად 0-ოვან დონეზე გარკვეულ პროდუქციაზე (თევზის რეწვის



პროდუქტები, ზეთები, მედიკამენტები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ქიმიკატები და ა.შ.).

აღნიშნული ინიციატივები მოიცავს ფართო სპექტრის პროდუქციას, რომლის იმპორტის გაზრდა თვითონ საქართველოს მეწარმეთა და მომხმარებელთა ინტერესებშიც იყო, მაგალითად საინფორმაციო ტექნოლოგიები, მედიკამენტები, მანქანა-მოწყობილობები, ბევრი სახეობის ნედლეული და შუალედური პროდუქტი და ა.შ. ამასთან, „სექტორალური ინიციატივებიდან“ საქართველომ გააკეთა „გამორიცხვები“, მაგ: მზესუმზირის ზეთზე – ზეთების სექტორში, მზა ტელევიზორებზე - „საინფორმაციო ტექნოლოგიებში“, ზოგ მცენარეულ პრეპარატებზე - მედიკამენტებში და ა. შ. ეს გამორიცხვები გაკეთდა აღნიშნული სახეობის პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებელთა ინტერესების დაცვისთვის.

2002 წლის 6 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვით მოქმედი ტარიფი გაუტოლდა 2003 წლისთვის საქართველოს ბმული ტარიფების განაკვეთებს. ამით შესრულდა საქართველოს ვალდებულებები სატარიფო სფეროში, ამასთანავე განხორციელდა მოქმედი ტარიფის მნიშვნელოვანი დიფერენცირება (საბაჟო ღირებულების 0-დან 30%-მდე დიაპაზონში).

*მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილებით* განსაზღვრულია ის შეზღუდვები, რომლებიც ექნება მომსახურების ადგილობრივ და უცხოელ მიმწოდებლებს. შეზღუდვები ორი ტიპისაა:

- ე.წ. „ჰორიზონტალური“, რომელიც ეხება მომსახურების ყველა სექტორს;
- ე.წ. „ვერტიკალური“, რომელიც სპეციფიკურია კონკრეტული სექტორის მიმართ.

მომსახურებით ვაჭრობა საქართველოში ფრიად ლიბერალიზებულია. დაფიქსირდა ვალდებულებები მომსახურების 11 სექტორის (არსებული 12-დან) 123 ქვესექტორში (არსებული 155-დან), რაც მაღალი მაჩვენებელია.

მომსახურებით ვაჭრობაში შეზღუდვების მოხსნის შესაძლო მაქსიმუმიდან, საქართველომ მოხსნა შეზღუდვები პოზიციების 54%-ზე, მაშინ, როცა სხვა სუსტი ეკონომიკის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 7%-ს, ხოლო

შედარებით მდიდარი ქვეყნებისთვის – 25%-ს. ამის საფუძველზე დოჰას განვითარების რაუნდზე, საქართველოს მხარემ დააფიქსირა, რომ გაწევრიანების პროცესში აღებული ფართო ვალდებულებების გამო თავს იკავებს ახალი დამატებითი ვალდებულებების აღებისგან.

*გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში* დეტალურად იყო განხილული საქართველოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული და სახელშეკრულებო ბაზა, რათა WTO-ს წევრი ქვეყნები დარწმუნებულიყვნენ მის შესაბამისობაში ამ ორგანიზაციის ნორმებთან.

გაწევრიანების მსვლელობაში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის რაც შეიძლება სრული ჰარმონიზაცია WTO-ს მოთხოვნებთან, ხოლო აუცილებელი სამომავლო ცვლილებები, აგრეთვე WTO-ს სხვადასხვა შეთანხმებების დაცვის პირობები, დაფიქსირდა გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში, ქვეყნის ვალდებულებათა სახით.

ეს ვალდებულებები ეხებოდა საკმაოდ ფართო სპექტრის საკითხებს, ისეთებს, როგორცაა სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირება, საგადასახადო სისტემა, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაცია, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, სუბსიდიების გამოყენება, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები და ა.შ.

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა, როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. WTO-ს მონაცემების თანახმად საქართველოს საშუალო არითმეტიკული ტარიფი შეადგენს 1.5%-ს, მაშინ როცა მსოფლიოს მასშტაბით იგი საშუალოდ 15-20%-ის დიაპაზონშია<sup>75</sup> (იხ. თავი 2, ცხრილი 2.1; 2.2; 2.3).

<sup>75</sup> World tariff profiles 2015. WTO

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2000 წლის ივნისში საქართველო გახდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 137-ე წევრი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში გაერთიანებისკენ. საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის მეოთხე რესპუბლიკაა ყირგიზეთის რესპუბლიკის, ლატვიისა და ესტონეთის შემდეგ, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანდა, საქართველო, აგრეთვე, შეუერთდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ხელშეკრულებას, როგორც WTO-ს ყველა წევრი. საქართველო, აგრეთვე, შეუერთდა პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის სქემას (GSP), რაც შეთავაზებული იქნა შემდეგი ქვეყნების მიერ: შეერთებული შტატები (დროებით შეჩერებული აქვს), იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. 2005 წელს საქართველო გახდა პრეფერენციების გენერალური სისტემის (GSP+ scheme) სქემის წევრი, რაც საქართველოს აძლევდა ევროკავშირის ბაზრებზე ტარიფის გადახდის გარეშე შეღწევის უფლებას და ეს ვრცელდებოდა 7200 პროდუქტზე.

როგორც წევრს, საქართველოს მოეთხოვება პერიოდული ანგარიშების წარდგენა შეთანხმებების შესაბამისად. 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის ნოტიფიკაციების დროულ მიწოდებას შემდეგ სფეროებში დადებული ხელშეკრულებების მიხედვით: სოფლის მეურნეობა (მუხლი 18.2), იმპორტის სალიცენზიო პროცედურები (მუხლი 7.3), მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგადი ხელშეკრულება (GATS) (მუხლი 3.3), სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომები (მუხლი 25.1) და ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები (მუხლები 2.9 და 2.10). ოფიციალურ უწყებებზე დაყრდნობით, საქართველო აქტიურად იყენებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების პროგრამებს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამებს და ორმხრივი ტექნიკური დახმარების პროგრამებს, რომლებსაც საქართველოს სთავაზობენ სხვადასხვა დონორები და ორგანიზაციები. საქართველო პერიოდულად მონაწილეობას იღებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების სხვადასხვა დონის დიებაში.

საქართველო თანამშრომლობს RAMs-ის ჯგუფში ახლად მიღებულ წევრებთან<sup>76</sup>, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებთან და WTO-თან მოლაპარაკებებში ჩართულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დოჰას განვითარების დღის წესრიგთან მიმართებით (DDA), საქართველო შეუერთდა TRIPS-ის (ინტელექტუალური საკუთრების უფლების სავაჭრო ასპექტების შესახებ შეთანხმება), შესაბამისად, ღვინოების და სპირტიანი სასმელების ნოტიფიკაციის და გეოგრაფიული მაჩვენებლების განსაკუთრებით მნიშვნელოვან მრავალმხრივ სარეგისტრაციო სისტემას.

უკვე 2014წ. WTO-ს ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას (იხილეთ მე-3 თავი გვ.94-101).

საქართველო არასოდეს ჩართულა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან პირდაპირ ან ირიბ დაგებში.

სასაზღვრო პოლიტიკა, საბაჟო რეგულაციებისა და ვაჭრობის ხელშემწყობი ზომების ჩათვლით, საქართველომ შესაბამისობაში მოიყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და WTO-ს პრაქტიკასთან. საქართველომ ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით განახორციელა რიგი რეფორმები - გახსნა საბაჟო შემოღებების ზონები. საქართველომ აცნობა WTO-ს ვაჭრობის ხელშეწყობის ხელშეკრულებასთან მიერთების სურვილის შესახებ.

საქართველო ახორციელებს ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებას საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) საწინააღმდეგო სტრატეგიის ფარგლებში, საქართველო თავს იკავებს საკუთარი ეროვნული სტანდარტების შემოღებისგან იმ სფეროებში, რომლებშიც უკვე მოქმედებს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები. საქართველოს მიერ დამტკიცებული სტანდარტების 98%-მდე ან საერთაშორისო ან ევროკავშირის შესაბამისია. სახელმწიფო აცნობიერებს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით საჭიროა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის განვითარება საერთაშორისო/ევროპული ნორმების შესაბამისად. ეფექტიანი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეგულაციების არ

---

<sup>76</sup> RAM-RECENTLY ACCEDED MEMBERS (RAMs).- ახლახანს მიერთებული წევრების ჯგუფი. მასში შედის: საუდის არაბეთი, მაკედონია - ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, ვიეტნამი და ტონგა.

არსებობა, განსაკუთრებით, სურსათის უვნებლობის კუთხით, კვლავ აფერხებს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს. ამის მიზეზია საკვების უვნებლობის რეგულაციების და ზედამხედველობის სისუსტე, აგრეთვე, საკვების მწარმოებლების მიერ ამ სფეროში ეფექტიანი საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობა. ამრიგად, გაუმჯობესებული საკვების უვნებლობის მენეჯმენტი სარგებლის მომტანი იქნება, როგორც საზოგადოებისთვის, ისე ვაჭრობისთვის<sup>77</sup>. ოფიციალური უწყებების განმარტებით, საქართველო ეტაპობრივად ავითარებს საკუთარ ეროვნული რეგულირების სისტემას ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც კიდევ უფრო დაჩქარდა DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ. მთავრობა აგრეთვე ხელს უწყობს ეფექტიანი აგრო-სამრეწველო პრაქტიკის დანერგვას სხვადასხვა სფეროში<sup>78</sup>. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამზადებს სოფლის მეურნეობის სფეროს სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის 350-მდე დირექტივასა და რეგულაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს კანონი კვების პროდუქტებისა და საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ (2012) (ცხრილი 4.1). სხვა დანარჩენი საკანონმდებლო დოკუმენტაცია, მათ შორის მთავრობის რეზოლუციები, სპეციალური წესები მიღებულია ამ კანონის საფუძველზე და მასთან შესაბამისობაშია. 2014 წელს ამ კანონში განხორციელდა ცვლილებები, მთავარი ცვლილება ეხება მომხმარებლის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. სიმეტრიულად მოიცავს სამივე სფეროს (ცხოველებს და ცხოველური წარმოშობის პროდუქციას, მცენარეებსა და მცენარეულ პროდუქტს და საკვებსა და კვების პროდუქტებს), რაც გაუმჯობესებულად ითვლება.

---

<sup>77</sup> IFC ვებგვერდი. იხ:

[http://www.ifc.org/wps/wcm/connect/region\\_\\_ext\\_content/regions/europe+middle+east+and+north+africa/ifc+in+europe+and+central+asia/countries/improving+food+safety+in+georgia](http://www.ifc.org/wps/wcm/connect/region__ext_content/regions/europe+middle+east+and+north+africa/ifc+in+europe+and+central+asia/countries/improving+food+safety+in+georgia)

<sup>78</sup> საქართველოში განხორციელდა ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტები: ISPM 1, ISPM 5, ISPM 7, ISPM 12, ISPM 13, ISPM 15 (ნაწილობრივ), ISPM 23 და ISPM 32.

## სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეჟიმი

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული (სფს)	აღწერა
კანონმდებლობა	კანონი სურსათის/საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ (2012, უკანასკნელად ჩასწორებული 2014 17 აპრილს) საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2011) კოდექსი სურსათის უსაფრთხოებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების შესახებ (2012)
მთავრობის რეზოლუციები	№ 170 საკვებისა და კვები პროდუქტების მწარმოებელი და სადისტრიბუციო საწარმოების ზოგადი პიიენის წესები და საკვების უსაფრთხოების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ზედამხედველობის, მონიტორინგის და ოფიციალური შემოწმების განხორციელების წესები (2010) № 90 სპეციალური პიიენური წესები ცხოველური წარმოშობის საკვების პროდუქტების მიმართ (2012) №426 - ნებართვები №427 - ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები ექსპორტისთვის №428 - სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის წესები №429 - ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის წესები №430 - ვეტერინარული სერტიფიკატები ექსპორტისთვის
სფს-ს საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა	საკვების ხარისხიანობის კოდექსის კომისია /Codex Alimentarius/; სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია; ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია; წელულოვანი დაავადებების კონტროლის კომისია;
საერთაშორისო კონვენციები	ვმო შეთანხმება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებების შესახებ; საზღვარზე ტვირთების კონტროლის პარმონიზების საერთაშორისო კონვენცია; ფიტო-სანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტები
ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტზე/ტრანზიტზე ნებართვები, გაცემული	სურსათის ეროვნული სააგენტო შემოსავლების სამსახური
ნებართვების სახეობა	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული სატრანზიტო ტვირთების ნებართვა; ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საიმპორტო ტვირთების ნებართვა; ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საიმპორტო ტვირთების ნებართვა და ტრანზიტის შემთხვევაში ნებართვის წარდგენა აუცილებელი არ არის

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

ზოგიერთი კვლევის მიხედვით, საკვებით გამოწვეული დაავადებების სიხშირე გაიზარდა 2009 წლის შემდეგ, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს საკვები

პროდუქტების უვნებლობის კონტროლის არ არსებობასთან<sup>79</sup>. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა სურსათისა და საკვები პროდუქტების ბიზნეს-ოპერატორების კონტროლის ყოველწლიური გეგმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროდუქტის უვნებლობასა და ხარისხზე. სურსათის ეროვნული სააგენტო არის ერთადერთი ოფიციალური უწყება, რომელიც ამოწმებს სურსათისა და საკვების ბიზნეს-ოპერატორებს. 2013-2014წწ. გაიზარდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებული კომპანიების რიცხვი, მნიშვნელოვნად გაიზარდა, აგრეთვე, როგორც თანმდევი შემოწმებების, ასევე, შედეგად დაკისრებული სანქციების რიცხვი<sup>80</sup>.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღგენს კვების უსაფრთხოების პოლიტიკას და სტანდარტებს, ხოლო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სურსათის უვნებლობის პარამეტრების განსაზღვრას. 2010წ მთავრობამ მიიღო ყოვლისმომცველი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტრატეგია (ბრძანებულება №1756), რომელიც მოგვიანებით, 2014წ მაისში შესწორებულ იქნა №783 ბრძანებულებით. ცვლილების თანახმად, 90-მდე სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეგლამენტი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ უნდა განხორციელდებოდა 2015წ. საქართველოს კანონმდებლობის განვითარების ძირითად ჩარჩოს წარმოადგენს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცებული სია. 2015 წლის შუა პერიოდამდე სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კომიტეტში საქართველოსთან მიმართებით არც ერთი სავაჭრო სარჩელი არ შესულა<sup>81</sup>.

საქართველოს ხელი აქვს მოწერილი სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებთან დაკავშირებულ რეგიონული ვაჭრობის შესახებ რამდენიმე ხელშეკრულებაზე. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მე-4 თავის შესაბამისად ევროკავშირი და საქართველო ვალდებული იქნებიან უზრუნველყონ: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამჭვირვალობა; საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის

<sup>79</sup> FAO Investment Centre – TCIC, Food Safety in Georgia: challenges and opportunities, Tbilisi, 2014  
[http://www.eastagri.org/meetings/docs/meeting93/Booklet\\_eng\\_web.pdf](http://www.eastagri.org/meetings/docs/meeting93/Booklet_eng_web.pdf).

<sup>80</sup> FAO Investment Centre – TCIC, Food Safety in Georgia: challenges and opportunities, Tbilisi, 2014  
[http://www.eastagri.org/meetings/docs/meeting93/Booklet\\_eng\\_web.pdf](http://www.eastagri.org/meetings/docs/meeting93/Booklet_eng_web.pdf)

<sup>81</sup> WTO SPS informacia verb-gverdze: <http://spsims.wto.org/web/pages/search/stc/Search.aspx>

კანონებთან მიახლოება; WTO-ს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შესახებ ხელშეკრულების პრინციპების შემდგომი განხორციელება; ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებისა და ადამიანების, ცხოველების და მცენარეთა დაცვა.

რაც შეეხება თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, ორივე მხარე თანხმდება: არ გამოიყენონ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეგულაციები ერთმანეთს შორის ვაჭრობის შემზღუდავი თვითნებური და დაუსაბუთებელი დისკრიმინაციული მეთოდების ან ვაჭრობის ფარული შემზღუდავი ინსტრუმენტის სახით; გამოიყენონ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები 1994 წლის ტარიფებისა და GATT და WTO-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის ფარგლებში საქართველომ ჩამოაყალიბა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების საკუთარი სტრატეგია (სტრატეგია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულაციებისა და მეტროლოგიის კუთხით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2010 წლის 16 ივლისის №965 ბრძანებულების საფუძველზე), აგრეთვე, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების სტრატეგიის პროგრამა (პროგრამა საკანონმდებლო რეფორმების და ტექნიკური რეგულაციების დამტკიცების შესახებ, დამტკიცებულ იქნა 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 ბრძანებულების საფუძველზე). ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების სტრატეგია ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორცაა: ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა, რომელიც დამტკიცებულია სავალდებულო ტექნიკური რეგულაციების და სამთავრობო ბრძანებულებების საფუძველზე; სტანდარტები ნებაყოფლობითია და მუშავდება სახელმწიფოს ან ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ; საქართველო თავს იკავებს ისეთი ეროვნული სტანდარტების დამტკიცებისგან სფეროების მიხედვით, რომელთა საერთაშორისო ანალოგები უკვე არსებობს გარკვეულ სფეროებში.

2012 წლის მაისში დამტკიცდა კანონი პროდუქტის უვნებლობისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების შესახებ (კოდექსი); შეიცვალა აგრეთვე, კანონი სტანდარტიზაციის შესახებ კანონით პროდუქტისა და მომსახურების



სერტიფიცირების შესახებ; აგრეთვე მიღებულ იქნა კანონი გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ და კანონი ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ. კოდექსი აერთიანებს ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროსთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის კანონმდებლობას და ასახავს ევროკავშირის ორ დირექტივას: პროდუქციის უსაფრთხოების ზოგად დირექტივას და დირექტივას დევექტის მქონე პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ. სტანდარტების მართვას ახორციელებს საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM)<sup>82</sup>. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილეობა ეროვნული სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, ასევე ეროვნული საზომი სტანდარტებისა და სავალდებულო ტექნიკური რეგულაციების სფეროში. აღნიშნული კოდექსი პასუხისმგებელია სტანდარტების რეგისტრაციაზე, უცხოური სტანდარტების ჩათვლით. რაც შეეხება სხვა ძირითად უწყებებს, რომლებიც ჩართულნი არიან ხარისხის ინფრასტრუქტურაში, შედიან აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოში (აკრედიტაციის ცენტრი – GAC) და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში (TCSA).

საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ დანერგა საქართველოს ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტების ISO/IEC 17025-ის შესაბამისად. 2013 წელს მეტროლოგიის რეგიონულმა ორგანიზაციამ (COOMET) განახორციელა სამი GEOSTM-ის ლაბორატორიის (ელექტრო, მასის და ტემპერატურის საზომი ლაბორატორიების) ექსპერტული შეფასება. 2015 ივნისისთვის საქართველომ გამოაქვეყნა 30 CMC (კალიბრაციისა და საზომი შესაძლებლობების) მონაცემები BIPM-ის (წონისა და ზომის საერთაშორისო ბიუროს) მონაცემთა ბაზაში. BIPM-მა (წონისა და ზომის საერთაშორისო ბიურო) უფლება მისცა საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტს გამოიყენოს CIPM MRA-ს ლოგო კალიბრაციის სერტიფიკატებზე: საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელმაც მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. GEOSTM არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის

<sup>82</sup> ISO ონლაინ ინფორმაცია. იხილეთ:

[http://www.iso.org/iso/home/about/iso\\_members/iso\\_member\\_body.htm?member\\_id=1950](http://www.iso.org/iso/home/about/iso_members/iso_member_body.htm?member_id=1950).

ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ საინფორმაციო ცენტრის და მრავალი საერთაშორისო/ევროპული სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ორგანიზაციების წევრი (ცხრილი 4.2).

საქართველოში შესაძლებელია შემდეგი სახის სტანდარტების გამოყენება:

- საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების;
- ევროკავშირის ნებისმიერი სტანდარტი ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნის სტანდარტი;
- საქართველოს სტანდარტები;
- ქართული კომპანიის სტანდარტები;
- GOST-ის სტანდარტები, გამოიყენება სურვილის შემთხვევაში საქართველოს მიერ დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობის შემთხვევაში. GOST-ის სტანდარტები ნებაყოფლობითია და არ არის დამტკიცებული როგორც საქართველოს სტანდარტი.

ცხრილი 4.2 საქართველოს წევრობა საერთაშორისო /ევროპული სტანდარტიზაციის ორგანიზაციებში

ორგანიზაცია	მონაწილეობის წელი	წევრობის სახე
ISO (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია)	2006	წევრ-კორესპონდენტი
CEN (სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი)	2008	აფილირებული წევრი
CENELEC ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი)	2010	აფილირებული წევრი
IEC (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია)	2010	ასოცირებული წევრი
OIML (სამართლებრივი მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაცია)	2011	წევრ-კორესპონდენტი
BIPM (წონისა და ზომის საერთაშორისო ბიურო)	2008	ასოცირებული წევრი
COOMET (ეროვნული მეტროლოგიური უწყებების ევრაზიული თანამშრომლობა)	2006	სრული წევრი
IRSA (სტანდარტიზაციის რეგიონთაშორისი ასოციაცია)	1991	სრული წევრი

წყარო: GEOSTM.

სახელმწიფო ნებას რთავს იმპორტიორებს, მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს თავად აირჩიონ, რომელ სტანდარტს შეუსაბამებენ საკუთარ პროდუქციას. ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების

ორგანიზაციის წვერი სახელმწიფოებიდან და დსთ-ს ან სხვა ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქცია, შეესაბამება ორმხრივი შეთანხმებების სტანდარტებს და, შესაბამისად, შესაძლებელია მისი საქართველოს ბაზრებზე შეტანა დამატებით შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე. სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგულაციები შესაძლოა აღიარებულ და მიღებულ იქნას საქართველოში გამოსაყენებლად იმ შემთხვევაში, თუ ეს რეგულაციები ადეკვატურ შესაბამისობაში იქნება ეროვნულ რეგულაციებთან. საქართველო აღიარებს ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წვერი სახელმწიფოების რეგულაციებს, აგრეთვე იმ ქვეყნების რეგულაციებს, რომელთანაც საქართველოს აკავშირებს ორმხრივი ან მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებები; ამ ქვეყნების წილი საქართველოში იმპორტირებული საქონლის მთლიანი მოცულობიდან 2014 წელს, დაახლოებით 30%-ს შეადგენდა<sup>83</sup>. კოდექსის შესაბამისად, საქართველოს არ შეუმუშავებია და არ დაუმტკიცებია დამატებითი სტანდარტები იმ სფეროებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს საერთაშორისო ან ევროპული სტანდარტები<sup>84</sup>. ამჟამად, დამტკიცებული სტანდარტების დაახლოებით 98% ან საერთაშორისო ან ევროპული; მხოლოდ 2%-ია ქართული სტანდარტი, რომლებიც შეუმუშავებულია სპეციალურად ქართული პროდუქციისათვის. 2014 წლის დეკემბრისთვის საქართველოს უკვე დამტკიცებული ჰქონდა 5500-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი<sup>85</sup>. ამჟამად არსებობს ხუთი სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი: ელექტრონული სტანდარტები, შესაბამისობის შეფასებისა და სტანდარტების მართვის, საკვები პროდუქტების, ტურიზმისა და მშენებლობის. ოფიციალური უწყებების განცხადებით, ქვეყნის

---

83 ეს ქვეყნებია ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ჩილე, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ისლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, კორეის რესპუბლიკა, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მექსიკა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და შეერთებული შტატები.

<sup>84</sup> FAO, Eastern Europe and Central Asia Agro-Industry Development Country Brief 2014 – Georgia

ხელმისაწვდომია ონლაინ:

[http://www.fao.org/fileadmin/user\\_upload/Europe/documents/Publications/AI\\_briefs/AI\\_briefs2012/fao\\_georgia.pdf](http://www.fao.org/fileadmin/user_upload/Europe/documents/Publications/AI_briefs/AI_briefs2012/fao_georgia.pdf)

<sup>85</sup> საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ოფიციალური ინფორმაცია.

საჭიროებებიდან გამომდინარე, მომავალში შეიქმნება სხვა სფეროების სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტები.

ბოლო პერიოდში (2009-2015წწ) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრებს შორის არანაირი პრობლემა არ წარმოქმნილა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების კომიტეტში საქართველოს ტექნიკური რეგულაციების თაობაზე<sup>86</sup>.

შესაბამისობის შეფასებას ახორციელებენ აკრედიტებული უწყებები (ძირითადად კერძო უწყებები). საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი (GAC) ახორციელებს აკრედიტაციას და დაკვირვებას ტესტირების, კალიბრაციის, დამოწმების და სერტიფიცირების პროცესებზე, აგრეთვე, შემოწმებას. GAC-ს მიერ აკრედიტებულია 125 შესაბამისობის შემფასებელი უწყება: 77 საცდელი ლაბორატორია, 7 კალიბრაციის ლაბორატორია, 30 შემმოწმებელი უწყება, 2 სამედიცინო ლაბორატორია, 6 პროდუქტის სერტიფიცირების უწყება და 3 პერსონალის სერტიფიცირების უწყება. საცდელი ლაბორატორიები ძირითადად შემდეგ სფეროებს მოიცავს: ელექტროსაქონელს; ქიმიურ, პარფიუმერულ და ფარმაცევტულ მრეწველობას; საკვებ პროდუქტებს, სასმელ და მინერალურ წყლებს, ალკოჰოლურ და არაალკოჰოლურ სასმელებს; ნიადაგისა და მინერალური რესურსების შემცველ კომპონენტებს; ნავთობს და მინერალურ პროდუქტებს; მინის პროდუქტებს; საღებავებს და ფერის მიმცემ საშუალებებს; სამშენებლო მასალებს და რადიოსაინჟინრო პროდუქციას. ბაზრებზე და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ზედამხედველობას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო სამშენებლო, საფრთხის შემცველ და სამრეწველო საქონელზე ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (TCSA). სახელმწიფომ შეიმუშავა სამრეწველო საქონლის ბაზრის ზედამხედველობის სტრატეგია.

საქართველომ ხელი მოაწერა რამდენიმე რეგიონულ/ორმხრივ შეთანხმებას, რომლებიც მოიცავს ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ საკითხებს, დსთ-ს ქვეყნებთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, რუსეთის ფედერაციასთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან და უზბეკეთთან. DCFTA აგრეთვე

<sup>86</sup> WTO TBT ვებ-გვერდი: <http://tbtims.wto.org/web/pages/search/stc/Search.aspx>.

მოიცავს ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებულ საკითხებს, სტანდარტიზაციის, ტექნიკური რეგულაციების, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ბაზრებზე შეღწევის და ბაზრების ზედამხედველობის საკითხების ჩათვლით<sup>87</sup>.

საქართველოში გასაყიდ ობიექტებზე მოთავსებულ ყველა კოსმეტიკურ, ფარმაცევტულ, ქიმიურ და საკვებ პროდუქტს უნდა ჰქონდეს მარკირება ქართულ ენაზე. აკრძალულია ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების (LMOs) შემოტანა საქართველოში, შესაბამისი კანონის თანახმად. ნებადართულია ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმის საქართველოს ბაზარზე განთავსება იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტი განეკუთვნება გარემოსა და ეროვნული რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების (LMOs) სახეობას (2015 წლის 24 აპრილის სამინისტროს ბრძანება №198). აუცილებელია საკვებ პროდუქტებში/საკვებში გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების მარკირება, თუ გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტის შემცველობა პროდუქტში აღემატება მთლიანი მასის 0,9 %-ს, როგორც ეს მითითებულია საკვებ პროდუქტებში/ცხოველთა საკვებში თავისუფლად გამოსაყენებელი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების მარკირების შესახებ კანონში. მარკირების ზოგადი მოთხოვნების მარეგულირებელი კანონმდებლობა მოცემულია ცხრილ 4.3-ში:

საქართველო არის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმების დამკვირვებელი (GPA). ოფიციალური უწყებების ინფორმაციაზე დაყრდნობით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა სრულად შეესაბამება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს და ძალაშია 2006 წლიდან. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე მშპ-ს დაახლოებით 10% მოდის. 2010 წელს ძალაში შევიდა ახალი კანონმდებლობა, როდესაც დაინერგა ელექტრონული შესყიდვები და WTO-ს შეფასებით დღემდე ძალიან კარგად ფუნქციონირებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების რეჟიმს რეგიონში საუკეთესო რეიტინგი აქვს, საერთაშორისო სტანდარტებთან

<sup>87</sup> WTO G/TBT/N/GEO/72, 17 აპრილი 2013წ. მთავრობის დადგენილება №. 45 სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების და წესების ცნობის და გამოყენების შესახებ

შესაბამისობის გათვალისწინებით. სახელმწიფო ამჟამად აფასებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებაში (GPA) გაერთიანების პერსპექტივებს.

2014 წლის მარტში დამტკიცდა ახალი ცვლილებები კანონში კონკურენციის შესახებ. კონკურენციის სააგენტო არეგულირებს ეკონომიკის სექტორის უმეტეს ნაწილს, გარდა ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სფეროებისა. ახალი საკანონმდებლო ჩარჩო სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და სააგენტო აქტიურობს კონკურენციის ნორმების დარღვევის ან საქმიანობის გადაკვეთის შემთხვევაში.

ცხრილი 4.3

მარკირების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

საკითხი	მარეგულირებელი კანონმდებლობა
საკვებისა და კვების პროდუქტების მარკირების ზოგადი მოთხოვნები	კანონი საკვები პროდუქტებისა და საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ (მუხლი 18)
მომხმარებლისთვის მისაწოდებელი აუცილებელი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ	კანონი პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების შესახებ (მუხლი 12),
დამატებითი მარკირების წესები	მთავრობის ბრძანებულება № 441 (31 დეკემბერი 2013წ.) საკვები პროდუქტების დამატებითი მარკირების წესების დამტკიცების შესახებ
საკვები პროდუქტების, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის სფეროში ვაჭრობაში სანიტარიულ-ჰიგიენური წესები	მთავრობის ბრძანებულება № 173 საკვებისა და კვების პროდუქტების მწარმოებელი და სადისტრიბუციო კომპანიების ზოგადი ჰიგიენის წესებისა და საკვების უსაფრთხოების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ზედამხედველობის, მონიტორინგის და ოფიციალური შემოწმების განხორციელების წესების შესახებ
საკვების პროდუქტებით ვაჭრობა	მთავრობის გადაწყვეტილება საკვები პროდუქტების ვაჭრობაში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ
საკვები პროდუქტების ჰიგიენის წესები	მთავრობის ბრძანებულება № 90 (7 მარტი 2012წ.) ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების მიმართ განსაკუთრებული ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ

წყარო: GEOSTM; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ ცვლილებები შეიტანა აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობაში რეგიონული და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო საქპატენტი -

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ატარებს ზომებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ ცნობიერების ამაღლების და უფლებების დაცვის განმტკიცების მიზნით.

ამრიგად, WTO-ში გაწევრიანებითა და, ახლა უკვე, DCFTA-ს ფარგლებში საქართველომ შეძლო დადებითი ძვრები განეხორციელებინა კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით კერძოდ, ადგილობრივი კანონმდებლობა მოგვექცია საერთაშორისო ნორმების ფარგლებში.

WTO-ში გაწევრიანების დროს ავიღეთ საკმაოდ მძიმე ვალდებულებები, რაც საქართველოს ბიზნესისა და მეცნიერთა მიერ არაერთგვაროვნად აღიქმებოდა, მაგრამ ვალდებულების ინსტალაციამ მოგვცა დადებითი შედეგები ანუ საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმმა ვეროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციის შეაძლებლობა მოგვცა. ამასთანავე საფუძველი გვექონდა, რომ დოჰას რაუნდზე დამატებითი ვალდებულებები არ აგველო.

## 4.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები

საქართველო ამჟამად 120-ზე მეტ ქვეყანასთან აწარმოებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებთანაც გასხვავებული სავაჭრო რეჟიმები გააჩნია. სავაჭრო პარტნიორების უმრავლესობასთან ურთიერთობა დღეს განისაზღვრება საქართველოს წევრობით WTO-ში, რომელიც საქართველოს WTO-ს წევრ ქვეყნებთან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე ურთიერთობას ავალდებულებს.

საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნების გათვალისწინებით საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელთა თანახმად, საიმპორტო-საბაჟო გადასახადების მიხედვით საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 3 ჯგუფად დაიყო:

1. *ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) WTO-ს წევრობის ან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე*<sup>88</sup>. ვაჭრობის მსოფლიო

<sup>88</sup> საქართველოს ვმო-ში გაწევრიანებამდე მსოფლიოს 7 ქვეყანასთან დადებული ჰქონდა ორმხრივი შეთანხმება MFN რეჟიმის ურთიერთმინიჭების შესახებ, ხოლო ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ, ამ ქვეყნებთან ეს რეჟიმი მოქმედებს, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ორგანიზაციაში გაწევრიანებისას საქართველომ აიღო ვალდებულება, გაწევრიანებისთანავე იმპორტზე საბაჟო გადასახადები შესაბამისობაში მოეყვანა ე.წ. „ბმულ ტარიფებთან“. ბმული ტარიფი წარმოადგენს WTO-ს წევრ ქვეყნებთან შეთანხმებულ, მაქსიმალურად დასაშვებ საბაჟო-სატარიფო განაკვეთებს, რომელიც შეიძლება დაწესდეს WTO-ს წევრი ქვეყნიდან საქართველოში იმპორტირებულ საქონელზე. არსებული საბაჟო ტარიფების ბმულ ტარიფებთან შესაბამისობაში მოსაყვანად 2003 წლის დასაწყისში 1998 წლის 20 აგვისტოს მიღებულ კანონში „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რომლითაც სრულად შესრულდა კიდევ WTO-ს წინაშე აღებული ვალდებულებები. აღნიშნული ცვლილებები გულისხმობს საქართველოში იმპორტირებული საქონლის დაბეგვრას 22 განსხვავებული სატარიფო დონით - 0-30%-იან დიაპაზონში, ნაცვლად მანამდე მოქმედი 3 სატარიფო დონისა - 0%, 5% და 12 %.

*2. ქვეყნები, რომლებზეც არ ვრცელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN).* ქვეყნები, რომლებიც არ არიან WTO-ს წევრი ქვეყნები, ასევე მოქმედებს „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონი“-ს დანართი ცხრილით განსაზღვრული საბაჟო ტარიფები, თუმცა დაწესებულია შეზღუდვა მინიმალურ ტარიფზე, რომლის თანახმად ამ ქვეყნიდან საქონლის იმპორტი იბეგრება პროდუქციის საბაჟო ღირებულების არანაკლებ 12%-ით (MFN-თან შედარებით საგრძნობლად გამკაცრებული რეჟიმი). საქართველოს მოცემული საბაჟო რეჟიმი გააჩნია 78 ქვეყანასთან, რომლებთანაც არ არის დადებული (ან ძალაში არაა შესული) ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

*3. ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია პრეფერენციული ვაჭრობა.* მათ შორის:

▪ *ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს დადებული აქვს „შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.“* აღნიშნული ქვეყნების საქონლის იმპორტი საქართველოში თავისუფლდება საბაჟო სატარიფო გადასახადისგან. საქართველო მონაწილეობს დსთ-ს სივრცეში თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირების შესახებ" მრავალმხრივ შეთანხმებაში (1994 წლის 15 აპრილი), რომელიც ითვალისწინებს წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას. ეს შეთანხმება რატიფიცირებულია ყველა მონაწილის მიერ, რუსეთის ფედერაციის გარდა. ამასთანავე, დსთ-ს წევრ 8




ქვეყანასთან საქართველოს ხელმოწერილი აქვს „ორმხრივი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, რომელთაგან ძალაშია მხოლოდ ექვსი და რომლებიც ასევე ითვალისწინებს საქონლითა და მომსახურებით ურთიერთვაჭრობის განთავისუფლებას საბაჟო გადასახადისგან. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და უკრაინა. არსებობს ამოღებულა ნუსხა, რომლებიც მოიცავს იმ პროდუქტთა ჩამონათვალს, რომლებზეც შეთანხმება არ ვრცელდება და დაწესებულია გარკვეული საბაჟო გადასახადი.

2008 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომლითაც გაუქმდა სამრეწველო პროდუქციის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფები. გარკვეული გამონაკლისები არის სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე.

▪ **ქვეყნები, რომლებსაც საქართველოს ექსპორტზე დაწესებული აქვთ ასიმეტრიული პრეფერენციული რეჟიმები, ე.წ. პრეფერენციული ანუ შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის სპეციალური ფორმა - პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP),** რომელიც საქართველოს მონიჭებული აქვს საპასუხო შეღავათების მოთხოვნის გარეშე. საქართველო არის ევროკავშირის, აშშ-ს, იაპონიის, კანადის, შვეიცარიის და ნორვეგიის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი. და ბოლოს, 2014 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას სავაჭრო ზონის შესახებ (DCFTA).


მიმოვიხილოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა: 2015 წელს სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 14 პროცენტით შემცირდა და 9928 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი შემცირდა 23 პროცენტით და განისაზღვრა 2204 მლნ. აშშ დოლარით; იმპორტი შემცირდა 10 პროცენტით და განისაზღვრა 7724 მლნ. აშშ დოლარით. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლამდე წინა წლებთან შედარებით და 2009 წლიდან 2013 წლამდე ექსპორტის მოცულობა (აბსოლუტურ მაჩვენებლებში) იზრდებოდა, მისი ხვედრითი წილი ჯამურ სავაჭრო ბალანსში კლებით ხასიათდებოდა (დიაგრამა 4.1, 4.2).

დიაგრამა 4.1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 4.2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა მშპ-ს 23% შეადგინა საშუალოდ განხილული პერიოდის მანძილზე, რაც მთავრობის წინაშე აყენებს ამოცანას შეამციროს ქვეყნის მთლიანი დისბალანსი იმპორტსა და ექსპორტს შორის. დეფიციტი განპირობებულია იმპორტზე მკვეთრად მზარდი ადგილობრივი მოთხოვნით, ენერგეტიკასა და სამომხმარებლო საქონელზე მაღალი ფასებითა და სხვა.

ბოლო ათი წლის მანძილზე არ შეცვლილა აგრეთვე საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა, კვლავ დომინანტურია ნედლეულის წილი, როგორცაა ლითონები და მინერალები, მაშინ როდესაც, სამუშაო ადგილების შექმნა და საწარმოო და გადამამუშავებელი პროდუქცია, კვლავ მეორეხარისხოვანია. ექსპორტის 40% -ს შეადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ფერო-შენადნობი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები და სხვა მინერალები (ცხრილი 4.8)


წარმოებული პროდუქციის ექსპორტის წილი გაიზარდა - 42%-დან და 55%-მდე. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი ორჯერ მეტად გაიზარდა და ექსპორტის 7%-დან 18%-ს მიაღწია. ეს, სავარაუდოდ, დაკავშირებულია მეორადი მანქანების ექსპორტთან მეზობელ ქვეყნებში, უმეტესად, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყაზახეთში. მეორადი მანქანები იმპორტირებულია სხვა ქვეყნებიდან (ძირითადად, იაპონიიდან, აშშ-დან და გერმანიიდან), სხვა ქვეყნებში რეექსპორტამდე საქართველოში ხდება მათი აღდგენა და განახლება. მანამ, სანამ აღნიშნულ აღდგენით სამუშაოებზე იარსებებს გარკვეული ადგილობრივი დამატებითი ფასი/ღირებულება, მსგავსი ექსპორტი უფრო მეტად განიხილება, როგორც რეექსპორტი. მსგავსი სახის რეექსპორტს ნებისმიერი დამატებითი ადგილობრივი ღირებულებით გაცილებით მეტი შედეგი მოაქვს ქვეყნის ტრანსპორტისა და ლოგისტიკისთვის და შედეგად, საქართველო იქცევა ავტომობილების უმთავრეს რეგიონულ ბაზრად. მეორადი მანქანების რეექსპორტი 2014 წელს შემცირდა აზერბაიჯანში მათზე მოთხოვნების გამკაცრების შედეგად. არ შემცირებულა ავტომანქანების ექსპორტი სომხეთში. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის უწყების მონაცემების შესაბამისად, მანქანების ექსპორტი სომხეთში 2014 წელს 7%-ით გაიზარდა და 129.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. სხვა წამყვანი საექსპორტო პროდუქტებია: მინერალები, ქიმიური სასუქი, მედიკამენტები და ლითონის ნაწილები და წნელები.

განხილული პერიოდის მანძილზე მთლიანი იმპორტირებული პროდუქციის შემადგენლობაში ცოტა რამ შეიცვალა: საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს ნახშირწყალბადი წარმოადგენს (ნავთობი და გაზი), რომელიც 2014 წლის იმპორტის 16.7%-ს შეადგენს. იმპორტირებულია, აგრეთვე, საკვები პროდუქტები, ავტომანქანები, მობილური ტელეფონები ფიჭური და უსადენო

ქსელისთვის, ნახევარფაბრიკატები, გაზის ტურბინები, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, მედიკამენტები<sup>89</sup>.

იმპორტის ზრდა დაჩქარდა სხვადასხვა გარემოებათა გამო, ძირითადად, ნახევარფაბრიკატების წარმოებასა და ინვესტიციების ზრდაზე მოთხოვნის გამო. საწარმოო სექტორის კარგმა მაჩვენებლებმა გამოიწვია ნახევარფაბრიკატებზე მოთხოვნილების ზრდა, ხოლო, მთლიანი კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია ინვესტიციებთან დაკავშირებული იმპორტის ზრდა. (დიაგრამა 4.3)

დიაგრამა 4.3



წყარო: UNSD, Comtrade database (SITC Rev.3).

რაც შეეხება ექსპორტის სავაჭრო ნაკადების მიმართულებებს, დსთ-ს ქვეყნები კვლავ რჩება საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორად და მათი წილი საქართველოს ექსპორტში 37%-დან 51%-მდე გაიზარდა განხილული პერიოდის მანძილზე (დიაგრამა 4.6).

<sup>89</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ძირითადი საექსპორტო პარტნიორი 2014 წელს კვლავ იყო აზერბაიჯანი (და მასზე მოდის საქართველოს ექსპორტის 19%), სომხეთი (10%), რუსეთის ფედერაცია (11%) და თურქეთი (8.4%). 2013 წლის შუა პერიოდში რუსეთის უდიდესი ბაზრის გახსნასთან ერთად ზრდას განაგრძობს საქართველოს ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში და 2014 წლის პირველ ნახევარში იგი სამჯერ გაიზარდა (წლიდან წლამდე).

დსთ-ს ქვეყნებისა და თურქეთის ბაზრების სიდიდისა და სიახლოვის მიუხედავად საქართველოს ექსპორტი ორივე მიმართულებით შესაძლებელზე დაბალია. საერთო ჯამში, საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირში კვლავ უცვლელია, 2009 წელს ის დაახლოებით 21%-ს შეადგენდა (ხოლო 2012 წელს ის უფრო შემცირდა 15%-მდე), თუმცა, 2015 წლის პირველი ოთხი თვის მანძილზე საქართველოს ექსპორტის წილმა ევროკავშირში 30%-ს მიაღწია. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოს ექსპორტის ყველაზე მეტი წილი ბულგარეთზე მოდის. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ევროკავშირი კვლავ დიდწილად აუთვისებელ პოტენციურ ბაზრად რჩება საქართველოსთვის. საქართველოს ექსპორტის წილი თურქეთში ნახევარზე მეტით შემცირდა განხილული პერიოდის მანძილზე (20%-დან 8.4%-მდე). ექსპორტის წილი შეერთებულ შტატებში ორჯერ მეტად გაიზარდა განხილული პერიოდის მანძილზე, მაშინ როდესაც, ექსპორტის წილი კანადაში 10%-დან 2%-მდე შემცირდა.

ევროკავშირი არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი 1/5 ექსპორტისა და 1/4 იმპორტის მაჩვენებლების მიხედვით. გერმანიაში, რუმინეთში, იტალიასა და ბულგარეთში შედის საქართველოდან იმპორტირებული საქონლის ნახევარი). 2014 წელს იმპორტის სხვა მნიშვნელოვანი წყაროები იყო თურქეთი (მთლიანი იმპორტის 20.1%), ჩინეთი (8.5%), აზერბაიჯანი (7.4%), რუსეთის ფედერაცია (6.7%) და უკრაინა (6.4%). თურქეთი საქართველოს, ძირითადად, სამომხმარებლო საქონელსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკას აწვდიდა, აგრეთვე აზერბაიჯანი, რომელიც გაზისა და ნავთობის მთავარი მიმწოდებელია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის საქართველოს ეკონომიკის კრიტიკული ელემენტი და მიუხედავად იმისა, რომ ის განიცდის კლებას 2007 წლის პიკთან შედარებით (მშპ-ს 19.8%), ის კვლავ დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. 2014 წელს პუი მშპ-ს 10.6%-ს შეადგენდა (ცხრილი 4.4). 2014 წელს, პირდაპირმა

უცხოურმა ინვესტიციებმა 1,758 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა, 87%-ით მეტი, ვიდრე 2013 წელს. ეს მატება აისახა საწარმოო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სექტორში, უფრო მეტი ინვესტიციებით, ხოლო უკანასკნელ პერიოდში, სამშენებლო სფეროში. უკანასკნელ წლებში ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში (ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია, ენერჯეტიკა, უძრავი ქონება) და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში (ფინანსური მომსახურება, საცალო მომსახურება და მშენებლობა) შემოვიდა პირდაპირი უცხოური (და ადგილობრივი) ინვესტიციების უმეტესი ნაწილი. საანგარიშო პერიოდის მანძილზე გაიზარდა იმპორტი სამშენებლო მასალებზე, საკვებ პროდუქტებზე და სამომხმარებლო საქონლზე შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საწარმოო სექტორში.

განხილული პერიოდის მანძილზე უმსხვილეს ინვესტორებად გვევლინებოდნენ ნიდერლანდები, აზერბაიჯანი და უკანასკნელ ხანს, ჩინეთი. (ცხრილი 4.4, დიაგრამა 4.4)

**ცხრილი 4.4**

**პუი ინვესტიციები 2009-2014წწ**


	2009	2010	2011	2012	2013	2014
სულ თანხების შემოდინება (მლნ აშშ დოლარი)	<b>658.4</b>	<b>814.5</b>	<b>1,117.2</b>	<b>911.6</b>	<b>941.9</b>	<b>1,758.4</b>
მშპ-ს %	6.1	7.0	7.7	5.8	5.8	10.6
<i>თანხების შემოდინება წარმომავლობის მიხედვით (მთლიანი თანხის %)</i>						
ევროკავშირი	34.1	30.5	49.6	48.3	41.5	46.6
ნიდერლანდები	4.9	9.0	21.6	3.9	16.3	21.3
გაერთიანებული სამეფო	11.0	7.2	4.9	10.3	5.9	6.1
ლუქსემბურგი	1.4	0.9	3.9	4.6	15.1	6.2
დსთ-ს ქვეყნები	0.2	11.2	17.3	9.5	14.0	25.5
აზერბაიჯანი	4.5	7.1	12.4	6.5	8.7	19.4
რუსეთის ფედერაცია	1.6	5.9	5.0	2.2	0.2	4.7
სომხეთი	-0.8	-2.0	-1.1	0.7	0.4	0.7
ჩინეთი	-0.3	-1.0	0.9	4.0	9.5	12.4
<i>პუი სექტორების მიხედვით</i>	2009	2010	2011	2012	2013	2014
შეერთებული შტატები	-1.5	-16.7	2.5	2.2	4.8	10.3
თურქეთი	14.9	11.3	6.8	8.9	4.5	3.6

პანამა	11.4	-0.6	0.2	1.1	2.7	4.0
სხვა	41.3	32.0	22.8	26.0	23.0	-2.5
<i>თანხების შემოღინება სექტორების მიხედვით (მთლიანი თანხის %)</i>						
სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა	3.4	1.1	1.3	1.8	1.3	0.7
სამთომშობვეობა	2.3	6.6	3.6	0.5	4.6	2.4
საწარმო სექტორი	19.0	21.5	10.8	18.4	10.6	11.7
ენერჯეტიკის სექტორი	-0.3	2.7	18.3	19.7	26.0	10.8
მშენებლობა	16.0	0.6	4.3	4.6	5.3	18.0
სასტუმროები და რესტორნები	5.7	2.1	2.0	1.9	-1.4	7.1
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	15.0	26.4	11.3	8.0	14.9	24.7
ჯანმრთელობა და სოციალური მომსახურება	0.0	0.1	1.5	1.9	0.1	-0.5
უძრავი ქონება	22.4	14.6	20.1	5.8	4.5	7.9
საფინანსო სექტორი	7.5	13.2	15.0	17.8	17.7	6.6
სხვა	9.1	11.1	11.7	19.5	16.5	10.7

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

WTO სამდივნოს ანგარიშები 2009, 2015

დიაგრამა 4.4



**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

WTO სამდივნოს ანგარიშები 2009, 2015

საქართველო კვლავ დაუცველია გარე შოკებისგან, რაც მის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, ფულად გზავნილებთან მჭიდრო კავშირშია. აგრეთვე მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტში და ქვეყნის მაღალ დოლარიზაციაში ვლინდება. 2015 წლის მშპ-ს ზრდა მხოლოდ 2%-ით იყო ნავარაუდები შეფერხებებით

ევროკავშირის ქვეყნებში, მეზობელ აზერბაიჯანში, სომხეთში და რუსეთის ფედერაციაში პროგნოზირებული რეცესიის მიზეზით. აზიის განვითარების ბანკის მონაცემების მიხედვით, 2015 წელს შესაძლებლად მიჩნევენ მშპ-ს ზრდას 2.5%-ით<sup>90</sup>, ვინაიდან გარეშე პირობები ოდნავ უმჯობესდებოდა. რეალურად ზრდა დაფიქსირდა 2.8%-ით ვინაიდან არსებობს უფრო მკაფიო პოლიტიკა, ბაზრებზე გაუმჯობესებული წდომა და რეფორმების ძლიერი პროგრამა. საშუალო ვადიანი ზრდის პერსპექტივა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორებიცაა: ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების გაუმჯობესება; რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაუმჯობესება (რაც სარგებელს მოუტანს ვაჭრობასა და ტურიზმს) და საქართველო 2020-ში განხილული მტკიცე რეფორმების პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციებს. ზრდის პერსპექტივა აგრეთვე დამოკიდებულია საქართველოს შესაძლებლობებზე სარგებელი მიიღოს ასოცირების ხელშეკრულებიდან/დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი შეთანხმებიდან ევროკავშირთან, რაც გააუმჯობესებს ბაზრებზე შეღწევას და წახალისებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს<sup>91</sup>.

დეტალურად განვიხილოთ რა გავლენა იქონია ვაჭრობის ლიბერალიზებამ, ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე<sup>92</sup>. ამისთვის მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს საშუალო სატარიფო განაკვეთი წლების მანძილზე WTO-ში გაწევრიანების შემდეგ (დიაგრამა 4.3). ლიბერალიზებამდე საშუალო ტარიფი ყველა საქონელზე გახლდათ 7,0 %, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე 11,5 %. (დეტალურად სატარიფო განაკვეთები ძირითად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე იხილეთ ცხრილ 2.3-ში (მე-2 თავი)). 2008 წლიდან ტარიფი საგრძნობლად შემცირდა და ჩამოყალიბდა ყველა საქონელზე 1,3%-1,5%-ის შუალედში, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე კი - 6,4%-

<sup>90</sup> ADB (2015), გვ. 117.


<sup>91</sup> ევროკავშირის ზედამხედველობით ჩატარებული ვაჭრობის მდგრადობის ანალიზის მიხედვით მოსალოდნელია მშპ-ს პოტენციური ზრდა 4.3%-ით გრძელვადიან პერსპექტივაში. ამას დასჭირდება შრომისა და კაპიტალის გადანაწილება უფრო მწარმოებლურ სექტორებში, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, განსაკუთრებით ვაჭრობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, აგრეთვე, ინტელექტუალური უფლებების დაცვის და განახლების თვალსაზრისით და ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში.

<sup>92</sup> მსგავს კვლევებს ატარებდნენ ო. მელო და მ. ვოგთი (1984წ.), ჯ. ბერტოლა და რ. ფაინი (1991), ა. სანტოს-პაულინო (2002) და აღმოაჩინეს განვითარებად ქვეყნებში იმპორტზე ვაჭრობის ლიბერალიზების დადებითი გავლენა. არსებობს ასევე ემპირიული კვლევები, რომელთა შედეგები არ არის ცალსახა.: მაშინ როცა ნ. აჰმედის (2000), ვ. ტომასის (1991), სანტოს-პაულინოს (2002) შრომებში ასახულია, რომ ექსპორტი გაუმჯობესებულია უმეტეს განვითარებად ქვეყანაში, სხვებმა როგორცაა დ. გრიინვი და დ.საბსფორდ (1994), რ. ჯენინსი (1996) ვერ აღმოაჩინეს მსგავსი ტენდენცია.



8,8% შუალედში. MFN ტარიფის საშუალო არითმეტიკულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის 7,2%-დან 2009 წელს 6,7%-მდე დაიწია 2015 წელს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის 0,2%-დან გაიზარდა 0,8%-მდე. საქართველოს არ გააჩნია კანონმდებლობა მოულოდნელი გარემოებების მიმართ, როგორცაა ანტიდემპინგური, საკომპენსაციო და უსაფრთხოების ზომები და ამ კუთხით არც ერთი კანონი ჯერ არ არის მიღებული (დიაგრამა 4.5)

დიაგრამა 4.5



წყარო: დამუშავებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით (WTO. World trade report 2006; 2009; 2012; 2015).


შესაბამისად ვაჭრობის ლიბერალიზაციის წლად ავიღოთ 2005-2006 წწ და განვიხილოთ ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბრუნვის წილი მშპ-ში, ვაჭრობის ლიბერალიზაციამდე და ლიბერალიზაციის შემდეგ. (დიაგრამა 4.6)

ტარიფების შემცირებამ გამოიწვია მშპ-ში იმპორტისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდა დინამიკაში, თუმცა იგივე მანქნებელი ექსპორტისთვის თითქმის არ შეცვლილა. უფრო მეტიც, 2005 წლიდან 2008 წლამდე შეიმჩნევა ექსპორტის წილის შემცირება, რაც სხვადასხვა ფაქტორის შედეგია. ერთი-ერთი მთავარი კი, რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესება გახლდათ (2006წ), რამდენადაც რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო წლების მანძილზე. ამ ფაქტის ფონზეც კი


მომდევნო წლებიდან შეინიშნება ექსპორტის წილის უმნიშვნელო მატება. ამასთან დაკავშირებით, განვიხილოთ აგროპროდუქტების ექსპორტისა და იმპორტის წილის ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიან გამოშვებაში (დიაგრამა 4.7):

ტარიფების შემცირებამ გამოიწვია მშპ-ში იმპორტისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდა დინამიკაში, თუმცა იგივე მაჩვენებელი ექსპორტისთვის თითქმის არ შეცვლილა. უფრო მეტიც, 2005 წლიდან 2008 წლამდე შეიმჩნევა ექსპორტის წილის შემცირება, რაც სხვადასხვა ფაქტორის შედეგია. ერთი-ერთი მთავარი კი, რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესება გახლდათ (2006წ), რამდენადაც რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო წლების მანძილზე. ამ ფაქტის ფონზეც კი მომდევნო წლებიდან შეინიშნება ექსპორტის წილის უმნიშვნელო მატება. ამასთან დაკავშირებით, განვიხილოთ აგროპროდუქტების ექსპორტისა და იმპორტის წილის ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიან გამოშვებაში.

დიაგრამა 4.6



**წყარო:** დამუშავებულია აგრორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით (WTO)



**წყარო:** დამუშავებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით (WTO)

ფაქტია, რომ ძირითადად სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობა შესაძლებელზე ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები (როგორცაა ნოყიერი ნიადაგი და კარგი კლიმატი) სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფართო ასორტიმენტის წარმოების მიზნით, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი მუდმივად მცირდება, ისევე როგორც, ნათესი ფართობების. ქვეყანა წლების მანძილზე განიცდის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის დეფიციტს. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში თანდათან გაიზარდა 2013 წელს, რაც გამოწვეული იყო მთავრობის განახლებული ინტერესით მის მიმართ და სექტორის გაზრდილი მხარდაჭერით.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი მოიცავს, მთლიანი საექსპორტო პროდუქციის დაახლოებით 28,7%-ს. მათ შორის: თხილი (22,3%), ღვინო (22%), მინერალური წყალი (16,7%) და სპირტიანი სასმელები (11,6%). ძირითად საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ: დსთ-ს ქვეყნები (გარდა რუსეთის ფედერაციისა) (37,7%), რუსეთის ფედერაცია (27%) და ევროკავშირის 28 ქვეყანა (26,3%). ტრადიციულად, რუსეთის ფედერაცია იღებდა ქართული საექსპორტო პროდუქციის უმეტეს ნაწილს, 2006 წლიდან ქართული სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქცია აკრძალულ იქნა რუსეთის ბაზარზე; 2013 წელს აკრძალვა გაუქმდა

ზოგიერთ პროდუქციაზე - ღვინოსა და მინერალურ წყალზე. ათვისების სტადიაშია ახალი ევროპული ბაზრები. ამისთვის სახელმწიფო ახორციელებს ორ პროგრამას: „ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება" და „ქართული ღვინის პროდუქციის პოპულარიზების მიზნით სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება", რომლის მიზანია გაზარდოს ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობის, მარკეტინგული პროგრამების განხორციელების და საზღვარგარეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის საინფორმაციო წარმომადგენლობების და მისიების მუშაობის გზით.

საქართველოს აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავაჭრო დეფიციტი (WTO-ს განმარტება). 2014 წელს მთლიანი იმპორტირებული საქონლის 14,8%-ს სოფლის მეურნეობის პროდუქცია წარმოადგენდა, მათ შორის, ძირითადი პროდუქტი იყო: ხორბალი და ჭვავი (12%), თამბაქო (9%), ფრინველის ხორცი (6,7%) და შაქარი (5%). იმპორტირებული პროდუქციის ძირითადი მომწოდებლები არიან დსთ-ს ქვეყნები (გარდა რუსეთის ფედერაციისა) (27,5%), შემდეგ მოდის რუსეთის ფედერაცია (21,5%), ევროკავშირის 28 ქვეყანა (18,9%), თურქეთი (12,1%) და ბრაზილია (8,4%)<sup>93</sup>.

საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია დარგის ეფექტიანობის ზრდა, ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების ამაღლება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (საქართველო 2020) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდის მიზნით ითვალისწინებს სწორედ საკვები პროდუქტების უვნებლობის, ვეტერინარიული და ფიტოსანიტარიული სისტემების განვითარებას საერთაშორისო და ევროპის ნორმების შესაბამისად DCFTA-ს ვალდებულებების ეტაპობრივი განხორციელების გზით.

ძირითადი პრობლემები აგროსასურსათო სფეროში შემდეგი ხასიათისაა: მცირე ზომის მიწის ნაკვეთები და შესაბამისად მასშტაბის ეფექტის შეუძლებლობა, კაპიტალის უკმარისობა და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ტექნიკის ნაკლებობა და დაბალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა; დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა.

<sup>93</sup> სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშები.

მიწის რეფორმა დაიწყო 1992 წელს და 2004 წლამდე პრივატიზებულ იქნა სოფლის მეურნეობის მიწის 25%<sup>94</sup>. პრივატიზების პროცესის პერიოდში მიწა განაწილებულ იქნა სოფლის მოსახლეობაზე. თუმცა, ფერმერებს არ შეუძლიათ საკუთარი მიწების გამოყენება გარანტის უზრუნველყოფის სახით საკუთარი მეურნეობების გაფართოების ან გაუმჯობესების მიზნით, ხოლო დანაწევრებული მეურნეობები ზრდის საწარმოო ხარჯებს და აფერხებს ეკონომიკური მასშტაბების ზრდას.

ბანკები, ტრადიციულად, თავს არიდებდნენ სესხების გაცემას ფერმერებზე, ხოლო სადაზღვევო კომპანიებს არ სურდათ ნათესების დაზღვევა. კაპიტალისა და რესურსების ნაკლებობა ხელს უშლიდა ფერმერებს სოფლის მეურნეობის ტექნიკის შექენასა და შესაბამისად პროდუქტიულობის გაზრდაში. იგივე მიზეზთა გამო საქართველოს სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კი საირიგაციო და სადრენაჟე სისტემა, არის განვითარების სტადიაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის საჭირო გადამამუშავებელი, სასაწყობე და ლოჯისტიკური მეურნეობების ნაკლებობა ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას.

სირთულეები სოფლის მეურნეობის სექტორში უაროფითად აისახება სოფლის დასახლებების სიღარიბის ინდიკატორებზე: ფერმერის საშუალო წლიური შემოსავალი 2013 წელს იყო საშუალო ეროვნული შემოსავლის 64%-ის ექვივალენტი, თუმცა ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო 2009 წლის 47%-თან შედარებით. კვლავ დიდია სხვაობა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის შემოსავლებს შორის.

2012 წლამდე სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულად არ მიიჩნეოდა, 2010 და 2011 წლებში სახელმწიფომ სოფლის მეურნეობაზე დახარჯა საერთო დანახარჯების მხოლოდ 0,4% და 0,8% შესაბამისად, (ცხრილი 4.5). ეს წილი 2012 წელს 3%-მდე გაიზარდა. მთავრობის სუბსიდირებით დაიწყო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა, თუმცა იგი შორსაა სრულყოფილებისგან. რაც აგრომეურნეების მხრიდან ნდობისა და ინფორმაციის ნაკლებობის შედეგია.

---

<sup>94</sup> საქართველოს ეკონომიკსა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სოფლის მეურნეობაზე აკუმულირებული მთლიანი ბიუჯეტი, 2009-2014წწ.

მლნ. ლარი

	2009	2010	2011	2012	2013	2014
მთლიანი საბიუჯეტო ასიგნებები	6,754	6,972	7,459	7,807	8,104	9,080
სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხები	75	31	58	228	227	264
წილი მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში	1,1%	0,4%	0,8%	2,9%	2,8%	3,1%

*წყარო:* საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შექმნა და ოჯახური ფერმერული მეურნეობებისა და აგროტურიზმის განვითარება; ფერმერებს შორის ცოდნის გავრცელება და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო მომსახურების დანერგვა; უმაღლესი განათლების და პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრების განვითარება და მიწის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა; საკრედიტო სესხებისა და სალიზინგო სისტემის შექმნა და განვითარება; სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სოფლის მეურნეობის სექტორში კოოპერირების გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, რომელიც მოიცავს: სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, ადგილობრივი საკვები პროდუქტის რეკლამირებას მარკეტინგისა და სხვა ხელშემწობი ღონისძიებების მეშვეობით; ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესებას; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას; რეგიონული და სექტორული განვითარების ხელშეწყობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრული ციკლის შექმნითა და მისი დამატებული ღირებულების ზრდის გზით; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის გაუმჯობესებას და კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გათვალისწინებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი ხორციელდება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ტარიფებისა და ზომების შესაბამისად. საქართველო ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული ტარიფები ყველა სახის პროდუქციაზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, საშუალო სავალდებულო ტარიფი შეადგენს 12,4%-ს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (WTO-ს განმარტება). ყველაზე მარტივი საშუალო (უპირატესი ხელშეწყობის მქონე ქვეყანა) ტარიფის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმართ (WTO-ს განმარტება) 6,9%-დან 2009 წელს დაეცა 6,7%-მდე 2015 წელს (ცხრილი 2.2, 2.3). სპეციალური ტარიფები გამოიყენება 18,5 სატარიფო ხაზის მიმართ HS 11-ციფრული დონის მიხედვით: 4 ხაზი განკუთვნილია ძმრის პროდუქტებისათვის და დანარჩენი 181 ალკოჰოლური სასმელებისათვის.

საქართველო არ იყენებს სატარიფო კვოტებს სოფლის მეურნეობის არც ერთი პროდუქტის მიმართ. სახელისუფლებო უწყებების ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველო არ იყენებს არანაირ სახელმწიფო ვაჭრობის შეთანხმებებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩათვლით. საქართველომ განაცხადა, რომ არ უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საექსპორტო სუბსიდირებას 2007-2012 წლებში<sup>95</sup>. ასევე, სახელისუფლებო უწყებებმა განაცხადეს, რომ არ განახორციელებდნენ საექსპორტო სუბსიდიებს 2013-2014 წლებში. სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტები ექვემდებარება SPS (სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ) კონტროლს. საკვები პროდუქტების უვნებლობის შესახებ რეგულაციების და სახედამხედველო შესაძლებლობების ნაკლებობა ართულებს საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტირებას. მთავრობამ განაცხადა, რომ ის აპირებს შესაბამისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონებთან ჰარმონიზაციის პროგრამის შემუშავებას მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის განცხადების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი მხარდაჭერის ყველა ზომა შეესაბამება „მწვანე კალათის“ მოთხოვნებს, მხედველობაშია შემზღუდავი ვალდებულებებისგან გამონაკლისი ზომები. 2013 წელს მთლიანმა ადგილობრივმა მხარდაჭერამ 427.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მშპ-ს

<sup>95</sup> ვმოს დოკუმენტი, G/AG/N/GEO/12, 5 ნოემბერი 2013

1,6%-ის ექვივალენცია, მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 6,4% და ერთობლივი სახელმწიფო დანახარჯების 6,4% (ცხრილი 4.6). სახელმწიფო უწყებების განცხადებით, ეს მხარდაჭერა მოიცავს კერძო ინვესტიციებს და დაფინანსებას, ამრიგად, ის სცილდება სოფლის მეურნეობის სამინისტროში აკუმულირებული ბიუჯეტის სახსრებს (227 მილიონი ლარი).

ცხრილი 4.6

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა,

2009-2013წწ. (მილიონი ლარი, %)

	2009	2010	2011	2012	2013
მთლიანი ადგილობრივი მხარდაჭერა	50.9	18.1	62.9	216.3	427.2
მშპ-ს ექვივალენტი %	0.3	0.1	0.3	0.8	1.6
მთლიანი საგადასახადო შემოსავლის ექვივალენტი %	1.2	0.4	1.0	3.2	6.4
მთლიანი სამთავრობო დანახარჯების ექვივალენტი %	0.9	0.3	1.1	3.3	6.4

**წყარო.** ჩვენი გაანგარიშებები ეყრდნობა ვმო-ს სამდივნოს დოკუმენტაციას G/AG/N/GEO/13, 8 ოქტომბერი 2014; G/AG/N/GEO/11, 5 ნოემბერი 2013 და G/AG/N/GEO/10, 14 თებერვალი 2013.

აგროსექტორის განვითარებას ზოგადად აფერხებს: ცუდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და აგროსექტორის ცუდი მენეჯმენტი; კვალიფიციური სამუშაო ძალის უკმარისობა, ინოვაციებისა და ინვესტიციების ნაკლებობა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობა, მარკეტინგული უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების დაბალი დონე. ეს ყველაფერი კი იწვევს, გლობალურ და განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციისა და ბრენდების დაბალ ცნობადობას და, შესაბამისად, გასაღების ბაზრების არადივერსიფიცირებას. ეს განსაკუთრებით ეხება მეღვინეობის სექტორს, რამდენადაც ღვინის სექტორი ერთ-ერთი პრიორიტეტულია ქვეყნის სოფლის მეურნეობაში. უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი რეფორმები და ღონისძიებები ღვინის სექტორში მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, კერძოდ: ეროვნული საკადასტრო სისტემის შექმნა; ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების სარეგისტრაციო სისტემის ამოქმედება დსთ-ს რამდენიმე ქვეყანაში; ქართული მეღვინეობის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო



რეგულაციებთან; მარკეტინგული ღონისძიებების გააქტიურება საერთაშორისო ბაზრებზე ღვინის მოხმარების შესახებ კვლევის და საქართველოს მეღვინეობის მარკეტინგის სტრატეგიის მონაცემებზე დაყრდნობით. მეღვინეობის მარკეტინგის სტრატეგია დამტკიცებულ იქნა 2014 წელს, რომელიც მიზნად ისახავდა ორ ძირითად საკითხს: მეღვინეობის სექტორის სტაბილურ ზრდას და ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიცირებას. საქართველოს ოფიციალური უწყებები აწარმოებენ ქართული ღვინის რეკლამირებას სემინარებზე, გამოფენებზე, აწყობენ ღვინის დეგუსტაციას. ამ ღონისძიებების მთავარი გზავნილი არის ის, რომ საქართველო არის მეღვინეობის უძველესი ქვეყანა 8000 წლიანი ღვინის კულტურის ისტორიით და ყურძნისა და ღვინის ასობით სხვადასხვა ჯიშის წარმოშობის სამშობლო, ღვინის დაყენების უნიკალური ტრადიციის ჩათვლით. ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული რეალობა ასეთია: 1995-2005 წლებში ქართული ღვინის 75% საექსპორტოდ რუსეთის ფედერაციაში გადიოდა. 2006-2013 წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ ქართულ ღვინის აკრძალვის შემდეგ ღვინის ექსპორტის წილი მთლიანი მეღვინეობის წილთან შეფარდებაში 2005 წელს 75%-დან 29%-მდე დაეცა 2006 წელს, მხოლოდ 2013 წელს მიაღწია 36%-ს. ღვინის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2005 წელს 9,4% -დან 2006 წელს 4,4%-მდე დაეცა, და 2014 წელს მიაღწია 6,3%-ს (2013 წელს აკრძალვის გაუქმების შედეგად). შეიცვალა აგრეთვე მთავარი საექსპორტო ბაზრები განსახილველი პერიოდის მანძილზე: თუ 2009 წლისთვის ღვინის ექსპორტი რუსეთში 0% იყო, 2014 წლისთვის შეადგინა 61,7% (ცხრილი 4.7). რაც საექსპორტი ბაზრის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების ბაზრების არადივერსიფიცირებულობაზე მიუთითებს და მნიშველოვან პრობლემას წარმოადგენს.

ცხრილი 4.7

საქართველოს ღვინის ექსპორტი

ქვეყანა	2009	2014
მთლიანი ექსპორტი	32 მლნ აშშ დოლარი	180 მლნ აშშ დოლარი
აშშ	4,6 %	-
ევროკავშირი	18,0%	7,6%
ბელარუსი	12,8%	4,0%

ყაზახეთი	14,0%	9,1%
უკრაინა	39,2%	11,5%
რუსეთი	-	61,7%
სხვა	10,5%	6,1%

წყარო: UNSD Comtrade მონაცემთა ბაზა

2014 წელს *წარმოების* სექტორი მშპ-ს დაახლოებით 10.6%-ს შეადგენდა და 14,8%-ს ასაქმებდა. უმსხვილეს წარმოებებად ითვლება კვების მრეწველობა, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და ლითონის წარმოება. ექსპორტი 1.1 მილიარდი აშშ დოლარიდან 2009 წელს გაიზარდა 2.9 მილიარდ აშშ დოლარამდე 2014 წელს, ძირითადად, სამთო, სოფლის მეურნეობის ქიმიკატების (ფერტილიზატორების), ლითონწარმოების, კვების მრეწველობის (როგორცაა, მინერალური წყლებისა და თხილის წარმოება), სამშენებლო მასალებისა და ალკურვილობის და განახლებული სამგზავრო ტრანსპორტის ხარჯზე.

სექტორი ლიბერალიზებულია და ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისთვის. მნიშვნელოვანი პროგრესი განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის, კორუფციასთან ბრძოლის, საგადასახადო კოდექსის გამარტივების და ბიზნესის დაწყებისა და ლიცენზირების მიზნით ადმინისტრაციული პროცედურების გაუმჯობესების კუთხით. შედეგად, 2008 წლის კრიზისამდე სექტორში მოზიდულ იქნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ოდენობა, რასაც მწარმოებლობის გაუმჯობესება მოჰყვა.

2010 წელს საქართველომ საკუთარი საბაჟო და საგადასახადო ტარიფები გააერთიანა ერთ ახალ საგადასახადო კოდექსში გამჭვირვალობის ამაღლების მიზნით. ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს მიკრო და მცირე ბიზნესისთვის. საერთაშორისო საფინანსო კომპანიებს (თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოქმედ საერთაშორისო კომპანიებსა და გადასახადისგან გათავისუფლებულ სასაწყობე მეურნეობის კომპანიებს) კვლავ სთავაზობენ წამახალისებელ ზომებს გადასახადებისგან გათავისუფლების ან გადასახადების შემცირების სახით.

ოფიციალური უწყებების განცხადებით, საქართველო არ ეწევა ექსპორტის სუბსიდირებას და არც ექსპორტის დაფინანსების ინსტრუმენტები გააჩნია. ექსპორტის მხარდაჭერა, ძირითადად, ექსპორტიორების საერთაშორისო ბაზრობებზე მონაწილეობის ხელშეწყობის, მყიდველთა მისიების დაგეგმვისა და სხვადასხვა კამპანიებისა თუ პუბლიკაციების გამოშვების ფორმით მოქმედებს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებით, რომელიც იძლევა ალტერნატიული სატრანზიტო მარშრუტების შესაძლებლობას ცენტრალური აზიისკენ (გარდა ჩინეთისა და რუსეთის ფედერაციის გავლით), სახელმწიფომ შექმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (FIZ), სადაც ინვესტორებს შეუძლიათ განახორციელონ საწარმოო საქმიანობა პროდუქციის ტრანზიტის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2008 წელს ამოქმედდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის რეჟიმი, რაც საქონლის გადამუშავების, წარმოებისა და ექსპორტირებისთვის ახალ შეღავათებსა და შესაძლებლობებს აწესებს. კერძოდ: კორპორატიული მოგების, ქონების, იმპორტის გადასახადისა და დღგ-სგან გათავისუფლების ჩათვლით.

ზოგადად თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაჩქარებისკენ, რასაც ხელს უწყობს ლიბერალური საგადასახადო რეჟიმები და გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები FIZ-სთვის. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს საინვესტიციო პოტენციალის ზრდას, რაც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს დასაქმების შესაძლებლობებს და კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას. ეს კი ამადლებს მოსახლეობის სურვილს მიიღონ შესაბამისი ხარისხის განათლება და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება მნიშვნელოვანია საექსპორტო ნაკადების ზრდისა და ბაზრების დივერსიფიცირებისთვის, ასევე ქვეყნის საგარეო შოკების შესამცირებლად. FIZ-ების განვითარება მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდის თვალსაზრისით, რამდენადაც FIZ-ები რეგიონებში იქმნება. FIZ-ში საწარმოების

განვითარება დადებით გავლენას მოახდენს ტვირთების ინტენსივობისა და მოცულობის ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროს განვითარებაზე.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს 4 FIZ-ი: ქუთაისის FIZ-ი (გაიხსნა 2009 წელს და ემსახურება ვაჭრობასა და ასრულებს შესაბამის მომსახურებებს, მძიმე მრეწველობა, სასაწყობე მეურნეობა, პროდუქციის შენახვა და სამეწარმეო საქმიანობა); ფოთის FIZ-ი, აგრეთვე გახსნილია 2009 წელს და ამჟამად იქ ფუნქციონირებს მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე აღჭურვილი ბიზნესცენტრები, ინდუსტრიული და ლოჯისტიკური პარკები; ყულევის FIZ-ი, გახსნილია 2012 წელს; ქუთაისის ჰუალინგი, დაფუძნებულია 2015 წელს.

FIZ-ებთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს სამი ტიპის FIZ-ს - საერთაშორისო საწარმო; თავისუფალი სასაწყობე საწარმო და საერთაშორისო საფინანსო კომპანია. თუმცა, 2011 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, გაუქმდა თავისუფალი სასაწყობე საწარმოები და მათ ნაცვლად შეიქმნა სპეციალური სავაჭრო კომპანიები, რომლებიც განთავსდებიან არიან კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან და ახორციელებენ სასაწყობე საქმიანობას. ეს მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ საქართველო სადისტრიბუციო ჰაბად, საიდანაც განახორციელებენ საქონლის მიწოდებას რეგიონისათვის. ოფიციალური უწყებების განცხადებით, სპეციალური სავაჭრო კომპანიების სქემის წარმატება განისაზღვრება მისი სტატუსის მქონე კომპანიების რიცხვით. ამჟამად, დაახლოებით 65 კომპანიას გააჩნია სპეციალური სავაჭრო კომპანიების სტატუსი. ამ მხრივ, ლიდერობენ თურქული კომპანიები, რომლებიც საქართველოს იყენებენ მცირე საწარმოო დანახარჯების რეგიონად<sup>96</sup>. აღსანიშნავია, თურქული კომპანიების მიერ საკუთარი ტექსტილის სფეროში საწარმოების გახსნა მოსაზღვრე აჭარის რეგიონში. ასევე რამდენიმე ევროპულმა ბრენდმა გადაწყვიტა საკუთარი პროდუქციის წარმოება საქართველოში. ეს გამოწვეულია მიმზიდველი კვალიფიციური და მცირე ხარჯიანი სამუშაო ძალის, იაფი მიწის, მცირეხარჯიანი ენერგორესურსებით და ევროკავშირის ბაზრებზე პრეფერენციული შეღწევადადობით. საერთოდ, ტანსაცმლის/ტექსტილის

<sup>96</sup> World Bank (2013).

მრეწველობა ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. 2014 წელს ყოველწლიური ბრუნვა 12-ჯერ, ხოლო 2003-2014 წლებში ტანსაცმლისა და ტექსტილის მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 65%-ით გაიზარდა. საქართველოს გააჩნია ტანსაცმლის ექსპორტის მაღალი პოტენციალი. 2006 წლიდან 2014 წლამდე ტანსაცმლის ექსპორტი 7,6-ჯერ გაიზარდა - 11.8 მილიონი აშშ დოლარიდან 89.8 მილიონ აშშ დოლარამდე. მთავარი საექსპორტო ბაზრები არის: თურქეთი, დსთ-ს ქვეყნები (რუსეთის ფედერაციის ჩათვლით) და ევროკავშირი. ევროკავშირთან GSP+-დან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის სტატუსზე გადასვლის შედეგად მოსალოდნელია მრეწველობის განვითარების შემდგომი სტიმულაცია. გამიზნულია ინვესტიციების მიმართვა მსუბუქი მრეწველობისკენ, ტექსტილის მრეწველობისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით მთავრობა სთავაზობს შემდეგ სხვადასხვა პროექტებს: სახელმწიფო პროგრამის „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სესხის სუბსიდირების პროგრამაში საკუთარი წარმოების გაფართოვების ან შექმნის მიზნით. „წარმოე საქართველოში“ ორგანიზებას უწევს ქვეყანაში შემომსვლელ სავაჭრო მისიებს, წელიწადში ორჯერ „თბილისის მოდის კვირეულის“ ფარგლებში და ეხმარება ტანსაცმლის მწარმოებელ ქართულ ფირმებს საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებზე მონაწილეობის მიღებაში (2016 წლიდან).

რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას: საგზაო ტრანსპორტის უმთავრეს პროექტს წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთ ავტობანის მშენებლობა და რეაბილიტაცია, (როგორც სტრატეგიული სატრანსპორტო მარშრუტის ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის). გაუმჯობესებულ სატრანსპორტო კავშირს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის მეზობელ ქვეყნებთან და სხვა სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის კუთხით, აგრეთვე იგი განამტკიცებს რეგიონის კონკურენტუნარიანობას და გაზრდის ტრანსპორტის უსაფრთხოებასა და შესაძლებლობებს. როგორც ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სატრანსპორტო დერეფნის (ევროპა-კავკასია-აზია, ტრასეკა) სქემის ნაწილი, საქართველო მუშაობს სატრანსპორტო ტარიფების გაუმჯობესებაზე ყველა ძირითადი სახის ტვირთებისთვის; TRACECA-ს დერეფნის განვითარება კვლავ რჩება საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტად. 2015 წელს დაიგეგმა სამშენებლო სამუშაოების წარმოება

ცენტრალური ავტობანის დამატებით 129 კილომეტრიან მონაკვეთზე. სამუშაოების დასრულების შემდეგ ავტობანს ექნება ოთხი ხაზი და შეეძლება ყოველდღიურად 50000 ავტოსატრანსპორტო საშუალების გატარება.

სარკინიგზო ტრანსპორტში მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც დაიწყო 2008 წლიდან და გახდება ახალი ეფექტური დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ თურქეთის გავლით.

საქართველოს, ხელმოწერილი აქვს ორმხრივი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებით 14 სახელმწიფოსთან. 2013-2014 წლებში საქართველომ ხელი მოაწერა საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებულ ორმხრივ ხელშეკრულებებს პოლონეთთან, კორეასთან, თურქეთის რესპუბლიკასთან და კვიპროსთან. ეს ხელშეკრულებები მომავალში წარმოადგენს საქართველოსა და შესაბამისი სახელმწიფოს პორტებთან სავაჭრო საზღვაო გადაზიდვების განხორციელების კანონიერ საფუძველს.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან, საერთაშორისო ჰიდროგრაფიულ ორგანიზაციასთან. 2014 წელს საქართველო გახდა დუნაის კომისიის დამკვირვებელი.

შავი ზღვის ორი მთავარი პორტი მდებარეობს ფოთსა და ბათუმში, 11 და 12 მეტრის სიღრმით და ტვირთების დამუშავების შესაძლებლობით (10 და 17 მილიონი ტონა ტვირთი შესაბამისად). საქართველო სარკინიგზო ბორნების მეშვეობით უკავშირდება უკრაინას, რუმინეთს, რუსეთის ფედერაციასა და ბულგარეთს.

ტვირთების საკონტეინერო გადაზიდვა შეადგენს 44,1%-ს, რომელიც მოიცავს დამუშავებული ზოგადი სახის ტვირთებს, თხევად ტვირთებს და ნაყარ შეუფუთავ ტვირთებს. იმპორტირებული და ექსპორტირებული ტვირთების, დაახლოებით, 40%-ს შეადგენს სატრანზიტო ტვირთები.. 2014 წელს პორტმა გადაამუშავა 8.6 მილიონი ტონა ტვირთი. APM Terminals-ი გეგმავს 100 მილიონი აშშ დოლარის ჩადებას ხუთი წლის განმავლობაში ფოთის პორტის გაფართოებისა და მოდერნიზაციის მიზნით.

ორი სხვა პორტი არის სუფსაში (ოპერირებს BP-ი) და ყულევში (ოპერირებს აზერბაიჯანული კომპანია სოკარი, რომელიც მხოლოდ ნავთობპროდუქტებს ამუშავებს).

სახელმწიფო ისწრაფვის კონკურენტუნარიანობის ზრდისკენ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებების გზით. ამ მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიის ახალი ღრმა საზღვაო პორტის მშენებლობას, რომელსაც აუცილებლად ექნება გარკვეული კონკურენტული უპირატესობა: სტრატეგიული მდებარეობა; Panamax-ის ტიპის ხომალდების მიღების შესაძლებლობა; ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება; მარტივი და სწრაფი პროცედურები, და მთელი წლის მანძილზე უსაფრთხო ნავიგაციის შესაძლებლობა. ახალი პორტის მშენებლობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და გეგმის მიხედვით გამოიწვევს საქართველოს ტვირთბრუნვის მნიშვნელოვან ზრდას.

საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ორმხრივ ხელშეკრულებებზე საჰაერო მომსახურების შესახებ და არის ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ დადებული შეთანხმების მხარე. საქართველო არის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპის ორგანიზაციის წევრი.

საჰაერო ტრანსპორტის ლიბერალიზაციის მიზნით საქართველო ახორციელებს ღია ცის პოლიტიკას პარტნიორებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. სახელმწიფოს არა მარტო სურს უცხოურ გადამზიდავებს მიანიჭოს შეუზღუდავი ფრენის უფლება (ფრენების სიხშირეების პირობების და თვითმფრინავების ტიპების მიხედვით), ავიახაზების რაოდენობა, ფრენის წერტილები ან საჰაერო ტარიფები, მას აგრეთვე სურს უცხოურ გადამზიდავებს მიანიჭოს კომერციული გადაზიდვების განხორციელების უფლება საქართველოს ფარგლებს შიგნით. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოდან და საქართველოსკენ ფრენებს 26 უცხოური და ერთი ადგილობრივი ავიაკომპანია ახორციელებს. მნიშვნელოვანია ამ მხრივ უფრო ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.

და ბოლოს, მილსადენის ტრანსპორტი, რომლებიც რეგიონს ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციას ანიჭებს. მილსადენების მეშვეობით ხორციელდება გაზის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და რუსეთის ფედერაციიდან სომხეთში, ნავთობის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში. საქართველო აგრძელებს ნახშირწყალბადის რესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ინიციატივის მხარდაჭერას სამხრეთის გაზის დერეფნის ფარგლებში. მილსადენები უზრუნველყოფენ გაზის

გატარებას ქვეყნისთვის და თამაშობს გარკვეულ როლს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებაში. მშენებლობისა და ოპერირების დროს განხორციელებული ინვესტიციები უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და თანხების მოზიდვას სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების საფუძველზე.

საქართველოში გადის ორი ნავთობის მილსადენი: ბაქო-სუფსის დამაკავშირებელი ხაზი სუფსის ტერმინალამდე ყოველწლიურად 7 მილიონამდე ტონა ნავთობის გატარების წარმადობით და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ხაზი, რომელიც დაკავშირებულია ყულევთან. აზერბაიჯანული ნავთობის მსოფლიოს ბაზრებზე აღმოსავლეთ მარშრუტით გადაქაჩი ამ ორი ხაზის გამოყენების სატრანსპორტო ღირებულება, როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციაზე გამავალი ჩრდილოეთ მარშრუტის ღირებულების მხოლოდ ნახევარს შეადგენს. ეს კონკურენტული უპირატესობა როგორც სატრანზიტო ფასის, ისე ბუნებრივი აირის ფასის თვალსაზრისით, ქვეყნისთვის არის საგადასახადო შემოსავლების წყარო.

საშუალოვადიან პერსპექტივაში საჭიროა ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება. ექსპორტის წილი მშპ-ში მხოლოდ 24%-მდე იყო საშუალოდ, განხილული პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის ზრდამ უფრო მაღალ ნიშნულს მიაღწია, ექსპორტის კალათის შემადგენლობისა და დინამიკის ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი სისუსტეები: საბაზრო წილის დაკარგვა ძირითად ბაზრებსა და პროდუქციაზე; ქვეყნის განვითარების დონისთვის დამახასიათებელი პროდუქციის ხარისხის დაბალი დონე, და პროდუქტის დივერსიფიცირების ნაკლებობა, მაშინ, როდესაც ექსპორტის დომინანტებს წარმოადგენს ჯართის ექსპორტი, მეორადი მანქანების რეექსპორტი, ღვინისა და გადამამუშავებული პროდუქცია, წყალი და ტურიზმი.

თუმცა, კვლავ რჩება გამოკვეთილი პრობლემები: სასაქონლო ექსპორტის კალათა ძირითადად ნედლეულისგან შედგება, რაც ზღუდავს დასაქმების შესაძლებლობებს, მაშინ როდესაც, უფრო სტიმულირებული უნდა იყოს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება, რომელიც დასაქმებას ზრდის, ჯერ კიდევ შეზღუდულია. საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები ბოლო ათი წლის მანძილზე მიუთითებს, რომ ექსპორტი და გასაყიდი საქონელი არ გვევლინება მწარმებლურობის სწრაფი და მდგრადი ზრდის წამყვან ფაქტორად. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის ექსპორტი ბოლო ათწლეულის მანძილზე



ყოველწლიურად, დაახლოებით 10%-ით იზრდებოდა, მშპ-ში ექსპორტის წილი დიდად არ შეცვლილა (დიაგრამა 4.6, 4.7) 2004 წლიდან და კვლავ რჩება სხვა მაღალი ზრდის ტემპის მქონე მცირე ეკონომიკის დონის ქვემოთ.

**4.3 პარტნიორ ქვეყნებთან საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო  
ვაჭრობისა და ექსპორტის მსგავსების საკითხების კვლევა  
გრუბელ-ლლოიდისა (GL) და ფინგერ-კრეინინის (FK)  
ინდექსებზე დაყრდნობით**

საქართველოს საექსპორტო საქონლის სტრუქტურისა და დანიშნულების ბაზრების ცვლილების გასაანალიზებლად, ასევე ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ჩართვის ხარისხისა და როლის შესაფასებლად, გავაანალიზოთ მისი სტრუქტურული მსგავსება პარტნიორი ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურასთან. ამისთვის ჩავატარეთ კვლევა და გამოვთვალეთ საქართველოს შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი - იგივე გლუბელ-ლლოიდის ინდექსი GL (იხილეთ პირველი თავი) ყველა მსოფლიო ბაზართან მიმართებით SITC კლასიფიკატორის მიხედვით ერთნიშნა და სამნიშნა დონეზე, ასევე ექსპორტის მსგავსების - ფინგერ-კრეინინის ინდექსი 30 ყველაზე უფრო მსხვილ (ცხრილი 4.5) საექსპორტო საქონლის მიხედვით პარტნიორ ქვეყნებთან.

საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ინდექსის გამოთვლისას ვიხელმძღვანელებთ შემდეგი ფორმულით:

$$GL_{ge} = 1 - \frac{|M_i - X_i|}{X_i + M_i}$$

სადაც:  $M_i$  – აღვნიშნეთ  $i$  - საქონლის (სასაქონლო პოზიციის) იმპორტით საქართველოში პარტნიორი ქვეყნიდან;


$X_i$  – აღვნიშნეთ  $i$  - საქონლის ექსპორტით საქართველოდან პარტნიორ ქვეყანაში.

საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის GL ინდექსის დათვლისას ყველა საქონლისთვის ერთად,  $X_i$  და  $M_i$  მნიშვნელობებად ავიღეთ ექსპორტისა და იმპორტის მთლიანი მოცულობები ქვეყნების მიხედვით (დეტალურად GL ინდექსი მოცემულია პირველ თავში).

დანართი ცხრილით №1 მოცემულია საერთაშორისო შიგადაზღვრები ვაჭრობის GL ინდექსები 2005, 2010 და 2015 წლებში ერთნიშნა და სამნიშნა დონეებზე ყველა სავაჭრო საქონლისა და ქვეყნების მიხედვით, რომლებთანაც საქართველოს დადებითი მონაცემი გააჩნია.

2015 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო სავაჭრო ბრუნვაში 64.2% პროცენტი შეადგინა. სამი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია თურქეთი (1 517 მლნ. აშშ დოლარი და 15.3%), რუსეთი (788 მლნ. აშშ დოლარი და 7.9%), აზერბაიჯანი (783 მლნ. აშშ დოლარი და 7.9%). სავაჭრო ბრუნვის მიხედვით პირველი ოცეული ნაწივებია დიაგრამა 4.8 -ზე.

2015წ. სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ოცდაათეულში, SITC კლასიფიკატორის მიხედვით სამნიშნა დონეზე, პირველი ადგილი უკავია სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს 270.6 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი ექსპორტის 12,30 %-ს შეადგენს, მეორე ადგილზეა ხილი და თხილი (ცოცხალი და მშრალი) 196 მლნ და 9%; თუჯის, რკინისა და ფოლადის გრანულებისა და ფეროშენადნობების ექსპორტმა შეადგინა 194 მლნ, მთლიანი ექსპორტის 8,8 %; ავტომობილებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი - 179 მლნ აშშ დოლარი - 8,2%; ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი - 162 მლნ აშშ დოლარი - 7,4%. შედარებით ნაკლები წილი უკავია სხვა აგრო და სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს. ძირითადი 30 დასახელების საექსპორტო საქონელი SITC კლასიფიკატორის მიხედვით სამნიშნა დონეზე შემდეგი სახითაა წარმოდგენილი (ცხრილი 4.8)



**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
www.geostat.ge

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2015წ.				
	SITC-ის კოდი	დასახელება	ათასი აშშ დოლარი	%
	<b>ექსპორტი - სულ</b>		<b>2 203 633,8</b>	<b>82,74%</b>
1	<b>283</b>	სპილენძის მადნები და კონცენტრატები; სპილენძის შტეინი; ცემენტნარევი სპილენძი	270 601,0	12,30%
2	<b>057</b>	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	196 947,2	9%
3	<b>671</b>	თუჯი, სარკისებრი თუჯი, დრუბლისებრი რკინა, რკინის ან ფოლადის გრანულები, ფხვნილები და ფეროშენადნობები	194 538,7	8,80%
4	<b>781</b>	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკუთვნილი ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	179 646,1	8,20%
5	<b>112</b>	აღკოპოლური სასმელები	162 626,6	7,40%
6	<b>542</b>	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	140 918,0	3,40%
7	<b>562</b>	სასუქები (გარდა 272-ე ჯგუფში შემავალი სასუქებისა)	109 778,8	5,00%
8	<b>111</b>	უაღკოპოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	101 046,7	4,60%
9	<b>333</b>	ნავთობის ზეთები და ბიტუმიოვანი მინერალებისგან მიღებული ზეთები, დაუმუშავებელი	84 679,7	3,80%
10	<b>971</b>	ოქრო, არაფულადი (ოქროს მადნების და კონცენტრატების გარდა)	62 102,1	2,90%

11	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	46 228,9	2,10%
12	001	ცოცხალი ცხოველები, გარდა 03 დანაყოფში მოხვედრილი ცხოველებისა	40 217,1	1,80%
13	288	არა-ფერადი ლითონების შემცველი ლითონების ნარჩენები და ჯართი, სხვაგან დაუსახელებელი	27 055,0	1,20%
14	351	ელექტრო -დენი	25 420,4	1,15%
15	676	რკინის და ფოლადის არმატურა, წნელები, კუთხეები, ფორმები და სექციები (მათ შორის ლითონის ფურცლები)	23 027,2	1,04%
16	081	ცხოველების საკვები პროდუქტი (დაუფქავი მარცვლეულის გარდა)	20 992,4	0,90%
17	842	ქალის ან გოგონების ლაბადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიუამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	20 520,4	0,90%
18	625	რეზინის საბურავები, ურთიერთშენაცვლებადი საბურავის პროტექტორები, საბურავი ფარები და შიდა მილები ყველა სახის საბურავისთვის	20 278,7	0,90%
19	672	შენადნობები და შავი ლითონის და ფოლადის სხვა პირველადი ფორმები, რკინის ან ფოლადის ნახევარფაბრიკატები	20 124,0	0,90%
20	343	ბუნებრივი აირი, ასევე თხევადი	18 904,7	0,86%
21	791	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, ერთრელსიანი) და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	17 531,2	1%
22	553	პარფუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	13 401,0	0,60%
23	782	საქონლის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	13 363,6	0,60%

24	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	13 284,7	0,60%
25	248	საცობი და ხე	11 520,4	0,50%
26	764	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკუთვნილი ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	11 447,3	0,50%
27	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	10 953,9	0,50%
28	523	მარილები და მარილმჟავები, არაორგანული მჟავები და ლითონები	10 771,9	0,50%
29	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	10 188,0	0,50%
30	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	10 065,7	0,50%

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზების შემდეგ, ასევე კაპიტალისა და სამუშაო ძალის ლიბერალიზებით საქართველოში შესაძლებელია სავაჭრო ინფრასტრუქტურის ინტეგრაციული დინამიზმით განვითარება, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია ღრმა ინტეგრაციიდან მიღებული შესაძლებლობების განხილვაც. სატარიფო ლიბერალიზებას კეთილდღეობის დონის უფრო მნიშვნელოვნად ამაღლება შეუძლია. რაც უფრო მსგავსი და დახლოებული ეკონომიკური პოლიტიკა აქვთ ქვეყნებს ლიბერალიზების თვალსაზრისით, მით უფრო მეტია მათი პარტნიორობის შედეგად მიღებული სარგებელი. მსგავსება და დაახლოება კი გულისხმობს, როგორც მოქმედი ბარიერების გაუქმებას, ასევე ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს

ვაჭრობის განვითარებას პარტნიორ ქვეყნებს შორის, ინვესტიციების განხორციელებას, დადებითი გარეშე ფაქტორების შექმნას და მწარმოებლურობის ზრდას<sup>97</sup>.

შიგადარგობრივი ვაჭრობა პარტნიორ ქვეყნებს შორის ღრმა ინტეგრაციის შედეგად არსებული პოტენციალის ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს. როგორც უკვე განვიხილეთ პირველ თავში შიგადარგობრივი ვაჭრობის ორი სახე არსებობს: 1. მსგავსი, დაახლოებით ერთიდაიგივე ხარისხისა და ფასის საქონლის ურთიერთგაცვლა; 2. მსგავსი, მაგრამ სხვადასხვა ხარისხის და ფასის საქონლის ურთიერთგაცვლა; საქონლის ურთიერთგაცვლა სავაჭრო კლასიფიკაციის ფარგლებში, წარმოადგენს ვერტიკალურად ინტეგრირებული მიწოდების ქსელს (მზა პროდუქციის ნაწილები და ნაწილობრივ დასრულებული პროდუქცია). თითოეული მათგანი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში შესაძლებელს ხდის სპეციალიზაციის ნიშის დაკავებას, რაც ხელს შეუწყობს მწარმოებლურობის ზრდას.

ჩვენ გამოვითვალეთ შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი საქართველოსთვის მის ყველა პარტნიორთან და შემდეგ გავფიქრეთ მონაცემები მიღებული შედეგების მიხედვით. დანართ №1 მოცემულია 2010 და 2015 წლებში ერთნიშნა დონეზე ყველა სავაჭრო საქონლის GL ინდექსი ქვეყნების მიხედვით, რომლებთანაც საქართველოს დადებითი მონაცემი გააჩნია. რა თქმა უნდა ერთნიშნა გამსხვილებულ დონეზე ინდექსი უფრო მაღალია, და საჭიროებს უფრო დეტალურ კვლევას სამნიშნა დონეზე. დანართ №2 მოცემულია SITC კლასიფიკატორით სამნიშნა დონეზე გამოთვლილი GL ინდექსები იმ საქონელზე, რომელშიც ქვეყანას გააჩნია სულ მცირე 0.01 GL თავის სავაჭრო პარტნიორებთან. საბოლოოდ, უფრო განზოგადებული ანალიზისთვის ჩვენ გამოვითვალეთ GL ქვეყნის დონეზე, სულ მოცემულია 57 ქვეყნის მონაცემი, რომლებთანაც ქვეყანას აღმოაჩნდა GL 0.01 მაჩვენებელი ცალკეული საქონლისა და დარგის მიხედვით, ეს ასახულია დანართ №3-ში. შიგადარგობრივი ვაჭრობის ყველაზე მაღალი ინდექსი გამოვლინდა ბელარუსთან (99%), რომელიც საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში ბრუნვის მიხედვით რიგით 37-ე ადგილზეა, საუდის არაბეთთან (90%) - 60-ე ადგილი, ლიტვასთან (84%) - 29-ე ადგილი და მოლდოვასთან (78%) - 49-ე

<sup>97</sup> Dyker D., Emerson M., Gasiorek M., Holmes P., Jungmittag A., Korchagin V., Maliszewska M., Kudina A., Pertaia G., Polyakov E., Roudoi A., Tokmazishvili M., Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement Between the European Union and Georgia. CASE Network Reports No. 79., 08.2008 Center for Social and Economic Research on behalf of CASE Network 12 Sienkiewicza, 00-010 Warsaw, Poland

ადგილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში ამ ქვეყნებთან GL განუხრელად იზრდებოდა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ასევე, საქართველოს GL ირანთან და პოლონეთთან, რომლებიც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორებს შორის შესაბამისად მე-18 და მე-20 ადგილზეა.


რაც შეეხება, პირველ ათეულს სავაჭრო პარტნიორებს შორის GL ინდექსი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალია, ვიდრე განვითარებად მეზობელ ქვეყნებთან, თუმცა ზრდის ტენდენცია შეინიშნება გერმანიასა და აშშ-სთან 2005 წელთან შედარებით. ყველზე მაღალი GL დაფიქსირდა მეზობელ სომხეთთან (98%); ბულგარეთთან (88%). საკმაოდ მაღალი შიგადადარებითი ვაჭრობის მაჩვენებელია ასევე აზერბაიჯანთან (61%); თურქეთთან შეინიშნება შიგადადარებითი ვაჭრობის მკვეთრი კლება 2005 წლიდან დღემდე (60%-დან 25%-მდე). რუსეთთან GL მჭიდრო კავშირშია სავაჭრო ნაკადების წარმოქმნასთან. 2010 წელთან შედარებით 2015წ გაზრდილი GL 21-დან 40%-მდე მიუთითებს სავაჭრო ნაკადების სწრაფ ზრდაზე და რუსეთის ბაზარზე დაბრუნებაზე. (იხილეთ დიაგრამა 4.9, 4.10, 4.11, 4.12, 4.13).

ნახტომისებური ზრდა ახასიათებს საქართველოს GL-ს ხორვატიასთან, კოლუმბიასთან, არგენტინასთან, ლიბანთან, ფილიპინებთან, ბრაზილიასთან, სადაც GL მოულოდნელად გაიზარდა და დაფიქსირდა ზოგ შემთხვევაში 0,8 დონეზე 2015წ, მაშინ როცა 2005 წ. ვაჭრობის ლიბერალიზებამდე 0-ნიშნულზე იყო (დიაგრამა 4.12).


ვაჭრობის ლიბერალიზების შემდეგ საქართველოს GL მკვეთრად შემცირდა გაერთიანებულ სამეფოსთან, სლოვაკეთთან, ყირგიზეთთან, ჩეხეთთან, საბერძნეთთან, თურქმენეთთან, რუმინეთსა და ავსტრიასთან, ასევე ნახტომისებურად შემცირდა განსახილველ პერიოდში GL ინდექსი და უკიდურესად შემცირდა შიგადადარებითი ვაჭრობა ლიხტენშტეინთან, წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებთან (იაპონია, კორეის რესპუბლიკა), თუმცა სინგაპურთან კვლავ მაღალი მაჩვენებელი რჩება (74%). მცირე ზრდა ახასიათებს GL-ს ისეთ მზარდ ბაზრებთან, როგორცაა აზერბაიჯანი, ინდოეთი. მკვეთრად გაიზარდა - არგენტინასა და ბრაზილიასთან, ხოლო რუსეთთან და თურქეთთან შემცირებულია 2005 წლის შემდგომ.






დიაგრამა 4.9



დიაგრამა 4.10







**წყარო:** ინდექსები გამოთვლილია და დიაგრამები (4.9, 4.10, 4.11, 4.12, 4.13) მომზადებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით.

*შენიშვნა:* ბაზად აღებულია SITC Rev.4 სასაქონლო ნომენკლატურა სამნიშნა დონეზე

აღსანიშნავია, რომ საქართველოს GL ინდექსის დონე ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან მერყეობს საშუალოდ 40%-ს ფარგლებში, ამასთან 2008 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ცენტრის მიერ, რომელიც მოიცავდა HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა და 6-ნიშნა დონეებს, შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი 38%-ს შეადგენდა ერთობლივად ევროკავშირის 27 ქვეყანასთან<sup>98</sup>. ჩვენი კვლევა უფრო დეტალურია და გამოთვლილია ქვეყნების მიხედვით ცალ-ცალკე და შეინიშნება შიგადარგობრივი ვაჭრობის დონის უმნიშვნელო მატება ბოლო 7 წელიწადში. კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ DCFTA-ს ფარგლებში შესაძლებელია

<sup>98</sup> Dyker D., Emerson M., Gasiorek M., Holmes P., Jungmittag A., Korchagin V., Maliszewska M., Kudina A., Pertaia G., Polyakov E., Roudoi A., Tokmazishvili M., Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement Between the European Union and Georgia. CASE Network Reports No. 79., 08.2008 Center for Social and Economic Research on behalf of CASE Network 12 Sienkiewicza, 00-010 Warsaw, Poland

საქართველოში ახალი სამრეწველო სტრუქტურების განვითარება შიგადაგობრივი სავაჭრო კავშირებით. კეთილდღეობის მოსალოდნელი ამადლება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამოკიდებული იქნება საკუთარი მარეგულირებელი პოლიტიკის ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასთან წარმატებულ დაახლოებაზე, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია, ვაჭრობის შემზღუდავი ბარიერების შემცირებაზე, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობ ნორმატიულ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებზე, რასაც უნდა მოჰყვეს საინვესტიციო სფეროში რისკების შემცირება და ახალი საწარმოო სტრუქტურების განვითარება. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელ ფირმებთან დაახლოება და მიწოდების ქსელის შექმნა. ასე, რომ ღრმა ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება საქართველოსთვის კვლავ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

სავაჭრო სტრუქტურის სრულყოფის ძირითად მიმართულებათა ჩამოსაყალიბებლად გავზომეთ საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორების სავაჭრო და საწარმო სტრუქტურის ხარისხის მსგავსება. კერძოდ: გამოვიანგარიშეთ და გავაანალიზეთ ექსპორტის მსგავსების - ჯ.ფინგერისა და მ.კრეინინის (1979) მიერ შემოთავაზებული ინდექსით, რომელიც შემდეგი სახითაა წაროდგენილი:

$$FK_{ij} = 1 - [1/2 \sum_k |(x_{ik} / \sum_k x_{ik}) - (x_{jk} / \sum_k x_{jk})|]^{99}$$

სადაც:

$x_{ik}$  - წარმოადგენს  $i$  ქვეყნის ექსპორტს  $k$  ბაზარზე

$x_{jk}$  -  $j$  ქვეყნის ექსპორტს  $k$  ბაზარზე

ინდექსი უდრის 1-ს (ან 100-ს, თუ პროცენტებშია გამოხატული), როცა სავაჭრო სტრუქტურა ამ ქვეყნებს შორის იდენტურია, ხოლო რაც უფრო განსხვავებულია სავაჭრო სტრუქტურა, ინდექსი სულ უფრო უახლოვდება 0-ს<sup>100</sup>.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის მსგავსებას ორი განსხვავებული სფერო განსაზღვრავს: სასაქონლო და საბაზრო. სასაქონლო სფეროში ექსპორტის მსგავსების ინდექსი იძლევა ნებისმიერი ორი ქვეყნის ან (ქვეყნების ჯგუფის)

<sup>99</sup> Finger, J. M. and M. E. Kreinin (1979), "A Measure of 'Export Similarity' and Its Possible Uses," *Economic Journal*, 89, 905-912.

<sup>100</sup> Kreinin, M.E. and M. G. Plummer (2000), *Economic Integration and Development: Has Regionalism Delivered for Developing Countries?* (Cheltenham, Edward Elgar).

საქონლის ექსპორტის მოცულობის მსგავსების გაზომვის შესაძლებლობას. საბაზრო სფეროში ის იძლევა ნებისმიერი ორი ქვეყნის (ან ქვეყანათა ჯგუფის) ექსპორტის დანიშნულების მსგავსების მოცულობის გაზომვის საშუალებას<sup>101</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი საზომი განეკუთვნება ორ სხვადასხვა სფეროს, ზოგჯერ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ნებისმიერი ორი ქვეყნის (ან ქვეყანათა ჯგუფის) საქონლის ექსპორტის დანიშნულების და მოცულობის მსგავსების გაზომვით მესამე ქვეყნის ან მსოფლიო ბაზარზე. ამრიგად, ეს საზომი მოიცავს ორივე სფეროს – სასაქონლოს და საბაზროს. ასე, რომ, ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსით იზომება ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურის მსგავსება.

თუ ინდექსი იზრდება დროთა განმავლობაში, ეს მიანიშნებს ორი ქვეყნის საექსპორტო სტრუქტურის მიახლოებაზე, რაც აგრეთვე გვიჩვენებს ამ ორ ქვეყნებს შორის მიმდინარე მაღალ კონკურენციაზე მესამე ქვეყნის ბაზარზე (პრომფრეტი 1981; პირსონი 1994). მეორეს მხრივ, ინდექსების კლება მიუთითებს იმაზე, რომ სპეციალიზაცია ორ ქვეყანას შორის იზრდება მესამე ქვეყნის ბაზარზე (ფინგერი და კრეინენი 1979). გარდა ამისა, თუ დაახლოება შეინიშნება განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის, ამ ინდექსის ზრდა შესაძლოა ახსნილ იქნეს, როგორც განვითარებადი ქვეყნის სწრაფი ზრდისა და ინდუსტრიალიზაციის ასახვა (ფინგერი და კრეინენი 1979). საბოლოოდ, სხვადასხვა ქვეყნებს შორის კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშებამ სხვადასხვა დროის მონაკვეთში შესაძლოა გამოავლინოს დროში ჩამორჩენა ამ ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის დონესთან მიმართებით (პირსონსი 1994).

ჩვენი გაანგარიშებები ეფუძნება გაერთიანებული ერების საქონლით ვაჭრობის მონაცემთა ბაზის 2010-2014 წლების მონაცემებს (UN COMTRADE), SITC Rev.4 სამნიშნა დონეზე.

ფორმულა, რომლითაც ჩვენ დავთვალეთ საქართველოს ექსპორტის მსგავსების - ფინგერ-კრეინინის ინდექსი პარტნიორ ქვეყნებთან გარდავქმენით შემდეგი სახით:

$$FKge = 1 - \frac{1}{2} \sum_{i=1}^K \left| \frac{x_i}{x} - \frac{y_i}{y} \right|$$

<sup>101</sup> Xinpeng X., Ligang S., Export Similarity and the pattern of east Asian development/ China in the Global Economy. Edward Elgar Cheltenham, UK. Northampton, MA, USA

სადაც:

$K$  – ჯგუფში შემავალი საქონლის რაოდენობა;

$x_i$  –  $X$  ქვეყნის (საქართველოს)  $i$  – სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი პარტნიორ ქვეყანაში (ქვეყანათა ჯგუფში ან კონკრეტულ ბაზარზე), ჩვენს შემთხვევაში მსოფლიო ბაზარზე.

$x$  – მთლიანი ექსპორტი  $X$  ქვეყნიდან (საქართველოდან) მსოფლიო ბაზარზე (პარტნიორ ქვეყანაში ან ქვეყანათა ჯგუფში);

$y_i$  –  $Y$  ქვეყნის  $i$  – სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე (პარტნიორ ქვეყანაში ან ქვეყანათა ჯგუფში)

$y$  – მთლიანი ექსპორტი  $Y$  ქვეყნიდან მსოფლიო ბაზარზე (პარტნიორ ქვეყანაში ან ქვეყანათა ჯგუფში).


ამ ფორმულის გამოყენების დროს უნდა შემოვიფარგლოთ საქონელთა ჯგუფით. ჩვენი სასაქონლო ჯგუფი წარმოდგენილია ცხრილ 4.5-ში მოცემულია 30 სასაქონლო პოზიციით



დანართის ცხრილ ნომერ №4-ში მოცემულია საქართველოს 48 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან ცალ-ცალკე დათვლილი FK ინდექსი.

საქარველოსა და მის მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან ექსპორტის მსგავსების განმსაზღვრელი FK ინდექსი საკმაოდ დაბალია. ყველაზე მაღალი მსგავსების კოეფიციენტი ამ ქვეყნებს შორის ფიქსირდება აშშ-სთან (45%), რაც თითქმის არ შეცვლილა 2010 წლის შემდგომ, ასევე სომხეთთან (43,4%) - რომელიც შემცირებულია 2010 წლის დონესთან (48,4%) შედარებით, და თურქეთთან (43,0%) - რომელიც ოდნავ შემცირდა 2010 წლის დონესთან შედარებით (43,7%). დაბალი, თუმცა დადებითი ტენდენციით ხასიათდება FK ინდექსი გერმანიასთან, რომელმაც განსახილველ პერიოდში მოიმატა 39,2%-დან 42,5%-მდე. ზოგადად, ყველაზე მაღალი FK ინდექსი დაფიქსირდა ესპანეთთან, რომელიც საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში მე-17 ადგილზეა ბრუნვის მიხედვით. შემდეგ მოდის ლიტვა (48,9%), პოლონეთი (48,4%), რუმინეთი (46,5%). ზოგადად განვითარებულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებთან FK ინდექსის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 41%-ს

ფარგლებში და ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც მიუთითებს საქართველოს საექსპორტო ნაკადების უფრო ეფექტიანი მიწოდებისა და სავაჭრო ლიბერალიზაციის გაღრმავებაზე. მცირედ შემცირდა ისედაც დაბალი FK ინდექსი ლიტვასთან, კანადასთან, ნიდერლანდებთან, ესტონეთთან და შვეიცარიასთან და მერყეობს დაახლოებით 33%-ს ფარგლებში. საკმაოდ დაბალია, და უმეტეს შემთხვევაში, შემცირებით ხასიათდება როგორც მზარდ, ისე სწრაფად განვითარებად ბაზრებთან ექსპორტის მსგავსება. მცირე ზრდა 2010წ-დან 2014 წლამდე დაფიქსირდა მხოლოდ უკრაინის, რუსეთის, ჩინეთის და სამხრეთ კორეის FK ინდექსში. რაც შეეხება სხვა განვითარებად ქვეყნებს, საქართველოს FK ინდექსი მათთან საკმაოდ დაბალია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ზრდადია და საშუალოდ 30%-ს შეადგენს. სხვა შემთხვევაში მცირდება და მერყეობს 18-30%-ს შორის (დიაგრამა 4.14, 4.15, 4.16, 4.17). ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტეს სავაჭრო პარტნიორებისა და საქართველოს საექსპორტო სტრუქტურა ერთმანეთთან მსგავსი სახით არ წარმოგვიდგება.

დიაგრამა 4.14









ისე მსოფლიო დონეზე ჩვენ მიერ გაკეთებული გაანგარიშებებით დადგენილი ტენდენციების გათვალისწინებით, კერძოდ, შიგადარგობრივი ვაჭრობის მაღალი ხარისხის მქონე ისეთი საქონლით (დანართი ცხრილი №2), როგორცაა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ტექსტილი და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, ფარმაცევტული საქონელი, და სხვა სამრეწველო პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი და ამასთან ექსპორტის მსგავსების ინდექსიც მეტია იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ძირითადი სავაჭრო პარტნიორები. ამასთან არ შეინიშნება პროპორციული ცვლილება ამ ორ ინდექსს შორის. ხშირად მისი მოულოდნელი ზრდა ან შემცირება გამოწვეულია ზოგადად სავაჭრო ნაკადების მოულოდნელი ცვლილებით უმცირესიდან უდიდეს ზომებამდე, რაც გამოწვეულია შემთხვევითი, სტოხასტური და არატრენდული სავაჭრო ნაკადებითა და სავაჭრო კავშირებით ქვეყნებს შორის. რაც, მთავარია ამის მიზეზია, არა იმდენად მსოფლიო ბაზრებზე არსებული ბარიერები (როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო), არამედ ქვეყნის წარმოებაში არსებული პრობლემები და განვითარების დაბალი დონე. ამაზე მეტყველებს დიაგრამა 4.2 და 4.4-ში ნაჩვენები ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვასა და მშპ-ში, WTO-ში გაწევრიანებისა და ვაჭრობის ლიბერალიზების შემდეგ, რომელიც თითქმის არ შეცვლილა. დადებითი მომენტი, ის რომ განვითარებულ და, განსაკუთრებით, ევროკავშირის ზოგ ქვეყანასთან შეინიშნება შიგადარგობრივი ვაჭრობის გაძლიერების ტენდენცია, იმედია DCFTA-ს ფარგლებში კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც ხელს შეუწყობს ახალი საწარმოო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და არსებულის განვითარებას. რამდენადაც DCFTA გულისხმობს სატარიფო და არასატარიფო ბარიერების სრულ გაუქმებას თითქმის ყველა პროდუქტზე და მომსახურეობით ვაჭრობის არსებით ლიბერალიზაციასაც. განსახორციელებელია აგრეთვე სავაჭრო რეგულაციების ფართო სპექტრი, ვინაიდან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გულისხმობს საქართველოს სავაჭრო რეგულაციების მიახლოებას ევროპულ რეგულაციებთან. ევროკავშირის შეფასებით, გრძელვადიან პერიოდში (5-10 წლის შემდეგ აღნიშნული რეგულაციების განხორციელებიდან) საქართველოს ექსპორტი შესაძლოა გაიზარდოს 12%-ით, ხოლო იმპორტი 7.5%-ით, მაშინ როდესაც, მშპ შესაძლოა იყოს 4.3%-ზე მეტი<sup>102</sup>. უფრო

<sup>102</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“.

სტაბილური და პროგნოზირებადი რეგულაციური გარემო, აგრეთვე ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა საქართველოს აუცილებლად აქცევს უფრო მიმზიდველ ქვეყნად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის.

საქართველოს ექსპორტი ნაკლებად განვითარებული და დივერსიფიცირებულია, ვიდრე ამას ქვეყნის განვითარების დონე მოითხოვს. საქართველოში წარმოებულ საქონელზე ირიცხება დაბალი დამატებითი ღირებულება, ამჟამად, შედარებით მეტად განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ სოფლის მეურნეობის წარმოებასთან. ქვეყნის ექსპორტში დომინირებს ნედლეული და ბაზრების დივერსიფიცირების და პროდუქციის მწარმოებლების მიერ ახალი ბაზრების ათვისების რეიტინგი კვლავ დაბალია. სამთავრობო უწყებებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ არსებობს ტექნოლოგიურ დახვეწილობასთან და ინოვაციებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც წარმოადგენს ბაზრების დაბალი დივერსიფიცირების და ახალ ბაზრებზე შეზღუდული შეღწევადობის უმთავრეს მიზეზს. საქართველოს ესაჭიროება მარეგულირებელი პოლიტიკის გაუმჯობესება ძირითად სავაჭრო საქმიანობაში ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, რათა გაიზარდოს არსებული პროდუქციის ექსპორტი და დივერსიფიცირებულ იქნეს კერძო სექტორის წარმოება და ექსპორტი.

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე ჩვენ გვექმნება ექსპორტის მეტნაკლებად მსგავსი სტრუქტურის მქონე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან კოოპერირების შესაძლებლობა, კერძოდ: საშუალო და მცირე მოცულობის ტნკ-ან კოოპერირების საშუალება. მართალია, ექსპორტის მსგავსი სტრუქტურის მქონე ქვეყნები ჩვენი კონკურენტებიცაა მსოფლიო ბაზარზე, თუმცა ეროვნული საექსპორტო ნაკადების მუცულობა საშუალებას გვაძლევს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტი ავიცილოთ თავიდან. თუმცა გვაქვს კომპლიმენტარული საქონლის და ტექნოლოგიების წარმოების კოოპერაციის საფუძველი.

## დასკვნები და რეკომენდაციები

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარეობს ხარისხობრივი ხასიათის ძვრები, რომლებიც ყოველთვის არ იხსნება საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციული თეორიების პოზიციიდან (რომელიც ეყრდნობა დ. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის პრინციპებს და ჰეკშერ-ოლინის წარმოების ფაქტორების თეორიას). „ვაჭრობის ახალმა თეორიამ“, რომელიც შეიქმნა ტრადიციული თეორიების ალტერნატივის სახით, შეძლო ნაწილობრივ აეხსნა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები. ახალი თეორია, რომელსაც საფუძვლად დაედო ტრადიციული თეორიების დებულებების საწინააღმდეგო წინაპირობები, არა თუ უარყოფს, არამედ ავსებს ტრადიციულ თეორიებს და წარმოადგენს მის დამატებას.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში აქტუალური ტენდენციების განსაზღვრის მიზნით მიმოვიხილეთ ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე თეორიები, რომლის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი მომენტები: გამოიკვეთა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ესა თუ ის მიზეზი, თუმცა მისი განვითარება დამოკიდებულია ფაქტორებისა და მიზეზთა კომპლექსზე; ისინი მოიცავს რიგ თეორიულ ხარვეზს და სუსტ წერტილებს; თეორიის რიგი დებულებები აქტუალურია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის, მათ შორის, საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებისთვისაც. ამასთანავე, მითითებული თეორიები სრულად არ არის გათვალისწინებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაში.

საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი მოცულობა მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, თუმცა, უკანასკნელ წლებში შეინიშნება მსოფლიო ექსპორტში მათი წილის შემცირების მყარი ტენდენცია და შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნების (მათ შორის სწრაფად განვითარებადი ბაზრების) წილის ზრდა. პროგნოზის თანახმად, 2030 წელს ყველაზე კონკურენტუნარიანი სახელმწიფოები იქნებიან აშშ, იაპონია, ჩინეთი, გერმანია, სინგაპური, კორეა, ინდოეთი, ტაივანი, მალაიზია და შვეიცარია. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობა სულაც არ შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და არც სტაბილური

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ამოცანებს. ეს ძირითადად ეხება ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურისა და ბაზრების დივერსიფიცირების პრობლემებს.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სპეციალიზაცია განისაზღვრება არა მხოლოდ ქვეყნის წარმოების ფაქტორების შეფარდებითი უზრუნველყოფით არამედ მისი კონკურენტული უპირატესობებით. უკანასკნელი ათწლეულების ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა შეფარდებითი (რესურსის) უპირატესობების შემცირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესურსების ფლობა არ წარმოადგენს საკმარის პირობას იმისათვის, რომ ქვეყანამ გაიმარჯვოს სხვა ქვეყნებთან კონკურენტულ ბრძოლაში. იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს მისი პოტენციალის შესაფერისი ადგილის დაკავება მსოფლიო ეკონომიკაში, უნდა ფლობდეს არა მხოლოდ ბუნებრივი და ადამიანური რესურსების საკმარის რაოდენობას, არამედ შეძლოს ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევა. ამ მხრივ, საქართველოს გააჩნია დაბალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, დღეისათვის ის ძირითადად ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტიორია. რაც, შედეგად, საწარმოო ხარჯების ზრდას და შესაბამისად - კონკურენტუნარიანობის შემცირებას იწვევს.

შიგადაზოგობრივი საერთაშორისო კავშირების ზრდამ და გავლენის მნიშვნელობამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე დაგვანახა ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის პრიორიტეტებში მისი გათვალისწინების აუცილებლობა. ეს კი ძირითადად განპირობებულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კონკურენციის ფორმებზე ტრანსნაციონალიზაციის გავლენით. რამაც, თავის მხრივ იმპულსი მისცა ყველანაირი ფორმის საკომპენსაციო გარიგებების განვითარებას. ეს უკანასკნელი პრინციპულად განსხვავდება ვაჭრობის კლასიკური ფორმებისგან, ვინაიდან ნაკლებად არის დამოკიდებული საქონლისა და მომსახურეობის საერთაშორისო ბაზარზე ფორმირებულ მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ამრიგად, ტრანსნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო საკომპენსაციო გარიგებების სწრაფ გავრცელებას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდასა და სტრუქტურის მოდიფიკაციას, ვინაიდან ეფუძნება საქონლის ურთიერთგაცვლის პრინციპებს.

ნაშრომში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ საკომპენსაციო გარიგებების სწრაფ გავრცელებას, განსაკუთრებით, ოფსეტური გარიგებების, რომლებიც გულისხმობს იმპორტიორის მონაწილეობას მშენებლობაში ან

მოწყობილობების წარმოებაში (აწყოებაში). საკომპენსაციო გარიგებების სხვადასხვა ფორმები საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე უფრო დინამიურად განვითარებად ფორმებად ითვლება (სხვადასხვა შეფასებების მიხედვით მათი წილი 5-დან 40%-მდე მერყეობს). ამასთანავე, რთულდება მათი ფორმაც, კერძოდ, ნაცვლად პირდაპირი, შემხვედრი ვაჭრობისა ინერგება სამი და მრავალმხრივი ფინანსური კომპენსაციების პრაქტიკა, გამოდის სპეციალური საკომპენსაციო ობლიგაციები და ა.შ. ყოველივე ეს განპირობებულია მსოფლიო ვაჭრობაში აქცენტების ჩანაცვლებით „ფულიანი გარიგებებისა“ - „გარიგებებით ფულის გარეშე“.

საკომპენსაციო გარიგებებში სამრეწველო პროდუქტის როლში შეიძლება ერთობლივი განვითარების პროექტები და ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობა გამოდიოდეს. საკომპენსაციო გარიგებები სამრეწველო პროდუქტებზე წარმოიქმნა, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის გართულებაზე საპასუხო ქმედება. დღეს ის გვევლინება, როგორც გამოსავალი პერიოდულად გამწვავებული კრიზისული სიტუაციებიდან. საკომპენსაციო გარიგებებმა მნიშვნელოვანად შეცვალეს საერთაშორისო ვაჭრობის სქემა. უფრო ფუნდამენტურ ჭრილში საერთაშორისო ვაჭრობამ და საერთაშორისო კონკურენციამ საკომპენსაციო გარიგებების ზემოქმედებით განიცადა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის სიღრმეებში შეაღწია. განვითარებული ეკონომიკების ინტეგრაციის ფონზე შეიზღუდა ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტები და დაქვეითდა რეგულირების ეროვნული პოლიტიკის ეფექტიანობა. საერთაშორისო ასპექტით ამას არ გამოუწვევია დეზინტეგრაცია, პირიქით, განაპირობა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული სახელმწიფოების როლის ცვლილების გზით. სწორედ შემხვედრი და ბარტერული ტრანზაქციების ტექნოლოგიებმა კიდევ უფრო გააძლიერა შიგადარგობრივი ვაჭრობა და ურთიერთდამოკიდებულება როგორც ფირმებს, ისე დარგებს შორის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებობს პრობლემები საკომპენსაციო (მათ შორის ბარტერული) გარიგებების სტატისტიკის წარმოებაში, განსაკუთრებით ეს ეხება მცირე ღია ეკონომიკებს, მათ შორისაა საქართველო, სადაც საკომპენსაციო ოპერაციების სტატისტიკური აღრიცხვა თითმის არ არსებობს. ასეთი ტიპის კონტრაქტების აღრიცხვიანობა და ამ პროცესების ხელშეწყობა აუცილებელია

ქვეყნებში სავაჭრო ნაკადების ტენდენციების კვლევისა და სწორი ორიენტირების დადგენის მიზნით.

რაც უფრო ინტენსიურია სავაჭრო ნაკადები ქვეყნებს შორის, მით უფრო ფაქტურია მათი შემცირების შედეგები, განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. ასეთ სიტუაციაში მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ორანიზაციების როლი. მათ უნდა შეიმუშაონ ერთიანი პოლიტიკა, რათა თავიდან იქნას აცილებული სავაჭრო ტრენდების შემცირება და დაისახოს გრძელვადიანი სტრატეგიები მომავალი უსაფრთხო განვითარებისთვის.

მიმდინარე გლობალური კრიზისებისა და გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის უაღტერნატივოა რეგიონულ გაერთიანებებსა და მსოფლიო სავაჭრო სისტემებში ინტეგრირების გზა, რასაც დიდად შეუწყობს ხელს უახლესი სავაჭრო ტექნოლოგიების გამოყენება. ჩვენი აზრით, ამ პროცესში საქართველო ცდილობს გააკეთოს სწორი არჩევანი საგარეო ვაჭრობის ეფექტიანი სტრუქტურისა და სწორი, საბოლოო მიზანზე ორიენტირებული სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით.

მდგრადი განვითარების ერთადერთ გარანტს ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობა წარმოადგენს. მოსახლეობის კეთილდღეობის დონე კი დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვაზე და მის მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების ხარისხზე. ქვეყნები ამ პროცესში ერთგებიან როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე. რეგიონული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ჩარჩოში არსებულ თავისუფალ სავაჭრო ზონაში, შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობასა (BSEC) და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (სუამი) თავისუფალ სავაჭრო ზონაში. ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება არსებითად განამტკიცებს რეგიონული უსაფრთხოების სისტემას. რეგიონული თანამშრომლობა ერთი კონკრეტული გაერთიანების ფარგლებში წარმოადგენს ყველა მონაწილე ქვეყნის განვითარების ეფექტიან საშუალებას. სხვა რეგიონების მაგალითების გათვალისწინებით, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ და განამტკიცონ ეკონომიკური კავშირები.

რეგიონული თანამშრომლობის წახალისება, ყოველ მნიშვნელოვან საკითხზე ერთობლივი მუშაობა და ძირითად პრობლემებზე ძალისხმევის მიმართვა საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურობასა და კეთილდღეობას. საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების დივერსიფიცირებისა და ზოგადად, საგარეო ვაჭრობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგიონული ინტეგრაციების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება.

პრეფერენციული რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულებების უპირატესობა ისაა, რომ განაპირობებს უფრო სწრაფ შეღწევას ბაზარზე, ვიდრე ეს შესაძლებელია მრავალმხრივი მოლაპარაკებების პროცესის შედეგად. ეს შესაძლოა, მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს ბიზნესისთვის, ვინაიდან პროდუქტის ციკლი უფრო ხანმოკლეა, ვიდრე მრავალმხრივი მოლაპარაკებების ციკლი, ეს ფაქტორი ხაზგასმით არის აღნიშნული დოჰას განვითარების დღის წესრიგში, როგორც პროგრესის დამაბრკოლებელი ფაქტორი. მზარდი რაოდენობით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმება გვაძლევს პროდუქტის წარმოშობასთან დაკავშირებულ უამრავ წესს, ვინაიდან მრავალმხრივი ურთიერთობები, როგორც წესი, მოიცავს ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს თითოეულ წევრ-ქვეყანასთან, საჭიროებს უმრავი დეტალის და მექანიზმის გაანალიზებას. ეს არის ის ბალანსი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასიმეტრულ ინტეგრაციაზე გადასვლისთვის.

ამის საწინააღმდეგოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ზოგადად სავაჭრო სისტემა გვთავაზობს სარგებლის უფრო ფართო სპექტრს. სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმის ანალიზი იძლევა თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაში მრავალმხრივ, რეგიონულ და ორმხრივ დონეებზე მრავალფეროვანი პროცესების განსაზღვრის საშუალებას. WTO-ს შეთანხმებებით გათვალისწინებული სატარიფო შეღავათები სრულად უნდა იქნეს გამოყენებული საგარეო-ეკონომიკური კავშირების მონაწილეების მიერ, ხოლო მსოფლიოში დაგროვილი შეთანხმებების მომზადების გამოცდილება გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სავაჭრო-პოლიტიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

დღეს, WTO-ს ფარგლებში პროტექციონიზმი და ფრიტრიდერობა ეკონომიკური პოლიტიკის არა ერთმანეთის საპირისპირო პრინციპებია, არამედ ქვეყნებს შორის ურთიერთობების რეგულირების ორი ერთმანეთთან დაკავშირებული საშუალებაა.



მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში ეროვნული ეკონომიკების მაქსიმალურად ეფექტიანად ჩართვის მიზნით აუცილებელია ეკონომიკური რეგულირების ამ ორი საშუალების ოპტიმალურად შერწყმა, აგრეთვე საგარეო ეკონომიკის ლიბერალიზებისა და გონივრული პროტექციონიზმის დაბალანსება. საქრთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის სახეობები არ არიან სტატიკური, ისინი განიცდიან ევოლუციურ განვითარებას მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად - ახალ გლობალურ დონეზე ხდება ნეოპროტექციონიზმის რეალიზება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე განვითარების ეტაპზე საბაჟო-სატარიფო რეგულირების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ეკონომიკის მოდერნიზების ხელშეწყობა მოწინავე უცხოურ ტექნიკაზე და ტექნოლოგიებზე ქართული კომპანიების წვდომის გამარტივების მეშვეობით;
- წარმოების კონკურენტუნარიანობის სტიმულირება შიდა და მსოფლიო ბაზრებზე, ამის საფუძველზე სახალხო მეურნეობის სტრუქტურის დივერსიფიცირების განხორციელება და ქვეყნის განახლებული საგარეო ვაჭრობის სპეციალიზაციის ფორმირება მისი მსოფლიო ეკონომიკაში უფრო მეტად ეფექტიანი ჩართულობის მიზნით.
- დასაქმების, სტაბილურობისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფელი წარმოებების (აგრარული სექტორის, კვების, ფარმაცევტური, საფეიქრო მრეწველობის და სხვა დარგების) განვითარების მიზნით ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

საქართველოს შიგადარგობრივი ვაჭრობისა და ექსპორტის მსგავსების კვლევა, რომელიც ჩავატარეთ შიგადარგობრივი ვაჭრობის ე.წ. გლუბელ-ლლოიდის (GL) ინდექსისა და პარტნიორი ქვეყნების ექსპორტის მსგავსების ე.წ. ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსის გაანგარიშების გამოყენებით, მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება.

WTO-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ დაიწყო სავაჭრო სფეროს ლიბერალიზება: 2005-2006წწ-ში საქართველომ მოახდინა ტარიფების საგრძნობი შემცირება, მოქმედი საშუალო არითმეტიკული ტარიფი ყველა საქონელზე 7,0%-დან შემცირდა და დღეისთვის 1,3-1,5%-ის ფარგლებში მერყეობს. სოფლის მეურნეობის

პროდუქციაზე კი საშუალო ტარიფი 11,5%-დან შემცირდა დღეისთვის იგი 6,4%-ის ფარგლებშია. ამან გამოიწვია მშპ-ში იმპორტისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდა, თუმცა იგივე მაჩვენებელი ექსპორტისთვის თითქმის არ შეცვლილა. 2005 წლიდან 2008 წლამდე ექსპორტის წილი შემცირდა კიდევ, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად რუსეთის მიერ საქართველოდან სასაქონლო ექსპორტზე ემბარგოს დაწესებამ განაპირობა (2006წ), რადგან რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო წლების მანძილზე.

საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია საექსპორტო დარგების ეფექტიანობის ზრდა, ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების ამაღლება. ძირითადი პრობლემები აგროსასურსათო სფეროში შემდეგი ხასიათისაა: მცირე ზომის მიწის ნაკვეთები და შესაბამისად მასშტაბის ეფექტის შეუძლებლობა, კაპიტალის უკმარისობა და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ტექნიკის ნაკლებობა და დაბალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა; დაზღვევის სისტემის განვითარებლობა. სოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შექმნა და ოჯახური ფერმერული მეურნეობებისა და აგროტურიზმის განვითარება; ფერმერებს შორის ცოდნის გავრცელება და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო მომსახურების დანერგვა; უმაღლესი განათლების და პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრების განვითარება და მიწის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა; საკრედიტო სესხებისა და სალიზინგო სისტემის შექმნა და განვითარება; სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სოფლის მეურნეობის სექტორში კოოპერაციის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ.

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება მნიშვნელოვანია საექსპორტო ნაკადების ზრდისა და ბაზრების დივერსიფიცირებისთვის, ასევე ქვეყნის საგარეო შოკების შესამცირებლად. მნიშვნელოვანია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (FIZ) განვითარება რეგიონებისთვის, რის ჩანასახებიც უკვე არსებობს. FIZ-ში საწარმოების განვითარება დადებით გავლენას მოახდენს ტვირთების ინტენსივობისა და მოცულობის ზრდაზე, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროს განვითარებაზე. საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები

ბოლო ათი წლის მანძილზე მიუთითებს იმაზე, რომ ექსპორტი და გასაყიდი საქონელი არ გვევლინება მწარმოებლურობის სწრაფი და მდგრადი ზრდის წამყვან ფაქტორად. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის ექსპორტი ბოლო ათწლეულის მანძილზე ყოველწლიურად, დაახლოებით 10%-ით იზრდებოდა, 2004 წლიდან მშპ-ში მისი წილი დიდად არ შეცვლილა. სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა კვლავ რჩება სხვა მაღალი ზრდის ტემპის მქონე მცირე ეკონომიკების დონეების ქვემოთ.

საგარეო ვაჭრობის მაქსიმალური დივერსიფიკაცია წარმოადგენს სპეციალიზაციის საპირწონეს, რომელიც უპირატესად უნდა განიხილებოდეს, რადგან იგი საგარეო ბარზეზე მიმდინარე შოკების დაზღვევის საფუძველია. საგარეო ვაჭრობის სპეციალიზაციაზე აქცენტი უნდა შეიცვალოს საგარეო სავაჭრო დივერსიფიკაციაზე აქცენტით, განსაკუთრებით ევროკავშირის ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინების შედეგად.

კვლევის შედეგად, შიგადარგობრივი ვაჭრობის ყველაზე მაღალი ინდექსი და წლების მანძილზე ზრდის ტენდენცია გამოვლინდა ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ძირითადი სავაჭრო პარტნიორები. კერძოდ: (ბელარუსთან, საუდის არაბეთთან, ლიტვასთან, მოლდოვასთან. საქართველოს GL ინდექსის დონე ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან მერყეობს საშუალოდ 40%-ს ფარგლებში, კეთილდღეობის მოსალოდნელი ამადლება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამოკიდებული იქნება საკუთარი მარეგულირებელი პოლიტიკის ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასთან წარმატებულ დაახლოებაზე, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია.

ყველაზე მაღალი ექსპორტის მსგავსების განმსაზღველი ინდექსი ფიქსირდება აშშ-სთან, სომხეთთან, თურქეთთან. დაბალი, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება გერმანიასთან ექსპორტის მსგავსების ინდექსი, ესპანეთთან, ლიტვასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან. ზოგადად განვითარებულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებთან FK ინდექსის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 41%-ს ფარგლებში და ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც მიუთითებს საქართველოს საექსპორტო ნაკადების უფრო ეფექტიანი მიწოდებისა და სავაჭრო ლიბერალიზაციის გაღრმავებაზე. უმეტეს სავაჭრო პარტნიორებში საქართველოს საექსპორტო სტრუქტურა არც ისე მსგავსია მათი საექსპორტო სტრუქტურების.

საქართველოს ექსპორტი ნაკლებად დივერსიფიცირებული და დახვეწილია, ვიდრე ამას ქვეყნის განვითარების დონე მოითხოვს. საქართველოში წარმოებული საქონელზე ირიცხება დაბალი დამატებული ღირებულება. ამჟამად, შედარებით მეტად განვითარებულია მსუბუქი და კვების მრეწველობის ის დარგები, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასთან.

ქვეყნის ექსპორტში დომინირებს ნედლეული, ხოლო ბაზრების დივერსიფიკაციისა და პროდუქციის მწარმოებლების მიერ ახალი ბაზრების ათვისების რეიტინგი კვლავ დაბალია. სამთავრობო უწყებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ არსებობს ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და ინოვაციების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემები. ისინი განაპირობებენ ბაზრების დაბალ დივერსიფიკაციას და ახალ ბაზრებზე შეზღუდული შეღწევალობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენენ.

საქართველოს ესაჭიროება საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი პოლიტიკის განახლება და გაუმჯობესება ძირითად სავაჭრო საქმიანობაში ახალი გამოწვევების ხელშეწყობის მიზნით, რათა გაიზარდოს და დივერსიფიცირებულ იქნეს კერძო სექტორის წარმოება და ექსპორტი.

სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზების შემდეგ, ასევე კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობის ლიბერალიზებით საქართველოში შესაძლებელია სავაჭრო ინფრასტრუქტურის ინტეგრაციული დინამიზმით განვითარება, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია დრმა ინტეგრაციიდან მიღებული შესაძლებლობების განხილვაც. სატარიფო და არასატარიფო ლიბერალიზებას კეთილდღეობის დონის უფრო მნიშვნელოვნად ამაღლება შეუძლია. რაც უფრო მსგავსი და დახლოებული ეკონომიკური პოლიტიკა აქვთ ქვეყნებს ლიბერალიზების თვალსაზრისით, მით უფრო მეტია მათი პარტნიორობის შედეგად მიღებული სარგებელი. მსგავსება და დაახლოება კი გულისხმობს, როგორც მოქმედი ბარიერების გაუქმებას, ასევე ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობის განვითარებას პარტნიორ ქვეყნებს შორის, ინვესტიციების განხორციელებას, დადებითი გარემო ფაქტორების შექმნასა და მწარმოებლურობის ზრდას.

იმპორტის ლიბერალიზების გათვალისწინებით, როდესაც ვიხილავთ საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორების ვაჭრობის მოდელის დეტალებს, აგრეთვე ვაჭრობისა და წარმოების სტრუქტურას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

ვაჭრობის ორიენტაციის შეცვლა უფრო დაბალანსებულია, ვიდრე ახალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა, როგორც ევროკავშირის, ისე მსოფლიო ბაზარზე. ჩვენი აზრით, საერთაშორისო ნაკადების განვითარებას ხელი უნდა შეეწყოს როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო დონეზე. ეს გულისხმობს, რომ სასურველია წინასწარ განხორციელებული გაანგარიშებებით დადგენილი ტენდენციების გათვალისწინებით მიმდინარეობდეს საგარეო ვაჭრობა შიგადარგობრივი ვაჭრობის მაღალი ხარისხის მქონე ისეთი საქონლით, როგორცაა - სასაქონლო ჯგუფები სამნიშვნა დონეზე (SITC): ხილი და თხილი; უაღკოპოლო სასმელები; სპილენძის მადნები და კონცენტრატები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები; ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი და სხვა.

ეს დასტურდება იმით, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი და ექსპორტის მსგავსების ინდექსიც მეტია იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ძირითადი სავაჭრო პარტნიორები. ამასთან არ შეინიშნება პროპორციული ცვლილება ამ ორ ინდექსს შორის. ხშირად მისი მოულოდნელი ზრდა ან შემცირება გამოწვეულია ზოგადად სავაჭრო ნაკადების მოულოდნელი ცვლილებით უმცირესიდან უდიდეს ზომებამდე, რაც გამოწვეულია შემთხვევითი, სტოხასტური და არატრენდული სავაჭრო ნაკადებითა და სავაჭრო კავშირებით ქვეყნებს შორის (რაც ზოგადად სუსტი სავაჭრო კავშირებით, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურების არასაკმარისი დივერსიფიკაციით და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონითაა განპირობებული). რაც, მთავარია ამის მიზეზი არ არის მხოლოდ მსოფლიო ბაზრებზე არსებული ბარიერები (როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო). ამაზე მეტყველებს ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვასა და მშპ-ში, რაც თითქმის არ შეცვლილა WTO-ში გაწევრიანებისა და ვაჭრობის ლიბერალიზების შემდეგ.

შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ფორმებისა და მიმართულების კვლევის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის, როგორცაა საქართველო. სავაჭრო ნაკადების ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობების კვლევა უნდა გახდეს ორიენტირი ქვეყნის შემგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. აბესაძე რ. (2014), ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
2. აბრალავა ა. (2015), ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. მონოგრაფია. თბილისი
3. ანანიაშვილი ი. (2014). ეკონომეტრიკა. სახელმძღვ. რედ. ვლადიმერ პაპავა. – (მე-3 გამოცემა) – თბილისი, მერიდიანი,
4. ასათიანი რ. (2010), გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, „სიახლე“.
5. ასლამაზიშვილი ნ. (2003), საგარეო ვაჭრობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
6. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. (2010), პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი.
7. ბერუჩაშვილი თ. (2004), საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა და კომერციული დიპლომატია, სალექციო კურსი. თსუ. თბილისი
8. ბერუჩაშვილი თ. (2006), ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორის ევოლუცია, დისერტაცია, თსუ, თბილისი
9. ბერუჩაშვილი თ., ყარაულაშვილი ა., მშვიდლობაძე ვ. (2006), საქართველო და ევროკავშირი, თბილისი
10. გაგნიძე ი. (2012), ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
11. გოგორიშვილი ი. (2009), „ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში“ კონფერენციის „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
12. გველეხიანი რ., გოგორიშვილი ი. (2012), ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი II, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
13. გრიშკაშვილი ა. (1998), გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი
14. ეთერია ე. (2008), გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება. საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონალური ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, შრომების კრებული, თბილისი

15. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი ბ., გეგია დ. (2011), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, ფონდია ღია საზოგადოება საქართველო.
16. თოდუა გ., (1996), მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანი საყოველთაო კანონი, ჟურნალი "ეკონომიკა", №12, თბ.
17. კაკულია ნ. (2009), ინსტიტუციური გარემოს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, „ეკონომისტი“, №2.
18. კახნიაშვილი ჯ., (1997), მაკროეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა, ნაწ. II თბ.
19. კვარაცხელია დ. (2008), გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“
20. კოდუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ., (2010), ვმო-ს „რაუნდები" და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა. ბიზნესი და კანონდამებლობა. №18 .
21. ლეკაშვილი ე., (1998), საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან. სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი.
22. ლეკაშვილი ე., (2012), საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები. სალექციო კურსი. თსუ.
23. ლეკაშვილი ე., ისაკაძე თ. (2011), გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრის საკითხისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1
24. ლეკაშვილი ე., მიქაბერიძე თ. (2008), რომელ მიგრაციულ ტალღას მიჰყვება საქართველო? ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, მარტი.
25. კრუგმანი, პ., ოფსვილდი მ. (2000), საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა. თბილისი
26. მარგალიტაძე ო., (1999), ეკონომიკურ ინტეგრაციას ალტერნატივა არ აქვს“ ჟურნალი „ეკონომიკა“ №6-7
27. მენქიუ გ. (2000), „ეკონომიკის პრინციპები“. გამომც. დიოგენე. თბილისი
28. მესხია ი. (2011) საერთაშორისო ვაჭრობა, თბილისი
29. მესხია ი., გველესიანი ე. (2010), რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი, ინოვაცია
30. მესხია ი., გველესიანი ე. (2010), რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი, ინოვაცია.
31. მექვაბიშვილი ე. (2009), ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პესპექტივები. თბილისი, „ინოვაცია“.
32. მექვაბიშვილი ე. (2009), ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ.

33. მიქაბერიძე თ., (2009), Trade and Development. *Workshop for Academics from Central and Eastern Europe, Central Asia and the Caucasus*. WTO. Geneva, Switzerland. May 18-21 2009.
34. მიქაბერიძე თ. (2015), The Role of Advanced International Trade Technologies for Small countries. . *EU-SPRI - European Forum for Studies of Policies for Research and Innovation*. Rome, Italy 14-15-16 October. [http://www.euspri-forum.eu/archives/ecc/ecc\\_october\\_2015/nieuw-categorien-1/](http://www.euspri-forum.eu/archives/ecc/ecc_october_2015/nieuw-categorien-1/)
35. მიქაბერიძე თ. (2015), New Forms and Trends of International Trade amid the Global Crisis. *Strategica International Academic Conference. Local Vs Global/Challenges of Integration into the World Economy*. Bucharest. Romania. October 29-31. <http://strategica-conference.ro/previous-editions/2015-edition/>
36. მიქაბერიძე თ. (2016), საერთაშორისო ვაჭრობის ტექნოლოგიების როლი მცირე ღია ეკონომიკებისთვის, *ეკონომიკა და ბიზნესი*. №2; ISSN 1987-5789
37. მიქაბერიძე თ. (2016), საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები. *საქართველოს ეკონომიკა*, აპრ.(27). <http://geoeconomics.ge/?p=11180>
38. მიქაბერიძე თ., სისარულიძე დ. (2010), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარებაზე. *საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია*. ბათუმი-ტრაბზონი.
39. მიქაბერიძე თ., სისარულიძე დ. (2009), მცირე და საშუალო საწარმოთა ინტეგრაცია გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში. *სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო.
40. მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ., (2003), მსოფლიო ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ.
41. პაპავა ვ. (2001), საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია, ჟ. სოციალური ეკონომიკა, №5
42. პაპავა ვ. (2005), პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
43. პაპაჩაშვილი ნ. (2007), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე, შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი,” თბილისი.
44. პაპაჩაშვილი ნ. ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის საკითხები, საკონფერენციო მოხსენებათა კრებული: საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები, თბ., გამომც. უნივერსალი, გვ. 74-82, თბ. 2011
45. პაპაჩაშვილი ნ. გლობალიზაცია და ნეოპროტექციონიზმი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის



მდგრადი განვითარების პერსპექტივები”, თბ., უნივერსალი, გვ. 98-103;  
<http://globalconference.ge/arqivi/konferencia-2010>

46. რონდელი ა. (2003), პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გამომც. მეცნიერება, თბილისი,
47. ფუტკარაძე რ. (2007), საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა”, №5.
48. კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. (2010), ვმო-ს „რაუნდები” და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა. ბიზნესი და კანონდამებლობა. №18 .
49. ლაღანიძე გ. პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის განსაზღვრა. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, №1. თბ., 2014;
50. ლაღანიძე გ. ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო სტრატეგიის ფორმირების საკითხები ევროკავშირის ბაზარზე . ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, №6. თბ., 2013;
51. ყორღანაშვილი ლ. (2010), საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები, თბ.
52. ყორღანაშვილი ლ., აბდუშელიშვილი დ. (1999), საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ლიბერალიზაცია, თუ პროტექციონიზმი? ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები - ეკონომიკა, № 329.
53. ჭარაია ვ. (2014), საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, ეკონომიკა და ბიზნესი, №1
54. ჯგერენია ე. (2006), “Georgia's export trends and problems” (ინგლისურ ენაზე), „საქართველოს ეკონომიკა”, №7.
55. ჯოლია გ., საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, გამომცემლობა ”მეცნიერება”, თბ. 1998წ. 535 გვ.
56. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა ივნისი, 2007 წელი საქართველოს ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC) იანვარი 2007წ
57. საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020”.  
[http://www.economy.ge/uploads/news/giorgi\\_kvirikashvili/Strategy2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirikashvili/Strategy2020.pdf)
58. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში. EI-LAT 2012 „ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია”. თბილისი.

[http://www.ei-lat.ge/images/stories/The\\_Economic\\_Transformation\\_of\\_Georgia\\_-\\_20\\_Years\\_of\\_Independence\\_Interim\\_Report\\_geo.pdf](http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf)

59. Арефьева Е.Б. (1983), Проблема перестройки международной специализации развивающихся стран . *Современные тенденции мировых хозяйственных отношений*. Москва
60. Буглай В.Б. Ливенцев Н.Н. (1990), Международные экономические отношения развивающихся стран (отношения с развитыми капиталистическими странами) М.
61. Дюмулен, И. (2010), Международная торговля: экономика, политика, практика. 2-е издание. М.: ВАВТ
62. Генелин С.И. (1990), Роль развивающихся стран на мировом рынке. М.,
63. Киреев А.П. (2000), Международная экономика Ч.1. М., 1997П. Р. Кругман, М. Обстфельд, Международная экономика. Изд-во ЮНИТИ
64. Портер М. (1993), Международная конкуренция: конкурентные преимущества стран. /Пер. с англ. - М.: Международные отношения,
65. Фаминский И. П. (2008) Регулирование мировой экономики в условиях глобализации. *Экономическая политика*. 2008. № 4. С. 114-135.
66. Структурные изменения в мировой экономике и конкуренции по поводу размещения производства. /Клодт Ч., Шмидт К., Босс А.и др. АН РФ ИНИОН. - М.: ИНИОН, 1991
67. Тодаро М.П. (1997), Экономическое развитие, учебник, Москва
68. Antweiler W., (1997), Trefler D. Increasing Returns and All That: A View from Trade. NBER Working Paper No. 7941.
69. Aturupane Ch., Djankov S. and Hoekman B. (1997), Determinants of Intra-industry Trade Between East and West Europe. CEPR Discussion Paper. No. 1721. – August.
70. Baccetta, M., Bora, B., (2001), Post-Uruguay market access barriers for industrial products. //Policy issues in international trade and commodities, Study series No.12 UNCTAD, UN - NY and Geneva. p 44-47
71. Bernard, A. B., Jensen, J. B., Redding, S. J, and. Schott, P. K (2007), Firms in International Trade. *Journal of Economic Perspectives* Vol.21 no. 3
72. Balassa B. (1986), Trade Creation and Trade Diversion in the European Common Market //Economic Journal. – 1967. - March – Intra-Industry Specialization: a Cross-Country Analysis //European Economic review 30. No. 1. P.27-42
73. Balassa, B., (1970), Growth Strategies in Semi-Industrial Countries. *The Quarterly Journal of Economics*. February

74. Balassa, B., (1986), Intra-Industry Specialization: a Cross-Country Analysis. *European Economic review*, vol. 30.no.1
75. Bhagwati, J. (1993). The Case for Free Trade. *Scientific American* 269 (5):Nov.
76. Brown R.H. (1995), The national export strategy.-Third annual report to the United States Congress //Business America. - wash., . vol. 116, 1110
77. Brülhart M., Trionfetti F., Home-Biased Demand and International Specialization: A Test of Trade Theories. Centre for Research on Globalisation and Labour Markets. School of Economics. University of Nottingham. Research Paper 2000/2
78. Chenery, H.B., Strout, A. M. (1966), Foreign Assistance and Economic Development *The American Economic Review* Vol. 56, No. 4, Part 1 (Sep., 1966)
79. Davis, Donald R. (1998) "The Home Market, Trade and Industrial Structure". *American Economic Review*, vol. 88.
80. Davis, Donald R. and Weinstein, David E. (1996) "Does Economic Geography Matter for International Specialisation?". NBER Working Papers, No. 5706.
81. Dixit, A., Stiglitz, J. (1977), Monopolistic Competition and Optimum Product Diversity. *American Economic Review*. Vol 67. No6
82. Douglas S. P., (1970), Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington.
83. Dyker D., Emerson M., Gasiorek M., Holmes P., Jungmittag A., Korchagin V., Maliszewska M., Kudina A., Pertaia G., Polyakov E., Roudoi A., Tokmazishvili M., Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement Between the European Union and Georgia. CASE Network Reports No. 79., 08.2008 Center for Social and Economic Research on behalf of CASE Network 12 Sienkiewicza, 00-010 Warsaw, Poland
84. Evenett, Simon J. and Keller, Wolfgang (1998) "On Theories Explaining the Success of the Gravity Equation". NBER Working Papers, No. 6529.
85. Feenstra, Robert C., Markusen, James A. and Rose, Andrew K. (1999) "Using the Gravity Equation to Differentiate Among Alternative Theories of Trade". *mimeo*, University of California, Davis CA.
86. Finger, J. M., Kreinin M. E. (1979), "A Measure of 'Export Similarity' and Its Possible Uses," *Economic Journal*, 89,
87. Grubel, Herbert G., and Peter Lloyd. 1975. *Intra-Industry Trade: The Theory and Measurement of International Trade in Differentiated Products*. London: MacMillan.
88. Kreinin, M.E., M. G. Plummer (2000), *Economic Integration and Development: Has Regionalism Delivered for Developing Countries?* (Cheltenham, Edward Elgar)

89. Fontagné L. and Freudenberg M. (1997), Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered.- CEPII Working Paper No. 97-02.
90. Greenaway, David and Milner, Chris (1986) *The Economics of Intra-Industry Trade*. Oxford, Basil Blackwell.
91. Greenway, D., Sapsford, D., (1994), What does liberalization do for exports and growth", *Review of World Economics* 30
92. Grilli, E., Sassoon, E., (1990), The new protectionist wave. London. Macmillan. p.11
93. Grilli, E., Sassoon, E., (1990) Contemporary protectionism: what have we learned? The Royal Institute of International Affairs, London. p.89
94. Grubel, Herbert G.; Lloyd, Peter J. (1975). Intra-industry trade: the theory and measurement of international trade in differentiated products. New York: Wiley
95. Harri G. J., (1969), Trade Strategy for Rich and Poor Nations". London . No. 15
96. Helpman, E. (1987), "Imperfect competition and international trade: evidence from fourteen industrial countries", *Journal of the Japanese and International Economics*, vol. 1
97. Helpman E. (1998) *The Structure of Foreign Trade*. NBER Working Paper No.6752.-Cambridge. Ma
98. Helpman, E., Krugman P. (1985), *Market Structure and Foreign Trade*. Cambridge (Mass.), MIT Press.
99. Hirsh S. (1973), *Rich Man's and Every Man's Goods*. Aspects of Industrialization. Tubingen.
100. Hellwin L. Trade policy and distortions in intra – Asian trade // *Appl. economics*. - L., 1995» - vol. 27, N11,
101. Heydon K. (2008), *Asymmetric integration: The role of regionalism. Developing countries and the WTO: Policy approaches*, Samson and Chambers (eds) United Nations University Press, , ISBN 978-92-808-1153-7
102. Heydon K. (2003). *Regionalism: A Complement, Not Substitute" . Regionalism and the Multilateral Trading System*, Paris: OECD.
103. Hirschman, A.O. (1958). *The Strategy of Economic Development*. New Haven, Conn.: Yale University Press.
104. Hummels, D. and Levinsohn, J. (1995), 'Monopolistic competition and international trade: reconsidering the evidence', *Quarterly Journal of Economics*, 110,
105. Haberler, G. (1935), *International Trade*. English Ed. 1933, May, Vienna.
106. *International Targets for Development*. Ed. By Richard Symonds. London. 1970. p.163
107. Kreinin, M.E. and M. G. Plummer (2000), *Economic Integration and Development: Has Regionalism Delivered for Developing Countries?* (Cheltenham, Edward Elgar).
108. Krugman P., Intra-Industry Specialization and the Gains from Trade. *Journal of Political Economy* - 1981. - No. 5,

109. Krugman, P. (1980) "Scale Economies, Product Differentiation, and the Pattern of Trade". *American Economic Review*, vol. 70
110. Krugman, P. Increasing Returns, Monopolistic Competition, and International Trade. *Journal of International Economics*. 1979 No9.
111. Lancaster, K. (1980), . Intra-Industry Trade under Perfect Monopolistic Competition. *Journal of International Economics*. Vol. 10. No2
112. Little J., Scitovsky T., Scott M. (1970), *Industry and Trade in Some Developing Countries*. A. Comparative Study. London.
113. Linder S. (1961), *An Essay on Trade and Transformation*. – N.Y
114. Li, Xiangming, (2004), "Trade Liberalization and Real Exchange Rate Movement," *IMF Staff Papers* 51
115. Myrdal G. (1970), *The Challenge of World Poverty*. N. Y.
116. Nurkse R. (1955), *Problems of Capital Formation in Underdeveloped Countries*. Oxford
117. Prebisch, R. (1959), Commercial Policy in the Underdeveloped countries, *American Economics Review* : 49(2) May, pp. 251-273.
118. Rosenshtain-Rodan P.N. (1943) Problems of Industrialization of Eastern and South -Eastern Europe. *The Economics Journal*, Vol. 53, June/September
119. Rostow, W. (1956), The Take-Off Into Self-Sustained Growth. *The Economic Journal*. Vol. 66, No. 261 (Mar., 1956), pp. 25-48
120. Sachs, Jeffrey D. and Warner, Andrew M. (1995) "Economic Reform and the Process of Global Integration". *Brookings Papers on Economic Activity*, vol. 1
121. Santos-Paulino, A.U., (2002a), "The Effects of Trade Liberalization on Imports in Selected Developing Countries," *World Development* 30
122. Sachs, Jeffrey D., and Andrew Warner, (1995), "Economic Reform and the Process of Global Integration," *Brookings Papers on Economic Activity* 1
123. Singer, Hans (1998) *The South Letter* (30) "The Terms of Trade Fifty Years Later - Convergence and Divergence. *Zagreb International Review of Economics and Business*. Vol 1. N1.
124. *The Oriental Economist*". July 1971. P. 10.
125. *Global Economic Prospects 2005*. The World Bank. Wash., 2005,
126. Tinbergen J. (1970), *On the International Division of Labour*. Stockholm.
127. *Trade Strategy for Rich and Poor Nations*" Ed. By Harry G.Johnson. London. 1971
128. Lachriere, G. (1969), *La Nouvelle Division Internationale du Travail*. Geneva
129. Robock S., Simmonds K. (1973), *International Business*. How big is it? No. 4
130. Vernon R., (1967), The technology factor in International economics. *The Journal of Political Economy*. February. Vol.67. №1
131. Viner, J. (1955), *Studies in the theory of International Trade*. London, pp 444-467

132. Wacziarg R., Welch K. H., (2003), "Trade Liberalization and Growth: New Evidence," *NBER Working Paper No.* 10152
133. 10 benefits from the WTO trading system (2008). World Trade Organization. WTO OMC ISBN 978-92-870-3436-870-3436-
134. *Intereconomics*“. July 1971. P. 202
135. *Oxford Economic Papers*. October 1961. Vol.13 №3
136. *Economic & Financial Outlook* 1998 March
137. OECD. *Development Cooperation*. 1973 Review. Paris. November
138. *The American Economic Review* 1966.
139. The World Bank. *World Development Indicators*, 2000
140. World Bank. *World development Report* 1994
141. World Bank. *World Development Report, 1990 Poverty*
142. World Bank *World development Report 1992 Development and the Environment*
143. World Trade Organization (2014), *World trade report. Trade and development: recent trends and the role of the WTO*.  
[https://www.wto.org/english/res\\_e/booksp\\_e/world\\_trade\\_report14\\_e.pdf](https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/world_trade_report14_e.pdf)
144. World Trade Organization (2013), *World Trade Report. WTO, Factors shaping the future of world trade*.  
[https://www.wto.org/english/res\\_e/booksp\\_e/world\\_trade\\_report13\\_e.pdf](https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/world_trade_report13_e.pdf)
145. World Trade Organization (2012) *World Trade Report*.
146. World Trade Organization (2009) *World Trade Report*
147. World Trade Organization (2006) *World Trade Report*
148. World Trade Organization (2011) *News items, Economic Research and Analysis*  
[https://www.wto.org/english/news\\_e/news11\\_e/rese\\_03oct11\\_e.htm](https://www.wto.org/english/news_e/news11_e/rese_03oct11_e.htm)
149. *World tariff profiles* 2015. WTO
150. Xinpeng X., Ligang S., *Export Similarity and the pattern of east Asian development/ China in the Global Economy*. Edward Elgar Cheltenham, UK. Northampton, MA, USA
151. FAO, *Eastern Europe and Central Asia Agro-Industry Development Country Brief 2014 – Georgia*  
 xelmisawvdomia onlain:  
[http://www.fao.org/fileadmin/user\\_upload/Europe/documents/Publications/AI\\_briefs/AI\\_briefs2012/fao\\_georgia.pdf](http://www.fao.org/fileadmin/user_upload/Europe/documents/Publications/AI_briefs/AI_briefs2012/fao_georgia.pdf)
152. WTO G/TBT/N/GEO/72, 17 აპრილი 2013წ. მთავრობის დადგენილება #. 45 სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების და წესების ცნობის და გამოყენების შესახებ.
153. UNSD, *Comtrade database (SITC Rev.3)*.
154. vmo-s dokumenti, G/AG/N/GEO/12, 5 noemberi 2013

155. Inventory of non-tariff provisions in Regional trade agreements. // WTO, 5-May-1998, WT/REG/W/26
156. The World Bank. World Development Indicators, 2000, pp.330-332
157. Global Economic Prospects 2005. Trade regionalism and Development. The World Bank. Wash., 2005, p.27
158. Eurostat. International Trade Database  
<http://ec.europa.eu/eurostat/web/international-trade/data/database>
159. 12. WTO. World tariff profiles 2015, WTO, 2014  
[https://www.wto.org/english/res\\_e/booksp\\_e/tariff\\_profiles14\\_e.pdf](https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/tariff_profiles14_e.pdf)
160. 10 benefits of the WTO trading system  
[https://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/10ben\\_e/10b00\\_e.htm#10benefit\\_menu](https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/10ben_e/10b00_e.htm#10benefit_menu)
161. Work on anti-dumping in the WTO and official documents  
[https://www.wto.org/english/tratop\\_e/adp\\_e/adp\\_e.htm](https://www.wto.org/english/tratop_e/adp_e/adp_e.htm)
162. Statistics on anti-dumping  
Retrieved from: [https://www.wto.org/english/tratop\\_e/adp\\_e/adp\\_e.htm](https://www.wto.org/english/tratop_e/adp_e/adp_e.htm)
163. IFC ვებგვერდი. იხილეთ:  
[http://www.ifc.org/wps/wcm/connect/region\\_\\_ext\\_content/regions/europe+middle+east+and+north+africa/ifc+in+europe+and+central+asia/countries/improving+food+safety+in+georgia](http://www.ifc.org/wps/wcm/connect/region__ext_content/regions/europe+middle+east+and+north+africa/ifc+in+europe+and+central+asia/countries/improving+food+safety+in+georgia)
164. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge);
165. [www.visegrad.info/statistics.html/](http://www.visegrad.info/statistics.html/)
166. [www.economy.ge/ge/dcfta](http://www.economy.ge/ge/dcfta)
167. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
168. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
169. [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge).
170. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
171. [www.moa.ge](http://www.moa.ge)
172. <http://guam-organization.org/en/node/>
173. <http://cis.minsk.by/>
174. <http://www.bsec-organization.org/Pages/homepage.aspx>

## დანართები

დანართი 1

საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის (GL) ინდექსი

SITC ერთნიშნა დონეზე 2010-2015წწ

ქვეყანა	სასაქონლო კოდი	საქონლის დასახელება	2010	2015
ავსტრალია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,81	0,94
ავსტრია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,04	0,34
აზერბაიჯანი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,81	0,55
არაბთა გაერთიანებული ემირატები	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,7	0,42
აშშ	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,11	0,26
ბელარუსი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,26	0,99
ბელგია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,27	0,65
ბულგარეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,19	0,22
გაერთიანებული სამეფო	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,95	0,65
გერმანია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,91	0,83
ეგვიპტე	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,71	0,00
ესპანეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,81	0,88
ესტონეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,37	0,78
თურქეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,25	0,40
იაპონია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,00	0,35
ირანი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,66	0,00
ისრაელი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,50	0,53
იტალია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	1,00	0,58
კანადა	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,04	0,30



კვიპროსი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,00	0,69
კორეის რესპუბლიკა	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,00	0,49
ლატვია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,87	0,67
ლიტვა	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,86	0,85
მალაიზია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,36	0,82
მოდოვა	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,81	0,33
ნიდერლანდები	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,24	0,34
პანამა	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,00	0,76
პოლონეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,59	0,33
რუსეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,00	0,26
საბერძნეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,82	0,72
საუდების არაბეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,99	0,35
საფრანგეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,64	0,67
სომხეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,46	0,86
უკრაინა	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,32	0,13
ყაზახეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,03	0,87
შვეიცარია	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,01	0,42
ჩეხეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,15	0,38
ჩინეთი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,73	0,00
ჰონკონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი	0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	0,06	0,49
აზერბაიჯანი	1	სასმელები და თამბაქო	0,12	0,29
არაბთა გაერთიანებული ემირატები	1	სასმელები და თამბაქო	0,12	0,46
აშშ	1	სასმელები და თამბაქო	0,74	0,65

ბელგია	1	სასმელები და თამბაქო	0,29	0,23
გაერთიანებული სამეფო	1	სასმელები და თამბაქო	0,82	0,25
გერმანია	1	სასმელები და თამბაქო	0,29	0,38
დანია	1	სასმელები და თამბაქო	0,09	0,52
ესპანეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,83	0,03
თურქეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,22	0,26
ინდოეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,33	0,00
კვიპროსი	1	სასმელები და თამბაქო	0,00	0,33
კორეის რესპუბლიკა	1	სასმელები და თამბაქო	0,00	0,40
ლატვია	1	სასმელები და თამბაქო	0,01	0,86
მოლდოვა	1	სასმელები და თამბაქო	0,04	0,39
ნიდერლანდები	1	სასმელები და თამბაქო	0,83	0,61
პოლონეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,79	0,60
რუმინეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,25	0,00
რუსეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,00	0,47
საბერძნეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,92	0,83
საფრანგეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,00	0,61
სინგაპური	1	სასმელები და თამბაქო	0,59	0,02
სომხეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,59	0,53
უკრაინა	1	სასმელები და თამბაქო	0,84	0,56
ჩეხეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,07	0,27
ჩინეთი	1	სასმელები და თამბაქო	0,00	0,34
ჰონკონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი	1	სასმელები და თამბაქო	0,00	0,85
ავსტრია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,46	0,65

აზერბაიჯანი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,34	0,09
არაბთა გაერთიანებული ემირატები	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,00	0,26
აშშ	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,85	0,44
ბელარუსი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,65	0,07
ბელგია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,33	0,44
გაერთიანებული სამეფო	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,81	0,55
გერმანია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,49	0,62
დანია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,14	0,70
ესტონეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,00	0,22
თურქეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,23	0,58
ინდოეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,03	0,44
იორდანია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,00	1,00
ისრაელი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,33	0,42
იტალია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,80	0,93
კვიპროსი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,34	0,66
ლატვია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,99	0,10
მალაიზია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,30	0,00
მოდოვა	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,34	0,06
ნიდერლანდები	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,56	0,31
პოლონეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,18	0,62
რუმინეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,39	0,05
რუსეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,15	0,82
საბერძნეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,20	0,00
საუდების არაბეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,45	0,00

საფრანგეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,21	0,36
სომხეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,62	0,04
ფინეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,67	0,00
ყაზახეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,03	0,22
შვედეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,85	0,00
შვეიცარია	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,02	0,67
ჩეხეთი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,00	0,20
ჰონკონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი	2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	0,02	0,41
აშშ	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,31	0,00
ბულგარეთი	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,01	0,76
გაერთიანებული სამეფო	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,00	0,97
თურქეთი	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,98	0,81
იტალია	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,31	0,69
რუმინეთი	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,33	0,16
რუსეთი	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,39	0,03
სომხეთი	3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	0,72	0,93
თურქეთი	4	ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები	0,81	0,44
ნიდერლანდები	4	ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები	0,00	0,44
საფრანგეთი	4	ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები	0,00	0,59

ავსტრალია	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,64	0,00
აზერბაიჯანი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,63	0,18
აშშ	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,88	0,79
ბელარუსი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,04	0,22
ბულგარეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,90	0,75
გაერთიანებული სამეფო	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,45	0,60
ეგვიპტე	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,40
ესპანეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,52	0,49
ვიეტნამი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,44	0,00
თურქეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,21	0,06
ინდოეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,01	0,69
იორდანია	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,47
იტალია	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,57	0,31
კანადა	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,30	0,00
კვიპროსი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,24	0,56
ლატვია	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,24	0,36
ლიტვა	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,69	0,96

მოლდოვა	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,29	0,67
ნიდერლანდები	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,23	0,30
ნორვეგია	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,79	0,00
პოლონეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,83
რუმინეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,79	0,49
საბერძნეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,98	0,63
საფრანგეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,40	0,23
სომხეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,33	0,43
ყაზახეთი	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,82	0,96
შვეიცარია	5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,20
აზერბაიჯანი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,33	0,54
ბელარუსი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,94	0,99
ბელგია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,22	0,03
გაერთიანებული სამეფო	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,58	0,48
გერმანია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,26	0,13

ეგვიპტე	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,20	0,33
ესპანეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,00	0,70
იაპონია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,95	0,19
ინდოეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,96	0,04
ირანი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,78	0,00
ირლანდია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,00	0,96
ისრაელი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,29	0,10
იტალია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,37	0,40
კვიპროსი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,18	0,64
კორეის რესპუბლიკა	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,50	0,00
ნიდერლანდები	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,64	0,68
ნორვეგია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,00	0,32

რუმინეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,25	0,12
რუსეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,76	0,67
საბერძნეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,99	0,75
საუდების არაბეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,69	0,24
საფრანგეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,02	0,74
სომხეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,90	0,61
ყაზახეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,14	0,47
ყირგიზეთი	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,25	0,00
ხორვატია	6	სამრეწველო საქონელი (ნაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	0,15	0,43
აზერბაიჯანი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,11	0,35
ალჟირი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,00	0,98
არაბთა გაერთიანებული ემირატები	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,08	0,37
ბელარუსი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,39	0,10
ბელგია	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,95	0,75
ევვიპტე	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,00	0,69



თურქეთი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,22	0,05
ისრაელი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,79	0,48
იორდანია	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,24	0,01
ირანი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,46	0,00
ისრაელი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,79	0,48
კანადა	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,37	0,05
კოლუმბია	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,33	0,00
ლიბანი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,21	0,02
მალაიზია	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,23	0,10
მოდოვა	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,04	0,77
ნიდერლანდები	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,03	0,34
პანამა	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,95	0,14
უკრაინა	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,26	0,14
რუსეთი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,17	0,24
სინგაპური	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,00	0,34
ფინეთი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,21	0,00
ყაზახეთი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,02	0,77
ყირგიზეთი	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,68	0,51
შვეიცარია	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,00	0,77
ხორვატია	7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	0,01	0,50
აზერბაიჯანი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,51	0,68
ალბანეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,86	0,00
გაერთიანებული სამეფო	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,81	0,31
გერმანია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,17	0,24
დანია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,40	0,10

თურქეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,28	0,48
იორდანია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,20	0,00
ისრაელი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,30	0,32
იტალია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,01	0,37
ლიბანი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,72	0,00
ლიტვა	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,00	0,94
ნორვეგია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,50	0,00
რუმინეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,30	0,02
რუსეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,02	0,25
საუდების არაბეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,00	0,71
სომხეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,74	0,74
ყაზახეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,06	0,26
ყირგიზეთი	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,00	0,51
შვეიცარია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,01	0,31
ხორვატია	8	შერეული სამრეწველო საგნები (ნივთები)	0,76	0,00
გერმანია	9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	0,51	0,40
თურქეთი	9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	0,01	0,25
ლიტვა	9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	0,00	0,35
სომხეთი	9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	0,23	0,16
შვეიცარია	9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	0,00	0,31
ჰონკონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი	9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	0,00	0,30

საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის (GL) ინდექსი

SITC სამნიშნა დონეზე 2005-2015წწ

ქვეყანა	სასაქონლო კოდი	საქონლის დასახელება	2005	2010	2015
არაბთა გაერთიანებული ემირატები	001	ცოცხალი ცხოველები, გარდა 03 დანაყოფში მოხვედრილი ცხოველებისა	0,00	0,13	0
აშშ	001	ცოცხალი ცხოველები, გარდა 03 დანაყოფში მოხვედრილი ცხოველებისა	0,02	0,77	0
რუსეთი	001	ცოცხალი ცხოველები, გარდა 03 დანაყოფში მოხვედრილი ცხოველებისა	0,00	0,00	0,21
საუდების არაბეთი	001	ცოცხალი ცხოველები, გარდა 03 დანაყოფში მოხვედრილი ცხოველებისა	0,00	0,00	0,37
სომხეთი	001	ცოცხალი ცხოველები, გარდა 03 დანაყოფში მოხვედრილი ცხოველებისა	0,37	0,18	0,19
აზერბაიჯანი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,40	0,17	0,88
აშშ	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,05	0,00	0,47
ბულგარეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,22	0,07
ეგვიპტე	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,44	0,71	0
თურქეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,04	0,6
იორდანია	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,00	0,87
ირანი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,59	0,29
მოლდოვა	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,21	0,59

ნიდერლანდები	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,05	0,88	0,83
პოლონეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,00	0,44
საბერძნეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,67	0,68
საფრანგეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,02	0,03	0,12
სომხეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,07	0,01	0,83
ყირგიზეთი	057	ხილი და თხილი (ზეთოვანი თხილის გარდა), ცოცხალი და გამშრალი	0,00	0,00	0,58
აშშ	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,19	0,01	0,25
ბელარუსი	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,99	0
გერმანია	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,10	0,74	0,11
ისრაელი	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,02	0,52	0
იტალია	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,22	0,32
ლატვია	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,00	0,59
ლიტვა	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,64	0,91
ნიდერლანდები	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,43	0,08
პოლონეთი	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,72	0,34
საფრანგეთი	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,10	0,17	0,72
სომხეთი	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,26	0,07
უკრაინა	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,67	0,24	0,01

ჩეხეთი	058	ხილი, კონსერვები და ხილის პრეპარატები (გარდა ხილის წვენებისა)	0,00	0,00	0,24
აზერბაიჯანი	081	ცხოველების საკვები პროდუქტი (დაუფჰველი მარცვლეულის გარდა)	0,00	0,67	0,63
თურქეთი	081	ცხოველების საკვები პროდუქტი (დაუფჰველი მარცვლეულის გარდა)	0,57	0,66	0,42
ირანი	081	ცხოველების საკვები პროდუქტი (დაუფჰველი მარცვლეულის გარდა)	0,00	0,00	0,24
აზერბაიჯანი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,04	0,13
ბულგარეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,61	0,23	0,88
გერმანია	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,72	0,56	0,97
ესპანეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,32	0
ესტონეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,00	0,73
თურქეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,49	0,10	0,41
ირანი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,87	0
იტალია	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,38	0,2
ლატვია	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,12	0,57
მოდოვა	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,60	0,42
ნიდერლანდები	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,94	0,01
პოლონეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	1,00	0,67	0,06
რუსეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,00	0,12
სომხეთი	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,31	0,17	0,11
უკრაინა	111	უალკოჰოლო სასმელები, სხვაგან დაუსახელებელი	0,23	0,46	0,76
ავსტრია	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,02	0,1
აზერბაიჯანი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,12	0,17	0,47
აშშ	112	ალკოჰოლური სასმელები	0,01	0,45	0
ბელგია	112	ალკოჰოლური სასმელები	0,59	0,26	0,57

ბულგარეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,03	0,91	0,14
გაერთიანებული სამეფო	112	ალკოჰოლური სასმელები	0,19	0,09	0,25
გერმანია	112	ალკოჰოლური სასმელები	0,45	0,54	0,47
ესპანეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,80	0,04
ესტონეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,14	0
თურქეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,16	0,39	0,04
ირლანდია	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,11	0
კვიპროსი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,00	0,27
ლიტვა	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,00	0,17
ნიდერლანდები	112	ალკოჰოლური სასმელები	0,38	0,83	0,58
რუმინეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,45	0
რუსეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,07	0,00	0,11
საბერძნეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,83	0,01
სომხეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,91	0,46	0,39
უკრაინა	112	ალკოჰოლური სასმელები	0,32	0,30	0,48
შვეიცარია	112	ალკოჰოლური სასმელები	0,00	0,00	0,66
ჩეხეთი	112	ალკოჰოლური სასმელები	0,79	0,17	0,3
ავსტრია	248	საცობი და ხე	0,00	0,00	0,56
აზერბაიჯანი	248	საცობი და ხე	0,00	0,14	0
გერმანია	248	საცობი და ხე	0,39	0,00	0,21
თურქეთი	248	საცობი და ხე	0,01	0,58	0,6
ირანი	248	საცობი და ხე	0,00	0,00	0,12
ლიტვა	248	საცობი და ხე	0,00	0,00	0,12
ნიდერლანდები	248	საცობი და ხე	0,00	0,00	0,13

ჩეხეთი	248	საცობი და ხე	0,00	0,00	0,53
ჩინეთი	248	საცობი და ხე	0,01	0,87	0
შვეიცარია	283	სპილენძის მადნები და კონცენტრატები; სპილენძის შტეინი; ცემენტნარევი სპილენძი	0,00	0,00	0,68
სომხეთი	343	ბუნებრივი აირი, ასევე თხევადი	0,00	0,00	0,91
აზერბაიჯანი	351	ელექტრო -დენი	0,00	0,83	0
რუსეთი	351	ელექტრო -დენი	0,00	0,72	0
ბულგარეთი	523	მარილები და მარილმჟავები, არაორგანული მჟავების და ლითონების	0,00	0,12	0
ირანი	523	მარილები და მარილმჟავები, არაორგანული მჟავების და ლითონების	0,00	0,00	0,14
ყაზახეთი	523	მარილები და მარილმჟავები, არაორგანული მჟავების და ლითონების	0,12	0,15	0,05
აზერბაიჯანი	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,14	0,35	0,01
გაერთიანებული სამეფო	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,01	0,18	0
ეგვიპტე	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,04	0,68
ესპანეთი	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,07	0,88
თურქეთი	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,07	0,27
ირლანდია	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	1,00	0
ლატვია	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,46	0,11
ლიტვა	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,00	0,19
ნიდერლანდები	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,40	0,03
სომხეთი	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,05	0,26	0,15
უკრაინა	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა	0,46	0,30	0,38

		542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა			
ჩეხეთი	541	სამედიცინო და ფარმაცევტული პრდუქტები, გარდა 542-ე ჯგუფის მედიკამენტებისა	0,00	0,63	0
აზერბაიჯანი	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,25	0,10	0,01
ბელარუსი	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,01	0,09	0,37
ესტონეთი	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,00	0,00	0,94
ლატვია	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,14	0,19	0,37
ლიტვა	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,00	0,59	0,46
მოლდოვა	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,09	0,00	0,68
სომხეთი	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,41	0,36	0,92
უკრაინა	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,03	0,11	0
ყაზახეთი	542	მედიკამენტები (ვეტერინალური მედიკამენტების ჩათვლით)	0,33	0,98	0,02
აზერბაიჯანი	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,08	0,89	0,14
არაბთა გაერთიანებული ემირატები	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,00	0,17
აშშ	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,00	0,24
ირანი	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,00	0,54
ისრაელი	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,08	0,14
ლატვია	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,00	0,53
ლიტვა	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,24	0,83



ნიდერლანდები	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,00	0,99
შვეიცარია	553	პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები (გარდა საპნებისა)	0,00	0,00	0,1
აზერბაიჯანი	562	სასუქები (გარდა 272-ე ჯგუფში შემავალი სასუქებისა)	0,00	0,00	0,47
იტალია	562	სასუქები (გარდა 272-ე ჯგუფში შემავალი სასუქებისა)	0,00	0,04	0,74
აზერბაიჯანი	625	რეზინის საბურავები, ურთიერთშენაცვლებადი საბურავის პროტექტორები, საბურავი ფარები და შიდა მილები ყველა სახის საბურავისთვის	0,77	0,63	0
ბელგია	625	რეზინის საბურავები, ურთიერთშენაცვლებადი საბურავის პროტექტორები, საბურავი ფარები და შიდა მილები ყველა სახის საბურავისთვის	0,00	0,00	0,37
გაერთიანებული სამეფო	625	რეზინის საბურავები, ურთიერთშენაცვლებადი საბურავის პროტექტორები, საბურავი ფარები და შიდა მილები ყველა სახის საბურავისთვის	0,00	0,00	0,71
კანადა	625	რეზინის საბურავები, ურთიერთშენაცვლებადი საბურავის პროტექტორები, საბურავი ფარები და შიდა მილები ყველა სახის საბურავისთვის	0,00	0,25	0
სომხეთი	625	რეზინის საბურავები, ურთიერთშენაცვლებადი საბურავის პროტექტორები, საბურავი ფარები და შიდა მილები ყველა სახის საბურავისთვის	0,61	0,02	0,89
გაერთიანებული სამეფო	671	თუჯი, სარკისებრი თუჯი, ღრუბლისებრი რკინა, რკინის ან ფოლადის გრანულები, ფხვნილები და ფეროშენადნობები	0,00	0,79	0
თურქეთი	671	თუჯი, სარკისებრი თუჯი, ღრუბლისებრი რკინა, რკინის ან ფოლადის გრანულები, ფხვნილები და ფეროშენადნობები	0,00	0,04	0,13
იტალია	671	თუჯი, სარკისებრი თუჯი, ღრუბლისებრი რკინა, რკინის ან ფოლადის გრანულები, ფხვნილები და ფეროშენადნობები	0,00	0,01	0,14
რუსეთი	671	თუჯი, სარკისებრი თუჯი, ღრუბლისებრი რკინა, რკინის ან ფოლადის გრანულები, ფხვნილები და ფეროშენადნობები	0,03	0,00	0,11
იტალია	672	შენადნობები და შავი ლითონის და ფოლადის სხვა პირველადი ფორმები, რკინის ან ფოლადის ნახევარფაბრიკატები	0,00	0,12	0
აზერბაიჯანი	676	რკინის და ფოლადის არმატურა, წნელები, კუთხეების, ფორმები და სექციები (მათ შორის ლითონის ფურცლები)	0,19	0	0,13

არაბთა გაერთიანებულ იემირატები	676	რკინის და ფოლადის არმატურა, წნელები, კუთხეების, ფორმები და სექციები (მათ შორის ლითონის ფურცლები)	0,00	0	0,20
თურქეთი	676	რკინის და ფოლადის არმატურა, წნელები, კუთხეების, ფორმები და სექციები (მათ შორის ლითონის ფურცლები)	0,00	0	0,59
ბულგარეთი	781	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკითვნილის ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	0,00	0,24	0,37
ესპანეთი	781	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკითვნილის ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	0,00	0,16	0,06
ესტონეთი	781	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკითვნილის ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	0,00	0,68	0,15
თურქეთი	781	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკითვნილის ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	0,01	0,35	0,27
იორდანია	781	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკითვნილის ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	0,00	0,60	0
ირანი	781	ავტომობილები და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განკითვნილის ძირითადად მგზავრების ტრანსპორტირებისთვის (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა ათი და მეტი მგზავრის ტრანსპორტირებისთვის, მძღოლის ჩათვლით)	0,00	0,12	0,09





რუსეთი	782	საქონლის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	0,02	0,10	0,21
უკრაინა	782	საქონლის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	0,00	0,00	0,13
ყაზახეთი	782	საქონლის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	0,00	0,37	0,72
რუსეთი	791	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, ერთრელსიანი) და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	0,02	0,41	0
სომხეთი	791	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, ერთრელსიანი) და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	0,40	0,27	0,53
უკრაინა	791	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, ერთრელსიანი) და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	0,39	0,73	0
არაბთა გაერთიანებული ემირატები	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,00	0,17	0
აშშ	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,04	0,00	0,14
თურქეთი	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,00	0,76	0
კანადა	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,91	0,53	0,7
რუმინეთი	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,00	0,45	0

საფრანგეთი	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,00	0,89	0
უკრაინა	792	თვითმფრინავები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები; კოსმოსური ხომალდები (თანამგზავრების ჩათვლით) და კოსმოსური კოსმოსური აპარატების გამშვები სატრანსპორტო საშუალებები; მათი ნაწილები	0,05	0,11	0,49
ავსტრია	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,25	0,01
აზერბაიჯანი	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,11	0,96
ბულგარეთი	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,14	0
გაერთიანებული სამეფო	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,08	0,68	0
გერმანია	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის	0,15	0,37	0,38

		ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)			
ეგვიპტე	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,00	0,22
თურქეთი	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,43	0,82	0,7
იტალია	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,00	0,68
ლატვია	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,17	0
რუსეთი	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჯამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,38	0,27	0,89

ყაზახეთი	842	ქალის ან გოგონების ლაზადები, მოსასხამები, ქურთუკები, პიჯაკები, შარვლები, მოკლე შარვლები, ხალათები, კაბები და ქვედაბოლოები, ქვედა საცვლები, ღამის პიჟამოების და ქალებისთვის განკუთვნილი ანალოგიური საფეიქრო ნაწარმი, მანქანითა და ხელით ნაქსოვი არატრიკოტაჟის ნაწარმი (გარდა 845,2 ქვეჯგუფში შემავალი პროდუქციისა)	0,00	0,00	0,32
ავსტრია	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,10	0
აზერბაიჯანი	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,24	0,68
გერმანია	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,29	0,43
ეგვიპტე	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,00	0,8
თურქეთი	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,01	0,48	0,71
ირანი	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,00	0,26
ლატვია	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,01	0,12	0
ნიდერლანდები	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,00	0,11
ნორვეგია	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,93	0
სომხეთი	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,08	0,47	0,05
ყაზახეთი	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,11	0



ჰონკონგი	845	ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი, სხვაგან დაუსახელებელი	0,00	0,00	0,24
აზერბაიჯანი	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,81	0,12	0,01
გერმანია	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,01	0,03	0,26
თურქეთი	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,00	0,01	0,39
ირანი	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,00	0,01	0,43
ლიტვა	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,00	0,00	0,23
რუსეთი	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,00	0,25	0,67
საბერძნეთი	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,00	0,00	0,38
სომხეთი	872	ინსტრუმენტები და მოწყობილობები, სხვაგან დაუსახელებელი, სამედიცინო, ქირურგიული, სტომატოლოგიური და ვეტერინალური მიზნებისთვის	0,39	0,49	0,9

საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის (GL) ინდექსი

პარტნიორ ქვეყნებთან წლების მიხედვით

(SITC rev.4)

ქვეყანა	2005	2010	2015
	2005	2010	2015
ბელარუსი	53,20%	79,50%	99,30%
სომხეთი	99,60%	43,30%	97,60%
საუდის არაბეთი	51,50%	70,70%	90,30%
ბულგარეთი	74,40%	67,30%	87,80%
ლიტვა	32,50%	60,20%	84,80%
მოლდოვა	11,10%	75,20%	77,90%
სინგაპური	85,40%	29,70%	74,00%
ხორვატია	0,10%	2,00%	73,90%
კოლუმბია	0,00%	11,40%	71,90%
ეგვიპტე	82,60%	65,40%	68,40%
არგენტინა	0,30%	0,00%	66,10%
ყაზახეთი	91,80%	69,30%	66,00%
შვეიცარია	30,70%	2,40%	66,00%
ესტონეთი	58,20%	28,90%	63,80%
ესპანეთი	74,50%	98,00%	63,00%
აზერბაიჯანი	52,80%	69,20%	61,40%
აშშ	30,80%	98,30%	58,50%
სლოვაკეთი	99,10%	30,00%	56,80%

ირანი	30,50%	42,70%	56,00%
იტალია	68,50%	32,00%	54,70%
ლიბანი	0,00%	21,20%	52,90%
ნიდერლანდები	35,20%	29,00%	50,80%
ფილიპინები	0,00%	97,20%	50,10%
ლატვია	44,00%	59,60%	48,60%
პოლონეთი	10,20%	17,30%	47,90%
ინდოეთი	42,60%	55,10%	44,10%
ბრაზილია	0,00%	13,80%	43,80%
რუსეთი	57,40%	21,30%	41,30%
ყირგიზეთი	67,90%	58,30%	40,90%
ისრაელი	19,00%	45,10%	40,10%
ბელგია	33,10%	60,10%	39,20%
გაერთიანებული სამეფო	67,60%	43,10%	38,40%
მალაიზია	0,00%	37,40%	35,90%
ჩინეთი	21,40%	14,80%	35,30%
საფრანგეთი	31,90%	25,40%	30,40%
გერმანია	24,20%	19,00%	29,90%
მალტა	0,00%	6,20%	28,50%
კანადა	33,20%	26,70%	28,40%
ჩეხეთი	48,70%	24,40%	28,30%
საბერძნეთი	71,80%	19,90%	26,10%
თურქმენეთი	88,70%	35,20%	25,20%
თურქეთი	60,20%	39,30%	24,50%
არაბთა გაერთიანებული	0,30%	30,20%	23,30%

ემირატები			
უკრაინა	28,80%	32,90%	23,20%
რუმინეთი	35,40%	34,80%	23,00%
პანამა	4,80%	70,70%	16,50%
უზბეკეთი	78,30%	91,60%	13,50%
კორეის რესპუბლიკა	78,00%	38,20%	10,00%
იორდანია	0,00%	4,90%	6,70%
ალჟირი	0,00%	3,30%	6,50%
ავსტრია	10,40%	3,90%	5,50%
ფინეთი	0,00%	10,10%	5,10%
იაპონია	29,50%	9,20%	3,10%
მაროკო	0,00%	22,70%	1,20%
ირლანდია	35,70%	7,90%	1,00%
ლიხტენშტაინი	84,10%	23,00%	0,00%
ისლანდია	0,00%	0,40%	0,00%

საქართველოს ექსპორტის მსგავსების (FK) ინდექსი პარტნიორ ქვეყნებთან წლების მიხედვით (SITC rev.4)

ქვეყანა	2010	2014
ესპანეთი	48,2%	56,7%
ლიტვა	49,6%	48,9%
პოლონეთი	42,7%	48,4%
რუმინეთი	42,7%	46,5%
აშშ	45,9%	45,6%
ბელგია	38,7%	45,5%
იტალია	44,5%	43,7%
სომხეთი	48,4%	43,4%
თურქეთი	43,7%	43,0%
გაერთიანებული სამეფო	42,0%	42,7%
ავსტრია	41,2%	42,6%
ჩეხეთი	40,7%	42,5%
გერმანია	39,2%	42,5%
ლატვია	39,8%	41,0%
კანადა	44,8%	40,1%
საფრანგეთი	38,7%	38,3%
სლოვაკეთი	34,7%	36,9%
ბულგარეთი	36,3%	36,8%
საბერძნეთი	32,3%	36,7%
ინდოეთი	39,1%	36,5%

ბრაზილია	39,0%	35,8%
ლიბანი	32,4%	35,5%
ხორვატია	34,2%	35,5%
იაპონია	32,9%	34,7%
უკრაინა	31,4%	34,6%
ნიდერლანდები	35,6%	34,3%
მოლდოვა	27,2%	33,4%
კორეის რესპუბლიკა	32,3%	33,3%
ეგვიპტე	32,2%	31,9%
ესტონეთი	35,1%	31,0%
აგე	17,8%	29,6%
ბელარუსი	18,1%	28,2%
პანამა	14,8%	25,3%
იორდანია	29,7%	25,1%
სინგაპური	24,0%	22,6%
ისრაელი	17,1%	19,2%
ყირგიზეთი	19,3%	18,0%
ჩინეთი	14,8%	17,4%
მალაიზია	16,7%	17,3%
კოლუმბია	26,8%	15,8%
რუსეთი	11,8%	15,0%
ირლანდია	11,2%	13,5%
შვეიცარია	17,5%	12,2%
ჰონკონგი	14,4%	9,5%
ყაზახეთი	11,4%	8,2%

საუღდის არაბეთი	4,6%	3,3%
აზერბაიჯანი	3,6%	3,1%
ირანი	7,0%	0,0%